



საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1921-1927 წლებში

ავტორი: მღვდელმონაზონი ანდრია (სარია)

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ ქორიძე

თბილისი

2019

მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომი ეხება საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას 1921-1927 წლებში. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიით ბოლო მოეღო საქართველოს დამოუკიდებლობას და ძალდატანებით მოხდა მისი გასაბჭოება. ქვეყანაში დამყარებული საბჭოთა-საოკუპაციო რეჟიმი ათეისტურ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას ემყარებოდა. ქართული ეკლესია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) მეთაურობით თავდადებით იბრძოდა არა მარტო ეკლესიის გადარჩენის, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. 1927 წელს, კათოლიკოს ამბროსის გარდაცვალების შემდეგ, დაიწყო ახალი ეტაპი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში, ეკლესიამ დაასრულა სახელმწიფოსთან უკომპრომისო დამოკიდებულების პოლიტიკა და იძულებული გახდა შეეცვალა ლოიალურით. სწორედ ამიტომ, ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიის ეს ორი მნიშვნელოვანი თარიღი-1921-1927 წლებია აღებული.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს ცენტრალურ საისტორიო, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში დაცული მასალები, ანტირელიგიური სახელმძღვანელოები, მემუარული ლიტერატურა და პრესა. ნაშრომში წარმოდგენილია განხილული საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ფართო სპექტრი.

ნაშრომში მოკლედ მიმოხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითადი ეტაპები XIX ს- დან 1921 წლამდე, კერძოდ, მეფის რუსეთის მიერ ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და საეგზარქოსოს დაარსება, ქართული ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში, ქართველი ერის ბრძოლა ეკლესიის მიმართ რუსეთის ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის და მისი გამარჯვებით დასრულება, ასევე, ქართული ეკლესია დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წწ.).

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას 1921-1927 წლებში, სადაც განხილულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეკლესიის წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის ყველა ბერკეტი - პოლიტიკური, ეკონომიკური,

იდეოლოგიური., ასევე, ის უმკაცრესი რეპრესიები, რასაც საბჭოთა ხელისუფლება მიმართავდა ეკლესიის გადარჩენისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სამღვდელოების წინააღმდეგ. აქვე, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ღვაწლს.

შინაარსი	
მიმოხილვა -----	2
სარჩევი -----	4
შესავალი-----	5
I თავი. საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის დასაწყისიდან	
გასაბჭოებამდე -----	17
1.1 . საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება -----	18
1.2 მეფის რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და	
მისი შედეგები -----	22
1.3. ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისათვის -----	32
1.4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საეკლესიო	
პოლიტიკა 1918-1921 წლებში -----	37
II თავი. საქართველოს გასაბჭოება და მისი ნეგატიურად	
ასახვა ეკლესიაზე -----	46
III თავი. იდეოლოგიური ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ 1921-1927 წლებში	
3.1 ანტირელიგიური კამპანია 1921-1927 წლების პერიოდული	
გამოცემების მიხედვით -----	74
3.2 სამღვდელოება 1921-1927 წლების ქართულ ზეპირსიტყვიერებაში -----	87
3.3 1921-1927 წლებში გამოცემული ანტირელიგიური	
ლიტერატურა -----	104
IV თავი. 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი კათოლიკოს-პატრიარქ	
ამბროსის (ხელაია) მიერ გაგზავნილი მემორანდუმის ისტორიიდან -----	109
V თავი. 5.1 საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1921-1927 წლებში დევნილი და დახვრეტილი	
მამები (საარქივო მასალების მიხედვით)-----	150
5.2. ქართული ეკლესიის ბრძოლა გადარჩენისათვის -----	164
დასკვნები -----	171
გამოყენებული ლიტერატურა -----	173

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა

მოციქულთა მოღვაწეობის დროიდან ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. მართლმადიდებლობა ქართველმა ერმა ქვეყნის კულტურად აქცია, რისი დასტურიც არის თუნდაც ის ფაქტი, რომ უძველესი მწერლობის ნიმუშები ადრე ქრისტიანული ეპოქიდან იღებს სათავეს. ამასთან, ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა ერის სულიერ გაჯანსაღებასა და ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მეფეები ცდილობდნენ ეკლესიის გაძლიერებასა და მის საყრდენ ძალად გადაქცევას ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ, ისინი იყვნენ ეკლესია-მონასტრების ქტიტორები, მათთვის ყმა-მამულისა და ქონების შემწირველები. თავის მხრივ, ეკლესია ცდილობდა, სახელმწიფოს მხარდამჭერი ყოფილიყო ქვეყნის გაძლიერებისა და აღმშენებლობის პროცესში. ერისა და სარწმუნოების ერთგულებით გამორჩეული მეფეები ეკლესიას წმინდანთა დასში ჰყავს აღნუსხული.

ეკლესიის ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, მეფის რუსეთმა საქართველოს დაპყრობისთანავე უამრავი განსაცდელი მოუვლინა და დიდი დარტყმა მიაყენა წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სამწყსოს, ივერიის უძველეს ეკლესიას. XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტის ეგზარქოსით ჩანაცვლებამ, რუსეთს საშუალება მისცა ქართული ეკლესიის მართვის სადავეები ხელში აეღო და მისი რუსიფიკაცია განეხორციელებინა, რამაც ეროვნული თვითშეგნების არსებობას საფრთხე შეუქმნა.

სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ კიდევ უფრო მკაცრი გახდა საბჭოთა ათეისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა 1921-1927 წლები, როდესაც ხელისუფლება ფართო ფრონტით გადავიდა შეტევაზე და ყველა მექანიზმი აამუშავა სარწმუნოებისა და ეკლესიის გასანადგურებლად.

სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დევნა-შევიწროვება უარყოფითად აისახა როგორც ქვეყნის განვითარებაზე, ისე საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებაზე. ხელისუფლების ანტირელიგიურმა, სასტიკმა პოლიტიკამ საზოგადოების გარკვეული ნაწილის დეგრადირება მოახდინა. საბჭოთა რუსეთის მიერ იმ პერიოდში დანერგილი საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ეკლესიის სრული განადგურებისაკენ, თანდათანობით შეიცვალა მისი დამორჩილების პოლიტიკით. ეს პოლიტიკა

მეტნაკლებად დღემდე გრძელდება შეფარულად . სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კანონმდებლობით დარეგულირებული, შეთანხმებული მოქმედება კი ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს. ამიტომ საკვლევი თემატიკა არ კარგავს აქტუალობას. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მკვლევართა წინაშე საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის 1921-1927 წლების ურთიერთობის ისტორიის ობიექტურად და საფუძვლიანად შესწავლის მოთხოვნებს აყენებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1927 წლების საქართველოს ეკლესიის ისტორიის ამსახველი არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს, თუმცა ყველა მათგანი ამ ისტორიის მხოლოდ ცალკეულ ასპექტებს ეხება. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ საბჭოთა სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკა ეკლესიის მიმართ, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები, ასევე ბრძოლის მეთოდები და საშუალებები, რასაც ხელისუფლება მიმართავდა ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ 1921-1927 წლებში. ასევე, ერთი მხრივ, დავადგინოთ, რა მეთოდების გამოყენებით მოახერხა სახელმწიფომ ეკლესიის მებრძოლი სულის გატეხვა და, მეორე მხრივ, შევაფასოთ, რამდენად გამართლებული იყო ეკლესიის არჩევანი, მომდევნო წლებში სახელმწიფოს მიმართ კომფრონტაცია კომპრომისით შეეცვალა და თვითგადარჩენის ანუ წმ. ილია მართლისეულ ე.წ. „აქტიური ლოდინის პოლიტიკაზე“ გადასულიყო.

ძირითადი მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა კვლევის შემდეგი ამოცანები:

შევისწავლოთ, ქრონოლოგიური პრინციპით წარმოვაჩინოთ და ერთმანეთს შევადაროთ, ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ მეფის რუსეთის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ანუ 1921-1927 წლებში.

შევისწავლოთ, თუ როგორ აისახა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ეკლესიასა და სარწმუნოებაზე და რა მეთოდებს იყენებდა ხელისუფლება მასთან საბრძოლველად. დავადგინოთ, თუ რა ძალისმიერ , იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ბერკეტებსა და მეთოდებს იყენებდა ხელისუფლება 1921-1927 წლებში ეკლესიის , სამღვდელოებისა და სარწმუნოების წინააღმდეგ.

გავანალიზოთ 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) მიერ გაგზავნილ მემორანდუმთან დაკავშირებულ საკითხები და შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის შესახებ არსებული ზოგიერთი ხარვეზი.

შევსწავლოთ , თუ როგორი იყო ეკლესიის პოზიცია სახელმწიფოს მიერ მისი ტოტალური დევნის პერიოდში ანუ 1921-1927 წლებში.

ნაშრომის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევა აგებულია შემდეგი ჰიპოთეზების მიხედვით:

- 1.XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ეკლესია რუსეთის ინტერესის სფეროა;
- 2.რუსეთის იმპერიის პოლიტიკა საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში გულისხმობდა მის სრულ რუსიფიკაციას, რისი დასტურიც იყო ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსის ინსტიტუტის დაწესება და ქართული ეკლესიის დისკრედიტაცია;
3. 1918-1921 წლებში მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება უკვე ავტოკეფალია აღდგენილი ქართული ეკლესიის მიმართ იყო ნეგატიური;
- 4.1921 წელს საქართველოში დამყარებული საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი ათეისტურ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას ემყარებოდა, რის გამოც მან წამოიწყო უკომპრომისო ბრძოლა რწმენისა და ეკლესიის გასანადგურებლად, რისთვისაც გამოიყენა ბრძოლის ყველა ბერკეტი- იდეოლოგიური, ძალისმიერი და ეკონომიკური;
- 5.საბჭოთა ხელისუფლების მცდელობა, ეკლესია გაენადგურებინა და საზოგადოების ცნობიერება შეეცვალა ათეისტურად, გარკვეულწილად წარმატებით დასრულდა. ეკლესიამ ვერ შეძლო თავისი კანონიერი უფლებების დაცვა და, ფაქტობრივად, დარჩა სამღვდლოების, ქონებისა და მრევლის გარეშე;
6. გენუის კონფერენციისადმი 1922 წელს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) მიმართვა და მისი მოღვაწეობა ცხადყოფს მისი ზეობის პერიოდში ეკლესიის უკომპრომისო დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისა და მის მიერ დამყარებული საოკუპაციო რეჟიმის მიმართ;
7. ეკლესიის უკომპრომისო პოზიცია მას სრულ განადგურებას უქადდა ,რის გამოც შემდგომ წლებში თვითგადარჩენის მიზნით ის ლოიალურ პოლიტიკაზე გადადის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები:

საკვლევითი თემის აქტუალობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ნაშრომები, ძირითადად საკვლევითი თემის ცალკეულ ასპექტებს ეხება. სადისერტაციო ნაშრომში ერთიან ჭრილში, სისტემატიზირებულად და თანმიმდევრობით წარმოჩენილია სახელმწიფოს მიერ 1921-1927 წლებში გატარებული ფაქტობრივად ყველა ანტირელიგიური ღონისძიება აღნიშნულ წლებში გამოცემული პირველწყაროების, კერძოდ, პერიოდული გამოცემების, სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, რაც მას განსაკუთრებულ სიახლესა და მნიშვნელობას სძენს. ასევე, გამოყენებულია როგორც გამოუქვეყნებელი, ისე სამეცნიერო ბრუნვაში არსებული საარქივო დოკუმენტები.

ნაშრომში შესწავლილია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის 1922 წელს გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმის ისტორიასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და შევსებულია დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები.

სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ ნაშრომი 1921-1927 წლების სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა.

კვლევის შედეგები შემდეგია:

1. XIX საუკუნის დასაწყისიდან მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ძალმომრეობითა და აგრესიით განხორციელებილი რუსიფიკაციის შედეგად მივიღეთ - ავტოკეფალია გაუქმებული ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიის მეორეხარისხოვანი მოხელის ეგზარქოსის მეთაურობით, რუსული იერსახით ჩანაცვლებული ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრული ძეგლები, ეგზარქოსების მიერ დატაცებული და დანიავებული საეკლესიო ქონება, მათ შორის უდიდესი სულიერი და მატერიალური ღირებულების ქართული საეკლესიო საგანძური (ხატები და სხვა საეკლესიო სიწმინდეები, საეკლესიო ჭურჭელი, შესამოსელი, უნიკალური ნაქარგობა და სხვ.), რუსულენოვანი ღვთისმსახურება, გალობა და სასულიერო სასწავლებლები, ეროვნულ ცნობიერებას მოკლებული და ხელისუფლების ერთგული სასულიერო პირები. საბოლოოდ კი, სულიერად და მატერიალურად გამარცვული ეკლესია.

2. ეკლესია შევიწროვებას განიცდიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდშიც (1918-1921), რადგან მის სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ათეისტურ შეხედულებებს იზიარებდნენ.

3. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოკუპაციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკური პარტიის სარწმუნოებრივი პოლიტიკა მანამდე არნახული სისასტიკით გამოირჩეოდა, რაც მიზნად ისახავდა სარწმუნოებისა და ეკლესიის სრულ განადგურებას -- ღმერთისადმი და წმინდანებისადმი რწმენის კომუნისტური პარტიისა და მისი ლიდერებისადმი რწმენით ჩანაცვლებას, სასულიერო პირების ფიზიკურ და მორალურ განადგურებას, ეკლესიების, როგორც არქიტექტურული ნაგებობების დანგრევას ან მათთვის ფუნქციის შეცვლას, საბოლოო ჯამში კი მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე აღზრდილი, სულიერებისგან დაცლილი და ხელისუფლებისგან მართული ახალი საბჭოთა ათეისტური საზოგადოების შექმნას.

4. ათეისტურად მოაზროვნე საზოგადოების ფორმირებისთვის სახელმწიფომ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ბერკეტი გამოიყენა - იდეოლოგიური, რეპრესიული, ეკონომიკური. მიუხედავად უმკაცრესი რეპრესიებისა, სამღვდელოების პრინციპული პოზიცია გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებამ თავის მიზანს სრულად ვერ მიაღწია და სასულიერო პირების ნაწილს უარი ვერ ათქმევინა თავიანთ წოდებაზე, საზოგადოების ნაწილს კი-სარწმუნოებაზე.

5. 1921-1927 წლებში ხელისუფლების უკომპროისო ბრძოლამ ეკლესიის წინააღმდეგ ცხადყო, რომ მომდევნო წლებში ეკლესიის არჩევანი - სახელმწიფოს მიმართ კომფრომტაცია კომპრომისით შეეცვალა, თვითგადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენდა.

მეთოდოლოგია:

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია, როგორც ზოგადმეცნიერული, ასევე კერძო მეთოდები: ისტორიულ-შედარებითი, მოვლენების სისტემური ანალიზი, მასალების ქრონოლოგიურად დალაგება და სიღრმისეული შესწავლა, ამ პერიოდში დახვრეტილ სასულიერო პირთა სტატისტიკური გამოკვლევა. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია დოკუმენტების ლოგიკური ანალიზი, წარმოდგენილია ინფორმაციულ-შემეცნებითი და

შედარებით-სამართლებრივი ასპექტები. კვლევისას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების მიზანი იყო:

1. ისტორიული ფაქტების სწორი გააზრება, დოკუმენტებისა და მათი ინტერპრეტაციების შესახებ მიზანმიმართული, მკაფიო წარმოდგენების შექმნა, მოყვანილი ფაქტების ისტორიულ ჭრილში დალაგება და არგუმენტირებული მსჯელობით დასკვნის გამოტანა.

2. დოკუმენტების სისტემატიზირება; ისტორიული დოკუმენტების ანალიზი; საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული ანტირელიგიური წიგნების, სახელმძღვანელოებისა და პერიოდული გამოცემების კრიტიკული შესწავლა და მათი გამოყენება წყაროდ სახელმწიფოს წინააღმდეგ და ეკლესიის სასარგებლოდ; მოცემული ფაქტების შედარება; საკუთარი დასკვნების ფორმულირება და შეხედულებების არგუმენტირებული ჩამოყალიბება.

ასეთი მიდგომის შედეგად, შესაძლებელი და ადვილი გახდა ჩვენი საკვლევი თემისთვის მტკიცებულებების მოპოვება, იოლი გახდა საკვლევი ნაშრომის მთავარი საკითხების გამოკვეთა და სათანადო დასკვნების გამოტანა.

ლიტერატურის მიმოხილვა:

სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად ემყარება, როგორც პირველად ასევე მეორად წყაროებს;

ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს ცენტრალურ საისტორიო, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში დაცული მასალები, ანტირელიგიური სახელმძღვანელოები, მემუარული ლიტერატურა და პრესა. ნაშრომში წარმოდგენილია განხილული საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ფართო სპექტრი.

ისტორიოგრაფია: საქართველოს ეკლესიის ისტორიას ცალკეულად შეეხო არა ერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი, თუმცა, კონკრეტულად მონოგრაფია არ დაწერილა და არ გამოკვეთილა ობიექტურად სათქმელი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობისა 1921-1927 წლებში. საქართველოს ეკლესიის უახლეს ისტორიას არა ერთი მკვლევარი შეეხო, რომელთა შორის აღსანიშნავი არიან შემდეგი ავტორები: ე. ნიკოლაძე, მ. ალექსიშვილი, მ. ხუციშვილი, ბ. ლომინაძე, რ. მეტრეველი, დ. გეგეშიძე, ნ. დურნოვო, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი (საძაგლიშვილი), მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), ჯ.

გამახარია, გ. საითიძე, ა. ვარაზაშვილი, ს. ვარდოსანიძე, ქ. პავლიაშვილი, ე. ბუბულაშვილი, მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბენდელიანი, გ. როგავა, ვ. თორაძე, გ. მაჩურიშვილი, ლ. ტოგონიძე და სხვა.

1921-1927 წლებში საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ისტორიის შესასწავლად, ჩვენ შევეცადეთ ყველა იმ ლიტერატურას გავცნობოდით, რაც კი გამოდიოდა 1921-1927 წლებში: მედიცინის, ფსიქოლოგიის, ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის კუთხით. გამოაშკარავდა, რომ ხელისუფლება ყველგან თესავდა შხამს, გამონაკლისების გარდა ყველგან იწერებოდა ანტირელიგიური შინაარსის მქონე წინადადებები.

XX ს-ის 80-90 -იანი წლებში დაიწერა 1921-1927 წლების ეკლესიის მეტნაკლებად ობიექტური ისტორიის ამსახველი ნაშრომები, შეწყდა დევნა და ამ თემაზე შესაძლებელი გახდა თავისუფლად წერა. გამოჩნდა პატრიარქ ამბროსისადმი მიძღვნილი პირველი დოკუმენტური პუბლიკაციები, რომელთა ავტორები იყვნენ მ. ხუციშვილი, მ. ალექსიშვილი, გ. ბუღაძე, ა. მინდიაშვილი, ს. ლეკიშვილი, კ. ტოტოჩავა და სხვა.

90-იან წლებში გამოიცა 1921-1927 წლების ეკლესიის ისტორია, მაგრამ როგორც ბიოგრაფიული მიმოხილვა პატრიარქ ამბროსის ცხოვრებისა. 1994 წელს გამოიცა ედიშერ გიორგაძის რედაქტორობით მომზადებული დოკუმენტების კრებული „კათალიკოსი ამბროსი (ხელაია)“, მომდევნო წლებში გამოქვეყნდა შ. მჭედლიძის, გ.კობახიძის, , ვ. გურგენიძის , ზ. ჟვანიას, ს. ვარდოსანიძის, გ. საითიძის პუბლიცისტური ხასიათის წერილები, რომელიც ბიოგრაფიული ხასიათის მრავალ უზუსტობას მოიცავდა და ჩაასწორა ჯ. გამახარია.

ს. ვარდოსანიძის მონოგრაფიაში „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“, ზოგადად არის განხილული ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობის, ეკლესიის შიგნით არსებული დაპირისპირების, ანტირელიგიური კამპანიის მხოლოდ ზოგიერთი ასპექტი და სრულად ვერ ასახავს არსებულ ვითარებას.

თემის საკვლევად ძალიან დაგვეხმარა ბოლშევიკების მიერ გამოცემული ანტირელიგიური წიგნები: „ანბანი“, ს.ს.ს.რ. წერა-კითხვის უცოდინარობასთან მეზრძოლი“; „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი და საბავშვო მოძრაობა“; „ანტირელიგიური წრეების სახელმძღვანელო“; კ. ბუაჩიძის „საუბარი წითელ არმიელთან“ და სხვა. ასეთი სახის ლიტერატურა გათვლილი იყო საზოგადოების ყველა ფენაზე იდეოლოგიური ზეწოლის მოსახდენად. მათ ასწავლიდნენ, რომ ეკლესიაში სიარული ფუჭია და არაფრის მომცემი. სასულიერო პირები, თითქოს სარგებლობდნენ გლეხების

მიამიტომ, ამიტომ ბოლშევიკები მოძღვრავდნენ, რომ ლიტერატურის შესწავლა ხელს შეუწყობდა მათ გონებრივ განვითარებას და ვეღარ მოატყუებდნენ ცრუ მღვდელმსახურნი, ღმერთის სახელით ქვეყნად მოვაჭრენი.

საბჭოთა ხელისუფლებამ საზოგადოების ყველა ფენისთვის გამოსცა ანტირელიგიური წიგნები და ბროშურები, ასევე სახელმწიფო დადგენილებები, დეკრეტები ეკლესიის წინააღმდეგ. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გამოცემა, ამ მხრივ, არის „საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირის დადგენილებანი“, ს.კ.პ.ც. კომიტეტის გამოცემა, (ტფილისი, 1925 წელი). 1921 წელს შედარებით მცირე მასშტაბით დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა ხელისუფლება თანდათან აძლიერებდა ანტირელიგიურ პროპაგანდას.

ჟ. გამახარიას ნაშრომებში, რომელიც ეძღვნება კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას, გაანალიზებულია მის შესახებ არსებული პირველწყაროები და ისტორიოგრაფია; ჟ. გამახარიას ამ ნაშრომმა ნაწილობრივ შეავსო სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებული ხარვეზები კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის შესახებ. მას გამოქვეყნებული აქვს საარქივო მასალების დიდი ნაწილი მის შესახებ. ჟ. გამახარიას ნაშრომში „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“, წარმოდგენილია ქრისტიანობის ისტორია აფხაზეთში I საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, დეტალურადაა მიმოხილული იმპერიული რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის გამკაცრება და მართლმადიდებლობის დასუსტება საქართველოში 1886-1917 წლებში. ჟ. გამახარიამ კარგად ასახა საქართველოს ეკლესიის ვითარება პატრიარქ ამბროსის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ნაშრომში: „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)“. ავტორი უშუალოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო პერიოდს, გვთავაზობს საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიას ამბროსი ხელაიას ეპოქაში. ნაშრომში ძირითადი აქცენტები გადატანილია პატრიარქ ამბროსის ბიოგრაფიაზე, მოტანილია უცნობი ფაქტები, გამოქვეყნებულია მანამდე უცნობი მასალები. ავტორს საკმაოდ დეტალურად აქვს შესწავლილი 1921-1927 წლების საქართველოს ეკლესიის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ვითარება, პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე გადმოცემული 1921-1927 წლებში საქართველოში განხორციელებული ანტირელიგიური ღონისძიებები. წიგნში ასახულია ხელისუფლების მიერ ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები და ბოლშევიკური წითელი რაზმების, პიონერებისა და

ბრძოლაში იძულებით ჩართული გლეხების მიერ წარმოებული ის ანტირელიგიური პროპაგანდა, რაც მიზნად ისახავდა სამღვდელოების განადგურებას.

მეტად საინტერესოა ჯ. გამახარია ნაშრომი „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი“, სადაც განალიზებულია საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების მზაკვრული პოლიტიკა-საეკლესიო ქონების კონფისკაცია და ქართველი სასულიერო პირების მიმართ განხორციელებული რეპრესიები, ასევე, რუსეთის მიერ დაპყრობილი ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა.

თემაზე მუშაობისას ვიხელმძღვანელებთ ს. ვარდოსანიძის ნაშრომით „ასწლოვანი ქრონიკა (1899-1999 წლები)“, სადაც საპატრიარქოში დაცული უნიკალური საარქივო მასალების საფუძველზე დეტალურადაა წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის ისტორიის არა ერთი საყურადღებო ფაქტი. ავტორი ცდილობს, დაწვრილებით წარმოაჩინოს საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური საქმიანობა.

აღსანიშნავია იმავე ავტორის ნაშრომი „საქართველოს ეკლესია 1921-1927 წლებში“. მასში განხილულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიის საკითხები, საარქივო და იმდროინდელი პრესის მასალების საფუძველზე წარმოჩენილია ეკლესიის ურთულესი ვითარება.

აღსანიშნავია გ. როგავას შრომები - „როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში“ და „საქართველოს ეკლესიის ისტორია“. მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ არის გადმოცემული საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა, აღწერილია ქონებრივი საკითხი და წარმოდგენილია განადგურებული ეკლესიების სია, თუმცა არასრულად.

საკვლევი თემისთვის მნიშვნელოვანია ვ. კვესელავას ნაშრომი: „ანტირელიგიური ღონისძიებანი საქართველოში 1921-1925 წლებში“. მასში განხილულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეკლესიის ძარცვის, დევნისა და შევიწროვების ფაქტები. შესწავლილია, თუ რა ვითარებაში იყო ეკლესია როგორც სარწმუნოებრივი, ისე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

საკვლევი თემისთვის გამოვიყენეთ მ. ხუციშვილის ნაშრომი, „საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში“. მასში ავტორი საარქივო დოკუმენტების გამოყენებით ცდილობს აღწეროს ეკლესიის ისტორია აღნიშნული თვალსაზრისით. თუმცა, ჩანს, რომ ავტორი მიკერძოებულია.

აღსანიშნავია იმავე ავტორის სტატია „1921-1925 წლებში საქართველოში ჩატარებული ათეისტური მუშაობის თავისებურებანი“. აქ მოტანილი ფაქტების კრიტიკულმა

ანალიზმა ცხადყო, რომ ავტორი სუბიექტურია. ის ცდილობს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია ეკლესიის შესახებ, სიმართლედ წარმოაჩინოს, სახელმწიფოს ეკლესიასთან ბრძოლის მეთოდების შესწავლის მიზნით დავამუშავეთ სხვადასხვა ტიპის ლიტერატურა, რომელიც 1921-1927 წლებში გამოიცა (და ამავე დროს ის ნაშრომები, რომელიც ეხება აღნიშნულ წლებში ეკლესიის წინააღმდეგ ჩატარებულ ანტირელიგიურ პროპაგანდას). დასახელებული წლების თითქმის არც ერთი გამოცემა არ დარჩენილა ჩვენი ყურადღების მიღმა, არა მხოლოდ ისტორიული შინაარსის, არამედ შევეცადეთ საბუნებისმეტყველო პროფილის (ფიზიკის, ქიმიის) სასკოლო სახელმძღვანელოები, პროგრამები, დებულებები და კრებულებიც გვეჩვენა, რითაც შევეცადეთ შეგვექმნა საერთო სურათი იმის შესახებ თუ როგორ მუშაობდა ანტირელიგიური პროპაგანდა საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებში. ამ ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეპისკოპოს ვილიამ ბრაუნის „კომუნიზმი და ქრისტიანობა“, სადაც ავტორი ცდილობს, დაგვიმტკიცოს ქრისტიანობის დრომოჭმულობა და აღნიშნავს, რომ მან ეს ვერ გააცნობიერა მანამ, სანამ არ დამყარდა ქვეყანაში კომუნიზმი. ეს ნაშრომი გახლავთ კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ იდეოლოგიურ ზეწოლას განიცდიდნენ სასულიერო პირები და თვით მეცნიერები. საქართველოს სინამდვილეში მეცნიერებიდან საკმარისია გავიხსენოთ კ.კეკელიძე, რომელმაც ლექცია ჩაატარა ქრისტეს შობის შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ ქრისტეს შობა ადამიანთა მიერ მითოლოგიზირებულია და მას ნორმალური პიროვნება რწმენით არ უნდა მიუდგეს. ამ ლექციის სტენოგრაფიული ჩანაწერი კი ბროშურის სახით გამოიცა სათაურით „მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ“.

დავით გეგეშიძის ნაშრომი „მართლმადიდებლობის იდეოლოგიის კრიტიკა“, არის ერთგვარი გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების მაამებლობისა. ავტორი ცდილობს, ეკლესია გააკრიტიკოს და ხელისუფლების ქმედებები გაამართლოს, მათ შორის, სასულიერო პირთა და მორწმუნეთა დახვრეტები. ავტორი რელიგიურ რწმენას ფანატიზმად მიიჩნევს და თვლის, რომ მასთან იდეოლოგიური ბრძოლის ნებისმიერი საშუალება დასაშვებია. ავტორი უფრო მეტად პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდის და ვერ ახერხებს რეალობის ობიექტურად შეფასებას.

დავით გეგეშიძის მსგავსად არაობიექტურად გადმოსცემს ეკლესიის მოვლენებს რ. შენგელია ნაშრომში, „ქრისტიანული რელიგიის გადმონაშთების ანტიმეცნიერული და რეაქციული ხასიათი“, სადაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეკლესია ეს არის უბრალოდ სიძველე და აზრობრივად ჩამორჩენილ ადამიანთა ერთობა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის საკითხს ეძღვნება ს. ლეკიაშვილისა და მ. ხუციშვილის სტატია : „ კვლავ ამბროსი ხელაიას გამო“. იმავე საკითხს ეძღვნება დ. ჭუმბურიძის „საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის - რაფიელ ივანიცკი-ინგილოს მოღვაწეობა ევროპაში 1923-1924 წლებში“, ასევე, გ. საითიძის „ეპისტოლური მემკვიდრეობა“, ნიკიტა თალაქვაძის „მოქალაქე მღვდლის დღიური“ და სხვა.

1921-1927 წლებში მოქმედი საბჭოთა ხელისუფლების შესაფასებლად მეტად საინტერესოა ს. დევდარიანის, „ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ“. ნაშრომში პირველწყაროს წარმოადგენს, რადგან ავტორი თავად არის მოვლენების თვითმხილველი და ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციისათვის მეტნაკლებად სასარგებლო ნაშრომს წარმოადგენს.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა, ა. შიფრესის „პოლიტიკური მუშაობა ტერიტორიულ ნაწილებში“. ეს არის სახელმძღვანელო ტერიტორიალური ნაწილების პოლიტიკური შემადგენლობისათვის. მასში აღწერილია საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა გასაბჭოებულ ტერიტორიაზე. ავტორი არ ცდილობს კრიტიკულად შეაფასოს მოვლენები. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მოცემული ინფორმაცია მაინც საყურადღებო იყო.

საკითხის შესწავლისთვის გამოვიყენეთ ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობა. იგი შეიცავს მოკლე ნარკვევს მისი მოღვაწეობის შესახებ, ასევე წარმოდგენილია ამ თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის სია, ამბროსი ხელაიას შრომების, მიმოწერების, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საისტორიო არქივსა და ანა კლდიაშვილის პირად კოლექციაში დაცული მასალების აღწერილობა.

განვიხილეთ და შევისწავლეთ იმდროინდელი ქართული და უცხოენოვანი პერიოდული გამოცემები: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მუშა“, „ნიანგი“, „სპარტაკი“, „ემშაკის მათრახი“, „Правда (Ежедневная рабочая газета)“, „Наше Слово“.

გარდა სამეცნიერო ლიტერატურისა, ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს ცენტრალური საისტორიო, უახლესი ისტორიის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ასევე, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალები. საქართველოს პირველი რესპუბლიკის იმ პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეთა მემუარები და ჩანაწერები, რომლებსაც მჭიდრო შეხება ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლებასთან და მასთან დაკავშირებულ ანტირელიგიურ პოლიტიკასთან. მაგ. შ. მაღლაკელიძისა და გ.

მაზნიაშვილის, ასევე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ მოღვაწეთა გრ. ლორთქიფანიძის, ნ. ჟორდანიას, პატრიარქ ამბროსი ხელაიას შრომები. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ვ. ლენინისა და ი. სტალინის შრომები, სადაც გადმოცემულია ძალით გასაბჭოებული სახელმწიფოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა მათი დამორჩილებისათვის.

I თავი

საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს გასაბჭოებამდე

ეკლესიის როლი საქართველოს ისტორიაში განუზომელია. წარსულში ეკლესია ყველა სულიერ და კულტურულ აღმშენებლობაში მონაწილეობდა, რაც მის სწავლებას არ ეწინააღმდეგებოდა. ჩვენს ეპოქამდე ეკლესია ყველა საზოგადოებრივ ფენასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, რადგან მისი მთავარი სწავლებაა, ადამიანებს მოუწოდოს სიწმინდისკენ და ყველა მრუდე გზა, რაც სიწმინდისკენ სწრაფვას ხელს შეუშლის, გამოასწოროს.

ყველაზე ახლო მეზობელი სახელმწიფოებრივად ნორმალური განვითარების საშუალებას არ გვაძლევდა, რუსეთი დამცინავ, დაუნდობელ პოლიტიკას აწარმოებდა საუკუნეების განმავლობაში საქართველოსთან მიმართებაში. 1801 წლის 12 სექტემბერის მანიფესტით მან ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და იგი იმპერიის შემადგენელ ნაწილად აქცია. ეს მანიფესტი მოგვიანებით, მომდევნო წლის 12 აპრილს გამოცხადდა თბილისში, სიონის ტაძარის ეზოში მოწვეულ ქართველ წარჩინებულთა შეკრებაზე. იმ დღეს სიონი გარშემორტყმული იყო რუსეთის სამხედრო ნაწილებით რუსეთის სურვილი იყო, მანიფესტის გამოცხადების მძიმე საქმე მოსახლეობაში საქართველოს ეკლესიის მეშვეობით აღსრულებულიყო. დიმიტრი ყიფიანი (1990) თავის „მემუარებში“ აღნიშნავს: „სიონში მისული ქართველები მანიფესტის მოსმენისას სასტიკად აღელვებულან, თუმცა კი „სიონისაკენ მიმავალ ქუჩებში გამწკრივებული იყო ორ-წყება ჯარი“ (გვ. 136). მორწმუნე მრევლს არ მოეწონა ანტონ II კათოლიკოსის მოწოდება, რომ ღვთის წინაშე დაედოთ ფიცი რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე (ჯვარი ვაზისა, 1990, # 2, გვ. 58). ამ მანიფესტით მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე სახელმწიფო რუსეთის უბრალო გუბერნიად გადაიქცა: მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ „ქართლ-კახეთის სამეფო სამუდამოდ უერთდებოდა რუსეთის იმპერიას“ (გურული, 2010, გვ. 10). 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთმა ნიადაგის შემზადება დაიწყო იმერეთის სამეფოს გასაუქმებლად. მიუხედავად, სოლომონ II-ის (1789-1810) მცდელობისა, რუსეთთან მოლაპარაკების გზით შეენარჩუნებინა სამეფო, რის გამოც მან 1804 წლის 25 აპრილს სამეფო რუსეთის ქვეშევრდომად აღიარა, მაინც არაფერი გამოუვიდა. მეფესა და რუსეთის ადგილობრივ მოხელეებს შორის ურთიერთობა

თანდათან მწვავედებოდა. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მეფე ყველა ხერხს მიმართავდა, თუმცა ამაოდ. 1810 წელს რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფოც და იქ თავისი მმართველობა დაამყარა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, რუსეთი დასავლეთ საქართველოს სამთავროების გაუქმებას შეუდგა და 1864 წლამდე პერიოდში მოახერხა იმერეთის სამეფოს დაპყრობა, გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების იმპერიის შემადგენლობაში მოქცევა.

1.1 საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება

XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმებისა და მათი რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია ქართლისა (აღმოსავლეთ საქართველო) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) საკათალიკოსოების სახით ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. სრულიად ცხადი იყო, რომ რუსეთის იმპერია გუბერნიად ქცეულ საქართველოში დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციების არსებობას დიდხანს ვერ აიტანდა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას საფრთხე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შეექმნა 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის გაფორმებული „გეორგიევსკის ტრაქტატით“, რითაც, ფაქტობრივად, უქმდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. „ტრაქტატის“ მე-8 მუხლის თანახმად, ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის სინოდის წევრი ხდებოდა და რუსეთის საეკლესიო იერარქიაში მერვე ადგილს იკავებდა ტობოლსკის მღვდელმთავრის შემდეგ. იმავე მუხლში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ეკლესიისა და რუსეთის სინოდის ურთიერთობები განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნებოდა მომავალში (ქართული სამართლის ძეგლები, 1965. გვ. 469). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „ტრაქტატის“ ამ მუხლით, საქართველოს ეკლესიის ავტონომია, და არა დამოუკიდებლობა, ძალაში რჩებოდა, რომლის მაშტაბი საქართველოს მწყემსმთავრისა და რუსეთის სინოდის მომავალ მოლაპარაკებებს უნდა დაედგინა.

უკვე იმპერატორ პავლე I-ის მმართველობისას (1796-1801) რუსეთი გეგმავდა, საქართველო რუსულ გუბერნიად გადაექცია და მისი უძველესი ეკლესიის ავტოკეფალია სრულად გაუქმებინა, რითაც შესაძლებლობა ეძლეოდა, ქართლ-კახეთში 2 ეპარქია (თბილისისა და თელავის) დაეფუძნებინა.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ, რუსულ მმართველობას 10 წელი დასჭირდა ამ აქტის განსახორციელებლად. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მეფის რუსეთმა იმერეთის სამეფოს ანექსიაც მოახდინა და ისიც იმპერიის შემადგენელ ნაწილად აქცია. „იმ დროს, როდესაც რუსეთი იპყრობდა იმერეთს, რუსის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობა“ (კაკაბაძე, 1920, გვ. 179).

რუსეთის ხელისუფლებას კარგად მოეხსენებოდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ერთიანობის სიმბოლო – საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. ამიტომ იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825) საიდუმლო ინსტრუქცია გაუგზავნა საქართველოში დანიშნულ რუს მთავარსარდლებს, რითაც მათ ევალებოდათ, დაწვრილებით შეესწავლათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის შემოსავლები, ეპარქიებში არსებული მდგომარეობა, ხალხის დამოკიდებულება კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ და შესაძლებლობის ფარგლებში მოეხდინათ შიდა დაპირისპირების პროვოცირება, „... რომელიც საერო ხელისუფლებას საშუალებას მისცემდა, ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში და დაეჩქარებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. ამ თვალსაზრისით სერიოზული სამუშაოები ჩაატარეს მთავარმართებლებმა: პ. ციციანოვმა (გარუსებული ქართველი, ციციშვილი), ი. გუდოვიჩმა (1806-1809) და ა. ტორმასოვმა (1809-1811), რომელთაც საქართველოს ეკლესიის ყოველწლიური შემოსავლები მიითვისეს და შიდასაეკლესიო დაპირისპირების პროვოცირებაც მოახდინეს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ანტონ II-ს დაუპირისპირეს პატივმოყვარე თბილელი მიტროპოლიტი არსენი (ბაგრატიონი)“ (ვარდოსანიძე, 2010, გვ. 33).

მიტროპოლიტმა ცილისმწამებლური წერილი გაუგზავნა იმპერატორს კათალიკოსის შესახებ, თითქოს მან გაძარცვა მცხეთის სვეტიცხოვლისა და ალავერდის ტაძრები და იქიდან გატანილი ნივთები ბაზრობაზე გაყიდა (გურული, 2010, გვ. 38). თავდაცვის მიზნით, მიტროპოლიტი არავის არ ინდობდა, მას ცილისწამების გზით სურდა, რომ რუსების კეთილგანწყობა მოეპოვებინა და პრივილეგირებული ყოფილიყო.

მიტროპოლიტმა არსენმა რუსეთის იმპერატორთან გაგზავნილი წერილი არ იკმარა და 1810 წლის 1 თებერვალს იგივე შინაარსის მოხსენება რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ ალექსანდრე გოლიცინსაც გაუგზავნა (გურული, 2010, გვ. 40).

ხელისუფლება განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა, კათოლიკოს -პატრიარქ ანტონ II-ის გაწვევას რუსეთში, რადგან მისი წასვლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას ნიშნავდა (Акты, IV, стр. 146). ამ მიზნით, დაიწყო კათოლიკოს-პატრიარქის თანდათანობით შევიწროვება და მასზე ზეწოლის განხორციელება. საქართველოს მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი ენერგიულად შეუდგა თბილისში სასულიერო დიკასტერიის დაარსებას და ანტონ II-ის დარწმუნებას მისი დაარსების აუცილებლობაში. ა. ტორმასოვმა იმპერატორისადმი საიდუმლოდ გაგზავნილ წერილში ჩამოაყალიბა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ეპარქიათა შემცირებას, იმპერატორის თანხმობის გარეშე სასულიერო პირთა კურთხევის აკრძალვას, სასულიერო მმართველობის – დიკასტერიის დაარსებას, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტის დასაკნინებლად იყო შექმნილი (გურული, 2010, გვ. 35).

მთავარმართებლის მიმართვა სამი პუნქტისგან შედგებოდა:

1. ანტონ II-ეს უნდა შეექმნა სასულიერო პირებისგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც დაადგენდა საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალი ეკლესიებისა და იქ მოღვაწე სამღვდელოების რაოდენობას.
- 2.. კათოლიკოსს დიკასტერიის დაარსებამდე თავი უნდა შეეკუდებინა მღვდლად ხელდასხმისა და ბერად აღკვეცის აღსრულებისაგან.
3. დიკასტერიის დაარსებამდე, საერო ხელისუფლების ნებართვის გარეშე ხელდასხმული სასულიერო პირები უკანონოდ ჩაითვლებოდნენ (Акты, IV, стр. 141).

ამასთანავე, კათოლიკოსს ალექსანდრე ტორმასოვმა იმპერატორის ნება აუწყა რუსეთში მისი გამგზავრების შესახებ. კათოლიკოსი აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რაც მოელოდა ქართულ ეკლესიას მისი რუსეთში გასახლების შემთხვევაში და გამგზავრების თავიდან ასაცილებლად რამდენჯერმე ავადმყოფობა (მაღალი სიცხე) მოიმიზეზა. თუმცა ის გრძნობდა, რომ ხელისუფლება მას საქართველოში დიდხანს არ გააჩერებდა, ამიტომ დაიწყო საეკლესიო ქონების ქართველი სამღვდელოებისათვის გადაცემა და მთავარსარდლების კატეგორიული აკრძალვის მიუხედავად, ხელდასხმების გაგრძელება. ანტონ II ცდილობდა, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგაც, ბევრი ქართველი ღვთისმსახური ყოფილიყო საქართველოში.

კათოლიკოს-პატრიარქის რუსეთში გასახლება მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა. 1810 წლის 3 ნოემბერს იგი იძულებით თბილისიდან პეტერბურგში გაამგზავრეს. გზად, 9 ნოემბრამდე, იგი მცხეთაში შეჩერდა (Акты, IV, стр. 160). გამგზავრების მთავარ მოტივად რუსული მხარე დიკასტერიის დაარსებას ასახელებდა, რაც მისი გაწვევის

ფორმალური საბაზი იყო. პეტერბურგში გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება..

ბუნებრივია, იმპერიისთვის მიუღებელი იყო რუსეთის გუბერნიად ქცეულ აღმოსავლეთ საქართველოში ავტოკეფალური ეკლესიის არსებობა, მით უფრო, როდესაც მისი საჭეთმპყრობელი სამეფო ოჯახის წარმომადგენელი იყო. იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1811 წლის 30 ივნისის რესკრიპტით, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით, ოფიციალურად გაუქმდა (ბუბულაშვილი, 2017, გვ. 41) (სხვა მონაცემებით ეს მოხდა 21 ივნისს (ვარდოსანიძე, 2010, გვ. 33)). იგივე ბედი გაიზიარა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსომაც. 1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ დამტკიცებული სასულიერო საქმეების მოწყობის პროექტით დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასაც ბოლო მოუღეს. პროექტის ერთი პუნქტიც კი საკმარისია ამის დასამოწმებლად: „საქართველოში იქნება უწმინდესი სინოდის ერთი ეგზარქოსი, რომლის ტიტულიც შემდეგია: „საქართველოსა და იმერეთის ეგზარქოსი“ (АКТЫ, V, II, стр. 407-408).

ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის სამართავად, როგორც აღვნიშნეთ, ეგზარქოსის თანამდებობა შემოიღეს, ხოლო 1815 წელს ეპარქიების სამართავად ეგზარქოსის თავმჯდომარეობით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა შექმნეს: საქართველოს ეგზარქოსს რუსეთის უწმინდეს სინოდში მუდმივი მეოთხე ადგილი ეკავა (ბუბულაშვილი, 2017, გვ. 41).

1815 წლის 8 მაისს, მანამდე არსებული 12 ეპარქიის ნაცვლად, ქართლ-კახეთში დატოვეს 3 ეპარქია ერთი სავიკარო ეპისკოპოსით.

1817 წელს ვარლამ ერისთავი რიაზანის ეპისკოპოს თეოფილაქტე რუსანოვით (1817-1821) შეცვალეს. აქედან მოყოლებული ვიდრე 1917 წლამდე ანუ ავტოკეფალიის აღდგენამდე ქართულ ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. თეოფილაქტე აქტიურად შეუდგა საეკლესიო სფეროში გარუსების პოლიტიკას. მისი ბრძანებით, სიონის ტაძარში შემოღებულ იქნა ქართულის ნაცვლად სლავური წირვა-ლოცვა. 1817 წელს, ადგილობრივი სასულიერო პირების ჩასანაცვლებლად და ეკლესია-მონასტრებში რუსული ენის დასამკვიდრებლად, თბილისში დაარსდა რუსულენოვანი სასულიერო სემინარია. ეგზარქოსმა ქართველი სასულიერო პირების დევნა აშკარად და დაუფარავად დაიწყო. მან მიზნად დაისახა „რეფორმების“ გატარება დასავლეთ საქართველოშიც. 1819 წელს, იმერეთში რუსეთის მიერ დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ, საეკლესიო აჯანყებამ იფეთქა. ამ აჯანყებას „საეკლესიო ბუნტის“ სახელით იხსენიებენ. გაჩნდა იმედი

იმერეთის სამეფოს აღდგენისა, თუმცა ეს დროებითი სიხარული იყო. აჯანყება სისხლში ჩაახშეს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დამყარდა რუსული ეკლესიის მმართველობა, ეკლესია რუსული კანონებითა და ადათ-წესებით იმართებოდა, ღვთისმსახურების ენად ქართული რუსულმა ჩაანაცვლა. ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ქართული ცნობიერება ის პრობლემები იყო, რომელიც რუსეთის მმართველობას საქართველოს მოსახლეობის ასიმილაციაში ხელს შეუშლიდა, ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენდა, ეწარმოებინათ გააზრებული, კარგად მოფიქრებული პოლიტიკა, ქართველების დაჩქარებული ტემპით გარუსების მიზნით (ვარდოსანიძე, 2010, გვ. 33).

გულუბრყვილო ქართველები წლების განმავლობაში იმედოვნებდნენ, რომ დიდი იმპერია ერთმორწმუნეობის ხათრით მცირე ერს დაიფარავდა, მაგრამ ეს იმედები ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული, რაც დადასტურდა კიდევ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით. ივანე ჯავახიშვილი (1919) აღნიშნავს:

„ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხრიდან სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულ ბრძოლაში სპარსელთა და ოსმალთა წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერ დახმარებას გაუწევდა. რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდა, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო დამყარებული: „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინება სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმოსურნეობა რუსი ხალხისადმი“, ასე ამბობენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი და ქართველთა ამ მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდევ ქართველების იმდენად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ. როცა რუსეთისთვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ...“ (გვ. 52). რუსეთისთვის სარწმუნოებაც და სახელმწიფოც განიხილება როგორც პოლიტიკა. მას როდესაც სჭირდება ეკლესიას დამხმარე ინსტრუმენტად იყენებს სახელმწიფოს გასამლიერებლად. ივანე ჯავახიშვილს არ გამოპარვია ეს ფაქტიც. მისი აზრით (1919), რუსეთი თავისი

ინტერესიდან გამომდინარე: „...საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაცა და გაჭირვებაც“ (გვ. 52).

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებით რუსეთის ხელისუფლებამ დაარღვია მოციქულთა III და IV მსოფლიო კრებების მე-8 და მე-9, ადგილობრივი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვით თითოეულ ეკლესიას თვითონ აქვს უფლება გადაწყვიტოს თავისი ბედი გარედან ჩარევის გარეშე (დიდი სჯულისკანონი, 1978, გვ. 400). ამდენად, რუსეთის ცარიზმის ქმედება უკანონო იყო.

მძიმე იყო ავტოკეფალიის გაუქმებით გამოწვეული შედეგები. ამიერიდან საქართველოს ეკლესიაში დაკანონდა ღვთისმსახურების სლავური წესი, რომლის მიზანი იყო ქართველი ერისა და ეკლესიის სრული რუსიფიკაცია, ქართულ ეკლესიის რუსული ეკლესიით ჩანაცვლება.

საკითხის შესწავლამ და გაანალიზებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოს ეკლესიის მიმართ მეტად აგრესიულია და სრულიად აქარწყლებს მითს ერთმორწმუნეობის შესახებ.

1.2 ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები

სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობის დაკარგვა დიდი ტრაგედია იყო ქართველი ერისთვის, მაგრამ ქართველობა არასდროს შეგუებია დამოუკიდებლობის დაკარგვას და რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას, რისი დასტურიც არის ამ რეჟიმის დამყარებისთანავე საქართველოში წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, კერძოდ, 1802 წლის ქელმენჩურის შეთქმულება, 1804 წლის მთიულეთის, 1812-1813 წლების კახეთის, 1819-1820 წლები იმერეთის აჯანყებები და 1832 წლის შეთქმულება. მართალია, ყველა აჯანყება დამარცხდა, მაგრამ აშკარად გამოჩნდა ქართველი ხალხის უდრეკი ნება.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა 1811 წელს საეგზარქოსოს დაარსება, საქართველოს ეგზარქოსს ჰქონდა წოდება ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტისა, შემდეგში არქიეპისკოპოსისა. ძნელად აღსაწერია მათ მიერ ჩადენილი ცოდვების სიმძიმე: მრუშობა, მამათმავლობა, ქურდობა, მკვლელობა, ყაჩაღობა და, რაც უმთავრესია, უკიდურესი ქართველთმომულეობა. საქართველოს ეგზარქოსი იყო სინოდის წევრი და დიკასტერიის უფროსი, შემდეგში დიკასტერიის მაგიერ 1814 წელს დაარსებული

„საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის“ (გაიხსნა 1815 წ.) უფროსი და იწოდებოდა „ქართლისა და იმერეთის ეგზარქოსად“ ან მოკლედ „საქართველოს ეგზარქოსად“. 1814 წელს ტფილისში დაარსდა ეგზარქოსის კანცელარია. საქართველოს საეგზარქოსოს კომპეტენციაში შემავალი ტერიტორიები უფრო და უფრო ფართოვდებოდა. XIX საუკუნის დასასრულს მასში შედიოდა მთლიანად ამიერკავკასია, ჩრდილოეთ კავკასია და კასპიის ზღვის მხარეც. ეგზარქოსის თანამდებობა გაუქმდა 1917 წელს, როდესაც ეპისკოპოს კირიონის (სამაგლიშვილი) თაოსნობით ქართველი ავტოკეფალისტების ბრძოლა, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, წარმატებით დაგვირგვინდა.

ეგზარქოსებს ზურგს უმაგრებდნენ რუსი გენერლები. 1816 წელს კავკასიის მთავარმართებლად დანიშნული გენერალი ა. ერმოლოვი 10 წლის განმავლობაში დიდი გულმოდგინებით ახორციელებდა რუსიფიკაციის პოლიტიკას, რამაც განსაკუთრებული სიცხადით ეკლესიურ საკითხებში იჩინა თავი. ვარლამ ერისთავის შემდეგ, 1817 წელს, ეგზარქოსად დაინიშნა თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსვლისთანავე რუსანოვმა სიონის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება რუსულ ენაზე დაადგინა. ასევე, მან რუსულით შეცვალა სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში (1817 წ.). მასაც მიზნად ჰქონდა ქართველების გარუსება. იგი არ მორიდებია არც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეებში ჩარევას. ამ მიზნით, თბილისში ჩასვლისთანავე, უწმინდეს სინოდში წარადგინა მოხსენება ლიხთ-იმერეთის ეპარქიების შემცირებისა და მათი ეგზარქოსისთვის დაქვემდებარების შესახებ. დასავლეთ საქართველოში ამ დროს არსებობდა 9 ეპარქია, მათგან განზრახული იყო მხოლოდ სამის დატოვება და, აგრეთვე, საეკლესიო მამულების შემოსავლის მწყობრში მოყვანა. თეოფილაქტემ ქართული ეკლესიის რადიკალური რეფორმის გეგმა შეიმუშავა, რომელიც ითვალისწინებდა არა მარტო ეპარქიების შემცირებასა და სამონასტრო -საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას, არამედ, აგრეთვე, რუსულენოვანი ლიტურგიის დაწესებასა და საეკლესიო ფულადი გადასახადების შემოღებას.

იმერეთის სამღვდელთა იმთავითვე მტრულად შეხვდა ამ საეკლესიო რეფორმებს. მათ მიემხრო მრევლის ის ნაწილი, რომელიც რუსული მმართველობის წინააღმდეგი იყო. როდესაც ეგზარქოსის მიერ გაგზავნილი პირები დასავლეთ საქართველოში წავიდნენ საეკლესიო მამულების აღსაწერად, ხალხმა ისინი ლამის ჩაქოლა. უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა, ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გაენათელი ექვთიმე აშკარად მოუწოდებდნენ ხალხს ეკლესიის უფლებების დასაცავად. ბოლოს სოფ. ხიმშიში

აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმებიც გამოჩნდნენ. მათთან მოსალაპარაკებლად მისულ თეოფილაქტეს ხალხმა არ მოუსმინა. უფრო მეტიც, ისინი ახალი მეფის არჩევაზეც კი მსჯელობდნენ. 1820 წლის 4 მარტს იმერეთის ახლადდანიშნულმა მმართველმა პოლკოვნიკმა ი. პუზირევსკიმ შეიპყრო ხანდაზმული მღვდელმთავრები - დოსითეოსი და ექვთიმე მათი რუსეთში გადასახლების მიზნით. რუსმა ჯარისკაცებმა ორივე მათგანს თავიდან წელამდე ტომრები ჩამოაცვეს, ხელები შეუკრეს და ცხენებზე დააკრეს. ამასაც არ დასჯერდნენ, დოსითეოზ ქუთათელი წინააღმდეგობის გაწევისთვის ცემეს და საშინლად ნაგვემი წაიყვანეს. მათთან ერთად დააპატიმრეს და რუსეთისკენ გაამგზავრეს დარეჯან ბატონიშვილი (სოლომონ I-ის ასული) და რამდენიმე თავადი, მათ შორის სეხნია წულუკიძე, დავით მიქელაძე და სხვ. გზად, სურამსა და გორს შორის ძლიერ ნაცემი ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი გარდაიცვალა. ის წაასვენეს და საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე ანანურის ტაძარში დაკრძალეს. გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე კი პეტერბურგში ჩაიყვანეს და ალექსანდრე სვირელის მონასტერში გამოკეტეს, სადაც 1922 წელს გარდაიცვალა.

ასეთი რეპრესიული მეთოდებით ხალხი დააშინეს და ამით მცირე ხანს ჩაწყნარდა აჯანყებების ტალღა, თუმცა ნელ-ნელა მაინც იფეთქებდა ხოლმე გურიასა და იმერეთში, მაგრამ აჯანყებამ მოგვიანებით შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

1821 წელს, თეოფილაქტე რუსანოვის გარდაცვალების შემდეგ, ეგზარქოსად დაინიშნა მიტროპოლიტი იონა (ვასილევსკი), რომელიც 1821-1832 წლებში მართავდა. მან სასულიერო სემინარიები გახსნა ქუთაისში, თელავსა და ახალციხეში. ეგზარქოსი იონა ცდილობდა რუსული პოლიტიკისა და აგენტურის ქსელის გაფართოებას ქართველთა რიგებში.

1832 წლის 12 მარტიდან 1834 წლის 13 ივლისამდე ეგზარქოსი იყო მთავარეპისკოპოსი მოსე (ბოგდანოვ-პლატონოვი), ვის სახელსაც უკავშირდება ბნელი საქმე 1832 წლის შეთქმულების წინააღმდეგ.

ეგზარქოს მოსეს შემდეგ 1834 წლის 1 სექტემბერს ეგზარქოსად ევგენი ბაჟენოვი დაინიშნა, რომელიც 1844 წლის 12 ნოემბერს ასტრახანის მთავარეპისკოპოსად გადაიყვანეს. ათი წლის განმავლობაში მან მოასწრო ქართველების აწიოკება. ეგზარქოსი, როგორც რუსეთის სასულიერო ბიუროკრატიული ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ატარებდა იმ პოლიტიკას, რაც ცარიზმისთვის იყო მისაღები. თავად რუსი მეცნიერები წერდნენ: „თუ რომელიმე ქართველი გადაწყვეტს რუსი ეგზარქოსების უზურპატორულ ქმედებებზე ნამდვილი

ისტორიის დაწერას, გაწითლება მოგვიხდება, იმდენად არცხვენდნენ ისინი რუს სამღვდელეობას“ (Брайл, 1896, გვ. 92). ეგზარქოსებს საერთოდ არ აინტერესებდათ ის ხალხი, რომლის მწყემსმთავრადაც თავად ითვლებოდნენ. ისინი მხოლოდ იმ ქვეყნის რესურსებით ინტერესდებოდნენ, რომელიც სამწყსოდ ჰქონდათ ჩაბარებული. ქართველებს ველურ ადამიანებად მიიჩნევდნენ, რომელთაც, მათი აზრით, ევალეობდათ მეფის რუსეთის მონობა. ეგზარქოსებს იმპერატორისაგან ქართველების დამონების ექსკლუზიური უფლება ჰქონდათ მინიჭებული. ეგზარქოსებიც ამით სარგებლობდნენ და საერო ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდნენ.

რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა საეკლესიო პოლიტიკაც. XIX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან 50-იანი წლების დასასრულამდე, რუსული ლიბერალიზმის გაძლიერების გამო, საქართველოს საეგზარქოსო და ამ დროს მოღვაწე ეგზარქოსი ისიდორე ნიკოლსკი (1844-1858) შედარებით შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა საქართველოში (ბუბულაშვილი, 2003, გვ. 17). XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მხოლოდ თითო-ორჯერ ეგზარქოსი შეიძლება გამოვყოთ, რომელთა მოღვაწეობის პერიოდში აშკარა ანტიქართული გამოხტომები არ შეინიშნებოდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ეგზარქოსი ისიდორე. მისი ინიციატივით 1852-1857 წლებში საეკლესიო მამულებიდან შემოსული თანხით შეკეთდა მცხეთის, ალავერდის, ქვათახევისა და მარტყოფის მონასტრები. მისივე ინიციატივით, რუსეთის სინოდმა სასულიერო პირებს დაუნიშნა ჯამაგირი. მისი ეგზარქოსობიდან გაწვევის შემდეგ, 1864-1868 წლებში, გამოვიდა საეგზარქოსოს ყოველთვიური ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო მღვდელი გიორგი ხელაძე. ახალმა ეგზარქოსმა ევსები ილინსკიმ (1858-1877), უსახსრობის მომიზეზებით, ჟურნალი დახურა.

რუსებს, უძველესი ტრადიციებისა და განსაკუთრებული პატივის მქონე საქართველოს ეკლესიის უპირატესობა არ მოსწონდათ და მის უგულვებელყოფას ცდილობდნენ. ნიკო მარი (1944) წერს: „ქართველი ეკლესიის უმაღლეს მდგომარეობაზე აშკარად მეტყველებს ის, რომ იერუსალიმში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც მხარს უმაგრებდა ისეთი ძლევამოსილი ქვეყანა, როგორც რუსეთია, ვერ სარგებლობდა ხშირად იმ გავლენით, რომლითაც შემოსილი იყო პატარა ქართველი ერის მართლმადიდებლური ეკლესია“ (გვ. 63).

საქართველოს ეკლესიის ძალით დამორჩილების პოლიტიკამ საუკუნეზე მეტხანს გასტანა და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღემდე ცდილობს მისი გავლენის ქვეშ მოქცევას.

ეგზარქოსობის პერიოდში საქართველოს ეკლესიამ დიდი დანაკლისი განიცადა. რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმისთვის კი არ მოდიოდნენ, რომ ეპატრონათ მისი ეკლესიისთვის, არამედ იმისთვის, რომ გაეძარცვათ და გაენიავებინათ ივერიის უძველესი ეკლესიის სულიერი და მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლები, ძალით აღმოეფხვრათ ყველაფერი ქართული და შემდეგ ნამარცვი ქონებით დაბრუნებულ იყვნენ რუსეთში. ასე მოიქცნენ ეგზარქოსები ევსევი (ილინსკი) და პავლე (რაევი)... დაწვეს საეკლესიო საბუთები, ნაწილი კი პეტერბურგში წაიღეს, გაანადგურეს უძველესი მონასტრები. ეგზარქოსმა ევგენი ბაჟანოვმა გაქურდა ქართული მონასტრები (გურული 2010, გვ. 6-9). ამ მძიმე პერიოდს შედარებით გადაურჩა რაჭა: „მიუხედავად ეპოქის სიმძიმისა, აიგო 80-მდე ახალი ეკლესია, მრავალი კი გადაკეთებულ-გაფართოებულ იქნა. ამ მხრივ განსაკუთრებით წარმატებული იყო, ისე როგორც მთელი იმერეთის ეპარქიისათვის, გაბრიელ ეპისკოპოსის მღვდელმთავრობა (1860-1896), რომლის დროსაც რაჭაში 46 ახალი ეკლესია ეკურთხა“ (კეზევაძე, 2005, გვ. 3).

სამღვდელოებას ყველგან უჭირდა ცხოვრება, თუმცა მაინც ახერხებდნენ ახალი ეკლესიების აგებას, რაშიც განსაკუთრებით დიდი იყო რაჭის სამღვდელოების ღვაწლი. ეგზარქოსობის დროინდელ რაჭაში აღნუსხულია 89 სოფლის 97 შტატის ეკლესიაში 400-ზე მეტი მღვდლის მოღვაწეობა. მათ შორის არიან ისეთი ცნობილი პირები, როგორებიც იყვნენ ალექსი ბაქრაძე, მიხეილ სხირტლაძე, მათე გორდეზიანი, ალექსი ჭიჭინაძე, მიხეილ გავაშელიშვილი და სხვ. (კეზევაძე, 2005, გვ. 3). მთიან რეგიონებში გარკვეულწილად შენარჩუნდა სამრევლო ცხოვრება, რადგან იქ რუს სამღვდელოებას არ უყვარდა მსახურება. მთის რეგიონში მსახურებისთვის ქართველებს აგზავნიდნენ. ვითარება გაცილებით უარესი იყო ეგზარქოს ევსევის (ილინსკი) (1858-1877) დროს, რომელიც უზნეო და მექალთანე ადამიანი იყო. მისი ეგზარქოსობის ჟამს ეკლესიის 2 მილიონი მანეთის ქონება დაიკარგა, რაც შეეხება ეგზარქოს პავლეს (ლეხედევი, 1882-1887), იგი ყოფილა: „კაცი ფიცხელი, გადარეული და მხეცის მსგავსი, რომელმაც ბესარაბიაში მართლმადიდებლობა დააქცია, ამავე საშვილის-შვილო მოღვაწეობისათვის საქართველოში გადმოიყვანეს. რა თქმა უნდა, იმან ივერიის ეკლესიაშიც არეულობა შემოიტანა. კიშინიოვიდან მას დეკანოზი ჩუდეცკიც გამოაყოლეს სემინარიის რექტორად, რომლის მეუღლესთან ეგზარქოსს სამარცხვინო კავშირი ჰქონდა. რექტორი ტფილისში

ქართველმა, სემინარიის ნამოწაფარმა პირადი ანგარიშებისა გამო მოჰკლა და მის ანდერძის აგებაზე ეგზარქოსმა მთელი ქართველობა დაწყევლა. ამის გამო თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა 8 ივნისს 1887 წელს ეგზარქოსს წერილი მისწერა და შეუთვალა, ბოდიში მოეხადათ ქართველი ერის წინაშე. ამის პასუხად: კავკასიის მთავარმმართველმა დუნდუკოვ-კორსაკოვმა ეგზარქოსის თხოვნით ყიფიანი სტავროპოლში გადასახლა. მალე ყიფიანი პეტერბურგში გაიწვიეს საქმის გამოსაკვლევად, მაგრამ იგი მოკლულ იქნა იმ სასტუმროში, სადაც ცხოვრობდა. მოსყიდული მკვლეელი ვერ აღმოაჩინეს“ (კეზევაძე, 2005, გვ.9). თედო სახოკია (1984) ეგზარქოს პავლეს ასე ახასიათებს: „კაცი დიდად განათლებული, ჭკვიანი, მაგრამ ზვიადი, მხეცი, საქართველოს და ქართველთა უადრესად მოძულე“ (გვ. 82).

ეგზარქოსმა პალადი რაევმა (1887-1892) ჩვენი ეკლესია-მონასტრების გასამარცხად პეტერბურგიდან ჩამოიყვანა ფოტოგრაფი საბინ-გუსი, რომელიც თავს მხატვრად წარმოაჩინდა. მან დასავლეთ საქართველოს ეკლესიები გამარცხა, მრავალი ხატი გაიტანა, ვითომდა რესტავრაციის მიზნით. ეგზარქოსის მითითებით, იგი ამ ხატებს კოლექციონერებზე ყიდდა. პალადის ხელშეწყობით, ცნობილმა კოლექციონერმა ზვენიგოროდსკიმ საქართველოდან რამდენიმე ათეული ძვირფასი ნივთი გაიტანა (ბუბულაშვილი, 2003, გვ. 19). ქართველი სამღვდელთა ხმას იმაღლებდა ამ უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ რუსული მხარე ჩვეული ყრუ დუმით პასუხობდა.

ეგზარქოს იოანიკე რუდნეცს (1877-1882), მართალია, სძაგდა ქართველები, მაგრამ წინამორბედის შელახული ავტორიტეტი ფარისევლური კეთილისმყოფელობით უნდა გამოესყიდა, ვინაიდან ქართველები სიძულვილის პოლიტიკას აღარ ეგუებოდნენ. მის პერიოდში ფარისევლური „მოწყალების“ ხანა დადგა. შედარებით ლოიალურ პოლიტიკას ატარებდა ეგზარქოსი ვლადიმერ ბოგოიაველენსკი (1892-1898). მისი ინიციატივით სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აღდგენის კომიტეტი დაარსდა, რომლის თავმჯდომარე თავად გახდა.

ქართველთა შორის რწმენის დაქვეითებაზე წერდა სასულიერო ჟურნალი „მწყემსი“ 1890 წელს. დეკანოზი ლამბაშიძე სიამოვნებით იგონებს იმ დროს, როდესაც ქართველთა წინაპრები „უფრო კრძალვით, მორიდებითა და შიშით ექცეოდნენ და უყურებდნენ სახარებას ვინემ დღეს“ (მწყემსი, 1890, გვ. 1). ეს დღე ეგზარქოსობის პერიოდმა მოიტანა. XIX ს-ის 90-იან წლებში გახშირდა ტაძრების მარცვისა და სასულიერო პირთათვის შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევები. ამ უმსგავსობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, ეგზარქოსი ვლადიმერი იძულებული გახდა, მეფისნაცვლისთვის ეთხოვა ყარაულების

გამოყოფა ეკლესია-მონასტრების დასაცავად (საქ. ცსა ფ. 488, საქ. 21777, 1894, ფ. 1.). წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე), ეპისკოპოსი იმერეთისა, წუხდა რა ქართველთა სულიერი დაცემის გამო, ქადაგებდა: „ბევრი მიდის კი საყდარში, მაგრამ არ იცის რა დღესასწაული არის, დგას წირვაზე და სახარებას ყურს არ უგდებს“ -ო (ქიქოძე, 1913, გვ. 295-296). მრევლის ხელახალი მოქცევისათვის სამღვდლოებას დასჭირდა დეკრეტების გამოცემა, საუბრების ჩატარება. ამ მიზნით, კუკიის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში ჩატარდა 27 საუბარი სამყაროს შექმნასა და, ზოგადად, ღმერთზე. ქართველი სასულიერო პირები ცდილობდნენ, მრევლის ყველა წევრს მოესმინა აღნიშნული საუბრები და მათ სულიერ განწმენდასა და განათლებაზე ეზრუნათ.

1901 წლისთვის, გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტის ცნობით, „სამცხე-ჯავახეთში დ. ხახუტაშვილის ჩაგონებითა და ადგილობრივი მღვდლების შრომით 7-8 ეკლესია ააშენა და განაახლა ხალხმა“ (ივერია, 1901, # 255). ქადაგებების შედეგი იყო ეს, თუ ადგილობრივი მოსახლეობა ამისთვის მზადყოფნას მანამდეც გამოხატავდა, უცნობია. აშკარაა, რომ ეგზარქოსების დამსახურება ეს არ ყოფილა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე ქართველი საზოგადოება და სამღვდლოება აქტიურად იბრძოდა იმ ძველი საეკლესიო ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისათვის, რომლებსაც ეგზარქოსების პერიოდში გაქრობის საფრთხე დაემუქრა. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ყველაფერი ქართული, მათ შორის, გალობა, ღვთისმსახურება, სასულიერო და საერო განათლების კერები, სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დევნას დიდი გულმოდგინებით ახორციელებდნენ რუსი ეგზარქოსები. როგორც თედო სახოკია (1984) აღნიშნავდა, „80-იან წლებში სამრევლო სკოლები საქართველოში ახლად იკრებდა ფეხს. დიდ მეტოქეობას უწევდა ამ სკოლებს ეგრეთ წოდებული სამინისტრო სკოლები, რომელთა ტენდენცია იყო არა იმდენად ხალხისათვის წერა-კითხვის სწავლება და განათლება, რამდენადაც უხეში რუსიფიკაცია საქართველოს ერისა. ამ სკოლებში ქართული არ ისწავლებოდა. ეს რუსიფიკატორული პოლიტიკა განსაკუთრებით საგრძნობი იყო სამეგრელოში, სადაც ერთადერთი სასულიერო სასწავლებელი იყო (სენაკში), რომ კიდევ ბოგინობდა ქართული ენა, ისიც როგორც საგანი და არა როგორც საშუალება სხვა საგნების შესწავლისა“ (გვ. 81).

XIX ს-ის 70-იან წლებში თბილისის სასულიერო სემინარიასა და საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის შევიწროვება სისტემურ მოვლენად გადაიქცა. ხშირ შემთხვევაში ეს საკმაოდ უხეში ფორმებით ხდებოდა. 1873 წელს სინოდის ბრძანების თანახმად, ქართული ენა საშუალო სასულიერო სასწავლებლებში

გაუქმდა, როგორც სავალდებულო საგანი. მისი სწავლება, როგორც ფაკულტატური საგნისა, თითქმის უხელფასოდ სხვა საგნის შტატის მასწავლებლის პრეროგატივა გახდა. ქართული ენის საათები ძირითადად რუსული ენის შესასწავლად იქნა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის, ქართული საგალობლების არასათანადო შესწავლის ან მათი სრული უგულებელყოფის შედეგად თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული მღვდელმსახურებისთვის სრულიად გამოუსადეგარი კადრები მზადდებოდა, რომელთაც არ შეეძლოთ წირვა-ლოცვის ქართულად ჩატარება, ქართველ მრევლთან სათანადო კონტაქტის დამყარება. თუმცა, ამავე პერიოდში, ქართული ენა გადაურჩა სასულიერო სასწავლებლებიდან სრულ განდევნას. მშობლიურ ენას თითოეულ კლასში ორ-ორი საათი დაეთმო და რუსული ენის შესწავლის პროცესში დამხმარე საგნის ფუნქცია დაეკისრა (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, . . . 2008, გვ. 275-276).

ქართული ენის წინააღმდეგ განსაკუთრებით კირილე იანოვსკი (კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1878-1899 წლებში) და მისი აგენტები ილაშქრებდნენ. სერგი მესხი კირილე იანოვსკის ღია წერილს უგზავნის და მოუწოდებს, თავი შეიკავოს რეაქციული ნაბიჯებისგან. საეკლესიო სინოდის დადგენილებით, სწავლების პირველ წელს, ქართული, ყველა სკოლაში უნდა ესწავლებინათ. მიუხედავად ამისა, კირილე იანოვსკიმ შეძლო და აკრძალა ქართული ენა სასწავლო დაწესებულებებში.

რასაც დღეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში აკეთებენ, ზუსტად იმავე პრინციპით მოქმედებდნენ მეფის რუსეთის მოხელეები ანექსიის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე. „მესამე რომის“ იმპერიის პრეტენზიის მქონე რუსეთის იმპერიას ყოველთვის ჰქონდა სურვილი მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა, რომ ის იყო მართლმადიდებლობის მფარველი და საქართველოს, როგორც ისლამურ სახელმწიფოებს შორის მოქცეული ქრისტიანული ქვეყნის გადამრჩენი, მფარველი და არა ამ ქვეყნისა და მისი ეკლესიის დამპყრობი.

XIX ს. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის იდეებზე აღზრდილი ქართველ სასულიერო პირთა ახალი თაობა: კირიონ სამაგლიშვილი, ლეონიდე ოქროპირიძე, ამბროსი ხელაია, ნაზარი ლეჟავა, კალისტრატე ცინცაძე და სხვები, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ავტოკეფალიაწართმეული ეკლესიის უფლებების დაცვას.

1908-1916 წლებში ქუთაისში, სადაც იმხანად ჩქეფდა ქართული სასულიერო და კულტურული ცხოვრება, მღვდელ სიმონ მჭედლიძის რედაქტორობით გამოდიოდა მისივე სტამბაში დაბეჭდილი სასულიერო გაზეთი სახელწოდებით „შინაური საქმეები“.

გაზეთის მიზანს წარმოადგენდა ერის სულიერი კრიზისიდან გამოყვანისა და ხალხის ღვთისკენ მობრუნების კეთილშობილური საქმის ხელშეწყობა. ამ მიზნით, საგანგებო სტატიები ეძღვნებოდა საქართველოს ავტოკეფალიის საკითხსაც. „ივერიელის“ ფსევდონიმით აქ ხშირად ბეჭდავდა სტატიებს საქართველოს მომავალი კათალიკოს-პატრიარქი კირიონი (სამაგლიშვილი).

ეკლესიის ერთგულ სულიერ შვილებს დაუპირისპირდნენ რუსი რეაქციონერი სასულიერო პირები, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ საქართველოს ეგზარქოსები. წინამორბედ ეგზარქოსთა რუსიფიკატორული პოლიტიკა XIX-XX სს-ის მიჯნაზე განაგრძო დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა. მისი საქმიანობა მიმართული იყო ქართველი ერის გადაგვარებისაკენ. მას საქართველოს ეგზარქოსების უპირველეს მოვალეობად ქართველების რუსიფიკაცია მიაჩნდა. იგი ეგზარქოსების შესახებ წერდა: „მათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან მთელი თავისი ძალ-ღონე და ენერჯია მოახმარონ ქართველთა გარუსების საქმეს“ (საითიძე, 2003, გვ. 447).

იოანე ვოსტორგოვის დაუნდობელ პოლიტიკას ხელს უწყობდა ეგზარქოსი ალექსი I ოპოკცი (1901-1905). ფაქტობრივად, ამ დროს საეკლესიო ძალაუფლება აღნიშნული დეკანოზის ხელში მოექცა, რადგან სწორედ ის აჯილდოვებდა და სჯიდა სასულიერო პირებს.

1904 წელს, იოანე ვოსტორგოვის რეკომენდაციების საფუძველზე, უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების გაძლიერების შესახებ, რის შემდეგაც იქ მთელი სიმკაცრით დაიწყო ქართველი პედაგოგების დევნა-შევიწროება.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ შავრაზმელი დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი რუსეთის ეკლესიამ წმინდათა დასში შერაცხა, იმ მოტივით რომ ბოლშევიკებმა 1918 წელს დახვრიტეს. კათალიკოსი ამბროსი მას აფასებდა, როგორც ბნელი ძალების მსახურს: „ის ბნელი ძალა იყო, მას ბევრი რუსული ცოდვა ჰქონდა“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 245).

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის რეაქციულ საეკლესიო პოლიტიკას ემსხვერპლა ქართული ეკლესიის ერთიანობა. 1885 წელს აფხაზეთის ეპარქია, რომელიც 1869-1885 წლებში იმერეთის ეპარქიას ექვემდებარებოდა, ცალკე სოხუმის ეპარქიად გამოყვეს, ამ საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს ქართველი მღვდელმთავრები, რომლებმაც ათეული წლების განმავლობაში დიდი ამაგი დასდეს აფხაზეთში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენას. მისი მმართველობა უშუალოდ რუსების ხელში გადავიდა. სოხუმის ეპარქიის შექმნა განპირობებული იყო

საქართველოსაგან ამ რეგიონის ჩამოშორების განზრახვით (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, . 2008, გვ. 275-276).

რუსულმა საერო და საეკლესიო ბიუროკრატამ მის მიერ დაპყრობილი ქართველი ერისადმი უდიდესი სიძულვილი გამოავლინა. მართალია, დაუოკებელი სურვილი, სამუდამოდ წაეშალათ ჩვენი ერისა და ეკლესიის ძირძველი მატიანე, გაერუსებინათ ქართული ეკლესია და ის რუსულით ჩაენაცვლებინათ, გაენადგურებინათ ეროვნულიცნობიერება, სრულად ვერ განახორციელეს, თუმცა ნაწილობრივ მაინც გამოუვიდათ ძალისმიერი მეთოდებით, რეპრესიებითა და და მონური პოლიტიკისადმი მორჩილი ქართველების ხელშეწყობით.

1.3 ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისათვის

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა აშკარად და დაუფარავად 1905 წლიდან იწყება. ქართველი მეცნიერებისა და სასულიერო პირებისთვის, გარკვეულწილად, ხელისშემწყობი და ბიძგისმიმცემი აღმოჩნდა 1905 წლის 9 იანვრის ე.წ. „სისხლიანი კვირა“, რომელიც რუსეთში რევოლუციის დაწყების საბაზად იქცა. „XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს გლეხთა მოძრაობამ უკიდურესად მწვავე ხასიათი მიიღო. მათ აუტანელ ყოფას კიდევ უფრო ამძიმებდა სამღვდელოებისთვის „დრამის“ გამოსაღები გადასახადი. ყოველივეს დაერთო 1902-1903 წლის მოუსავლიანობა, რასაც მარცვლეულის ფასის გაორმაგება მოჰყვა. ხოლო სოციალ-დემოკრატთა პროპაგანდის შედეგად გლეხობამ პროტესტი გამოუცხადა საეგზარქოსოს ღონისძიებებს“ (პავლიაშვილი, 2008, 178-179). იმავე აზრს იზიარებს ლ ტყეშელაშვილი ნაშრომში „საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (2014, გვ. 251-152). ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სასულიერო პირები პროტესტისთვის ავტოკეფალიის გაუქმების დღიდან ემზადებოდნენ და ეს მუხტი მუდმივად არსებობდა, უბრალოდ მათ სიტყვას ძალა არ შესწევდა. კათალიკოსი კირიონი ნაშრომში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, რუსებს ამხელდა ველურ ქცევასა და ავტოკეფალიის წართმევამი. აღნიშნულ წიგნზე მუშაობა მან 1902 წელს დაიწყო და, სავარაუდოა, რომ თავის მეგობრებსაც უკითხავდა, რათა კეთილი მარცვალი გაეღვივებინა მათში ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის დასაწყებად. ქართველი ავტოკეფალისტები პირველად 1905 წლის მარტის თვეში შეიკრიბნენ და პირველი პეტიცია გაუგზავნეს რუსეთის ხელისუფლებას. მეორე ყრილობა 28-29 მაისს თბილისში

ჩატარდა. ამ ყრილობაზე მიიღეს პეტიცია, რომელსაც ხელი მოაწერა 412 სასულიერო პირმა (ტყემელაშვილი, 2014, გვ. 254-255). სასულიერო პირები დაარბიეს, მათ მიუსიეს კაზაკები, რომლებიც ყვიროდნენ: „თქვენ უნდა ლოცულობდეთ და არა ბუნტობდეთ“ (როგავა, 1997, გვ. 99). ავტოკეფალიის გაუქმებას არ ეგუებოდნენ სასულიერო პირები, რადგან ამ უკანონო ქმედებამ საქართველოს ეკლესიის შიგნით ქაოსი წარმოშვა, დაიკარგა ერის თვითმყოფადობა, უძრავ-მოძრავი ქონება, ეგზარქოსების მიერ რუსულად გადაკეთდა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ნიშნით გამორჩეული უძველესი ტაძრები, გაიტანეს ფასდაუდებელი სულიერი და მატერიალური ღირებულების ქართული ხატები და მათ ნაცვლად შემოიტანეს მდარე ხარისხით შესრულებული, უფასური რუსული ხატები. განსაკუთრებით ცუდი შედეგები მოჰყვა ღვთისმსახურების რუსულ ენაზე გადასვლას. რუსი სამღვდელოების გაუმადლობამ თავად რუსი მეცნიერებიც კი გააკვირვა, რის გამოც ნიკოლოზ დურნოვო (1997) წერს: საქართველო-იმერეთის კანტორის ფუნქციაში შედიოდა საქართველოს იერარქების გადმობირება ან განკვეთა, ხოლო ქონების სრული წართმევა. ასეთი წარსულის პირობებში ეკლესიის მდგომარეობის განხილვა არც ისე იოლია. რუსეთმა და მასზე დაქვემდებარებულმა ეკლესიამ მოციქულთა მიერ ნაქადაგარ მიწაზე, მათ სამწყსოში ამორფული სახე მიაღებინა საეკლესიო ცხოვრებას: სასულიერო პირები აღარ ასრულებდნენ წესებს, იშვიათი იყო მორწმუნე და კეთილგონიერი მღვდელი. მორწმუნე მრევლის გულისწყრომაც სამართლიანი იყო, რადგან ყველაზე სასტიკი ეპისკოპოსები საქართველოში იგზავნებოდნენ რუსეთიდან. წესიერსა და ეთნიკურად ქართველს იშვიათად აკურთხებდნენ მღვდელმსახურად. ეს მიზამიმართული პროცესი იყო, ადამიანთა სრული დემორალიზების შემდეგაც მარტივი იქნებოდა მართვა. ერთმორწმუნეობის ნიშნით „გამორჩეულ“ რუსეთს წესით დახმარება უნდა გაეწია, და ქრისტიანი ქართველებისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა და სასუფევლისკენ სავალი გზა ეჩვენებინა, მაგრამ მან რეპრესიისა და ჯოჯოხეთის გზა განუწესა საქართველოს ეკლესიას. 1811 წლიდან დაიხურა 15-მდე მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია. აი, ასეთია რუსული სასულიერო ბიუროკრატის „ზრუნვისა“ და განმგებლობის ნაყოფი საქართველოში! (გვ. 3).

რუსი სასულიერო პირების ბოროტმოქმედებას ამხელდნენ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე), იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, თედო ჟორდანი, ეპისკოპოსები:

კირონი (სამაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), პეტრე (კონჭოშვილი)
არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და ა.შ.

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) იხსენებს იმდროინდელ ვითარებას და წერს: „ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა, თან უნდა წაგველო ბაირალები და პლაკატები წარწერით: „აღვიდგინეთ ავტოკეფალია“ და სხვ. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გაძლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა: „თუ საჭიროა, მე წაგიძვებით“ (ტყეშელაშვილი, 2014, გვ. 256). ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის საერო და სასულიერო პირები მიმართავდნენ იმ მეთოდებს, რაც მათთვის კანონით იყო დაშვებული. მღვდლები აქციებს ვერ გამართავდნენ, ამიტომ ამ კუთხით მათ ეხმარებოდნენ საზოგადოების საერო წარმომადგენლები. ქართველი მეცნიერები რუსებს უმტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია ერთ „სახელმწიფოში“ ორი დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესია არსებულებო. ამის მიღწევის შემთხვევაში უფრო ადვილი იქნებოდა ხალხის მომზადება მონაწილე სახელმწიფო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დასაწყებად. რუსმა სასულიერო პირებმა ეშმაკურ გზასაც მიმართეს და ისიც კი თქვეს, რომ საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლად ვერ შეინახავდნენ, რადგან ძვირი დაუჯდებოდათ: „აქ როგორც ხმა დადის, მიზეზად უარის ყოფისა ავტოკეფალიაზე, ასახელებენ ხარჯს“ (ტყეშელაშვილი, 2014, გვ. 259). შემდეგი შეთავაზება არქიმანდრიტი ნიკანდრისგან წამოვიდა მაღალიერარქების დავალებით: „... განა სულ ერთი არ არის, რომელს დაექვემდებარები: ანტიოქიის პატრიარქს თუ რუსეთის სინოდს? ... რაც შეეხება ტიტულს „კათალიკოსი“ და „მთავარეპისკოპოსი“, როგორც ახლა იწოდება საქართველოს ეკლესიის პირველიერარქი, ეს ერთი და იგივეა“ (Духовн. Вестник, 1905, стр. 20). ეს იყო დაცინვა, სხვაგვარად ყველამ იცოდა, რომ ამ სიბეცეს ქართველი ყრმაც კი ადვილად გააკრიტიკებდა, ოდნავ ჩახედული ეკლესიის ისტორიის საკითხებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საერო და სასულიერო პირები, რაღა თქმა უნდა, აშკარად ვერ ბედავდნენ დღის წესრიგში დაეყენებინათ ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ქართველი საზოგადოება, კერძოდ კი, თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, აქტიურად იბრძოდნენ ქართველთა სარწმუნოებრივი უფლებების დასაცავად (ბუბულაშვილი, 2002, გვ. 51). მხოლოდ კონკრეტული სტატიები იძლეოდა საშუალებას, ფრთხილად გამოეხატათ საკუთარი პროტესტი. აშკარა და ღია საინფორმაციო ომი კი დაიწყო XX საუკუნის დასაწყისიდან.

ავტოკეფალისტებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ეპისკოპოს პეტრე კონჭომვილს და ძალიან სწუხდა ეკლესიის მძიმე ხვედრზე, რადგან დაკარგა ავტოკეფალია უძველესმა ივერიის ეკლესიამ. სამართლიანად მიუთითებს ვ. კიკნაძე მღვდელმთავარ პეტრეს ღვაწლზე. იგი 1901 წელს კირიონს სწერდა: „ამოვიარე ძველს, დიდებულის ქართველთა ტაძრებისაკენ: სვეტი-ცხოველისა, სამთავროსი და ანანურის ამაღლებისა, რომელთაც, შორით თაყვანი ვეც, ვითარცა დანიელმა ბაბილონიდამ - იერუსალიმსა. ამათის ხილვითა ბევრი მწარე ფიქრები წარმომიდგა“ (კიკნაძე, 2003, გვ. 65). დანიელ წინასწარმეტყველი მეფის კარზე დაწინაურებული იყო, მაგრამ ეკრძალებოდა საკუთარი ღმერთისადმი თაყვანისცემა. მას ყველაზე მნიშვნელოვანზე ათქმევინეს უარი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, სწორედ ასეთი მძიმე ხვედრი იყო მღვდელმთავარ პეტრესთვის. საქართველოს ეკლესიაზე ძალიან ბევრს ფიქრობდა, ზრუნავდა ქართულ ენასა და მის მეობაზე, რაც კარგად ჩანს ეპისკოპოს კირიონისადმი მიწერილი წერილებიდანაც (კიკნაძე, 2009, გვ. 162-245).

ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში კონკრეტული, პრაქტიკული ღონისძიებების გარდა, აუცილებელი იყო თეორიული, მეცნიერული დასაბუთება იმისა, თუ რატომ ეკუთვნოდა ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია და რატომ იყო უკანონო მისი გაუქმება 1811 წელს. მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთის ეკლესიამ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ დაარღვია მოციქულთა 30-ე, 34-ე და ანტიოქიის კრების 22-ე კანონები. პოლიტიკური გადაწყვეტილებით მას ერის მოსპობა სურდა, მათ აქტიურად აამუშავეს საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც დიდად უწყობდა ხელს რუსული „იდეალების“ ხორცშეხმას.

„ავტოკეფალიის საკითხი იმდენად აქტუალურად იდგა, ქართველმა სამღვდელოებამ 1906 წლის 14 იანვარს გადაწყვეტილება მიიღო, ეკლესიის ავტოკეფალია გამოეცხადებინათ, მაგრამ ეს საქმე გადაიდო“ (ტყემელაშვილი, 2014, გვ. 265). ქართველი მეცნიერები სხვადასხვა პუბლიკაციით ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ რუსეთი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებასა და მისი აღდგენის აუცილებლობაში.

1907 წელს პეტერბურგში გამოვიდა ფუნდამენტური გამოცემა „Политическая Энциклопедия“: ამ ენციკლოპედიაში ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა სტატია: „Автокефалия Грузинской церкви“, სადაც ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას ზოგადად ავტოკეფალიის შესახებ (ვარაზაშვილი, 2000, გვ. 33).

ამავე საკითხს მიეძღვნა კ.კეკელიძის სტატია: „Литургическая справка по вопросам об автокефалии грузинской церкви" და თ. ჟორდანიას: „ Краткие истричекие сведения об автокефалии грузинской церкви" და სხვა.

1908 წლის 28 მაისი მძიმე აღმოჩნდა ავტოკეფალისტებისათვის, რადგან ამ დღეს მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი. გ. საითიძის ცნობით, ეს მოხდა „საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, კიბეზე ასვლისას“ (საითიძე, 2003, გვ. 452), ხოლო ლ. ტყეშელაშვილის აზრით: „თბილისში თავის რეზიდენციაში“. მკვლელობა, ალბათ, უფრო რეზიდენციაში უნდა მომხდარიყო, რადგან ეგზარქოსი სადამო ხანს იქნა მოკლული და ცნობილია წყაროებიდან, რომ იგი შინიდან არ გამოსულა. მკვლელობა დაბრალდა ამბროსი ხელაიას (რის გამოც რიაზანში გადაასახლეს) და მასთან ერთად ქართველ ავტოკეფალისტთა ჯგუფს, რადგან ისინი ღიად უპირისპირდებოდნენ ეგზარქოსს და ზოგადად, რუს სასულიერო პირებს საქართველოს ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით.

მკვლელობა გამოცხადდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ აქტად. ცხადია ავტოკეფალისტებს არავითარ შემთხვევაში არ აძლევდათ ხელს ეგზარქოსის მკვლელობა, რადგანაც ჯერ ერთი, მკვლელობა ქრისტიანული ცნობიერების მქონე ქართველი ავტოკეფალისტებისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო და მეორეც ის საქართველოს ეკლესიის მტრებს მიზეზს მისცემდა იმპერიას ქართველი სამღვდელთა უმძიმეს ცოდვაში-მკვლელობაში დაედანაშაულებინა და ზნეობრივი უპირატესობა გამოევიდინა ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთათვის. ეს მკვლელობა კი რუსებს საბაზს აძლევდა, რომ ქართველ ავტოკეფალისტებს დაბრალდებოდათ დანაშაული. ბრძოლა დიდი მიზნის მისაღწევად - ავტოკეფალიის აღსადგენად მაინც გაგრძელდა, მიუხედავად ეპისკოპოს კირიონისა და არქიმანდრიტ ამბროსის გადასახლებისა.

1909 წელს საქართველოში დაინიშნა ახალი ეგზარქოსი ინოკენტი (ბელიაევი) (1909-1913). ქართველ სასულიერო პირებს იმედი ჰქონდათ მის დროს მაინც მოხდებოდა ავტოკეფალისტების ხელშეწყობა, მაგრამ მან დასაწყისშივე განაცხადა, რომ „... მხოლოდ რუსეთის ერთიანი განუყოფელი ეკლესია იცის და არავითარ საქართველოს ეკლესიას არ ცნობს“ (საითიძე, 2003, გვ. 453). მაგრამ არც მის გარდაცვალების (1913 წ. 9 სექტემბერი) შემდეგ დაუნიშნავთ უკეთესი ეგზარქოსი: ალექსი II მოლჩანოვმა (1913-1914) ქართველ სასულიერო პირებსა და ავტოკეფალიის აღდგენის მომხრეებს იმით დაამახსოვრა სამუდამოდ თავი, რომ საეკლესიო დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას ქართველ ავტოკეფალისტ ინტელიგენტთა ფანტასტიკური ბოძვა უწოდა.

ამის შემდეგ ცარიზმმა გარკვეულწილად შეარბილა პოლიტიკა, რადგან 1914 წლის 1 აგვისტოს მსოფლიო ომი დაიწყო. რუსეთისათვის პირველი მსოფლიო ომი არც თუ სახარბიელოდ წარიმართა, ქვეყანაში დაიწყო სამეურნეო ნგრევა, ომმა დააჩქარა სახელმწიფოებრივი კრიზისი, რამაც შვა 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია. რუსეთში მონარქია დაემხო. საქართველოში სამეფისნაცვლო ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა („ოზაკომი“) შეცვალა. რომელსაც მიმართეს ავტოკეფალისტებმა. ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. საბოლოოდ, ავტოკეფალისტების დაუღალავი შრომის შედეგად „ოზაკომმა“ გასცა დეკრეტი ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ (ცინცაძე, 2001, გვ. 200-201). ქართველმა ავტოკეფალისტებმა აქტიურად დაიწყეს მზადება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოსაცხადებლად. ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში ჩართული იყო ნოე ჟორდანიაც.

1917 წლის 12 მარტს, კვირას, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში შეიკრიბა ათასობით ადამიანი. ეპისკოპოსმა ლეონიდე (ოქროპირიძე), პარაკლისის დასრულების შემდეგ წაიკითხა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება:

„ ა) დღეიდან, ე.ი 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

ბ) დროებით კათალიკოსის არჩევამდე ეკლესიის გამგედ ინიშნება გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე;

გ) საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები“ (ვარდოსანიძე, 2003, გვ. 467).

ბრძოლის წარმატებულ დაგვირგვინებად ითვლება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევა. 1917 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი (სამაგლიშვილი), რომელმაც 11 ხმის უპირატესობით გაიმარჯვა. ამ დიდი სულიერი ცვლილებების ფონზე შეიქმნა ხელსაყრელი, რეალური პირობები საქართველოს ეკლესიის გამლიერებისათვის.

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საქართველოში ეგზარქოსობა გაუქმდა. მაგრამ მუდმივი პროვოკაციები ეწყობოდა რუსების მიერ დადგენილი სასულიერო იერარქების მხრიდან ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ არჩეული სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქ კირიონის II წინააღმდეგ (1917-1918). სავარაუდოა, რომ სწორედ რუსების მიერ დადგენილი სასულიერო პირების მხრიდან მოხდა 1918 წელს პატრიარქ კირიონ II მკვლელობა. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მნიშვნელოვანი ფაქტი იყო

მირონის კურთხევა, რომლის წესიც შეუდგენია ბერ გობრონ წკრიალაშვილს (ვარდოსანიძე, 2011, 21-22).

1.4 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საეკლესიო პოლიტიკა

საქართველოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1918 წლის 26 მაისის დღე, როდესაც აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ-საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად. საქართველოს ეკლესია დიდი სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს 28 მაისს პატრიარქმა კირიონ II პარაკლისი გადაიხადა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II-ის ხელმძღვანელობით, აქტიურად დაიწყო ერის სულიერი აღორძინება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთ მიაჩნდათ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა ხელს შეუწყობდა სულიერ განვითარებასაც. ეკლესიამ ნელ-ნელა დაიწყო გარუსებული სასულიერო პირების შემობრუნების პროცესი, უდიდესი დრო დაეთმო სასულიერო სასწავლებლების გაეროვნულებას.

წინსვლის პროცესში უდიდესი დანაკლისი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი ლიდერის კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სასტიკი მკვლელობა 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში. პრობლემას ქმნიდა ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის (რომელთა უმრავლესობას მარქსისტ-ათეისტები შეადგენდნენ) დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად, ეკლესია სახელმწიფოსგან უნდა გამოეყოთ და შეემუშავებინათ ისეთი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც დედაეკლესიას გაუთანაბრებდნენ საქართველოში არსებულ სხვა კონფესიებს. სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება შეცვალეს. ჟორდანია მანამდე თუ ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში ეორვნულ ძალთა თანამოაზრე და მათი ბრძოლის თანამონაწილე იყო, შემდგომი მისი ქმედება ეკლესიის შევიწროების გარდა სხვა მიზანს აღარ ემსახურებოდა. დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე წერს: „... ეკლესიას მოერიენ მენშევიკები! მას ყველაფერი ჩამოართვეს! რაც

სასულიერო მთავრობამ დააკლო ჩვენს უბედურ ეკლესიას, ის საერო მთავრობამ შეუსრულა, გასთელეს ფეჟ-ქვეშ ნაამაგდარი ქართველი ერის და კულტურის აღმზრდელი - დედა-ეკლესია“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 76).

დამოუკიდებელ სახელმწიფოში ეკლესია ისევ ზეწოლას განიცდიდა, რადგან თვითონ ხელისუფლებისგანაც იყო წახალისებული ეკლესიაზე თავდასხმა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წმინდა კირიონმა ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა იმ დროს, როდესაც ქვეყანას ძალიან სჭირდებოდა თანამოაზრეები.

როგორც ცნობილია, 1917 წლის ნოემბერში, ბოლშევიკურმა მთავრობამ, უშუალოდ ლენინმა, ხელი მოაწერა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციას“, სადაც გამოკვეთილია ეკლესიისადმი მათი დამოკიდებულება მესამე პუნქტით: „ყოველგვარი ნაციონალური და ნაციონალურ-რელიგიური პრივილეგიებისა და შეზღუდვების გაუქმება“ (ურუმაძე, 1991, გვ. 3).

ეკლესიას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ერში. ნაციონალობაზე შეტევა ნიშნავს, ერს დაუკარგო სულიერი კულტურისადმი სწრაფვის მოტივაცია. ერი თავს მუდამ იწონებდა ეკლესიის მიერ შექმნილი ქრისტიანული კულტურით. ეკლესია იყო და არის წყარო ჩვენი იდენტობისა. საგულისხმოა, რომ უძველესი ქართული მწერლობა სწორედ ადრექრისტიანული ეპოქიდან იღებს სათავეს და ის ეკლესიის წიაღში იქმნება. გარდა ეკლესიის წიაღში შექმნილი ლიტერატურისა. მისი დანგრევა ნიშნავს ერს წაართვა კულტურა. ხელისუფლებამ ძალაუფლების დემონსტრირება სცადა ეკლესიაზე შეტევით, თუმცა, არც დრო იყო და არც შეგნება!

... მთავრობა პოლიტიკურ ხედვებს მუდმივად ცვლიდა გარემო პირობების შესაბამისად. მაგალითისთვის, როდესაც დასჭირდა რუსეთის დროებით მთავრობას, 1917 წელს მხარი დაუჭირა საქართველოს ეკლესიის ეროვნულ-ტერიტორიულ ავტოკეფალიას და ამავე წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დროებითი წესები, რასაკვირველია ყველაფერი შეთანხმებული იყო სინოდთან (ვარდოსანიძე, 2000, გვ. 13). ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დახმარებით საქართველოს ეკლესიამ შეძლო ეგზარქოსის მიერ მითვისებული რეზიდენციის დაბრუნება: „1917 წლის 23 აგვისტოს ეგზარქოსყოფილმა პლატონმა თბილისი დატოვა. ქართველმა სამღვდელოებამ ისარგებლა ვითარებით და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების მიერ შეკრებილი სამოცამდე შეიარაღებული ვაჟკაცის თანხლებით დაიკავა ეგზარქოსის სასახლე მანამდე დავით ვაჩნაძის განკარგულებით სასახლიდან გაიტანეს რუსი იმპერატორების და საქართველოს ეგზარქოსების სურათები: „ლეონიდე“

ახედა ცარიელ კედლებს, სადაც წინათ რუსი ეგზარქოსების სურათები ეკიდა და ერთ წამს შეჩერდა. მე ვაცნობე ჩემი განკარგულება ეგზარქოსების სურათების ჩამოხსნის შესახებ. ლეონიდიმ პირჯვარი გადაიწერა და წარმოთქვა: აღსრულდა:... უფალო შეგვიწყალე და დაგვიფარე!” (ვარდოსანიძე, 2000, გვ. 14).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ ეცალა ეკლესიის რეპრესიისთვის, რადგან მას ბოლშევიკურ რუსეთთან ჰქონდა პოლიტიკური დაპირისპირება, რუსები ელოდნენ ხელსაყრელ პერიოდს, მთლიანად დაემონებინათ ქართველები ტერიტორიულად თუ ცნობიერად¹. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ეკლესიის წინააღმდეგ მისი არსებობის ბოლო პერიოდში აღარ იბრძოდა, პირიქით, მისგან საჭიროებდა დახმარებას. მართლაც, საქართველოს ეკლესიამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მთავრობას. საწყის ეტაპზე სასულიერო პირებს იმედი გაუცრუა ნოე ჟორდანიას მთავრობამ, მან წაართვა მიწები, საეკლესიო ქონება, მოინდომა ეკლესიის ავტორიტეტის განადგურება. მაგრამ როდესაც დასჭირდა ხელისუფლებას, ნოე ჟორდანიას მთავრობამ ეკლესიის სულიერი სიმტკიცისთვის უფრო მეტი თანხა გაიღო, ვიდრე მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად: „ეკლესიას გადაეცა 1 720 000 მანეთი, ხოლო სახალხო ჯანმრთელობის კერებს 672 000 მანეთი. მთავრობას სჭირდებოდა ყველაზე ძლიერი ინსტიტუციის თანადგომა, ეს ნაბიჯი ერთგვარ პოლიტიკას წარმოადგენდა” (როგავა, 1994, გვ. 8). წმინდა კირიონ კათოლიკოსი ხალხს მოუწოდებდა, მთავრობისთვის დახმარება გაეწიათ. მას გულწრფელად სწამდა, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკა ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა გახდებოდა. იყო დრო, როდესაც თავად ეკლესია ეხმარებოდა გამგალობლებულ მთავრობას, საკუთარი ხაზინიდან შეჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტში თანხები. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ დაუფასა ეკლესიას ერთგულება. დაიწყეს ტაძრების დახურვა, ეკლესია-მონასტრების ეტაპობრივად დაცარიელება. სასულიერო პირები ერთმანეთს ასწრებდნენ მმართველ პარტიაში გაწევრიანებას. მთავრობას ეკლესია არ აინტერესებდა. პრობლემის წინაშე დამდგარ ეკლესიას მთავრობამ ზურგი აქცია და რუსეთის ხახას შეატოვა მისი ინტერესები, თუმცა

¹ ბოლშევიკები პოლიტიკურად დევნიდნენ მენშევიკებს ნებისმიერი მეთოდით. წერდნენ პრესაში წერილებს, აქვეყნებდნენ წიგნებს, ამ მხრივ საინტერესო წიგნია ფ. მახარაძის: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში”, სახ. გამომცემლობა, თბილისი 1922 წ. ასევე, Я Шафир, „ТАЙНЫ МЕНШЕВИСТКОГО ЦАРСТВА”, Тифлис 1921.

იმავე ბოლშევიკურმა რუსეთმა იძულებული გახადა დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, ქვეყნიდან გაქცეულიყვნენ.

2019 წელი დგას და დღეს საზოგადოების ნაწილს ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია საბჭოთა თუ თანამედროვე რუსეთის რეალური სახე, მისი ტირანია და უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლშეწირვა პარტიული ინტერესებისათვის.

საქართველოს ტანჯვისას გამძლეობა არ უჭირს, მაგრამ აკრძალვა ღვთის ხსენებისა სახელმწიფოს მხრიდან ნოე ჟორდანას დროს სერიოზულ საფუძვლებს იძენს 1918-21 წლებში². თავად ნოე ჟორდანია ათეისტი იყო: „მეფე ისეთივე გამოგონილი ავტორიტეტია, როგორც ღმერთი. ეს ორთავე ერთ დონეზე დავაყენე. ათეიზმი და რესპუბლიკანიზმი ერთი მეორის ტყუპათ დავსახე” (ჟორდანია, 1990, გვ. 12). ჟორდანია იხსენებს საინტერესო ფაქტს: „სოც.დემ. ფრაქციაში პირველი დიდი დავა აგვიტყდა რესპუბლიკის ემბლემის შესახებ. ირ. წერეთელმა წამოაყენა მიჯაჭვული პრომეთეის ნაციონალურ ემბლემათ გამოცხადება; მე ეს არ მომეწონა, შევედავე. მთავარი ჩემი არგუმენტი იყო ის, რომ ტყვე, შებოჭილი პრომეთეი სრულიად არ შეესაბამება აშობილ, განთავისუფლებულ ქართველ ერს. მე წამოვაყენე ამ აზრის გამომხატველი თეთრი გიორგი, ცხენზე კოხტად შემჯდარი და ცის სივრცეში თავისუფლათ მარდათ მფრინავი.³ ბევრი კამათის შემდეგ გავიდა ეს წინადადება. მისი მოწინააღმდეგენი ასაბუთებდნენ აზრს იმით, რომ თეთრი გიორგი იგივე წმინდა გიორგია, ეს კრელიკალიზმია, უკან დაბრუნება, საეკლესიო ემბლემის რესპუბლიკის ემბლემით გამოცხადებაა და სხვ. ამათი აზრიც მივიღეთ სახეში და თეთრ გიორგის წმინდა გიორგის ყველა ნიშანი ჩამოვაშორეთ” (ჟორდანია, 1990, გვ. 106). ნ. ჟორდანას ეს მოსაზრება ერთი რამით იქცევს ყურადღებას: ჟორდანას მთავრობა ეკლესიის სიმბოლიკასა და, ზოგადად, ეკლესიურ ცნობიერებას არანაირ ანგარიშს არ უწევდა, ეს ცხადია. როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიასთან სულიერი კავშირი წყდება, შესაბამისად, მისი მაჯისცემაც იკარგება. ხელისუფლების მიერ ეკლესიისთვის გაწეული დახმარება გარეგნული ნიშნით არაფერს ნიშნავს, როდესაც მისი მისტიკურობის არ გწამს და მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის აკეთებ ამას. მსგავს არაფრისმომცემ, გარეგნული დახმარების ფაქტს თავად ნ. ჟორდანიაც ადასტურებს: „... მამულები

² ბოლშევიკებისა და მენშევიკების ურთიერთობის ისტორიის შესახებ იხ. სევასტი თალაკვაძე „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის”, ნაწილი I (ორ პერიოდად) ტფილისი 1925 წ. ს.ს.ს.რ. პოლიტ-განათლების მთავარ მრთველობის გამომცემლობა.

³ კომუნისტებმა 1921 წელს შეცვალეს სახელმწიფო გერბი, საბჭოთა # 36 დეკრეტის თანახმად, იხ. გაზ. „კომუნისტი”, # 66, 1921 წ. კვირა, 22 მაისი. გვ. 1.

ჩამოვართვით, მაგრამ მათ პატრონებს ყოველნაირ შეღავათებს ვაძლევდით და სახელმწიფო სამსახურში ფართე კარებს ვუღებდით. მონასტრებს, სამღვდელოებას ფულით ვეხმარებოდით. მახსოვს ერთხელ კათალიკოზმა გვთხოვა თანხა მისი აფხაზეთში გასამგზავრებლად და იქაური ეკლესიის საქმეების მოსაწესრიგებლათ, მივეცით” (ჟორდანია, 1990, გვ. 109). ერთჯერადი დახმარება ეკლესიისთვის ჩამორთმეული უამრავი მიწისა და ქონების კომპენსაცია ვერ იქნებოდა. ეს იგივეა, მილიონი რომ წაართვა ადამიანს და ლარი აჩუქო. ნ. ჟორდანია იქვე აგრძელებს დახმარების ჩამონათვალს: „სვანეთის სამღვდელოების თხოვნა ნივთიერი დახმარებისა დავაკმაყოფილეთ, მონასტრებს უკან დავუბრუნეთ ჩამორთმეული მიწები დასამუშავებლად და სხვ. მთავრობის სხდომები ასეთი თხოვნების გარჩევას ეწირებოდა“ (ჟორდანია, 1990, გვ. 109). კარგად ჩანს, რომ ეკლესიას სრულად გაემიჯნა სახელმწიფო. შესაბამისად, რასაკვირველია გაუგებრობა იწვევს ყოველგვარ დაპირისპირებას, როდესაც თავმა არ იცის ხელს რა სჭირდება და ხელი ფეხის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ბოლშევიკები და მენშევიკები ეკლესიის კეთილი მწყემსმთავრებისგან მუდმივ კრიტიკას განიცდიდნენ. წმინდა ამბროსი (ხელაია) შეუპოვრად ებრძოდა მათი მხრიდან ჩადენილ მავნებლობას. მისი მოგონება მენშევიკებზე: „აგიტატორები ეხებოდნენ სარწმუნოებას, ბღალავდნენ სამღვდელოებას და ეკლესიას. ასეთი შემთხვევები იყო მენშევიკური მფლობელობის დროსაც და მე ამას სათანადო ყურადღებას ვაქცევდი და ამის შესახებ მივმართავდი მენშევიკურ მთავრობას” (უახლესი ისტ. არქივი, გვ. 516, გვ. 97). ჟორდანიას ქრისტიანობისა და ქრისტესადმი პირადი დამოკიდებულება მხოლოდ ადამიანურ გრძნობამდე ჰქონდა დაყვანილი: „ქრისტეს მოძღვრება დიდებულია ამ მხრით, თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია კაცთმოყვარეობით, შეიძლება ეს გადაჭარბებულიცაა, მაგრამ საფუძველი სწორია. ქრისტეს მიჰგვარეს ერთი საწყალი დიაცი, რომელსაც ხალხი გაედევნა ჩასაქოლავათ. ქრისტემ უთხრა მათ: ვინც უცოდველია — ესროლოს ქვაო. ვერავინ ვერ ესროლა, ლაგამი ასდვა ყველას. ე. ი. კაცი ერთია ყველა; არსებითად ყველა ერთნაირი თვისებისაა — აქვს ღირსებაც და ნაკლიც, ზოგს ერთი აქვს მეტი, ზოგს მეორე”... (ჟორდანია, 1989, გვ. 22) იქვე დასძენს: „სკოლა ასწავლის რელიგიას, რაიცა განისაზღვრება კატეხიზმით, ლოცვებით, ღვთის ვედრებით. მხოლოდ რელიგიას ნამდვილს, ქრისტიანულს, ადამიანის ადამიანათ ამღიარებელს და მათი თანასწორობის და ძმობის მღაღადებელს — ამას არ ასწავლიან. აქაც სწავლა ფორმალურია, გარეგნულია” ((ჟორდანია, 1989, გვ. 23). ნოე ჟორდანია რელიგიის ფუნდამენტურ სწავლებას შეგნებულად თუ შეუგნებლად ამახინჯებს: „როცა ღმერთმა გაიგო, რომ ადამს არ ძალუძს

გამრავლდეს უევოთ, დასწყევლა ორივე და ედემიდან გამოაგდო“ (ქორდანია, 1989, გვ. 56) იგი ღმერთს აკნინებს, მიიჩნევს, რომ მან ყველაფერი არ იცის: როცა ღმერთმა გაიგო, ნიშნავს, იყო დრო როდესაც ღმერთმა რაღაც არ იცოდა?! სინამდვილეში შეუძებელია, ღმერთმა რაიმე არ იცოდეს. ნ. ქორდანიას ღმერთი გამოჰყავს პრიმიტიულ არსებად. ასე რომ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ღვთის გამობაში მენშევიკ-ბოლშევიკები. მთავრობის სხვა წარმომადგენლები იმავე აზრისანი იყვნენ, მათთვის ეკლესია სიწმინდის წყაროს არ წარმოადგენდა. სახარებასაც სასაცილოდ იგდებდნენ, წმინდა წერილი გაწელილ და უაზრო თხრობად მიაჩნდათ, მაგალითად: „სახარების კითხვა გამოუდის კაუცკის”, იქვე: „სახარების კითხვაა ოთო ბაუერის მიმართაც“ (დევდარიანი, 1927, გვ. 30).

პოლიტიკურად როდესაც სჭირდებოდა, ქორდანიას მთავრობა მხარს უჭერდა სხვა აღმსარებლობის ადამიანებსაც. ბათუმის ოლქის მაჰმადიანი ქართველები როდესაც დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ, მათი მხარდასაჭერი წიგნიც კი გამოსცეს: „მაჰმადიანი ქართველები”, სადაც ვკითხულობთ: „დიდი შიმშილობა და უწყობაა მთელ მხარეში, და ამიტომ ბევრჯერ სთხოვეს ჩვენს მთავრობას, მოგვეხმარეთ, ნუ დაგვტოვებთ ასე ცალკე, შეგვიერთეთ ახლავო. შარშან აგვისტოში მთელი ბათუმის ოლქის არჩეული კაცების ყრილობა გაიმართა, რომელმაც ერთხმად დაადგინა: ბათომი და ბათუმის მხარე საქართველოს ნაწილია და საქართველოს უნდა შეუერთდესო, მაჰმადიანი ქართველები ქართველები არიან და ქრისტიან ქართველებთან ერთად უნდა იყვნენ, ჩვენი სამშობლო საქართველო არისო” (მაჰმადიანი ქართველები, 1920, გვ. 13). ნოე ქორდანიას სარწმუნოება პოლიტიკური აუცილებლობიდან იყო გამოწვეული. როცა მას პოლიტიკისთვის სჭირდებოდა რელიგია, აუცილებლად იყენებდა. იმავე წიგნში ვკითხულობთ: „ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას” (მაჰმადიანი ქართველები, 1920, გვ. 15).

ქრისტიანებზე შოლტის გადართყმა არც ამ დროს ავიწყდებოდათ შეფარული კრიტიკით: „მართალია, ძველად მუსულმანები ქრისტიანებს ეომებოდნენ რჯულისთვის, მაგრამ თვითონ ქრისტიანები — ერთი წესის მიმდევრები მეორე წესის მიმდევრებს არ ხოცავდნენ? განა ცოტა სისხლი დაღვარეს ერთმანეთისა კათოლიკებმა და პროტესტანტებმა, რომის პაპის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა? თუ მაჰმადიანები სდევნიდნენ სხვა რჯულს, ქრისტიანები კიდევ უფრო შეუბრალებლად ხოცავდნენ ყველას, ვინც ქრისტიანი არ იყო ” (მაჰმადიანი ქართველები, 1920, გვ. 16). დასასრულს, პროპაგანდისტული მოწოდება იყო სახელმწიფოს მხრიდან: „...უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვა და სხვა გვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ

ორივენი ერთის საქართველოს შვილები ვართ, ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია, ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და კარგი ძმობა მოგვიტანს. არავინ უნდა დაივიწყოს ეს, ამისთვის უნდა ვმუშაობდეთ ყველა!” (მაჰმადიანი ქართველები, 1920, გვ. 16). სახელმწიფომ რელიგიების გაერთიანება და მათი დამეგობრება ქვეყნის გაძლიერების მიზნით მოინდომა, თუმცა ეს იყო ფარისევლობა, რადგან საერთოდ არ აინტერესებდათ არცერთი რელიგია, მათ ინტერესში შედიოდა ერთიანი ძალის ქვეშ მოექციათ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები და ამ გზით დროებით მაინც გაეხანგრძლივებინათ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი. მენშევიკური მთავრობა არ იყო რელიგიური.

მენშევიკური მთავრობა აიძულებდა მუშებს, გამხდარიყვნენ ათეისტები მოსყიდვის გზით, დაშინებით, ინტრიგებით, დაპატიმრებით, ცემა-ტყეპითა. ამ მხრივ ძალიან საინტერესო წერილს წარმოადგენს ქართველი სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს, გაზ. „ერთობის“ მოწინავე, 1919 წლის 9 ნოემბრით დათარიღებული სიტყვა: „ჩამორჩენილი კუთხე (იგულისხმება აჭარა (ა.ს.)), განუვითარებელი მოსახლეობა, — ვკითხულობთ იქ, თითქმის ყოველთვის ებღაუჭება საშუალო-საუკუნოების ნაშთებს და თავის ბედს მათ უკავშირებს. მათთვის დღევანდლამდე ერი, სახელმწიფო და სარწმუნოება წარმოადგენენ ერთ განუყრელ მთელს, უპირატესობას სარწმუნოებას აძლევენ... სარწმუნოება თუ ეროვნება — აი პრობლემა, რომელიც დადგა ახლა აღმოსავლეთ ხალხთა წინაშე, და ამ მხრივ ბევრმა ხალხმა, როგორც, მაგალითად, არაბებმა, უკანასკნელი გზა აირჩიეს... ჩვენ აშკარად უნდა განვაცხადოთ, ბათომის ოლქში სოციალური საკითხი, ე.ი. აგრარული და სხვა, არ დგას ისე მწვავედ, როგორც ნაციონალური, სარწმუნოებრივი” (მახარაძე, 1924, გვ. 171-172). მიუხედავად შეტევისა, ეკლესიამ დროებითი მთავრობისგან მაინც მიიღო დახმარება. მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი კ.ჩხიკვიშვილი ავტოკეფალიის აღდგენასაც ულოცავს ეკლესიას: ავტოკეფალია გამოცხადებულ იქნა ისტორიულ რევოლუციონურ აქტად. „დამფუძნებელ კრების“ საბიუჯეტო ხარჯები მენშევიკურმა მთავრობამ გაიღო, რომელიც შეადგენდა (1918 წ. 1/8 — 1919 წ. 1/1) 2 მილიონ 501 მან. 20 კაპ. (სახაროვი, 1956, გვ. 195). შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლისთვის ეკლესიის ისტორიის ერთი ფურცელი დაიხურა: 1921 წელს დასრულდა საქართველოს დამოუკიდებლობა და მასთან ერთად ქართული ეკლესიის ისტორიული კურსიც იცვლება ბოლშევიკური მთავრობის გამო. ამ პერიოდიდან, საქართველოს წინაშე ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი

დაიწყო, რომელ საქმეშიც საქართველოს ეკლესიას ისევ ღრმადმნიშვნელოვანი ისტორიული მისია დაეკისრა... (პავლიაშვილი, 2000, გვ. 13).

მენშევიკი ვალოდია გოგუაძე ასე აფასებდა ნოე ჟორდანიას მმართველობას: „როცა სახელმწიფოს სათავეში ჩააყენა ბედმა, არაფერი სახელმწიფოებრივი არ გააკეთა, სახელმწიფო მოაზროვნენი ახლოს არ გაიკარა, ჩვენს მოთხოვნილება-წინადადებათ ეხლა თავისად ასაღებს, რაკი მაშინდელი მდგომარეობისა თვითონ არაფერი ესმოდა, მისი ამხანაგებივით, და მაინც მათს გარდა, არავის არაფერში ენდობოდა;... ბედმა ყველაფერი მისცა ხელში, მაგრამ, ეტყობა, ღმერთმა „არა მისცა ზეით სართულში, თორემ სტალინივით შეეძლო გამოყენება „სპეცებისა“ (გოგუაძე, 1992, გვ. 275-76). ამ სიტყვების ავტორი თავადაც მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი იყო. გვსურს, მისი სიტყვებით შევაფასოთ და დავასრულოთ საუბარი მენშევიკური მთავრობის მოღვაწეობაზე: „... დამახასიათებელი არ არის განა? როცა მე პარლამენტში ვიცავდი ერთ-ერთ ასეთ სახელმწიფოებრივ საკითხს, მათი, სწორედ ჟორდანიასგან წამოყენებულ არასახელმწიფოებრივ სიბეცის წინააღმდეგ, ჩემი სიტყვის შემდეგ, მომიხდა „რეპლიკის“ მიცემა ადგილიდან..

— თქვენ, ბატონებო, სწყვეტთ საკითხებს არა გონებით და თავით, არამედ თითებით! ჟორდანიამ ძალიან მოხდენილად მიჰასაუბრა ტრიბუნიდან:

ზოგიერთ თითებში მეტი ჭკუა და გონება არის, ვიდრე ზოგიერთ თავშიო.

ძალიან მოსწრებული სიტყვა იყო, მაგრამ მომაგონდა ერთი ინგლისელი მოაზროვნის ნათქვამი: „остроумие не есть признак ума“ და ათასჯერ დავრწმუნებულვარ ამ აფორიზმის სინამდვილეში.

და მის საცოდავ გვერდებს რომ კითხულობს ადამიანი, დაახლოებით 131-143-მდე, დანარჩენბთანაც წინააღმდეგობაში რომ არიან, მართლა შეგებრალემათ ისიც და... საქართველოც, თუ ვინ ყოფილან მისი „ხაზინები“ (გოგუაძე, 1992, გვ. 276-77).

ნოე ჟორდანიამ მმართველობის უკანასკნელ წელს საერთოდ დაკარგა ავტორიტეტი, ეკლესიაშიც გამოუჩნდა მოწინააღმდეგეები, რადგან იგი არასახელმწიფოებრივად უდგებოდა საკითხებს. ეკლესიასა და მენშევიკურ მთავრობას შორის მხოლოდ მაშინ აღდგა კავშირი, როდესაც საქართველო გასაბჭოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანება სწორედ რუსეთის მხრიდან გამოცხადებულმა ომმა განაპირობა.

1918-1921 წლებში მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება უკვე ავტოკეფალია აღდგენილი ქართული ეკლესიის მიმართ იყო ნეგატიური, რაც გამოიხატა ეკლესიისათვის ქონების ჩამორთმევითა და სკოლებში „საღვთო რჯულის“ აკრძალვით. სამწუხაროდ, მენშევიკურმა ხელისუფლებამ უღმერთობისა და დესტრუქციის გზა აირჩია.

II თავი

საქართველოს გასაბჭოება და მისი ნეგატიურად ასახვა ეკლესიაზე

1921 წელი საქართველოსთვის უმძიმესი იყო. საბჭოთა რუსეთის წითელი არმია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ საზღვრებში შემოიჭრა და მისი ანექსია, ოკუპაცია და ინტერვენცია მოახდინა. ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საქართველოში შემოჭრა „სამშვიდობო შემოსვლად“ ფასდებოდა. არადა მან სუვერენული სახელმწიფოს უფლებები დაარღვია. ყველაზე სამწუხარო ის ფაქტია, რომ ბოლო დრომდე საბჭოთა საქართველოს ისტორია მიკერძოებულად შუქდებოდა. ობიექტური სურათის შესაქმნელად მოგვეპოვება ფასდაუდებელი დოკუმენტური წყაროები, პერიოდული გამოცემები, მემუარული ლიტერატურა, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალა და სხვ. მიმოქცევაში შესულია საბუთების უმრავლესობა, საბჭოთა პერიოდში გამოცემული სამეცნიერო ლიტერატურა ნაკლებად ასახავს 1921-1927 წლების ისტორიულ რეალობას. იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ყველა ისტორიკოსი შეგნებულად ამახინჯებდა დოკუმენტაციას, რიგ შემთხვევაში აქ სხვა მომენტი იჩენდა თავს: საბჭოთა პერიოდში საარქივო მასალის ნაწილი ხელმიუწვდომელი იყო. მისი მოძებნა-შესწავლა დღემდე მიმდინარეობს, რადგან უმრავლესი ნაწილი დოკუმენტებისა კატალოგში არ არის შესული, ამდენად, მეცნიერებისა თუ ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვისაც უცნობია ნაშრომთა ადგილმდებარეობა.

80-იან წლებამდე გამოცემულ თითქმის ყველა სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხება, ეტყობა საბჭოთა იდეოლოგიისა და ცენზურის გავლენა. მათი გონება იმდენად შეეჩვია იძულებით ყალბი ისტორიის წერას რუსეთ-საქართველოს ომზე, შემდგომში ვერც არჩევდნენ, რას წერდნენ დაკვეთით და სიმართლე სად წამოსცდებოდათ. კალმის კონტროლმა გონების გაკონტროლებაც გამოიწვია. თითქმის ყველა ისტორიული წიგნის გადაფურცვისას გადავაწყდებით მარქსისა და ენგელსის ციტატებს, ასევე თუ როგორი ძლიერი, კეთილისმყოფელი და ყოველივე წარმატებულობის ინიციატორი იყო საბჭოთა ხელისუფლება. ბავშობიდან უნერგავდნენ მოსწავლეებს, რომ წითელი არმიის შემოსვლით საქართველო „განთავისუფლდა“. მოსკოვი ამბობდა, რომ მან თავისი თანამოაზრე „ძმები“, ქართველი ბოლშევიკები დაიცვა მტრებისგან. სინამდვილეში, საბჭოთა რუსეთმა არ გვაპატია დამოუკიდებლობის აღდგენა. მეცნიერებს უჭირდათ მოვლენების მართებულად

შეფასება, საერთოდ, ამ საკითხზე რეალობის წერა. ეს რომ გაეკეთებინათ, აუცილებლად დახვრეტდნენ, გადაასახლებდნენ ან სხვა რეპრესიულ ღონისძიებებს მიმართავდნენ მათ წინააღმდეგ. სწორედ ამ შიშმა დიდი ხნით გადადო ობიექტური ისტორიის წარმოჩენა.

ყურადსაღებია 1921 წლის 14 თებერვალს მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი გაგზავნილი დეპეშა, სადაც ლენინი მისთვის დამახასიათებელ, ჩვეულ მზაკვრობას იყენებს. იგი მიმართავს სამხედროებს: „ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით და იმ პირობით, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი ყველა მონაცემის სერიოზული განხილვის შემდეგ წარმატების გარანტიას მოგვცემს” (გაზ. კომუნისტი, 1989, 10 ივნისი). საერთაშორისო დონეზე ვერცერთ ნორმას ვერ დაიცავდნენ, ეს იყო მსოფლიოს წინაშე თავის გამართლების მცდელობა, მაგრამ მოსკოვს ამის გამო პასუხი არც არავინ მოსთხოვა. მარტივად რომ ვთქვათ, მას როგორც ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს ეს ამბავი შერჩა. რეალურად ამით დასცინა ქართველებს და სამხედროებსაც მოუწოდა ნებისმიერ ფასად დაეპყროთ საქართველო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასუსტებულ ევროპას რუსეთთან კონფლიქტი არ აწყობდა, შესაბამისად, მხოლოდ ზოგადი ფორმულირებებით შემოიფარგლებოდნენ. ლენინი იმიტომ მიმართავს სამხედროებს ამ სახით, რომ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას უკვე გაკაფული ჰქონდა გზა დასავლეთისკენ, ასევე მან მიიღო სახელმწიფო კანონები და დაემსგავსა ქვეყანას. საბჭოთა რუსეთის ჯარის შემოსევის აქტი შეფასდა ოკუპაციად. საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის სისასტიკე მე-11 არმიამ ომში გამარჯვების შემდეგაც აჩვენა, როცა უკან დახეულ მეომრებს სასტიკად უსწორდებოდა: ჩახოცეს ახალგაზრდები, გზად ვინც შემოხვდებოდათ, დაუნდობლად ექცეოდნენ. აშკარა იყო აგრესიული და შოვინისტური დამოკიდებულება. მიზანი სტალინის სიტყვების ზედმიწევნით შესრულება და ერის გენოციდი იყო. ამიტომაც პირველმა ბელადმა ლენინმა 1921 წლის 10 მარტს გამაფრთხილებელი წერილი გაგზავნა და მოსთხოვა ორჯონიკიძეს, შეეწყვიტა დიქტატურა და „ეზრუნა” საქართველოზე. ეს განცხადება მხოლოდ პოლიტიკურ ელფერს ატარებდა, რადგან დაპყრობილი ერის გაღიზიანება მას არ უნდოდა, უფრო მეტ რესურსს დახარჯავდა მათთან წინააღმდეგობაში, ტკბილი ენით კი ეს პრობლემა მოგვარდებოდა. ლენინს სურდა, საქართველოში რუსეთის შეჭრა შეფასებულიყო შიდა არეულობის მოგვარების მცდელობად. მაგრამ დამოუკიდებლობის წართმევა, გასაბჭოება და რუსეთთან შეერთება მსგავს „კეთილისმყოფელობას” გამორიცხავდა. ამიტომაც, მისი

„სამშვიდობო“ პოლიტიკა ევროპის რიგი სახელმწიფოების მიერ შეფასდა, როგორც ძალადობა. თუმცა დიდი სახელმწიფოები თავს იკავებდნენ და შერბილებულ პოლიტიკას არჩევდნენ რუსეთთან მიმართებაში. მაგალითად, ბრიტანეთი ამბობდა, რომ ეს რუსეთსა და საქართველოს შორის უნდა მოგვარდეს, ვინაიდან ეს რუსეთის საშინაო საქმე არისო. ბრიტანეთს თავისი ქვეყნის ინტერესების დაცვა უფრო პრიორიტეტულად მიაჩნდა, ვიდრე საქართველოს პრობლემები, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ის მკვეთრ განცხადებებს თავს არიდებდა. საქართველოსთვის დახმარებას არც სხვა სახელმწიფოები აპირებდნენ, რადგან პირველი მსოფლიო ომის შედეგებით განადგურებულ ევროპის ქვეყნებს წყალივით სჭირდებოდათ რუსეთი, რომ ეკონომიკურად ფეხზე წამომდგარიყვნენ და საქართველოს გამო უდიდეს სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობას არავინ გაიფუჭებდა. საქართველოს დამარცხებით რუსეთმა ყოველგვარი პრივილეგია მიიღო ქართველებზე: დაისაკუთრა მიწები და მისი გადანაწილებაც დაიწყო. საქართველოს ტერიტორიების მეხუთედი ჩამოაჭრეს. დღეს თუ ქემალისტურ თურქეთს არ უპყრია აჭარის ტერიტორია, ეს გენერალ გიორგი მაზნიაშვილისა და გრიგოლ ლორთქიფანიძის უდიდესი დამსახურებაა. ქართველებს გვყავდა თავგანწირული ადამიანები, მათი სწორი პოლიტიკით კი ქვეყანა მუდამ დაცულად გრძნობდა თავს უცხოტომელთა შემოსევებისას. გიორგი მაზნიაშვილს ს. ორჯონიკიძე ხელშეუხებლობას დაპირდა, თუ ის ბათუმს დაიცავდა, მაგრამ ს. ორჯონიკიძის დაპირება პატიების შესახებ მორიგი სიცრუე აღმოჩნდა. ის დაატყვევეს და ბრალად წაუყენეს ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო 1937 წელს ვაჟიშვილთან ერთად დახვრიტეს. დახვრიტეს ასევე გრიგოლ ლორთქიფანიძეც.

სამხედროებს ცეკას წარმომადგენელმა გაფრთხილება მისცა, არსად წამოსცდნოდათ ლორეს ნეიტრალურ ზონაში აჯანყების ხელოვნური ინსპირაციის თაობაზე, რაც სამხედროებს დაევაღათ ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან: „ცეკას მიაჩნია, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეთგვარდიელთა მხრიდან მოსალოდნელი განადგურებისაგან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში“ (გაზ. კომუნისტი, 1989, 10 ივნისი).

საბჭოთა ხელისუფლების ფარისევლობამ ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ეკლესიის დევნის გამო უცხოელი პარტნიორებისგან მიღებულ საყვედურს მაშინათვე ასეთი წერილით უპასუხა: „საქართველოში ანტისარწმუნოებრივი მოძრაობის განვითარებას საბჭოთა ხელისუფლების მტრები ხსნიან ამ მთავრობის ძალდატანებით და როგორც შინ,

ისე საზღვარგარეთ ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ იმის შესახებ, რომ ვითომ ეკლესია და სამღვდელოება ჩვენში დევნას განიცდის და იატაქქვემ იყოს ჩადენილი” (გაზ. „კომუნისტი”, 1923, # 172, გვ. 1). სინამდვილეში, ერთი წერილიც კი საკმარისია გამოვაქვეყნოთ, სადაც მორწმუნე მრევლი მთავრობას სთხოვს, არ ააწიოკოს ტაძრად მლოცველები: (იხ. დანართი № 3).

ეკლესიის წინააღმდეგ გაჩაღებული ფართო იდეოლოგიური ბრძოლების ფონზე, მრავლად მოგვეპოვება სასულიერო პირების გაპარსვის შესახებ ცნობები. საბჭოთა ხელისუფლებამ უსინდისოდ დაიწყო საპირისპიროს მტკიცება, თითქოს სხვა ხელისუფლების წარმომადგენლები ყოფილიყვნენ ის პირები, ვინც სასულიერო პირებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაართვა. სამღვდელოებას ყველანაირი სამოქალაქო აქტივობა შეუზღუდეს. ხელისუფლებამ ეკლესიას ძალა წაართვა. ხელისუფლება ანტირელიგიური მოძრაობის სტიქიურ განვითარებას გლეხობის სარწმუნოებრივი მოყრჩეულობით ხსნიდა, თითქოს გლეხებს მობეზრდათ ეკლესია, მღვდელი და ღმერთი. არქივში დაცული წერილიდან ჩანს, რომ ეკლესიისა და სამღვდელოების ეპოქის დასასრული საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას უკავშირდება: „...საკმაო იყო ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილ სხივებს შემოენათებიათ საქართველოში, რომ ანტისარწმუნოებრივ კამპანიას ფართო ხასიათი მიეღო, ეკლესია და სამღვდელოება ისტორიულ არქივს გადასცემოდა” (უახლესი ისტ. არქივი, ფ. 516, გვ. 1). სასულიერო პირებს იტაცებდნენ, სცემდნენ, კლავდნენ, თუმცა ხელისუფლება ამაზე დუმდა და თვალს ხუჭავდა.

ადამიანებს ეშინოდათ ღვთის სახელის ხსენება, როგორც ზეპირ მეტყველებაში, ისე წერილობით. ერთ-ერთი პიესის ავტორს, მხოლოდ იმის გამო აუკრძალეს სანახაობის წარდგენა, რომ უფლის სახელი ახსენა: „იაკობ, ღვთის გულისათვის...”, ან: „ღმერთი იყოს თქვენი მფარველი” (თავისუფლების მსხვერპლი, 1921, გვ. 43).

ბოლშევიკები და მენშევიკები თავიდან ორ ფრაქციად იყვნენ გაერთიანებული პარტიაში, სანამ ღვთის მგმობელ ცალკეულ ერთეულებად იქცეოდნენ. მათ ერთი პროგრამა და ერთი მიზანი ამოძრავებდათ. მუშათა კლასშიც პირველი რაც დანერგეს, ეს იყო ნებისმიერი ხერხით ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. მათ სახელმძღვანელოში – „კომუნისტის ანბანი” კარგად არის გადმოცემული მთავარი არსი: „მუშათა კლასის უდიდესი მიზანია კომუნისტური წეს-წყობილების განხორციელება; და ეს მიზანი მისი უდიდესი მიზანია” (ბუხარინი, 1920, გვ. 9). უდიდესი მცდელობის მიუხედავად, ბოლომდე მაინც ვერ შეძლეს ვერც მხატვრული და ვერც სამეცნიერო ლიტერატურიდან

ქრისტეს სახელის ამოღება. კარგად თუ გადავხედავთ იმდროინდელ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურას, დავრწმუნდებით ამაში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოიყენებოდა „ქრისტეს შობიდან“ წელთაღრიცხვის სისტემა. მაგალითად, (შინამრეწველობის განვითარების შესახებ წიგნში) წერია: „2500 წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე“ (კაკაბაძე, 1921, გვ. 25). ასევე პროფ. აბაკელიას წიგნში: „ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე — IV — საუკუნეში“ (აბაკელია, 1921, გვ. 1)... ადამიანი თავისუფალი არსებია და მას სრულად ვერ გააკონტროლებ. სხვადასხვა სახით მაინც ავლენდნენ სარწმუნოებას რესპრესირებული ადამიანები. კომუნისტები უკრძალავდნენ თავის რიგებში მყოფებს ღმერთის რწმენას. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ, ვარ კომუნისტი, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის ღმერთი მწამდესო. პარტიის პროპაგანდისტული წიგნი ამიტომაც დასცინოდა მათ: „ზოგიერთი უბადრუკი კომუნისტები ასე მსჯელობენ: „ მე რელიგია არ მიშლის კომუნისტად ვიყო. — მე ერთნაირად მწამს ღმერთიც და კომუნიზმიც. ღვთისმორწმუნოება სრულიად არ მიშლის ვიბრძოლო პროლეტარული რევოლუციის საქმისთვისო“ (ბუხარინი, 1920, გვ. 253).

საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი პირველი დეკრეტი იყო ეკლესიის სახელმწიფოსგან ჩამოშორების შესახებ. ეკლესიას ჩამოერთვა ყველა მიწა და გადაეცა მშრომელებს. მთელი მისი კაპიტალი იქცა მშრომელი ხალხის კუთვნილებად. ეკლესიას წაართვეს ყველა შემოსავალი, რაც მიღებული ჰქონდა მონარქიის პერიოდში და რის მიღებასაც მშვიდად განაგრძობდა სოციალისტ ალექსანდრე კერენსკის (ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მეთაური, 1918 წელს ემიგრაციაში გაემგზავრა საფრანგეთში, 1940-იდან ცხოვრობდა აშშ-ში) მთავრობის პირობებშიც. ეკლესიას აუკრძალეს სკოლებში შესვლა. ითვლებოდა, რომ ისინი რელიგიის სახით სიბნელეს ასწავლიდნენ მომავალ თაობას. აიკრძალა სამრევლო სკოლები, წირვა-ლოცვაზე სიარული. მშობლები ითხოვდნენ, რომ არასავალდებულო საგნის სახით მაინც ჩაესვათ რელიგიის სწავლება, რაც არ მოხდა. პარტიამ სასტიკი ბრძოლა დაიწყო. კომუნისტი იდეოლოგები არც მალავდნენ თავიანთ მიზნებს: „ჩვენ, კომუნისტები, მივისწრაფით წინ, რა დაბრკოლებაც უნდა გადაგვეღობოს. რა სიძნელეც უნდა შეგვხვდეს, ჩვენ მაინც პროლეტარიატის დიქტატურის გზით მივდივართ კომუნიზმისკენ“ (ბუხარინი, 1921, გვ. 124). საქართველოსთვის უცხო იყო ათეიზმი, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიან დამკვიდრებული ათეიზმის ვირუსი დღემდე საბედისწერო შედეგის მატარებელია. ადამიანის აზროვნებას ცვლის და, შესაბამისად, იცვლება სახელმწიფოებრივი ცნობიერებაც.

ეკლესიას თუ სამეფო კარი ათავისუფლებდა გადასახადებისგან, კომუნისტური პარტია პირიქით, უორმაგებდა და ართმევდა იმასაც რაც ჰქონდა. სამაგიეროდ, თავის მიმდევრებს ყოველგვარი გადასახადისგან ათავისუფლებდა: „ის წითელი არმიელები, რომლებიც ოჯახის ერთადერთ მარჩენლად ითვლებიან, უნდა განთავისუფლებულ იქმნენ ყოველგვარ ასეთის გადასახადისაგან” (ერქომანიშვილი, 1921, გვ. 54).

საქართველოს ორ იმპერიას შორის მოუწია ყოფნა – რუსეთისა და ოსმალეთის. გიორგი გვაზავა (1920) წერდა: „ამ ორ იმპერიის შუა იყო იგი გაჭყლეტილი, მოსპობილი პოლიტიკურად და თითქმის გადაგვარებული კულტურულად” (გვ. 1). საბჭოთა რუსეთმა არ უღალატა თავისი წინამორბედის პოლიტიკას და უფრო მასშტაბურად შეუდგა ქართული ეკლესიის, კულტურისა და ცნობიერების ნგრევას.

ზოგიერთი კანონი თითქოს უფრო შემწყნარებლური იყო რელიგიის მიმართ: „სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელი კომუნის წევრად... შეუძლიათ იყვნენ ყველა მოქალაქეები, სქესის, სარწმუნოების, ეროვნების, ქვეშევრდომობის და პროფესიის განურჩევლად, 18 წელს შესრულებულნი და საბჭოებში საარჩევნო უფლებებს არ მოკლებულნი, თანახმად კონსტიტუციისა“, თუმცა ესეც რეალურად ფომრალური კანონი იყო. (კომუნათა წესდება, 1921, გვ.9).

1921 წლის კონსტიტუციამ შეზღუდა ეკლესიის უფლებები (საქართველოს კონსტიტუცია, 1921, გვ 21). : (იხ. დანართი 4).

ერთი მხრივ, კონსტიტუციამ განსაზღვრა, რომ ყველა ადამიანის უფლება იქნებოდა დაცული: მიუხედავად სარწმუნოებრივი კუთვნილებისა (ჟურ. „ქრისტიანული დემოკრატია”, 1999, გვ. 4).

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 34-ე მუხლში ეწერა, რომ სარწმუნოების გამო არ შეიძლება ადამიანის დევნა (კონსტიტუციის პროექტი, 1920, გვ. 4). (იხ. დანართი 4).

დროთა განმავლობაში ვითარება ყველა მიმართულებით იცვლებოდა: სოფლის მეურნეობა, ეკლესია, ადამიანთა უფლებები და ა.შ. ამ კანონების მიღებიდან რამდენიმე თვეში საკმაოდ მძიმე ვითარება შეიქმნა საქართველოში, რასაც ადასტურებს 1921 წლის 6 ივლისის ი. სტალინის მოხსენება თბილისის ორგანიზაციის მიმართ: „ძველად იყო ლოზუნგი – „ყველაფერი ომისთვის”, რომელიც თავისთავად იცვლება ახალი ლოზუნგით: „ყველაფერი სახალხო მეურნეობისათვის” (ჯუღაშვილი, 1921, გვ. 5). საბჭოთა მთავრობის კანონები მიწის შესახებ უფრო ნათლად წარმოჩენს ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებულ პროტესტს, კანონში წერია, რომ ეკლესიას წაერთვას მიწა და გაფორმდეს სახელმწიფოს სახელზე(მახარაძე, 1921, გვ. 4-5). („დამატება #1" - „დეკრეტი

17" საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დადგენილება მიწის შესახებ) (მახარაძე, 1921, გვ. 15).

ეკლესია, სახელმწიფოს მხრიდან, დეზერტირების შესაკრებლად იყო აღქმული და მიიჩნევდნენ, რომ მან მიიტაცა ყველაზე საუკეთესო ადგილები, მონებად აქცია გლეხები, ამიტომაც იძულებულნი გახდნენ ყველაფერი წაერთმიათ, თუმცა ეს იყო შეგნებული პოლიტიკა სარწმუნოების წინააღმდეგ. მათ არ სურდათ რელიგიაზე დაფუძნებული ქვეყანა, ერთგვარ კონკურენტად აღიქვავდნენ სასულიერო იერარქიას.

კომუნისტური იდეოლოგია ქრისტიანობას ზედმეტ ბარგად თვლიდა და ახალგაზრდებს ასწავლიდა, რომ ქრისტიანობა „... უფრო გავს საურთიერთო დაზღვევის საზოგადოებას...“ (გაზ. კომუნისტი, 1922, # 6, გვ. 2).

ბოლშევიკი აგიტატორები ხალხს მოუწოდებდნენ ცრურწმენისგან განთავისუფლებულიყვნენ. ს. მინინის (1920) ნაშრომში „რელიგია და კომუნიზმი“ მორწმუნე საზოგადოებას ლანძღავს და მიმართავს, რომ უნდა განთავისუფლდნენ „ძვალ-რბილში გამჯდარი ცრუმორწმუნეობისა და ზნე-ჩვეულებებისგან“ (გვ. 17)... ზოგიერთი კომუნისტი იესო ქრისტეს, როგორც ისტორიულ პირს აღიარებდა და ასეთი ეპითეტითაც მოიხსენიებდა: „იესო ვიცნოთ სოციალისტ-კომუნისტათ“ (მინინი, 1920, გვ. 27).

ბოლშევიკები მთელი რუდუნებით ქმნიდნენ კომუნისტურ სახელმწიფოს. მათი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, ახალი საბჭოთა ადამიანის შექმნა იყო. ამ მიზეზით მოზარდის აღზრდა სრულად თავის თავზე აიღო სახელმწიფომ და ამ პროცესს ეკლესია ჩამოაშორა. ბოლშევიკებმა გამოსცეს სახელმძღვანელები, მათ შორის „ნარკვევები რელიგიურ რწმენათა განვითარებიდან“, სადაც ნეგატიურად არის რელიგიის საკითხები განხილული. ავტორს გული წყდება, რომ რელიგია მარქსიზმს უარყოფს: „... ხშირად მტრულად განწყობილიც არის მარქსიზმისადმი“ (სტეპანოვი, 1922, გვ. 1). პრევენციის მიზნით, ავტორი ცდილობს, სახელმწიფო მოხელენი დარაზმოს ეკლესიის წინააღმდეგ და სასულიერო პირები ამხილონ ცრურწმენაში (სტეპანოვი, 1922, გვ. 4-8) ამ პოზიციას კიდევ უფრო მეტად ამაგრებს მილცინის წიგნი: „უფალი ღმერთის აფეთქება“, რომელიც სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა ქართულ ენაზე. ე. იაროსლავსკი უფრო შორს წავიდა, ის შეეცადა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა, ხოლო სარწმუნოებაზე თხრობა ილუზიად და სიცრუის ტირაჟირებად წარმოეჩინა. იგი ღვთისნიერ მატყუარებს უწოდებს რელიგიის წარმომადგენლებს და წერს რომ: „იესოს არსებობა საეჭვოა...“ (იაროსლავსკი, 1923, გვ. 20-26).

არც ერთი ყრილობა, სესია, ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრა, ურთიერთობები ისე არ იმართებოდა, ეკლესიის საწინააღმდეგო პროპაგანდა რომ არ გაეჩაღებინათ. იბეჭდებოდა ყოველდღიური თუ ყოველკვირეული წიგნები და პროპაგანდისტული ჟურნალ-გაზეთები. როგორც ცნობილია, ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლების მარტივად აღსაქმელ წიგნს ეწოდება „კატეხიზმო“, კომუნისტებმა საკუთარ სწავლებას უწოდეს „მუშათა კატეხიზმო“ (ლაფარგი, 1923, გვ. 11). ამ სათაურის ქვეშ მოქცეულია კითხვა-მიგებითი საუბარი, სადაც აღწერილია მუშის რელიგიური მრწამსი: მაგ., „კითხვა: ვინაა შენი ღმერთი? პასუხი: კაპიტალი...“ (ლაფარგი, 1923, გვ. 15). ბოლშევიკებმა იცოდნენ, რომ სარწმუნოებას მარტივად ვერ გაანადგურებდნენ, ამისთვის კი ხალხს დოზირებულად შესთავაზეს პროპაგანდისტული წიგნები, სავალდებულო გახადეს ანტირელიგიურ თემატიკის მოხსენებებზე დასწრება, რითაც გარკვეულწილად დასახული მიზნის მიღწევა შეძლეს. გლეხები რელიგიურ წიგნებს ნაკლებად კითხულობდნენ და რაც ესმოდათ, ის გახდა მათთვის მთავარი მასაზრდოებელი წყარო. ლოცვაზე საუბრისას განსაკუთრებული ხერხი გამოიყენეს (იხ. დანართი 5).

ბოლშევიკ-კომუნისტების სიტყვით, კაპიტალისტებს ეპატიებოდათ უზნეობის ჩადენა, ადამიანის მოკვლა-გაუპატიურება, რადგან ის ფლობს ყველაფერს, მის ხელთაა ხელმწიფება ყოველ ადამიანზე. სიკეთე უცხოა მათთვის, ასწავლიდნენ მხოლოდ სიმდიდრე მოხვეჭათ: „ძილის წინ გირჩევნია ამბობდე: „მე მომგებიანი საქმე გავაკეთე“, ვიდრე იმახდე „კეთილი საქმე ვქმენო“ (ლაფარგი, 1923, გვ. 39). სახელმწიფო პირდაპირ მოუწოდებდა ხალხს, ეკლესიაში არ წასულიყვნენ. მღვდლები ემხილებინათ და ლოცვაც სხვაგვარად ეთქვათ. მაგალითად, მამაო ჩვენოს ლოცვას უწოდეს „კაპიტალისტის ლოცვები“. ლოცვა უფლისა: „მამაო ჩვენო, კაპიტალო, რომელი ხარ ქვეყანასა ზედა! ღმერთო ყოვლად შემძლებელო, რომელიცა შეუცვლი კალაპოტს წყალთა და გასჭრი მათათა, რომელიცა განყოფ ხმელეთსა და აერთიანებ ერებსა. ღმერთო, შემოქმედო საქონლისა და წყაროვ ცხოვრებისა, უფალო და მბრძანებელო მეფეთა და მის ქვეშევრდომთა, მუშათა და მათ ბატონთა. მოვედინ სუფევა შენი მთლად ქვეყანასა ზედა! მოგვეც ჩვენ მუშტარი, მყიდველნი ჩვენი საქონლისა სულერთია, კეთილნი თუ ბოროტნი! მოგვეც ჩვენ მუშები საწყალი, რათა დათანხმებოდნენ უდრტვინველად ყოველსა სამუშაოსა და კმაყოფილდებოდნენ სულ მცირესა სასყიდელსა! აიძულე, უფალო, მოვალენი ჩვენი გადაიხადონ ვალი თვისი სრულად და გაგვინადდე სავსებით თამასუქნი ჩვენნი! ნუ განაღებ ჩვენთვის კარსა „მოვალეთა საპყრობილისასა“ და და გვიხსენ ჩვენ

გაკოტრებისაგან. ამინ!“ (ლაფარგი, 1923, გვ. 43-44). აღსანიშნავია, რომ „მამაო ჩვენოს“ მსგავსი კიდევ არაერთი ვერსიაა ცნობილი (იხ. დანართი 6).

იგივე სულია ჩადებული ე.წ მრწამსში. ყველას უნდა ეფიქრა ფულზე, მის დაგროვებასა და ქვეყნის განვითარებაზე მატერიალურად.

სხვა ლოცვაც – „მრწამს და აღვიარებ“ გადააკეთეს და ემსახურებოდა ეკლესიის დაცინვას (იხ. დანართი 7). ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად ბოლშევიკებმა ეკლესია გაიხადეს. ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ ეკლესიას განუსაზღვრელი ძალა ჰქონდა სახელმწიფოსგან განსხვავებით, სწორედ ამიტომ დაიწყო დევნა, დაცინვა და შევიწროება. კომუნისტური მანიფესტი საეკლესიო კრიტიკით იწყებოდა, მათი თქმით, ხუცესი არისტოკრატის გაბოროტებას ასხურებდა მუდამ (მარქსი & ენგელსი, 1923, გვ. 57).

ეკლესია ფუფუნების წყაროდ მიიჩნეოდა, პროლეტარული მმართველობის მთავარი პარტიული მიზანი კი „ფუფუნებასთან ბრძოლა“ იყო (საქართ. კომუნისტური პარტია, 1923, გვ. 103). ი. სტეპანოვი წიგნის შესავალში წერს: „...ეს „ფიქრები“ დიდი ხნის განმავლობაში იწერებოდა, ცოტა ნაკლებ ერთი წლისა, შეეხებიან მრავალნაირ საგნებს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მკითხველმა მათში ერთგვარ შინაგან ერთიანობას ჰპოვებს. ჩემი დიდი სურვილია, რომ ამ ფიქრებს ჩაუკვირდენ ამხ. მუშები საერთოდ და განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მუშები“ (სტეპანოვი, 1923, გვ. 1). ბოლშევიკები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რელიგიის საწინააღმდეგო და ალტერნატიული წიგნები ყოველ ოჯახში ყოფილიყო, ერთ-ერთი ასეთი ს. სტეპანოვის წიგნია, საიდანაც ჩანს, თუ როგორი საშიში და მავნე იყო კომუნისტური პარტია. ფეხქვეშ იყო გათელილი ადამიანის უფლება, დაუცველია სამღვდლოება, მრევლი და ზოგადად, საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენელი. მათ ეკრძალებოდათ ქრისტიანულად აზროვნება.

სამღვდლოება ბნელ, განუვითარებელ, დეგრადირებულ ძალად არის მოხსენიებული, რომელიც დროულად უნდა გაენადგურებინათ (სტეპანოვი, 1923, გვ. 16).

მღვდლებს მოუწოდებდნენ რელიგიის უარყოფისკენ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნებოდა სასულიერო პირი საბჭოთა ხელისუფლებისგან დაფასებული და საზოგადოებრივ წრეში მიღებული. განათლება მღვდლისა ვერ და არ იქნებოდა დაფასებული, რადგან მისი რწმენა ყველაფერს ანადგურებდა კომუნისტების თვალში: „ყოველ მღვდელს შეუძლია მიიღოს უფლება პატივისცემაზე, თუ კი ის შეიგნებს და პატიოსნად აღიარებს, რომ მისი სამღვდლო მოღვაწეობა საზოგადოებისთვის სრულად უსარგებლოა“ (სტეპანოვი, 1923, გვ. 16).

სამღვდელოების ლანძღვა-დაბეზღება რა გასაკვირი იყო, როდესაც იესო ქრისტეზე წერდნენ მკრეხელურად. ბოლშევიკები ახერხებდნენ ეპისკოპოსების, მღვდლების, სახვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მდგომ სასულიერო პირთა გადაბირებას. მაგალითად, ქართულ სინამდვილეში ასეთი პროფესორი კორნელი კეკელიძე იყო, ყოფილი პროტოპრესვიტერი, სხვადასხვა საეკლესიო კანონპროექტის ავტორი. ასევე იყო ამერიკასა და რუსეთშიც. კ. კეკელიძეს დააწერინეს სააგიტაციო წიგნი ქრისტეს შობის შესახებ, სადაც ის ამტკიცებს, რომ ქრისტე გამოგონილი პიროვნებაა და მისი ცხოვრება ბუდას ცხოვრების ზეგავლენით არის შექმნილი (მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ, 1954). ამერიკელმა, ყოფილმა მღვდელმთავარმა ვილიამ მ. ბრაუნმა რელიგიის საწინააღმდეგოდ 110-გვერდიანი წიგნი დაწერა, სახელწოდებით „კომუნიზმი და ქრისტიანობა“. მის ქართულ თარგმანს ახლავს პ. კრასიკოვის წინასიტყვაობა, სადაც ის მედიდურად და გამარჯვებული ტონით გვამცნობს: „ეს წიგნი დაწერილია ამერიკის კაპიტალისტური საზოგადოების მმართველი კლასების წარმომადგენლის, მონანიების გზაზე დამდგარი ეპისკოპოსის მიერ“ (ბრაუნი, 1923, გვ. 3).

1921 წლიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად დაიწყო ბრძოლა ყველაზე სერიოზულ - რელიგიურ ფრონტზე. აქვე საჭიროა ვისაუბროთ იმ შედეგებზე, რომელსაც მიაღწიეს საქართველოში რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლით. სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში ჩვენთან უფრო მეტი გაკეთდა ამ კუთხით, ვიდრე ხუთნახევარი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე რესპუბლიკაში. ეს, რასაკვირველია, იყო არა საქართველოს კომუნისტური პარტიის „სასწაული“, არამედ რეპრესიის შედეგი. ამის დამადასტურებელი უტყუარი ფაქტები გვაქვს ხელთ. ბოლშევიკებმა დიდი იერიში მიიტანეს ეკლესიაზე, გამარცხეს, დააშინეს ხალხი, მეცნიერები აიძულეს ეწერათ სიცრუე, ამას არც მალავდნენ: „ამ უკანასკნელ ხანებში, - წერდა მაშინდელი პრესა, საქართველოში ანტირელიგიურ კამპანიას „კომკავშირის შობა“, „წმინდანების ნეშთების გამოამკარავება, „კომკავშირის აღდგომა“ და სხვა ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული, რელიგიამ დიდი დარტყმა განიცადა. აუცილებელია, რათა ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ იქნეს შეუწყვეტელი და სისტემური. მაგრამ არ კმარა მარტო, რათა უჩიჩინოთ ქართველ გლეხებს კრებებზე, მიტინგებზე თუ სხვაგან, რომ აღარ არსებობს ღმერთი, „წმინდანები“, „სამოთხე“ „ჯოჯოხეთი“ და სხვა, რომ ყოველივე ეს ფანტაზიაა. საჭიროა მეცნიერული დასაბუთება ჩვენ მიერ წამოწყებული არგუმენტისა; საჭიროა, რათა მთელ რიგ მეცნიერულ გამოკვლევათა პოპულარიზაციით, ჩვენი ყოველდღიური მოქმედებით დავარწმუნოთ ის ამაში“ (ადაროვი, 1923, გვ. VIII). მიუხედავად

რეპრესიებისა, მცირე რაოდენობით მაინც გამოიციმდა სასულიერო შინაარსის წერილები და ლექსები.

კომუნისტებმა რელიგიურ დღესასწაულთა ჩასანაცვლებლად დანიშნეს „მოსავლის დღესასწაული“. ამ დღეს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში დიდი წვლილი უნდა შეეტანა. ამავე დროს მას პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა (გაზ. „კომუნისტი“, 1923, # 237, გვ. 1).

1924 წლის XIII ყრილობის რეზოლუციის ამონაწერი გვაუწყებს: „მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ...(ანტისარწმუნოებრივ) პროპაგანდას“ (ლენინიზმი, 1924, გვ. 48). ბოლშევიკებმა ეკლესია გამოიწვიეს დუელში, სადაც მხოლოდ მათ აქვთ იარაღი ფიზიკური განადგურებისთვის, ვინაიდან ეკლესიას მხოლოდ სიტყვა და ლოცვა აქვს ცხოვრების მთავარ წესად და გამოსაყენებლად. მსგავს პროპაგანდისტულ წიგნებში ხშირად მოყავთ მარქსის ციტატა: „სარწმუნოების კრიტიკა ყველა სხვა კრიტიკის წინამძღვარიაო“ (ლენინიზმი, 1924, გვ. 48). უჩვეულოა ეკლესიის დახასიათებაც, რადგან მის ძლიერებასა და სიმტკიცეს განსაზღვრავენ „მითით, ფანტასტიკურობით, ცრუმორწმუნეობით, მოჩვენებითი ცოდნით“ (ლენინიზმი, 1924, გვ. 49).

ბაღისა და სკოლის მასწავლებლებს ევალებოდათ ეკლესიის პირდაპირი კრიტიკა და მოზარდის გონებაში უღმერთობის შობა: „საზოგადო სასადილოებს და საბავშვო ბაგებს შეუძლიათ რევოლუციონური გავლენა მოახდინონ ქალ-დიასახლისის შეგნებაზე და დააჩქარონ მისი სარწმუნოებისაგან ჩამოშორება...“ (ლენინიზმი, 1924, გვ. 50). ეკლესიის სიძლიერე და ხალხის რწმენა ღია დაპირისპირების საშუალებას ჯერ კიდევ არ აძლევდა ბოლშევიკებს, ამიტომაც სიფრთხილეს იჩენდნენ წერისას (ლენინიზმი, 1924, გვ. 50-51), რადგან ხალხის რეაქცია მწვავე იყო, ისინი მზად იყვნენ სიკვდილი, წამება და გადასახლება ეწვნიათ საკუთარ თავზე, ვიდრე რელიგიისა და უფლის უარყოფა დაედასტურებინათ სიტყვით. რელიგიას „ეარშიყებოდნენ“ კომუნისტები. მახვილი კუთხით უნდოდათ სარწმუნოების ჩამოთლა ადამიანის აზროვნებიდან. სარწმუნოების სრული ლიკვიდაცია მოსვლის დღიდან ჰქონდათ ჩანაფიქრში (ლენინიზმი, 1924, გვ. 54). შეიძლება კონკრეტული პიროვნებები გაღიზიანებას იწვევდნენ, მაგრამ როდესაც მთლიანად უცხადებ ეკლესიას ბრძოლას, ეს მავნებლობაა. სარწმუნოება იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი არ იყო მათთვის, რამდენადაც ძალაუფლების სრული ფლობა. ეკლესიას მოსისხლე მტრად მიიჩნევდნენ და სახელმწიფო ქონების მიმტაცებლად(კრილენკო, 1924, გვ. 4-5).

კომუნისტური პარტია ებრძოდა ყველა რელიგიას, მაგრამ განსაკუთრებით ქრისტიანობას, რადგან საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების დიდ ნაწილში ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები. საბჭოთა ხელისუფლება, ბუნებრივია, ვერ მიიღებდა რელიგიას თავის წიაღში. მისი მოძღვრება დიამეტრალურად განსხვავდება რელიგიური სწავლებისგან. ისინი თვლიდნენ, რომ რელიგია ადამიანების მიერ არის გამოგონილი და „დამყარებულია სიყალბეზე, ცრუმორწმუნეობაზე, ფანტაზიაზე...“ (კომკავშირის მეორე შობა, 1924, გვ. 3).

კომუნისტებმა კარგად შეისწავლეს გლეხის ფსიქოლოგია და მდგომარეობა და რასაც თავად კადრულობდნენ, იმის დაბრალება მოინდომეს ეკლესიაზე, ისიც აღნიშნეს, როგორი მარტივია მღვდლის წინააღმდეგ მომართო გლეხობა: „ადვილათ შეიძლება გლეხი დაარწმუნო იმაში, რომ მღვდელი მისი მტერია, რომ იგი დაუნდობლად სძარცვავს გლეხის ოჯახს, მის მიერ ოფლით მოპოებულ ნაამაგარს, მაგრამ ღმერთის არ არსებობაში მას ასე ადვილად ვერ დაარწმუნებთ — იგი მაინც წინანდებურად ეწამება მას“ (კომკავშირის მეორე შობა, 1924, გვ. 6). მიხვდა სახელმწიფო, რომ „ბრძოლა სარწმუნოების აპარატის — ეკლესიის წინააღმდეგ ერთია და ბრძოლა სარწმუნოების შინაარსის წინააღმდეგ — მეორე“ (კომკავშირის მეორე შობა, 1924, გვ. 7). სახელმწიფომ საგრძნობლად დააზიანა მსგავსი აგიტაციებით ეკლესიის ხილული მხარე. ადამიანები დააეჭვეს ქრისტიანულ სარწმუნოების ჭეშმარიტებაში (კომკავშირის მეორე შობა, 1924, გვ. 7).

ხალხს არწმუნებდნენ, რომ რელიგია იყო სიბნელე, ბოროტება, სიმახინჯე. წმინდა მამების ციტატები მოჰყავდათ არასწორად, ყალბად და დამახინჯებულად. მაგალითად, წმ. იოანე ოქროპირს ნაყალბევად ციტირებდნენ: „შემცდარია ის, ვისაც სწამს ქრისტეს ხორციელი დაბადებაო“ (კომკავშირის მეორე შობა, 1924, გვ. 22).⁴ წმინდა იოანე ოქროპირი ყველგან წერს ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებაზე, მის განკაცებაზე: „ყველაზე განსაკვირველი, ყოველგვარ იმედზე აღმატებული ის არის, რომ ღმერთი განკაცდა, ადამიანი შეიქნა. ხოლო როცა ეს აღსრულდა, ყოველივე, რაც შემდგომში მოჰყვა ამას, გასაგებიცაა და ბუნებრივიც“ (დიაჩენკო, 2001, გვ. 3). სამყაროს შექმნიდან დაწყებული, ადამიანის სულის წარმოშობით დასრულებული, კომუნისტები შეეცადნენ „მეცნიერულ“ დონეზე შეესწავლათ და გაეკრიტიკებინათ რელიგია, მისი აბსურდულობა დაემტკიცებინათ. ეს

⁴ წმ. იოანე ოქროპირის არც ლიტერატურაა მითითებული და ავტორს არც აზრი აქვს დასრულებული.

რომ არ იკმარეს, გადავიდნენ ქილიკზე და თეატრშიც კი დადგეს პიესა „ქრისტეს შობა“, სადაც მოქმედ გმირებად გამოიყვანეს: მორწმუნე, სახელად პეტრუმკა, მამა ღმერთი, იესო ქრისტე, ქალწული მარიამი და მითოლოგიური პერსონაჟები.

საბჭოთა იდეოლოგიები ყველანაირად ცდილობდნენ, ადამიანის ცნობიერებაში ქრისტე დაეკნინებინათ, ღმერთობა წაერთმიათ და მითოლოგიურ პერსონაჟებთან გაეთანაბრებინათ. იესო ქრისტეს ერთ სუსტ, ბრაზიან ადამიანად წარმოაჩენდენ (კომკავშირის მეორე შობა, 1924, გვ. 54-64).

მსგავსი პიესა 1923 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსიზეც შეთხზეს, სადაც მას უკიდურესად დასცინიან და საბჭოთა მაყურებელს სრულ სიყალბეს სთავაზობენ, თითქოსდა მამა ამბროსი ელოდა ღმერთს ძველი სტილით და ის გამოეცხადა ახალი სტილით – 25 დეკემბერს: „რა მოგახსენოთ კურთხეულო, მე მოგელოდით ძველი სტილით და თქვენმა დიდმა კეთილშობილებამ ახლით ინება მობრძანება (გაზ. „სპარტაკი“, 1923, #1, გვ. 2-3). თხრობა აქ არ წყდება და გრძელდება ეკლესიის, მღვდლებისა და ბერების ლანძღვით. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მეთოდი გამოიყენეს. ერთი პერიოდი მისი საპატრიარქოდან გამოსახლება და შენობის თეატრად გადაკეთება დააპირეს. როდესაც ციხეში ჩასვეს, საპატრიარქო სახლი გამოკეტეს და მნიშვნელოვანი საეკლესიო ნივთები წაიღეს.

საბჭოთა პერიოდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლებოდა საგანი „კომუნისმი რელიგიის წინააღმდეგ“ და ასევე „მუშათა მოძრაობა“ (ხაჭაპურიძე, 1921, გვ. 66-69).

ასევე ცალკე ტარდებოდა სააგიტაციო ლექციები ეკლესიის წინააღმდეგ „სახალხო უნივერსიტეტში“. სტრუქტურა არ იყო დარჩენილი, სადაც აგიტაციას არ ეწეოდნენ ეკლესიის წინააღმდეგ. წითელი არმიისთვისაც ცალკე იყო სახელმძღვანელო გამოცემული, სადაც ქვესათაურად ეწერა: „წითელი ჯარი და სარწმუნოება“ (ბუაჩიძე, 1924, გვ. 28). ჯარს არწმუნებდნენ ეკლესიის გაზულუქებასა და მუქთახორობაში. მუდმივად ცდილობდნენ ახალ-ახალი ტერმინები გამოეგონათ მღვდლებისა და ეკლესიის წინააღმდეგ. ეკლესია ქვეყნის ინტერესებისთვის იღვწოდა, რაც, რასაკვირველია, ბოლშევიკებს არ აწყობდათ. ისინი ყველაფერ ეროვნულის წინააღმდეგი იყვნენ. ღმრთისადმი ლოცვა და სარწმუნოებრივი ხედვა აერთანებს საზოგადოებას, საბჭოთა ხელისუფლების სურვილი კი იყო, ეს ძალა საკუთარ ძლიერებად ექცია! ისინი მკაცრად ქადაგებდნენ, რომ სარწმუნოება არ სჭირდებათ (ბუაჩიძე, 1924, გვ. 28). გული უწყუბდათ, რომ ბოლომდე ვერ გაანადგურეს ეკლესია: „მხოლოდ საქმე ის არის, რომ ჩვენ შორის

მორწმუნენი ჯერ კიდევ არიან. აი ამიტომ თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მოექცეს მორწმუნე ამხანაგს“... (ბუაჩიძე, 1924, გვ. 28-29).

საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად სპეციალურ კითხვარებს გამოსცემდნენ, რომლის შევსება საბჭოთა ქვეყნის ყველა მოქალაქეს ევალებოდა. ამ კითხვარების მიხედვით დგინდებოდა ადამიანის მსოფლმხედველობა, მდგომარეობა და შეგნება.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: „რა არის სარწმუნოება? ეს არის

საიდუმლოებაში, გამოუცნობელში რწმენა საიქიოში ბევრ ღმერთებში... როგორია როლი

სარწმუნოებისა კაცობრიობის ცხოვრებაში? „რელიგია არის ოპიუმი ხალხისთვის“ —

თქვა კარლ მარქსმა... სარწმუნოება... უფრო ადვილია ხალხის დასამონებლად... რათ

არის რელიგია და კომუნიზმი შეუთავსებელი? მიტომ რომ კომუნიზმი დაფუძნებულია

კაცობრიობის მეცნიერულ შესწავლაზე, და მეცნიერებაში კი ადგილი არა აქვს

ზებუნებრივ ძალებს...“ (მაგალითებრივი კითხვარი, გვ. 4). კომუნისტები მიუთითებდნენ,

რომ მეფის ხელისუფლება და ეკლესია შეთანხმებულად მოქმედებდნენ. სამეფო

ხელისუფლებისთვის ეკლესია წარმოადგენდა საყრდენს ცენტრალიზებული

ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, სანაცვლოდ ეკლესიას ყმა-მამულის სახით დიდ

შესაწირს წირავდა. „სასულიერო წოდება ლოცულობდა მეფეზე, მის შთამომავლობაზე,

აძლევდა აღზრდას მასებს და უწერავდა გულში ხელისუფლების პატივისცემასა და

მორჩილებას, ლოცავდა ჯარისკაცებს, რათა მათ ეომათ იმპერიალისტურ ომებში და სხვ.“

(მაგალითებრივი კითხვარი, გვ. 4). საბჭოთა ეპოქაში დამოკიდებულება შეიცვალა.

სასულიერო ხარისხის მიღება იშვიათად სურდათ საზოგადოებაში, რადგან საჯარო

დაცინვის ობიექტს წარმოადგენდნენ: „კბილები მას სხვაზე ნაკლებ არ უჭრის, ანაფორა

მსუნაგ მუცელს სიტიტვლისგან ფარავს და არა შიმშილისგან. ნუნუასაც ხომ წყალს ვერ

ანაცვალავს. ისიც კაცია, ჭამა-სმას, ჩაცმა-დახურვას ჩვეული სულიერი მამა.... ღიპი

შეუთხელდა, ღაღაბიც შემოადნა, წვერები გამხდარ ყელზე ბამბის ძაფებით ჩამოეკიდა“

(გაზ. კომუნისტი, 1925, # 266, გვ. 5). ხელისუფლებამ ამით კიდევ ერთხელ შეახსენა

ხალხს, რომ „გასუქებული“ მღვდლები, როგორც დრომოჭმული, ბნელი იდეოლოგიის

მსახურები მათხოვრებად აქცია იმით, რომ გადაუკეტა საარსებო წყარო ჩამორთმეული

ქონებისა და მრევლის სახით. სინამდვილეში, ეს იყო პროპაგანდა, რომელსაც არანაირი

კავშირი არ ჰქონდა რეალობასთან. კვირა დღე ყველაზე მიუღებლად ითვლებოდა, რადგან

ამ დღეს აღევლინება ტაძარში ღვთისმსახურება. ეს თემა განსაკუთრებულად დასაცინი

იყო კომუნისტებისთვის: თვითონ ღმერთმა დაისვენა და თქვენ რა ღვთისმსახურება

მოგინდათ... (ნევესკი, 1922, გვ. 4). ქრისტიანებისთვის კომუნისტების მიერ წაყენებული

ყველაზე უწყინარი ბრალდება ეს იყო. ისინი ცდილობდნენ, რელიგიურ ნიადაგზე სხვადასხვა აღმსარებელთა შორის კონფლიქტი წარმოქმნილიყო. ყველა რელიგია ასწავლის, რომ მისი სწავლება ჭეშმარიტია და ვისაც რომელი აღმსარებლობა სურს, მას მიიღებს. ასევე ქრისტიანობაც, მრწამსის მიხედვით, ადასტურებს, რომ მისი აღმსარებლობა ნამდვილია და უტყუარი. კომუნისტებმა შეისწავლეს დოგმატი ყველა რელიგიისა და სექტის მოძღვრება, რის საფუძველზეც შეეცადნენ, ისინი დაპირისპირებულ ბანაკებად ექციათ (ნევსკი, 1922, გვ. 4-7). მიზანი არ ყოფილა სხვა რელიგიების ღრმა შესწავლა და შემდეგ ანალიზის მიწოდება, მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ მსგავსი წერილებით საზოგადოების ცნობიერებაში ეჭვს შეიტანდნენ, განსაკუთრებით გლეხებში, რომლებსაც განათლება საერთოდ არ ჰქონდათ და გულწრფელად სწამდათ ღმერთი. ხელისუფლებამ შექმნა ანტირელიგიური იდეოლოგია, ჩამოაყალიბა სკოლები, ყველა გლეხის ოჯახში შეიტანა ანტირელიგიური ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. უცოდინრობის სალიკვიდაციოდ შექმნა წრეები, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ. სახელმწიფომ მთლიანი რესურსი გამოიყენა რელიგიის გასანადგურებლად. ამ მიზნით, ბეჭდავდნენ დარვინის თეორიას გაზ. „მუშაში“ და სამღვდელოებას აბრალებდნენ უვიცობის გავრცელებას (გაზ. „მუშა“, #284, 1923, გვ.8).

საბჭოთა ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა ასეა აღწერილი: „რატომ და როგორ ჩამოაშორა საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიას სახელმწიფო? მიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ სჭირდება ხალხის მოტყვილება და ეკლესიის დახმარება, თვლის სახელმწიფოსათვის საზიანოდ სასულიერო წოდებისათვის ჯამაგირის მიცემას. ამიტომ ხელისუფლებამ წაართვა მათ მიწა, დაბადების, სიკვდილის და ქორწინებისა და ჯვარის წერის აღრიცხვის უფლებები, იცნო კანონიერად სამოქალაქო შეუღლება და ბოლოს მოხსნა სარწმუნოების სწავლება სკოლებში“ (თანამგზავრი პოლიტგანათლების მუშაკისა, 1924, გვ. 190-192). კომუნისტები ფორმალურად არ უკრძალავდნენ ჯვრისწერებს, მაგრამ ეკლესიის დახურვა ამის ნათელი დემონსტრირება იყო. ვ. ლენინის ოცნებაც ეს იყო: „კომუნისტი მაშინ გახდება, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ იმ საუნჯეების ცოდნით, რომელიც კაცობრიობამ შექმნა“ (ლენინი, 1913, გვ. 314). ბავშვები 12 წლიდან უნდა აღზრდილიყვნენ პროპაგანდისტული ხედვით, რაშიც სამწუხაროდ ეკლესია ვერ ერეოდა, რადგან თვითონ იყო რეპრესირებული და ხელის შემლა ამ მავნებლობისთვის არ შეეძლო. ვ. ლენინმა დაუწერა რეზოლუცია საბჭოთა რესპუბლიკებს: „საჭიროა, რომ კომუნისტური კავშირი ადრევე, 12 წლიდანვე ზრდიდეს ყველას შეგნებულ და დისციპლინიან შრომაში“ (ლენინიზმი ლოზუნგებში, 1924, გვ. 15).

შეიქმნა საშეფო კომისიები, რომლის დანიშნულება იყო „კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა კულტსაშეფო სოფლებში ... პარტიის მიერ წამოწყებულ აგიტ-კამპანიების ჩატარება, ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდა და საამისოდ მატერიალისტურ თვალსაზრისით ახსნა ცხოვრების წარმოშობის, ადამიანის გაჩენისა და ცალკე ბუნებრივი მოვლენებისა, სადამოების გამართვა, სკოლებისა და ქობ-სამკითხველოების გახსნის დროს ყოველმხრივ მათი ხელის შეწყობა“ (როგორ უნდა მოეწყოს საშეფო საზოგადოება, 1925, გვ. 10).

კომუნისტებმა ანბანის შესასწავლ სახელმძღვანელოშიც შეიტანეს საბჭოთა სიმბოლოები, რათა ბავშვის გონებაში სამუდამოდ აღბეჭდილიყო ნამგალი, ურო და ვარსკვლავი (ანბანი, 1925, გვ. 4,6,13,34). მისი მსგავსი იყო ასევე მოზრდილებისთვის, არმიელებისთვის „პოლიტსათამაშოები“, რომელთაც წერა-კითხვა არ იცოდნენ და კომუნისტები უყალიბებდნენ ანტირელიგიურ ცნობიერებას (სპარტაკი, 1923, #54, გვ. 4). აღსანიშნავია, რომ მათი მცდელობა ყოველთვის წარმატებული არ იყო. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია თეორიულ მარცხს განიცდიდა. ცნობილია, რომ ერთ დღეში კომუნისტური უჯრედის 63 წევრმა დატოვა ანტირელიგიური კამპანიის რიგები (სპარტაკი, 1923, #57, გვ. 4).

მოზრდილთათვის დაიბეჭდა მოთხრობა „შრომის ქვეყანა“, სადაც მღვდლის მოღვაწეობა და წირვის მნიშვნელობა ძალიან იყო დაკნინებული. სამაგიეროდ, წამოწყებული იყო საბჭოთა ხელისუფლების როლი, მოთხრობის მთავარი მიზანია, ახალგაზრდებმა დაინახონ, რომ მათ ღმერთი ვერ უშველის, მაგრამ სახელმწიფო კანონი ზედმიწევნით დაიცავს მათ უფლებებს. ხშირად ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ეკლესიაში მღვდელთან კი არა, სასამართლოში – მოსამართლესთან უნდა გაარკვიონ საქმე, მოთხრობის ფინალიც სწორედ მსგავსი სიუჟეტით სრულდება (მეტრეველი & ჩიქობავა, 1924, გვ. 92-97).

1924 წელი მსგავსი შინაარსის პიესებისა და მოთხრობების გამოცემის სიუხვით გამოირჩევა. ნამდვილ კომუნისტად ითვლებოდა ის, ვინც ებრძოდა რელიგიას (წესდება და პროგრამა, 1924, გვ. 33-34). საბჭოთა ხელისუფლებამ რელიგია სკოლებში აკრძალა და საერთოდ, მისი სახელის ხსენებაც კი დავიწყებას მისცა, მხოლოდ ალაგ-ალაგ, ჩუმად თუ ვინმე ახსენებდა ღმერთის სახელს, ამიტომაც წერდნენ პროპაგანდისტულ წიგნში: „რელიგიასთან დამოკიდებულებაში რ.კ.პ. სახელმწიფოსგან ეკლესიის, ხოლო — ეკლესიისგან შკოლის გამოყოფის დეკრეტის გამოცემით არ კმაყოფილდება (წესდება და პროგრამა, 1924, გვ. 45-46).

ანტირელიგიური წრე დღით-დღე იზრდებოდა, მეცნიერების უდიდესმა ნაწილმა ღმერთს უარი უთხრა მსახურებაზე, მაგრამ სანაცვლოდ კაპიტალის „ჯვარი“ იტვირთა. თანამგზავრის მეორე გამოცემა სრულად ეძღვნება ანტიმართლმადიდებლურ პროპაგანდას, საუბრების მიხედვით არის გაწყობილი და მითითებული ყველა ლიტერატურა, რაც იმ პერიოდში გამოიცემოდა რელიგიასთან საბრძოლველად. ჯადოქრობასთან და ქურუმულ მსახურებასთან არის გაიგივებული „უქმები, მარხვის შენახვა, ლოცვები, მსხვერპლის გაღება და სხვა. ... ქრისტიანობა არის იდეოლოგიურ მოძრაობათა შეკრებადობა, რომლის პირველდაწყებით წყაროდ ითვლება იერუსალიმის სათემო და წარმოშობილია ჩვენი ხანის პირველი საუკუნის ნახევარში... პირველდაწყებითი ქრისტიანულ თემის კომუნიზმი იყო წმინდა მოხმარებითი და არა წარმოებითი... აღმოსავლური რელიგიების მრავალი ლეგენდები და რწმენები შევიდნენ სახარებაში“ (ბ. თანამგზავრი პოლიტგანათლების მუშაკისა, 1924, გვ. 1-10).

ეკლესიას მძიმე პერიოდი დაუდგა, სასულიერო პირი სკოლაში უშვებდა შვილს, იქიდან კი ლენინის მოყვარული მოზარდი უბრუნდებოდა. საპროპაგანდო წიგნები ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენდა. საქართველოს სსრ-ის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნმა მამია ორახელაშვილმა 1923 წელს საგანგებოდ წაიკითხა მოხსენება საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტებისთვის პროპაგანდისტული მოწოდებებით, რომ სოფელში გლეხს მუდმივად უნდა დაეხმაროს კომუნისტი, ადვილად ასწავლოს სწორი გზის მიგნება და აამაღლოს კომკავშირელის ავტორიტეტი: „არავითარ სიტყვებს არ შეუძლიათ თავის თავად შექმნან ეს ავტორიტეტი სოფელში, სადაც ჯერ კიდევ მძლავრია ავტორიტეტი „ძველების“, ხანდახან მღვდლისაც“ (ყრილობა, 1924, გვ.19).

ზოგიერთები წინააღმდეგობას უწევდნენ თანაპარტიელებს და არ ეთანხმებოდნენ რელიგიური წეს-ჩვეულებების სრულ აკრძალვაში, მათ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა ტრადიციულ დღესასწაულებში, ამ პრეტენზიის გამო კი ასეთებს იჭერდნენ (დადგენილებანი, 1925, გვ. 11-12). კომუნისტური სახელმწიფო აიძულებდა მშობლებს ქრისტიანული სახელის ნაცვლად სარკაზმით ლენინელი ეწოდებინათ პატარებისთვის. (ნორჩი პიონერები, 1925, გვ. 13-14). ქრისტიანებს ქრისტეს მიმდევრობის გამო ეწოდათ ეს სახელი. მათი საქმიანობა იყო სარწმუნოების გავრცელება და სულიერი თავისუფლებით მარადიულ თავისუფლებაში გადასვლა. კომუნისტებმა ამ მიმართულებით დაიწყეს პროპაგანდა და ქრისტე ლენინით ჩაანაცვლებინეს ნორჩ პიონერებს. მხოლოდ ერთი ქვეყნის ოკუპაციით ისინი არ დაკმაყოფილებულან, მთავარ მიზნად აქციეს მსოფლიოს დაპყრობა და ინტერნაციონალურ-ანტირელიგიური იდეოლოგიით ახალგაზრდების

აღზრდა. ამ მიმართულებით მცირე დეტალსაც კი აქცევდნენ ყურადღებას, ისინი ცდილობდნენ, ანტირელიგიური პროპაგანდა ნაყოფიერი ყოფილიყო, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის (ტაბიძე, 1926, გვ. 117). ბავშვის ფსიქიკა ყველაფერს ადვილად აღიქვამს, ძალდატანებაზე მეტად მათზე თბილი სიტყვები ჭრის. ადვილი და მარტივია ბავშვის მოტყუება, დარწმუნება, რომ ღმერთი არ არსებობს, რომ მღვდელი ცრუ და მატყუარაა, რელიგია კი გამოგონილი სასულიერო პირების მიერ. კომუნიზმს ჭეშმარიტებად წარმოაჩენდნენ, ბავშვები სწორედ ამ ჭეშმარიტებით უნდა განენათლებინათ: „კომუნიზმი, რომელიც აგებულია მეცნიერულ საფუძვლებზე, საშინელი მტერია რელიგიური ცრუმორწმუნეობის“ (ტაბიძე, 1926, გვ. 118).

რელიგია და კომუნიზმი ორი ურთიერთდაპირისპირებული ცნებაა. კომუნიზმი რელიგიური ცნობიერებისგან სრულ განთავისუფლებას ისახავდა მიზნად (ტაბიძე, 1926, გვ. 118). კომუნიზმი არა მხოლოდ რელიგიურობასა და რწმენას ართმევდა პიონერთა რიგებში გაწევრიანებულ ახალგაზრდებს, არამედ თავად მშობლებს სტაცებდა ხელიდან შვილებს, თითქოს იცავდა მშობლების „მეშჩანური“ გავლენისგან. ნებისმიერი განსხვავებული აზრი კომუნისტებისთვის მიუღებელი იყო და მკაცრი სასჯელით ისჯებოდა. თავდაპირველად ხატების მტვრევა და გუმბათების ჩამოქცევა დაიწყო, მაგრამ მიხვდნენ, რომ ამას ნაკლები შედეგი მოჰყვა და დაიწყო თანდათანობითი ღრმა, სისტემატური ანტირელიგიური აღმზრდელობითი მუშაობა ბავშვებზე. მათ ორ ნაწილად გაყვეს ანტირელიგიური პროპაგანდა: „პირველი — სისტემატური ანტირელიგიური მუშაობა და მეორე — ანტირელიგიური კამპანიები“ (ტაბიძე, 1926, გვ. 118).

1924-1925 წლის დასაწყისში საბჭოთა პარტიული სკოლები გადავიდა მთავარ პოლიტიკანის სამმართველოს გამგებლობაში, რომელსაც დაევალა პარტ-სკოლის ყოველგვარი სამნეო-საფინანსო კითხვების მოგროვება; სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას დარჩა მხოლოდ იდეური ხელმძღვანელობა. პარტ-სკოლების ქსელი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე 1924-1925 სასწავლო წლის განმავლობაში არსებობდა 9 პირველი საფეხურის და ერთი ცენტრალური მეორე საფეხურის (მასალები, 1925, გვ.208-209).

პოლიტიკოსები ეკლესიის ამბიონს, როგორც ტრიბუნას ისე მოიაზრებდნენ. ყოველი სიტყვა გულში მახვილივით ესობოდათ. ისინი ვერ დაუშვებდნენ რაიმე სახის პრივილეგია ჰქონოდა სამღვდლო პირს, ამიტომაც ყველა სტრუქტურიდან გამოდევნეს. ესეც არ აკმარეს და ეკლესიებიც დახურეს. როდესაც კომუნისტები სხვადასხვა პერიოდში მიღებული ანტირელიგიური დადგენილებების დადებით მხარეზე მსჯელობდნენ, თვითონვე განმარტავდნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო არ ერეოდა მოქალაქეთა

რელიგიურ რწმენაში, მაგრამ უკლებლივ ყოველი მათგანისგან მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას მოითხოვდნენ. ამიტომ 1926 წელს გამოცემული დეკრეტის მეექვსე მუხლი პირდაპირ გვეუბნება, რომ არავის შეუძლია თავისი რელიგიური რწმენის მიხედვით უარი თქვას სამოქალაქო მოვალეობათა შესრულებაზე, თვით მღვდელსაც. მხოლოდ განსაკუთრებით საპატიო შემთხვევაში სასამართლოს დადგენილებით ესა თუ ის მოქალაქე შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს ისეთი მოვალეობის შესრულებისაგან, რომელიც შეუძლებლად მიაჩნია მას თავისი რელიგიური რწმენის მიხედვით. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ერთი მოვალეობა მეორე სამოქალაქო მოვალეობით უნდა ყოფილიყო შეცვლილი.

მერვე მუხლის ძალით, სამღვდელოებას ჩამოერთვა სხვადასხვა სარწმუნოების პირთა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წარმოება და იგი მარტოოდენ სამოქალაქო ხელისუფლებას გადაეცემოდა (ქრესტომათია, 1926, გვ. 493-94).

დეკრეტის მეცხრე მუხლი იუწყება: „სკოლა გამოეყოფა ეკლესიას. აკრძალულია რელიგიური მოძღვრების სწავლება ყველა სახელმწიფო და აგრეთვე იმ კერძო სასწავლებლებში, სადაც საერთო საგანმანათლებლო საგნებს ასწავლიან. მოქალაქეთ შეუძლიათ ასეთი რამ კერძოთ ასწავლონ ან ისწავლონ“ (ქრესტომათია, 1926, გვ. 493-94).

თავისთავად ცხადია, არავითარ კულტსა და ღვთისმსახურებას სკოლის კედლებში ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

ამ დეკრეტის ძალით სახალხო საკუთრებად იქნა გამოცხადებული ყველა ის ქონება, რომელიც წინათ ეკლესიასა და რელიგიურ საზოგადოებას ეკუთვნოდა. მხოლოდ ის შენობა და საგნები, რომელიც წინათ სპეციალურად ღვთისმსახურებისთვის იყო მიჩნეული, კულტის მსახურთა უფასო სარგებლობაში რჩება. ამრიგად, ყველა სარწმუნოებისათვის უზრუნველყოფილია ღვთისმსახურება და სხვადასხვა საეკლესიო საგნებით სარგებლობა.

მაგრამ საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებას, რომელნიც დეკრეტის ძალით კერძო საზოგადოებებსა და კავშირებს გაუთანასწორეს, არ ეძლევათ საკუთრების მფლობელობის უფლება და საერთოდ იურიდიული პირის უფლებაც. ამ დეკრეტმა არა თუ დაკეტა სამღვდელოებისათვის ხაზინის კარები, არა თუ გამორეკა ისინი სკოლებიდან, სავაადმყოფოებიდან, არმიიდან და ფლოტიდან, არამედ ჩამოართვა მათ ის უზარმაზარი უძრავი ქონება და კაპიტალი, რომელიც სამღვდელოებამ თვითმპყრობელობის ლოცვა-კურთხევით შეაგროვა.

მესამე მუხლი სინდისის თავისუფლებას აცხადებს. „თვითელ მოქალაქეს შეუძლია აღიაროს ესა თუ ის რელიგია, ან არც ერთი არ აღიაროს“. რელიგიის უფლების ყოველგვარი შეზღუდვა, რომელიც მეფის კანონების მიხედვით ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარებასთან იყო დაკავშირებული, — დღეს გაუქმებულია.

საბჭოთა რესპუბლიკაში მოქმედ ყველა ეკლესიას და რელიგიურ საზოგადოებას თავისი კულტის მსახურებისა და პროპაგანდის სრული უფლება ეძლევა. ადგილობრივ ხელისუფლებას აკრძალული აქვს გამოსცეს რაიმე დადგენილება, „რომელიც შეზღუდავს ან შეავიწროვებს სინდისის თავისუფლებას“ (ქრესტომათია, 1926, გვ. 493-94).

დეკრეტით დაწესებულია მხოლოდ ერთი და მასთან აუცილებელი შეზღუდვა. მეხუთე მუხლი გვეუბნება: „თავისუფალი ასრულება რელიგიური წესებისა უზრუნველყოფილია იმდენათ, რამდენათაც იგი არ არღვევს საზოგადოებრივ წესიერებას და არ ემუქრება საბჭოთა რესპუბლიკას და მოქალაქეთა უფლებებს. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება აქვს ყოველგვარი ზომა მიიღოს საზოგადოებრივი წესიერებისა და მშვიდობიანობის დასაცავად“ (ქრესტომათია, 1926, გვ. 493-94).

ეს შეზღუდვა სრულებითაც არ ავიწროებს რელიგიურ თავისუფლებას და აღნიშნულია დეკრეტში იმისათვის, რომ კონტრ-რევოლუციურ სამღვდელოებამ საეკლესიო კათედრა პოლიტიკურ ტრიბუნათ არ გამოიყენოს“ (ქრესტომათია, 1926, გვ. 495-96). სასულიერო პირთა უმეტესი ნაწილი დაპატიმრებულ, გადასახლებული ან დახვრეტილი იქნა.⁵ საბჭოთა ხელისუფლებამ მოიტანა იარაღისა და დახვრეტის თავისუფლება.

წითელარმიელებს საწყის ეტაპზე რელიგიურ წრეთვინებს უტარებდნენ, თუ რომელიმე მათგანი მორწმუნე იყო, მათში ურწმუნოებას ნერგავდნენ. პროპაგანდის მოძველებისას ახალ მოდელსა და გზებს ეძებდნენ (კომუნისტი, 1925, #182, გვ. 1). სასჯელის შემსუბუქება მხოლოდ ათეისტებზე მოქმედებდა, ნებისმიერი სხვა მოქალაქე, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციას ეკუთვნოდა, უმკაცრესად ისჯებოდა, ყოველგვარი მიზეზების გარეშე.

სპეციალური დიაგრამები და პროცენტული მაჩვენებლები იქმნებოდა წლების მიხედვით. 1926 წელს ჩატარებული კვლევით, სრულიად არამორწმუნე წითელარმიელი იყო — 47%; ისეთი წითელარმიელი, ვისაც თავის რწმენაში შეჰქონდა ეჭვი — 22%; მორწმუნე წითელარმიელი — 31%. ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანა იყო წითელარმიელთა შეგნებაში ეჭვის გაჩენა (შიფრესი, 1926, გვ. 87). მორწმუნე

⁵ იხ. ს.ს.ს.რ. „მსჯავრდებულთა ცნობარი“, 1925წ. და 1924 წ. ნაწილისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, 1926, ტფილისი...

წითელარმიელთა გულჩათხრობილობა და გლეხების საეკლესიო ცნობიერება ძალიან არ მოსწონდათ, ამისთვის ქმნიდნენ ანტირელიგიური პროპაგანდის ფორმებს: „შესაფერისი წიგნები სამკითხველოებში, ანტირელიგიური კუთხეები — ლენკუთხეებში, ლექციები, სააგიტაციო-გასართობები, სააგიტაციო ინსცენირებები და სხვ. ყველა ამ მუშაობის ფორმებში, პროპაგანდის ზემოაღწერილი პრინციპები სავსებით და მტკიცედ უნდა იქნეს დაცული. ასე მაგალითად, ანტირელიგიური კუთხე არ უნდა განისაზღვროს მარტო სამღვდელელოების მამაგებელი პლაკატებით. ისეთ პლაკატებთან ერთად, რომელიც ააშკარავებს მღვდლების საშუალებების უვარგისობას სოფლის გოლვისაგან დაცვის საქმეში, უნდა იყოს აგრეთვე ისეთი პლაკატებიც ჩამოკიდებული, რომელიც მართლა გვიჩვენებს ჩვენ გოლვისაგან⁶ თავდაცვის ნამდვილ საშუალებებს“ (ა. შიფრესი, 1926 გვ. 88-89).⁷

წლების განმავლობაში საბჭოთა მანქანამ ისეთი სტრატეგიები შეიმუშავა, რომელიც შემდგომში ინერციით იმართებოდა. ყოველი ადამიანის მოქმედებას აკონტროლებდნენ, ბავშვობის ასაკიდან უკვე იცოდნენ მორწმუნე საზოგადოების პროცენტული მაჩვენებელი და ისიც, თუ ვინ განიდრიკა სარწმუნოებისგან, რამდენმა დაგმო ღმერთის არსებობა და შეუერთდა ჭეშმარიტ პროლეტარიატს. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ხარვეზებიც გამოიკვეთა, რის გამოსწორებასაც ყრილობის პერიოდში ცდილობდნენ და ახალ რეზოლუციებს ადგენდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ბაღს, სკოლასა და უნივერსიტეტს, ასევე არმიას. ყველაზე დიდი ბირთვი სამომავლო რესურსებისა გონებრივი და ფიზიკური დანიშნულებითაც სწორედ ამ დაწესებულებებში იყო. მასა სჭირდებოდათ პროპაგანდისთვის, იცოდნენ რომ სიმრავლეშია მათი ძალმოსილებაც. მორწმუნისთვის თუ ღმერთია ძალა და არანაირი გარეგნული ფაქტორი, მებრძოლი ხელისუფლებისთვის სწორედ მისი პოლიტიკისა და იდეოლოგიის მომხრე ადამიანთა სიმრავლე ქმნიდა მთავარ საყრდენს. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მ. ცხაკაიას ხელმოწერით ძალზედ საინტერესო დადგენილება გამოიცა, რაც ეხება რელიგიურ საზოგადოებებს (იხ. დანართის სახით ნაშრომის ბოლოს). ამ დადგენილებით, ერთი მხრივ, ეკლესიას მიეცა თავისუფლად მოღვაწეობის საშუალება ფორმალურად, თუმცა აღნიშნული დადგენილება უფრო დიდი მიზნებისთვის სჭირდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას ზუსტად სცოდნოდა, რაოდენობა და მათი

⁶ გოლვაში იგულისხმება სტიქიური შემთხვევა, გვალვა.

⁷ მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე მოვლენები აღწერილი აქვთ „კომკავშირის პოლიტიკითხვის ჯგუფის სახელმძღვანელო“-ში, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი 1926 ქუთაისი, გვ. 229-231. სათაური „ჩვენი მტრები“.

მსახურებისთვის შერჩეული ადგილი. დეტალურ ინფორმაციას თავად მსახურების მსურველნი მიაწვდიდნენ ნებაცოფლობით. კომუნისტებმა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებამდე, მთლიანად აღწერეს, მოქმედი ტაძარები და განსაზღვრეს, ყველაზე მეტად სად მოუწევდათ ბრძოლა. აღნიშულ ხელშეკრულებას მოყვება „დანართი“, სადაც მღვდელმსახური ან მორწმუნე მრევლი ვალდებული იყო სახელი, გვარი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და მისი პირადი მონაცემები – შეეტანა. ამავე დროს, პირობას ადებინებდნენ, რომ იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების მორჩილი.

ეკლესიას აიძულებდნენ, ხელისუფლებისადმი ლოიალური განწყობილება ჰქონოდა, წინააღმდეგობის შემთხვევაში, კანონით დასჯიდნენ. მორწმუნე მრევლი ვალდებული იყო, გადასახადები ეკლესიის შესანახად თვითონ გაეღო. სახელმწიფო ვალდებულებას აკისრებდა: „საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთისმსახურება არა სწარმოებს, შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი ქონების დროგამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად“ (კრებული, 1926, გვ. 62). ეკლესიას შემოსავლის თალსაზრისითაც არ ჰქონდა თავისუფლება, ხელისუფლებას შემოწირული თანხების ანგარიშიც უნდა აღენუსხა. ზედმიწევნითი კონტროლი მართვის ახალი მექანიზმი იყო, თუ რამდენად ძლიერია ესა თუ ის ტაძარი ფინანსურად ან რა ბერკეტებს ფლობს. ეკლესიის წარმომადგენელი თუ გადაწყვეტდა ტაძრის ჩაბარებას, საეკლესიო ქონებაც უნდა მიეცა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, მას არ ჰქონდა საკუთრების უფლება, თუნდაც შეძენილ თუ ნაჩუქარ ნივთზე. ხელშეკრულების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ეძლეოდნენ საეკლესიო პირები (კრებული, 1926, გვ. 63).

ეკლესიების დახურვა უმიზეზოდ ხდებოდა. სოფ. ჩუმლაყში (კახეთი) შეკრიბეს გლეხები, გააკეთეს მოხსენება ანტირელიგიურ თემაზე, შემდეგ კი გლეხობა აიძულეს, მიეღოთ რეზოლუცია ეკლესიის დახურვის შესახებ. შემწყნარებლობა და დემოკრატია უცხო იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის და ამას არც მალავდნენ: „უკანასკნელ დროის განმავლობაში კამათში და წერილებში ხშირად აღნიშნავენ იმას, რომ „წმინდა“, „გაშლილი“, „იდეალური“ დემოკრატია განუხორციელებელია და რომ დემოკრატია ჩვენთვის საზოგადოდ თვით მიზანს არ შეადგენს. ეს სავსებით უდავოა...“ (პარტიის ახალი ამოცანები, 1924, გვ. 20).

ქართველი ხალხის საწინააღმდეგოდ მუშაობდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება. მან ზუსტად გადმოიღო ბრძოლის ის მეთოდები, რითაც რელიგიას ებრძოდნენ ლენინელები. საბჭოთა კავშირის არსებობის ათი წლისთავზე გამოვიდა გლეხთა სახელმძღვანელო ანტირელიგიური წრეებისთვის. სახელმძღვანელოს შექმნისათვის ათი

წლის განმავლობაში ეომებოდნენ ეკლესიას, რის შემდეგაც შეიძინეს გამოცდილება. ისინი ხედავდნენ, რომ მსგავსი პროპაგანდით რელიგიურობასა და რწმენას კლავდნენ საზოგადოებაში. განსაკუთრებით კი ახალგაზრდა გლეხობაში. ეკლესია ყველა კუთხიდან განიცდიდა წნეხს, საშინელი წნეხი იწვნის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, საიდანაც მოდიოდა საფრთხე: ეს არის ქობ-სამკითხველო, წითელი კუთხე, კომკავშირი, პარტიის უჯრედი, პიონერთა რაზმი, მუშა-ქალების და გლეხი-ქალების დელეგატთა კრება, კოოპერაცია, ავიაქიმია, სასოფლო-სამეურნეო წრე, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, რადიო, მუშურ-გლეხური გაზეთი, ურწმუნოთა კავშირის უჯრედი და ა.შ.

(ანტირელიგიური წრეების სახელმძღვანელო, 1928, გვ. 4). ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია და ურწმუნოთა მთელი სოფლები და თემები შექმნა. დროებითი კამპანია არსად უწარმოებიათ, ყველგან ხანგრძლივსა და ბეჯით მუშაობას ეწეოდნენ ეკლესიის გასანადგურებლად. მეცნიერების მიმართაც თავისებური მიდგომა ჰქონდათ – მორწმუნე მეცნიერებს არ აღიარებდნენ, ცდილობდნენ, მიეჩქმალათ ეკლესიისთვის სარგო საბუთები. 1927 წელს სახელმძღვანელოს შექმნისას მათ მხედველობაში ჰქონდათ ლენინის სიტყვა: „რელიგიის ყოველმხრივი კრიტიკა“ (ანტირელიგიური წრეების სახელმძღვანელო, 1928, გვ. 8). ანტირელიგიური სახელმძღვანელო შეიცავს 13 გაკვეთილს ანუ როგორც ისინი უწოდებენ „13 მეცადინეობას“. ათი წლის განმავლობაში დაგროვილი „გამოცდილება“ მათ სახელმძღვანელოდ აქციეს, რომელიც რეალურად რეპრესიის, ცილისწამებისა და ქრისტიანობის ბუნებისადმი სიძულვილით გაჯერებული კრებულაა. ისინი უხსნიან მუშებს, რომ ადამიანი მორწმუნე არ იბადება, ეკლესიამ და მეფემ მათ მიწები წაართვა, ამუშავებენ იაფად. ღმერთისადმი რწმენა რეალურად უვიცებისთვის არის საჭირო და არა მშრომელი გლეხობისთვის. ამავე წიგნში ცალკე თავია შეტანილი „რელიგია და მედიცინა“.

საზოგადოებაში ათეიზმის დამკვიდრებით კომუნისტები მივიდნენ იმ მდგომარეობამდე, რომ ჩვევად ექცათ ეკლესიასთან ბრძოლა. ხშირი კეთილისყოფით ადამიანის სულიც კეთილშობილი ხდება, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ აირჩია ბოროტმოქმედება, რომელმაც შვა ტირანია.

საქართველოს ეკლესიას არა მხოლოდ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება, არამედ ხანდახან თვით რუსი ეპისკოპოსები ებრძოდნენ: „როდესაც 1926 წელს, სწორედ რუსეთისათვის ანგარიშის გაწევის გამო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ იქნა მიწვეული კონსტანტინეპოლში მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა შეკრებაზე, საქართველოს ეკლესიის მეთაურმა უწმინდესმა ამბროსიმ და საკათალიკოსო

საბჭომ საპროტესტო წერილით მიმართეს მსოფლიო პატრიარქს — ბასილ III-ს. წერილს ხელს აწერდნენ: უწმინდესი ამბროსი, საკათალიკოსო საბჭოს წევრთაგან — ნინოწმინდელი მიტროპოლიტი ლეონიდე, დეკანოზები: ი. მირიანაშვილი, გ. გამრეკელი, მოქალაქეთაგან: ი. რატიშვილი, გ. იმნაიშვილი. უწმიდესმა ამბროსიმ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა, როდესაც გაუგზავნა „მშური“ ეპისტოლე პატრიარქს (დათარიღებულია 1926 ე. 24 ივლისით). ეპისტოლე დაწერილი იყო კალისტრატე ცინცაძის მიერ. მასში გამოიხატა საკმაოდ მკვეთრი დამოკიდებულება აღნიშნულ გაურკვევლობასთან დაკავშირების...: „აღმოსავლეთის პატრიარქთა მდუმარებამ და საქართველოს ადგილობრივი უძველესი ეკლესიის მიმართ უყურადღებობამ, კადნიერყო შფოთისა, მძულვარებისა და ძმათა ურთიერთობაზე ამხედრების მოყვარენი. არა გვსურს ვიფიქროთ, რომ ეს მდუმარება და უყურადღებობა გამოწვეულია ამა სოფლის მოსაზრებითა: პატარა ერის ეკლესიური ინტერესები მსხვერპლად შესწიროს დიდი ერის ეკლესიურ მეგობრობას და კეთილ განწყობილებას...” (როსტომაშვილი, 2009, გვ. 65-66).

საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს უჭირდათ და ამიტომ ითხოვდნენ შველას. მიუხედავად სიმძიმისა, ისინი ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რისი მაგალითიცაა სოფ. ბობნევის მღვდელი გიორგი პაპელიშვილი, რომელიც თანამსახურ დიაკონთან ერთად წინააღმდეგობას უწევდა საბჭოთა კავშირის მიერ გამოცემულ დეკრეტებს (#4. გორის არქივი, 1923 წელი, ფონდი # 3; აღწ. 1; საქმე 26). სასულიერო წოდება რომც დაეტოვებინათ, კომუნისტური ხელისუფლება მაინც ეჭვის თვალით უყურებდა ასეთ ადამიანებს, საზოგადო საქმეს იშვიათად ანდობდა. უმეტესი მათგანი უფრო შეუბრალებელი და დაუნდობელი ხდებოდა სხვა ეკლესიის წევრების მიმართ, რომელთაც არ უარყვეს ქრისტე და შეინარჩუნეს სარწმუნოება. კომუნისტები ფიქრობდნენ, რომ ასეთი ადამიანები არ იყვნენ ბოლომდე სანდო, რახან თავის „პარტიას“ უღალატეს და ღმერთი არაფრად ჩააგდეს, მით უმეტეს, ვითარების შეცვლის შემთხვევაში არ გაუჭირდებოდათ უარის თქმა საბჭოთა ხელისუფლებაზე. ამის მაგალითია მღვდელყოფილ ზაქარია ბერიძის ისტორია. გაზეთმა „მუშამ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ყოფილი მღვდელი საზოგადო საქმეში არ გამოგვადგება“ (სოფ. კავთისხევი, გორის მაზრა): ყოფილი მღვდელი ზაქარია ბერიძე ერთობ მოხერხებული კაცია, რა დროც უნდა დადგეს და როგორი პირობებიც არ უნდა შეიქნეს, ის თავის პირადი საქმის მოჭახრაკებას ყოველთვის შესძლებს და მშრალათ გამოვა ცხოვრების აბოზოქრებულ მიმდინარეობიდან. რა კი ზაქარიამ დაინახა, რომ მღვდლობა სახიერო საქმე აღარ იყო, მყისვე გაიხადა ანაფორა და საზოგადო, საერთო

სარბიელზე სცადა თავისი ნიჭი და უნარი, — შეძვრა კოოპერატივში ბუჰხალტრათ, აქედან კიდევ სოფლის საკრედიტო ამხანაგობაში მოიკალათა. მაგრამ მოკალათებაც არის და მოკალათებაც! ჩვენ და არც სხვა ვინმეს, აბა რა ექნებოდა ნამღვდელევ ზაქარიას საწინააღმდეგო, ის რომ იოტის ოდენათ მაინც ანგარიშს უწევდეს ჩვენი ხელისუფლების მიზნებს ღარიბი გლეხების დახმარების საქმეში, რომ მას ბანკი და კოოპერატივი თავის ბოროტი პოლიტიკის გამტარებელ დაწესებულებად არ გადაეყცია... განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება საკრედიტო ამხანაგობაში სესხის მისაღებათ მოსულ გლეხობისადმი: თუ თვალში მოუვიდა რომელიმე მათგანი, მისცემს სესხს, თუ არა და ზედაც არ შეხედავს. ამის გამო გლეხებში ისმის სამართლიანი საყვედური, როგორც თვით ზაქარიას მიმართ, ისე ბანკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგაც:

– თუ ამ კაცს, მისი მღვდლობის დროს ხელებზე ვკოცნიდით, ახლა იძულებული ვართ მუხლებზე ვეამბოროთო!

– განა ხალხი გაგვიწყდა, რომ ასეთ გაიძვერას ორ დიდ და საპასუხისმგებლო თანამდებობას ვაძლევთ?

ოღონდაც! მღვდლებსა და ეპისკოპოსებს ადვილათ შეუძლიათ სამოსელის გამოცვლა, მაგრამ რწმენისა და ზნე-ჩვეულების გამოცვლა მათთვის ადვილი საქმე არ არის“ (მუშა, 1927, #1378, გვ. 6).

მღვდლების დამცირება ანაფორის გახდით არ მთავრდებოდა, ისინი შემდეგაც თავდასხმის ობიექტი ხდებოდნენ. საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნეს, რომ ისინი ქვეყნისთვის „ხორცმეტნი“ იყვნენ. მღვდელი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი ოჯახისგან გადმოცემულ ტრადიციებს ინახავდა, მორწმუნე და მოკრძალებული ადამიანი იყო. კაცებს საოჯახო პროფესია ჰქონდათ – ხატებს წერდნენ, ამიტომ მეზობლები მათ შთამომავლებს დღესაც მხატვრიანთ ეძახიან. ასევე უწოდებდნენ მას მეტსახელად „ჯადოღვდელს“, რადგან უცნაური სამეღვდელე გამოუგონებია ორიგინალური მექანიზმით. ერთხელ ამ სამეღვდელისთვის ყურადღება მიუქცევია ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარს კალისტრატე ცინცამეს, რომელსაც უთქვამს: რას არ მოიგონებ, ნამდვილ ჯადო ხელი გაქვს, უბრალო სასმელი წყალი „უკვდავების წყლად“ აქციე, მომაკვდავებს სიცოცხლეს უბრუნებ, ახლა ეს ჯადოსნური მექანიზმი გამოგიგონებიაო. მას მერე ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილს „ჯადოღვდელი“ შეარქვეს და სახელით და გვარით აღარავინ იხსენიებდაო. სხვადასხვა დაავადებისაგან განკურნების მეთოდი (ელექტროჰომეოპათია) თურმე პეტერბურგელი პროფესორის, სმირნოვისაგან შეუსწავლია, რომელსაც თავის მხრივ, ეს მეთოდი იტალიაში, ქალაქ ბოლონიაში იქაური ექიმ-ფარმაცევტის გრაფ

მატიისაგან აუთვისებია და ბალახეულისგან ამზადებდა წამლებს, რითაც გარკვეულწილად დახმარებას უწევდა გლეხებს. მასთან ხალხის ხშირი ვიზიტი მთავრობისთვის შფოთის მიზეზი გახდა, დიდხანს არ დააყოვნა მთავრობამ და ჯადოს ფსევდონიმით მუქარის წერილი გამოაქვეყნა, რითაც გლეხებს მოუწოდა თავი დაენებებინათ მღვდელთან სტუმრობისათვის: „საგარეჯოში, სოფ. გიორგ წმინდაში ერთი წმინდა მამაც გვყავს — ეს გახლავთ მღვდელი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი. ამ მღვდელს „სულის ცხონებაზე“ უფრო კარგად ექიმბაშობა ემარჯვება. პურის მარცვლებით და სხვადასხვა პირუტყვების ძვლებით ხალხს განკურნებას უპირებს. — ექიმებმა რა იციან... მე ჩემი საკუთარი წიგნიც მაქვს გამოცემული, რომელსაც ჰომეოპათიური წამლობა ეწოდება და ერთი შეხებით არჩენს ავადმყოფს“ — ასე ავრცელებს ხმებს ხალხში ექიმბაში მღვდელი. ზოგიერთი უვიცი გლეხი ებმება ამ მატყუარას მახეში. ამრიგად მღვდელი ორნაირ სამოღვაწეო საქმეს აკეთებს. „სულსაც აცხოვნებს და ავადმყოფსაც „ჰკურნავს“. ხშირად ხდება ხოლმე, რომ მის მიერ „განკურნებული“ ავადმყოფი საიქიოში პოულობს სამუდამო განსვენებას. საჭიროა ამ მღვდელსაც მივსცეთ გამსახლში სამუდამო თუ არა დროებით — „განსვენება“ მაინც“ (მუშა, 1927, # 1438, გვ. 6). მღვდლის კეთილი საქმე ბოლშევიკებისთვის მიუღებელი იყო, ცენტრალური არქივის დირექციას მკაცრი გაფრთხილება მისცეს იმის გამო, რომ ყოფილ სასულიერო პირს დააწყებინეს სამსახური, წერილიც გამოქვეყნდა: „ცენტრ-არქივის „თაიგული“. ჩვენ ზომებს ვღებულობთ, რომ ჩვენი დაწესებულებები გავწმინდოთ არა-საბჭოთა ელემენტებისაგან, გავაძლიეროთ თანამშრომელთა მუშური შემადგენლობა — რატომღაც, ასე არ იქცევა ცენტრ-არქივი, რომელიც ისეთ პირების ბუდეთ გადაქცეულა, რომლებიც მონარქიზმის დროს რევოლუციის დაუძნებელი მტრები იყვნენ და დღესაც მზად არიან მათთვის ხელსაყრელ დროს დანა ჩაგვცენ ზურგში. როდესაც ამ მდგომარეობაზე მიუთითებენ არქივის დირექციას, — პასუხად მზად არის: — ჩვენ მათ ვამუშავებთ, როგორც მაღალ ღირსების სპეცებსო“ (მუშა, 1927, # 1759, გვ. 5)...

ბოლოს, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების მცდელობა ეკლესია გაენადგურებინა და საზოგადოების ცნობიერება შეეცვალა ათეისტურად, გარკვეულწილად წარმატებით დასრულდა. ეკლესია დასუსტდა და წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა ხელისუფლებას. მოსახლეობა მოტყუვდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ გაუჩინა კეთილდღეობის მოლოდინი ეკლესიის ხარჯზე, მაგრამ სანაცვლოდ მიიღეს დიქტატურა და მონობა.

ეკლესიამ უდიდესი ბრძოლის მიუხედავად შეძლო საკუთარი ღირსების შენარჩუნება, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან განადგურდა საეკლესიო ქონება, დაინგრა ტაძრები, დახვრიტეს სასულიერო პირები, დახურეს სასულიერო სასწავლებლები, თუმცა მაინც მოახერხეს შენარჩუნებინათ რწმენა.

III თავი

იდეოლოგიური ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ 1921-1927 წლებში

3.1 ანტირელიგიური კამპანია 1921-1927 წლების პერიოდული გამოცემების მიხედვით

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ანტირელიგიური პროპაგანდის ხერხებმა და მეთოდებმა ცვლილება განიცადა. საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა სისტემატურ და გეგმაზომიერ ანტირელიგიურ მუშაობას. 1922-1923 წლებისთვის საქართველოში გაჩნდა „ურწმუნოთა“ და „ათეისტთა“ წრეები და უჯრედები. პირველი ოფიციალური ათეისტური ორგანიზაცია „ანტირელიგიური პროპაგანდისა და აგიტაციის სახით“, ქალაქ ვორონეჟში დაფუძნდა. 1923 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა „მოსკოვის უღმერთოთა კავშირი“, რომელიც გაერთიანდა ახალი ჟურნალის „უღმერთო დასვასთან“ გარშემო (სილაგაძე, 2014, 67). 1924 წელს რუსეთში, სევერდოვინის რაიონში ჩამოყალიბდა საზოგადოება „ათეისტი“ (სილაგაძე, 2014, 68). 1924 წლის 27 აგვისტოს, გაზეთ „უღმერთოს“ რედაქციაში შემდგარ კრებაზე მიიღეს წესდება, რის საფუძველზეც შეიქმნა ორგანიზაცია: „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ემილ იაროსლავსკი (ნამდვილი სახელი და გვარი მინეი იზრაილოვიჩ გუბელმანი) პროფესიით ისტორიკოსი, პარტიის წევრი და გამოცდილი ათეისტი, არაერთი გაზეთის სათავეში იდგა (სილაგაძე, 2014, 68). საბჭოთა საქართველოში უფრო ადრე 1923 წელს ეკლესიის წინააღმდეგ დაარსდა გაზეთი „ღვთის წინააღმდეგ“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა რელიგიურობის წაშლა ხალხის მეხსიერებიდან, რაც, ცხადია, არ იყო იოლი საქმე, ამიტომ მოქმედებდნენ ერთმანეთთან შეთანხმებულად. აღნიშნული გაზეთი გამოსცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ. საბჭოთა ხელისუფლების წესდების ძალით, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ წევრობა შეეძლო საბჭოთა ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდებოდა, რადგან კონსტიტუციის მიხედვით, საარჩევნო უფლებით სარგებლობა სწორედ ამ ასაკიდან იყო ნებადართული. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირში“ გაწევრიანებულ პირს ევალებოდა ანტირელიგიური პროპაგანდა, კარდაკარ სიარული, ღმერთისა და სამღვდელოების ლანძღვა. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირში“ გაწევრიანება ეკრძალებოდათ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ პირებს, ვაჭრებს, ყოფილ ბოქაულებსა და პოლიციელებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ სტრუქტურა ისე მოაწყო, რომ 18 წლამდე ასაკის მოზარდებსაც შეეძლოთ გაწევრიანება, გაწევრიანება კი ევალებოდა ყველას. კავშირის წევრებს აძლევდნენ სპეციალურ, ანტირელიგიურ სახელმძღვანელოს, რომლის შესწავლის შემდეგ კვირაში რამდენიმე საათი აგიტაციისთვის უნდა გამოეყო.

სოფელში მცხოვრები გლეხი წევრიანდებოდა უჯრედში. უჯრედები ეწყობოდა საბჭოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, ქობ-სამკითხველოებთან, კლუბებთან და სასოფლო-სამეურნეო კომუნებთან. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ორგანიზაციას ამგვარი უჯრედები ხელს უწყობდა, სოფლებში ადვილად გაეცვრცელებინა ანტირელიგიური სწავლება. მის დასაარსებლად საკმარისი იყო ხუთი ადამიანი, რომელთაც „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ წევრობის უფლება ჰქონდათ. უჯრედების დაარსება შესაძლებელი იყო პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის, საშეფო ორგანიზაციისა და მათი წევრების თაოსნობით და უჯრედის დაფუძნება შეეძლო „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ყველა წევრს.

„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ცენტრალური საბჭოს წესდებით, კავშირში შემავალთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო არაუმეტეს ცხრა ადამიანისა, რომლებსაც სამ წელიწადში ერთხელ ირჩევდა საგუბერნიო საბჭოების კონფერენცია.

ბოლშევიკურ ხელისუფლებას სურდა, რომ ანტირელიგიური საზოგადოება ჩამოეყალიბებინა. ანტირელიგიური საზოგადოების შექმნის პირველ მცდელობას საქართველოში ადგილი ჰქონდა 1921 წლის აპრილში, როდესაც „წითელ მოაზროვნეთა კავშირის კავკასიის საორგანიზაციო კომიტეტმა“ (შსს. არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქმე 145. 45, 1922) თხოვნით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოში ანტირელიგიური ღონისძიების ჩატარების აუცილებლობაზე. მ. ხუციშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სავარაუდოდ იქვე აღნიშნული იქნებოდა სამღვდელოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად საზოგადოების მზაობის შესახებ. მაგალითისთვის მოჰყავდათ ქ. მოსკოვი, სადაც ამ დროისთვის პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან უკვე არსებობდა ანტირელიგიური მუშაობის სპეციალური განყოფილება და გამოდიოდა გაზეთი „ეკლესია და სახელმწიფო“. „კომიტეტს“ საჭიროდ მიაჩნდა, რომ საქართველოშიც გაშლილიყო მსგავსი საქმიანობა (ხუციშვილი, 1978, გვ. 4). ეკლესიამ ვერ გაუძლო ზეწოლას და სასულიერო პირთა სიმრავლემ უარყო სამღვდელო ხარისხი.

1922 წლიდან საბჭოთა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ ახალგაზრდებიც ჩართო ანტირელიგიურ კამპანიაში. მათ აიძულებდნენ სასულიერო პირები და ეკლესია ელანძღათ, ღმერთის სახელი ეგინებინათ, რომელსაც შემდეგში იმით ამართლებდნენ, თითქოს ახალგაზრდებს მოხეზრდათ მატყუარა მღვდლების სმენა (იხ. გაზ. კომუნისტი, 1923, # 84, 15 აპრილი).

უფრო მავნე მიზნებისთვის „კომიტეტს“ გადაწყვეტილი ჰქონდა ანტირელიგიური ჟურნალის „პრომეთეს“ გამოცემა და თეატრის დაარსება სახელწოდებით „წითელი აზრი“, რომლის რეპერტუარშიც ძირითად ადგილს დაიჭერდა ანტირელიგიური და ეკლესიის საწინააღმდეგო შინაარსის პიესები. ისინი ცდილობდნენ ყოფილი მღვდლების მონაწილეობით ჩაეტარებინათ მიტინგები და ხალხისთვის რწმენა დაეკარგად. ასეთი შეკრებები ხშირად იმართებოდა ხელისუფლების ინიციატივითა და ორგანიზებით. მსგავსი შეკრება აღწერილია 1923 წლის გაზ. „კომუნისტის“ აპრილის ნომერში, სადაც ვკითხულობთ, რომ მიტინგს ესწრებოდა 1200-მდე კაცი, იმსჯელეს საეკლესიო დღესასწაულების აკრძალვაზე და განიხილეს ისეთი მტკივნეული საკითხი, როგორც იყო მიწის რეფორმის შედეგები. ხალხის „მოთხოვნით“ კრებაზე გამოსულა სოფლის ყოფილი მღვდელი იასონ მხატვრიშვილი, რომელსაც უსაუბრია, თუ როგორ ატყუებდა სამღვდელთა მორწმუნეებს. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: დაიხუროს მაზრაში ყველა ეკლესია, გადაკეთდეს ისინი სკოლებად, კლუბებად და სამკითხველოებად (გაზ. „კომუნისტი“, 1923, # 104, 10 აპრილი).

1923 წლისათვის გაზეთმა „ღვთის წინააღმდეგ“, ხელისუფლების აზრით, დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, ან არც ისე აქტუალური აღმოჩნდა, ანტირელიგიურ პროპაგანდას ვერ ეწეოდა, ამიტომ მათ დააარსეს ანტირელიგიური კედლის გაზეთი, რომელიც ქობ-სამკითხველოებში იბეჭდებოდა. ყველა ქალაქსა და სოფელს ჰქონდა საკუთარი გამომცემლობა, რომელსაც უნდა გაეშუქებინა ადგილობრივი რელიგიური და ანტირელიგიური ცხოვრება. კედლის გაზეთის მიზანი იყო მღვდლების დამცირება, ცრუ, ყალბი ისტორიების გავრცელება ეკლესია-მონასტრების შესახებ. კედლის გაზეთში იბეჭდებოდა სამღვდელოების გასაკიცხი ლექსები, მოთხრობები, როგორც სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ან წიგნებიდან გადმობეჭდილი, ისე ადგილობრივი პროპაგანდისტების მიერ შედგენილი.

1923 წლის 8 იანვარს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს № 34 დადგენილების თანახმად, ყველა ტაძარი კომკავშირს უნდა გადასცემოდა ახალგაზრდების კულტ-საგანმანათლებლო მუშაობისთვის. ეკლესიის წინააღმდეგ მიიღეს შემდეგი დადგენილება

- „ტაძრები აშენებულია მეფის მთავრობის მიერ საქართველოს დაპყრობის ნიშნად და მუშათა და გლეხთა შვილების სულიერი დამონებისათვის“ (გამახარია, 2012, გვ. 385). ეკლესია არ ურიგდებოდა ტაძრების დახურვას, თუმცა პატრიარქის მიმართვე ბელისუფლებისადმი უყურადღებოდ რჩებოდა და უმეტეს შემთხვევაში მთავრობის მხრიდან უარყოფითი რეაქციით სრულდებოდა.

ბოლშევიკური ხელისუფლება სოფლის მოსახლეობას აიძულებდა, გაზეთში დაებეჭდა ანტირელიგიური მოწოდებები. ხშირ შემთხვევაში, სოფლის მოსახლეობის სახელით საუბრობდნენ, მაგრამ, რეალურად, სოფელს წვლილი არ მიუძღოდა ამ საქმეში. 1923 წელს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მოწოდება სოფ. ტობანიერის შუამთის უბნისა და დიდი ჯიხაიშის მოსახლეობის სახელით იმის თაობაზე, რომ ნათესავეები და მეზობლები არ ჩამოსულიყვნენ მარიამობის აღსანიშნავად, რადგან შუამთის უბნის გლეხობას გადაეწყვიტა, მარიამობის მაგივრად აღენიშნა 25 ოქტომბერი(N^o 61).

„ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ყველა სოფლები და ქალაქები მოვფინოთ ანტირელიგიური წრეებით“ (ორაგველიძე, 1924, გვ. 32). მართლაც, ანტირელიგიური პროკლამაციებით მოიფინა მთელი საქართველო. ხელისუფლების დაკვეთით 1921 წელს მღვდელი მათე ალბუთაშვილი დააპატიმრეს, გზაში ცემეს, ესროლეს და სასიკვდილოდ დაჭრეს, თუმცა იგი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. უმიზეზოდ დაპატიმრებულ მღვდელს შფოთისთაობას აბრალებდნენ, რადგან არ მოსწონდათ მისი აქტიურობა და პატიოსნება.

1922-1923 წლებში საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაინგრა ათასობით ტაძარი. განსაკუთრებული მოძრაობა ამ მხრივ დაიწყო 1923 წლის იანვარში (სპარტაკი, 1924, #69, გვ. 1). იერიშები 1923 წლის ზაფხულში განახლდა, ანტირელიგიური კავშირი მიზნად ისახავდა ინტენსიური ანგარიში ჩაებარებინა ახალგაზრდა კომკავშირელთათვის.

წმინდა პატრიარქ ამბროსის შეურყეველ და სამართლიან პოზიციას აფასებდნენ როგორც დრომოჭმულს და დამყაყებულს: „ეკლესიის მსახურნი გადაჭარბებული ერთგულებით გამოდიოდნენ დრომოჭმულ, დამყაყებულ რეჟიმის, ინტერვენციის და საქართველოს მშრომელების დამონავების დამცველებათ. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია პატრიარქ ამბროსის პროცესი (რუსეთში ტიხონოვშიჩინა). ამ კამპანიის დროს ეს ფაქტი ახსნილ და განმარტებულ უნდა იქნას მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასაში“ (სპარტაკი, 1924, # 84, გვ. 3). პატრიარქი ამბროსი გამორჩეული იყო თავისი ცხოვრების წესით, მაგრამ ახალგაზრდა კომკავშირელები რას აღარ კადრულობდნენ მისი ავტორიტეტის შესაღებად: ეკლესიას გმობდნენ, სულიერ ლიდერს შეურაცხყოფდნენ და ხალხს აშანტაჟებდნენ. მიუხედავად შიშისა, სოფლებში მაინც ითხოვდნენ დახურული ტაძრების

გახსნას. ადგილობრივი უჯრედების წარმომადგენლები კი ჩიოდნენ, რომ ხალხი ითხოვდა ეკლესიის გახსნას, მათ კი ეს აღიზიანებდათ (სპარტაკი, 1924, # 84, გვ. 3). ხელისუფლება მოითხოვდა პირველი მათი აღდგომის დღესასწაულის საპირისპიროდ გამოყენებინათ (სპარტაკი, 1924, # 84, გვ. 3). წინააღმდეგობის რევოლუციური სული ბოლომდე შეინარჩუნა კომუნისტურმა პარტიამ. ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ დადგებოდა ისეთი დრო, მათ მიერ შექმნილი და ნალოლიავები სისტემა ჩამოიშლებოდა. ისინი სრულიად საპირისპიროს ელოდნენ წლების განმავლობაში: „ამოცანები, რომელნიც თქვენ გაქვთ დაკისრებული, განუზომელია: ჩვენმა თაობამ დაიწყო კომუნისტური რევოლუცია, თქვენი თაობა დაასრულებს მას, კომუნისტური რევოლუცია არის ხანგრძლივი პროცესი, გაივლის წლები, შეიძლება ათეული წლებიც მკაცრი ბრძოლისა. ამ ბრძოლისთვის უნდა ემზადოთ“ (სპარტაკი, 1924, # 85, გვ. 1). ამ სიტყვების ხორცშესხმად შეიძლება ჩაითვალოს 1924 წელს ჩატარებული ანტირელიგიური ღონისძიება რუსთაველის თეატრსა და თავისუფლების მოედანზე, სადაც მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს, დაეგმოთ ღმერთი და ეკლესიებიდან განედევნათ მღვდლები (სპარტაკი, 1924, # 91, გვ. 3).

1924 წლის აპრილის თვე ტყიბულის რაიონს გამოარჩევს. წესისამებრ, ჯერ კომკავშირის რაიკომი შეუდგა კამპანიის მოსამზადებელ პროცედურას. პროფკოლექტივში დასვეს საკითხი „კომკავშირის აღდგომის“ ჩატარების გეგმა. 27 აპრილისთვის ყველა უჯრედში ღია კრებებზე წაკითხულ იქნა მოხსენებები. კამპანიის ჩატარებას უფრო მასიური ხასიათი ჰქონდა თვით მაღაროებში. შეხვედრა გაიმართა მაღაროების კლუბში (ადრე ტაძარი იყო). შეკრებაზე მიიღეს შემდეგი შინაარსის დადგენილება: „ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება რელიგიურ ცრუმორწმუნეობაზე, სრულიად დროულად და მიზანშეწონილად მიიჩნია საბჭოთა ხელისუფლებისა და მით უმეტეს კომკავშირის შეტევა ყოველგვარ რელიგიურ ცრუმორწმუნეობაზე. დარწმუნებული იმაში, რომ რელიგია აბნელებს ადამიანის გონებას და გზას უხშობს საღ აზროვნებას, თვითეული ჩვენთაგანი ვალად რაცხს ებრძოლოს ამ ცრუმორწმუნეობას და გზა გაუხსნას და ემსახუროს ხალხის გამოფხიზლების საქმეს“ (სპარტაკი, 1924, # 92, გვ. 3). ხალხის გამოფხიზლება მორწმუნე ადამიანის ტანჯვას ეწოდებოდა, ისინი შვილებს ვეღარ უშვებდნენ სკოლაში, მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ იძულებული გახადა მშობლები შვილის „აღზრდისთვის“ ეზრუნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას საერთოდ ჩამოართმევდნენ მშობლის სტატუსს. მშობლების შიში არ იყო უსაფუძვლო, რადგან ხელისუფლებამ 1923 წელს დაარსა ბავშვთა კომუჯრედების კუთხე. სკოლაში უდიდესი

დრო ეთმობოდა პოლიტიკურ და ანტირელიგიურ აღმზრდელობას (სპარტაკი, 1924, # 92, გვ. 4). ქრისტიანებს უქმნიდნენ ისეთ პირობებს, რომ უხერხულად ეგრძნოთ თავი, ეუბნებოდნენ რომ აღდგომის ან რომელიმე დღესასწაულის აღნიშვნით ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ ადმინისტრაციას (სპარტაკი, 1924, # 93, გვ. 1). როდესაც ქვათახევის მონასტერში ჩასულ კომკავშირლებს იქაურმა ბერებმა უამბეს მტრის მიერ 500 ბერის მოწამებრივად აღსრულების ისტორია, როგორ ამოწვა მტერმა ისინი ლოცვის ჟამს, კომუნისტები ამ თხრობამ გააღიზიანა: „უკეთესი არ იქნებოდა, ეს ხუთასი კაცი ხელკეტებით გასულიყო მტერის წინააღმდეგ... უფრო დიდ სარგებელს არ მოუტანდნენ ხალხს? მაგრამ სამღვდელოებას უნდა კეთილი ცხოვრება და არა ბრძოლა“ (მუშა, 1924, # 50, გვ. 3).

მღვდელს უფლება არ ჰქონდა პირადი საჭიროებისთვის, ოჯახის ან მონასტრის შესანახად გასამრჯელო მოეთხოვა, მას ზიზღითა და ლანძღვით ისტუმრებდნენ (მუშა, 1924, # 50, გვ. 3). ინტელიგენციასა და სტუდენტებს მკაცრად აფრთხილებდნენ, თუ ისევ გააგრძელებდნენ ლოიალურ დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ, მოქალაქეთა რიგებიდან ამორიცხავდნენ. მუშებს ავალებდნენ, ოჯახში პროპაგანდა გაეწიათ სამღვდელოების წინააღმდეგ. ვინმე ნიკო მკერავი იხსენებს: „დიდ სიამოვნებას ვგრძნობდი, როდესაც სობოროს ჯვარი თბილისში წითელი ვარსკვლავით შეცვალეს“ (მუშა, 1924, # 50, გვ. 3). მეცნიერებისა და განათლების კერად ეკლესიას არ თვლიდნენ, მხოლოდ კომუნისტური ხედვა ითვლებოდა „სადვითო“, უმაღლეს საქმედ. ამიტომაც დაარსეს „კომუნისტური უნივერსიტეტი“, სადაც არ ღებულობდნენ მორწმუნე, რელიგიურ ადამიანებს (მუშა, 1924, # 66, გვ. 1).

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით, ყოველგვარი რელიგიის, მათ შორის ქრისტიანობის, უღრმესი ფესვები, უმთავრესი მასაზრდოებელი წყარო საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში უნდა ეძებნა ადამიანს. ლენინი ამბობდა, რომ საციალურ-კლასობრივი ჩაგვრა ყოველგვარი რელიგიის არსებობის უმთავრესი მასაზრდოებელი წყაროა კლასობრივ საზოგადოებაში. ამაში მდგომარეობდა რელიგიის ყველაზე ღრმა თანამედროვე ფესვი (სახაროვი, 1956, გვ. 3). ყოველწლიურად იხვეწებოდა ბრძოლის ტაქტიკა. არც მეორე მსოფლიო ომამდე და არც მას შემდეგ არ დალილა საბჭოთა ხელისუფლება ყოველწლიური ანტირელიგიური პროპაგანდისტული გეგმის შესრულებით: 1924-1925 წლებში ანტისაღდგომო პროპაგანდა იყო გაჩაღებული, 1925-1927 წლებში ნათლისღების საწინააღმდეგო, კულმინაციამ კი 1936-1937 წლის 20 იანვარს მიაღწია. „მებროძოლ უღმერთოთა კავშირს“ განსაკუთრებით ამაგრებდა კომუნისტური

უჯრედი და გაზ. „სპარტაკი“. რა შედიოდა კომუნისტური უჯრედის ფუნქციაში? ნებისმიერ ფასად ეკლესიის შენობა ექცია კლუბად, სკოლად ან რაიმე სხვა სახის დაწესებულებად. სამტრედიის რაიონის ერწოს თემში გახსნეს ახალგაზრდა კომკავშირელთა უჯრედი. მოსახლეობა გულგრილად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მცირე ხანში იმდენად მასშტაბური სახე მიიღო ანტირელიგიურმა პროპაგანდამ, რომ მაინც შეძლეს გულმწყრალ ადამიანთა შემოკრება და ერთობლივი ძალით ეკლესიის გაუქმება. კომკავშირის უჯრედის ხელმძღვანელობით დაარსდა დრამატული დასი. ორგანიზაციის მიზანი იყო ტაძარში ღონისძიებების მოწყობით სულიერი ფუნქცია მოემალათ მისთვის (სპარტაკი, 1923, # 40, გვ. 3).

სხვა რაიონებიც არ ჩამორჩნენ მსგავს გადაწყვეტილებაში ცენტრალურ ხელისუფლებას. ზუგდიდის მაზრის ახალგაზრდა სამაზრო კომიტეტმა შემოიერთა სხვა რეგიონების კომკავშირელები და გააუქმა ყველა ტაძარი. ჩხოროწყუში დაიკეტა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც გადააკეთეს სახალხო კლუბად, სადაც კვირაობით წარმოდგენებს მართავდნენ და კითხულობდნენ ლექციებს (სპარტაკი, 1923, # 41, გვ. 3). მოსწავლის ცნობიერებას გარდაქმნილად მაშინ ჩათვლიდნენ, როდესაც მისი ხედვა სრულად ათეისტური გახდებოდა. ჩოხატაურის რაიონში თერთმეტი თემი შედიოდა, სადაც არსებობდა 17 უჯრედი 300 წევრით. აღმასრულებელი ხელისუფლება საყვედურს უცხადებდა რაიონს იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს გეგმის შესრულება და ეკლესიების მთლიანად გაუქმება. ამის გამო 18 ივნისს მოწვეულ იქნა ჩოხატაურისა და ხიდისთავის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრო სამაზრო კომიტეტის მდივანი. პლენუმზე განიხილეს საჭამიასერისა და სურების ქვერაიონების გამოყოფა, რაც, მათი აზრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა კავშირის მუშაობისა და პოლიტწრეების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად. პლენუმის შეხვედრებმა „ნაყოფი“ გამოიღო და ზემო ხეთის თემში რამოდენიმე ეკლესია გადააკეთეს თეატრად. კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტაძრის კლუბად გადაკეთებაში (სპარტაკი, 1923, # 46, გვ. 3). მერვე კლასის მოსწავლეებს აკითხებდნენ გაზეთებს „კომუნისტი“, „სპარტაკი“, „მიწის მუშა“, აგრეთვე, ჟურნალებს: „მომავალი“ და „ნიანგი“ (სპარტაკი, 1923, # 46, გვ. 3).

ანტირელიგიურ ჟურნალ-გაზეთებს ფართო გასავალი ჰქონდა. ყველა მოქალაქე იძულებული იყო ეყიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ულუკმაპუროდ დარჩებოდა. ხარაგაულის რაიონში უჯრედის ნაყოფიერი მუშაობა დააფასა ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ორი სატრანსპორტო საშუალება გამოუყო. აქ არსებული ექვსი უჯრედიდან თითოეული 150 კაციით იყო დაკომპლექტებული. ვინმე ჯიმშიაშვილი

სიამაყით აღწერდა, რომ სახელმწიფომ პროპაგანდისტებისთვის დაბეჭდა ანტირელიგიური სავალდებულო სახელმძღვანელო „პოლიტიკური ანბანი“. ამ სახელმძღვანელოთი განსწავლულმა ადამიანებმა შემდგომში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ანტირელიგიური კომპანიის ჩატარებაში. კავშირის მიერ სამი ეკლესია გადაკეთდა კლუბად, სადაც კომკავშირის დრამატული დასი მართავდა ანტირელიგიურ წარმოდგენებს (სპარტაკი, 1923, # 51, გვ. 4).

სახელმძღვანელო — „პოლიტიკური ანბანი“ ანტირელიგიურ პროპაგანდას წარმართავდა, რაშიც გვარწმუნებს მთავრობის შეხვედრის ოქმები. 7 აგვისტოს ჩხოროწყუში გაიმართა კომკავშირის რაიონული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ მაზრკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გობეჩია და აგიტატორ-პროპაგანდისტი, გამგე ამხ. კობახიძე. ანტირელიგიური პროპაგანდისა და ეკლესიების დახურვის ხელშეწყობისთვის მადლობა გადაუხადეს მილიციის უფროსს (სპარტაკი, 1923, # 53, გვ. 3).

სახელმწიფომ, ფაქტობრივად, დაშალა ეკლესია. პრესის საშუალებით ხდებოდა ფართო პროპაგანდა რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ მათი საბჭოური დღესასწაულებით ჩანაცვლების მიზნით: „7 იანვარს (ძვ. სტ. 25 დეკ.) კომკავშირმა მეორე იერიში უნდა მიიტანოს ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. „კომკავშირის შობა“-მ უნდა შეარყიოს რელიგიის საფუძვლები. ამხანაგებო, ემზადეთ ამ დღისთვის“ (სპარტაკი, 1924, # 68, გვ. 1). იგივე მოწოდებები ჰქონდათ აღდგომასთან დაკავშირებითაც: „ახლოვდება „კომკავშირის აღდგომა“, ეს იქნება მორიგი შეტევა სარწმუნოების წინააღმდეგ.

ამხანაგებო! ემზადეთ „კომკავშირის აღდგომისთვის“ (სპარტაკი, 1924, # 82, გვ. 3). კომკავშირი ამაყობდა, რომ ანტირელიგიური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მათი საქმიანობა: „ანტი-რელიგიური სახე თან დაყვება ჩვენი კავშირის ყოველ ნაბიჯს, მისი მოღვაწეობის ყოველ ახალ ფურცელს“ (სპარტაკი, 1924, # 84, გვ. 1).

კომუნისტები თავად აღნიშნავდნენ, რომ „რელიგიის ძირბუდიანი“ აღმოფხვრა დაიწყეს (სპარტაკი, 1924, # 69, გვ. 1), კეთილსინდისიერ ადამიანებს შეურყიეს ნება, დააშინეს, შვილების ამოხოცვით დაემუქრნენ. თავისუფლად ძილის საშუალებას არ აძლევდნენ იმ ოჯახებს, სადაც ჯერ კიდევ სარწმუნოებისთვის ძგერდა გული. შედიოდნენ ყველა ოჯახში და პროპაგანდისტულ ლოზუნგს გაიძხოდნენ: „გაუმარჯოს მეორე გალაშქრებას ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ“ (სპარტაკი, 1924, # 69, გვ. 3). 1924 წლის 25 დეკემბერს ახალგაზრდები აიძულეს, მთელ ქალაქში გამოსულიყვნენ ანტისარწმუნოებრივი ლოზუნგების ყვირილით. დილის 9 საათიდან დაიწყო სიღნაღის ტექნიკუმში კომკავშირელთა გამოსვლა. ვინმე ამხ. ჭოჭუამ გააკეთა მოხსენება რელიგიის

შესახებ. მოსწავლეებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ აძახებინეს: „ძირს სიბნელე და უვიცობა, რაც თავს გვიყრიდა მშრომელ ხალხის შვილებს ბნელ ტაძრის ქვეშ, გაუმარჯოს სწავლა- განათლებას და მეცნიერებას“. ლოზუნგების ფონზე გამოიტანეს რეზოლუცია და მიტინგიც დახურულად გამოცხადდა. გიორგი სისოევი იხსენებს, რომ სამღვდელოების გაქილიკების შემდეგ, დრამატურების მიერ დაიდგა ანტირელიგიური წარმოდგენა თეატრში (სპარტაკი, 1924, # 69, გვ. 3).

სრულიად უდანაშაულო სასულიერო პირებს ქუჩაში ხოცავდნენ, გადარჩენილებს კი შიმშილი და სიცივე მეგობრად ექცათ. ბეთანიის მოძღვარი მამა ილია 1923 წლის 3 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, ურბნელ ეპისკოპოს ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) სთხოვს: „თქვენო მეუფებავ, უმორჩილესად გთხოვთ, რადგან მონასტერს არანაირი სახსარი და საშუალება არ აქვს, მშვირები ვართ, ნება მოგვეცით, საკალმასოდ ცოტა პური ვითხოვოთ მორწმუნე ხალხში, ეგებ როგორმე თავი გადავირჩინოთ შიმშილისაგან“ (მაჩურიშვილი \$ ტოგონიძე, 2012, გვ. 194). კომუნისტებმა მარტო იმერეთის რეგიონში 555 ეკლესიის ქონება გაანადგურეს, მიწები ჩამოართვეს და საქონელიც წაიყვანეს. ეკლესია ფორმალურად გამოყოფილი იყო სახელმწიფოსგან, მაგრამ ეკლესიის საქმეებში არა თუ არ ერეოდა, თავად განაგებდა ყველაფერს.

1924 წლის 28 დეკემბერს გაიმართა ანტირელიგიური უჯრედის კრება. უჯერდმა გამოიტანა რეზოლუცია ამხ. შენგელიას მოხსენების საფუძველზე. მე-2 კომკავშირის შობის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ვინმე გუნავამ. მან აღნიშნა, რომ არანაირი ღმერთი და სული არ არსებობს, სარწმუნოება კი ადამიანის გონების დამაჩლუნგებელიაო. ამ სიტყვების შემდეგ „სხდომა მხიარულად დაიშალა“ (სპარტაკი, 1924, № 69, გვ. 3). ქ. ხაშურში, უფრო „ღირსეული“ გამოსვლა ჰქონდათ დეპოს მუშებს. რაიკომის სახელით გაიხსნა ანტირელიგიური კრება, სადაც სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლაქტიონოვმა. მის მოხსენებას მოჰყვა გაბრიელ გოგუაძის მოხსენება, რომლის სათაური იყო: „ღმერთმა შექმნა ადამიანი, თუ ადამიანმა ღმერთი“ (სპარტაკი, 1924, № 69, გვ.3). რეგიონებში მუდმივი ნეგატიური საუბრები რელიგიაზე და მღვდლების დევნა, რასაკვირველია, საზოგადოებაში შიშს ამკვიდრებდა. კონფორმიზმის მოყვარე ადამიანს უჭირს ჭეშმარიტების გამო თავის გადადება. ხაშურში ჩატარებული კრების დასასრულს ყვიროდნენ:

„ძირს სარწმუნოებრივი ფანატიზმი, ძირს მატყუარობა-სიბნელე, გაუმარჯოს მეცნიერებას და მის მონაპოვარს“ (სპარტაკი, 1924, № 69, გვ. 3).

ტაძრებისა და სულიერების ნგრევით, საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებულს ვერაფერს მიაღწია. საზოგადოების ნაწილი ამ ქმედებას აპროტესტებდა. მათ წინააღმდეგ სახელმწიფო მკაცრ რეპრესიებს მიმართავდა - აპატიმრებდა, და ზოგს თავისუფლების აღკვეთით, ზოგს კი სიკვდილით სჯიდა. აფეთქებული ტაძრების ადგილზე კი აშენებდნენ შრომის სკოლის შენობებს. 1924 წელს ანაკლიაში ააფეთქეს ტაძარი და მის ნაცვლად ერთკლასიანი შრომის სკოლა გახსნეს. ჭითაწყლის გლეხობამ სოფლის ეკლესიის სანაცვლოდ გახსნა სკოლა (სპარტაკი, 1924, # 80, გვ. 3).

1923 წლის მონაცემებით, კომუნისტურმა პარტიამ მთლიანად საქართველოს რეგიონებში 500 ეკლესია დახურა (მუშა, 1923, # 117, გვ. 2).

ეკლესიას უწევდა დიდი ბრძოლის გადატანა, ნებისმიერი მორწმუნე განიცდიდა შევიწროებას. ყველა დაწესებულებაში შეიტანეს რელიგიის წინააღმდეგ მიმართული აკრძალვები. არ დატოვეს სამსახური, სადაც მათ მიერ შეტანილი არ იყო აკრძალვები რელიგიის წინააღმდეგ. მორწმუნე ადამიანების დასამცირებლად მაღაზიებში შექმნილი ჰქონდათ საგანგებო მეორე რიგი მათთვის, ვინც სადღესასწაულოდ დიდი რაოდენობით ყიდულობდა პროდუქტს. მათ აუცილებლად უწევდათ შეურაცხყოფის ატანა, მაგრამ მარტო ამასაც არ აკმაყოფილებდნენ. ნელ-ნელა საერთოდ გაქრა მეორე რიგის აუცილებლობა, რადგან არავინ იყო რიგში ჩამდგომი (ციხელაშვილი, 1930, გვ. 46).

რელიგიის აკრძალვის ფორმასაც გააჩნია. სამღვდელოებას აბრალებდნენ ისტორიულ ძეგლებში შეჭრას და მათ დასაკუთრებას. იმას კი არ ამბობდნენ, რომ ეს ტაძრები სწორედ სამღვდელოების მონდომებით, ღვთისმსახურების აღსრულების მიზნით იყო აშენებული. ზოგადად ბერ-მონაზვნების მოღვაწეობას კი კომუნისტები შემდეგნაირად აფასებდნენ: „რამოდენიმე საუკუნე გაატარეს თვალთმაქცობასა და ეშმაკობაში. რას არ იგონებდნენ, რას არ შვრებოდნენ იმისათვის, რომ ხალხი სიბნელეში ყოლოდათ და ამითი უზრუნველყოთ თავისი ცხოვრება. ერთ-ერთ შემოსავლის წყაროთ მათ მოიგონეს განსაკუთრებული ხალხი — წმინდანები, შეადგინეს მათგან მთელი შტატი და შეუდგნენ ვაჭრობას“ (მუშა, 1924, # 77, გვ. 3). ეკლესიისთვის ვაჭრობის საგანს არ წარმოადგენს წმინდა ნაწილი თუ საეკლესიო ნივთი. თუ საეკლესიო პირთაგან ვინმე შეეცდება ფინანსური დაინტერესების გამო რომელიმე სიწმინდე აქციოს ბიზნესის წყაროდ, მას არანაირი გამართლება არა აქვს. მართლები ვართ, როდესაც არ მოგვწონს სამღვდელოების მხრიდან ჯვრისწერასა და ნათლობაში გასამრჯელოს დაწესება. ეკლესიის მსახური უნდა აცნობიერებდეს, სად შეაბიჯა და მისი მსახურება როგორი სიწმინდეა. ეკლესიაში ადამიანური მხოლოდ მოქმედებაა, უხილავად საიდუმლოთა მეშვეობით სულიწმინდა მოქმედებს. საიდუმლოს

მომქმედი ღმერთი არ ითხოვს გასამრჯელოს, ყველაფერი მოგვცა უსასყიდლოდ და ჩვენ რა უფლება გვაქვს საფასური მოვითხოვოთ? კონკრეტული შემთხვევები არ შეიძლება საზოგადო ნორმად გამოვაცხადოთ, ან თუნდაც უმრავლესი შემთხვევა საეკლესიო წესად ვაღიაროთ. სიმრავლესა და ჩვევაში არასდროს ყოფილა ჭეშმარიტება. კომუნისტები ანტირელიგიური ცრუ პროპაგანდით ცდილობდნენ უარყოფითად შეეცვალათ სამღვდელოების შესახებ არსებული საზოგადოებრივი აზრი. ხელისუფლება წმინდანების შესახებ წერდა: „წმინდანების შენახვა სამღვდელოებას და განსაკუთრებით ბერებს, არაფერი უჯდებადათ. გააკეთებდნენ ქვის კუბოს, ჩაყრიდნენ შიგნით ძვლებს, ჭინჭებს, ნაფოტებს, ასტეხდენ აურზაურს — არიქა წმინდანი აღმოვაჩინეთ და დაიწყებდნენ ვაჭრობას. მიდიოდა გულუბრყვილო ხალხი, ბნელში მყოფი გლეხები, მიქონდათ თავისი ქონება — ფული, ცხვარი, ხბო, ძროხა და სწირავდნენ ამ წმინდანს. არავითარი განსხვავება არ არსებობდა ამ წმინდანისა და რომელიმე „უეზდნი ნაჩალნიკს“ შორის! ორივე მექრთამე და კაცის-ჭამია იყო!“ (მუშა, 1924, # 77, გვ. 3).

წმინდა დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილების შესახებ ამბობდნენ, რომ ეს იყო არა მათი ნეშტი, არამედ „ხარის, კაცის, ცხენის და სხვა ცხოველების ძვლები, რაღაც ჭინჭები და სხვა ასეთები“ (მუშა, 1924, # 77, გვ. 3). უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო მათი რიტორიკა, პიროვნულ შეურაცხყოფაზე გადადიოდა ხელისუფლება: „რამდენიმე საუკუნეა არიგებდნენ ბერები დავით და კონსტანტინეს პერანგის ნაწილებს. რა იყო ამხელა ეს ორი ძმა, ან რამდენი დიუჟინი თეთრეული ქონდათ მათ, რომ რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში არ დაიღია მათი პერანგი? მართალია, დავით და კონსტანტინე იმერეთის ერთი პატარა კუთხის მთავრები იყვნენ, მაგრამ, რამდენათ ვიცით, არ ყოფილა იმ დროს მოროზოვის და ცინდელის, და არც სხვა რომელიმე ფართლულობის ფაბრიკები, რომ ასე დაუზოგავად ეგზავნათ თერჯოლის მთავრებისთვის ფართლულობა. ცხადია, რომ ყველაფერი ეს ბერების ოინები იყო. მორწმუნეებს კიდევ შეეძლოთ ეთქვათ რამე, რომ აღმოეჩინათ კუბოში ადამიანის სხეული და ან კაცის სხეულის ნაშთი. ამის მაგიერ იქ აღმოჩნდა პირუტყვების ძვლები. მართალია ეს ორი ძმა დიდი პირები ყოფილან და შეიძლება განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი ადამიანებისგან, მაგრამ რომ მათ თავის ძვლების გარდა პირუტყვების ძვლებიც ქონდათ, ამას ვერაფრით დავიჯერებთ. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ეს მათი საიდუმლოებაც გამოჟღავნდა. აწი რაღათი ივაჭრებენ ბატონი ბერები?“ (მუშა, 1924, # 77, გვ. 3). ბერების სულიერი ცხოვრება იმდენად რთულია, ყოველდღიური ლოცვა, ასკეტიზმი, საკუთარ ცხოვრებაზე და მრევლის სულზე, მთელ ერზე ფიქრი... ჭეშმარიტი ბერი იტანჯება

ბოროტისგან და ამსოფლიური ამაო საქმეებისგან. მას ნამდვილად არ სჭირდება ქონება და ფული, ერთი კელია და სიკვდილის ჟამს ჭილოფიც ეყოფა. დღიური სარჩოს საშოვნელად გასულ მშრომელს კომუნისტები ახვედრებდნენ გაზეთს, სადაც ეწერა, რომ „მუქთახორა მღვდელი“ უშრომლად შოულობს ფულს. ამ სახით შრომით გათანგული ადამიანის გრძნობებზე მიზანმიმართულად მოქმედებდნენ და სამღვდელოების წინააღმდეგ განაწყობდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, ეპისკოპოს კირიონის (შემდეგში კათალიკოს-პატრიარქის) ფუნდამენტალური შრომა ბერობასთან და ბერების ღვაწლთან დაკავშირებით: „Заслуги грузинского монашества и монастырей для отечественной церкви и общества,“ тифлис 1899. ”

ეკლესიებს არამხოლოდ მუზეუმებად, საცავებად და თეატრებად, არამედ ელექტროსადგურებადაც იყენებდნენ: „სოფლის განათება ელექტრო-სინათლით და საზოგადოთ ელექტონის ენერჯის გამოყენება სოფლის ცხოვრებაში, კერძო სასოფლო მეურნეობაში, ფართოდ იკიდებს ფეხს...ზოგიერთ ალაგს გლეხობა აყენებს საკითხს ეკლესიების გამოყენების შესახებ ელექტროსადგურებათ... პროექტის ცენტრს შეადგენს ეკლესია, ორი სამრეკლოთი“ (კომუნისტი, 1927, #47, გვ. 1).

ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის მიღწევებს სიხარულით აღწერდნენ გაზეთებში: „ელვის სისწრაფით ემხოზიან საუკუნეობრივი კერპები, „ყოვლის შემძლე ღმერთი“ და ურიცხვი „წმინდანები“. არა თუ მრევლმა, მორწმუნე გლეხობამ, თვით სამღვდელოებამაც ზურგი შეაქცია „ღმერთებს“, მათ უძღურებაში დარწმუნებული, ის თავს ანებებს ეკლესიის და სარწმუნოების მსახურებას; ბევრი მათგანი საქვეყნოდაც აცხადებს ამას და თხოულობს მიღებულ იქნეს საბჭოთა სახელმწიფოს ჩვეულებრივ მოქალაქედ.... ეკლესიები თანდათან ცარიელდებოდა და თუ ხალხი იქ ხანგამოშვებით მაინც იყრიდა თავს, ეს უმეტეს შემთხვევაში გამოწვეული იყო არა „ღმერთებისადმი“ ლოცვა-ვედრების სურვილით, არამედ ერთმანეთთან შეხვედრის მიზნით. სოფლად კლუბები და თეატრები არ არსებობდნენ, ხალხს მხოლოდ აქ ჰქონდათ უქმე დღეებში თავის მოყრის და ერთმანეთთან გაცნობის კავშირის საშუალება; საეკლესიო დღესასწაულებზე და „დღეობებზე“ ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, უმთავრესად სწორად ამ მიზნით დებულობდა მონაწილეობას“ (კომუნისტი, 1923, # 104, გვ. 1).

ქ. ქუთაისის და მისი მაზრის მშრომელი მასის სურვილის თანახმად, რომელიც გამოითქვა მიტინგზე და კრებაზე, „ა. წ. 18 თებერვალს მოხდა მოწამეთას მონასტრის „წმინდანების“ — დავით და კონსტანტინეს „ნაშთების“ გახსნა. ეს დღე წაუშლელი დარჩება ჩვენს ცხოვრებაში, როგორც სამღვდელოების სიყალბის უკანასკნელი

გამოაშკარავების და დასასრულის წუთები. ამ დღეს თავისი თვალით დაინახა ხალხმა რა ყოფილა დავით და კონსტანტინე. ამ დღეს სამღვდელოებას ხელიდან გამოეცალა მდიდარი საშემოსავლო წყარო, ამიტომ ამ დღეს გლოვობდა მატყუარა სამღვდელოება, ხოლო ზეიმობდა და მხიარულობდა თვალ ახელილი მშრომელი ხალხი“ (კომუნისტი, 1923, # 45, გვ. 2-3).

ეკლესიისა და მღვდლის სიახლოვეს დგომა ან დღესასწაულის აღნიშვნა უმკაცრესად ისჯებოდა. სურამში მღვდელმა ჯაოშვილმა წესი აუგო ერთ-ერთ გლეხს, გაზეთი კი ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა,, თითქოს მღვდელმა 5 მანეთი მოითხოვა და გაატყავა საცოდავი გლეხოება (მუშა, 1926, # 1170, გვ. 5).

ხელისუფლება ყველას აფრთხილებდა, რომ ეკლესიისგან თავი შორს დაეჭირათ. ეკლესიას მძიმე პირობებში უწევდა არსებობისთვის ბრძოლა, მაგრამ ზოგიერთი ტაძრის შენარჩუნება მაინც შესაძლებელი გახდა. ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ შეძლო სასულიერო პირების განადგურება.

1921-1927 წლების პრესა ცხადყოფს , თუ როგორ იბრძოდა ხელისუფლება ეკლესიების დასახურად, სამღვდელო დასის ავტორიტეტის შესაღახად, ღმერთისა და წმინდანებისადმი რწმენის გასაქარწყლებლად . ამასთან საბჭოური პრესაში ვრცელდებოდა ინფორმაცია ამ ბრძოლის წარმატებული შედეგების შესახებ , რაც ხელისუფლების საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა.

3.2 სამღვდელოება 1921-1927 წლების ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

წარსული ცხოვრების შესასწავლად ერთ-ერთ საუკეთესო წყაროდ ზეპირსიტყვიერება ითვლება. ხალხური სიტყვიერება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რას ფიქრობდა და როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებას ამა თუ იმ პიროვნების, სოციალური ფენისა თუ ისტორიული მოვლენის მიმართ სხვადასხვა ეპოქაში. ზეპირსიტყვიერების ნიმუშები – ზღაპრები, მითები, ლექსები და არაკები ერის მენტალობის, სულიერებისა და განწყობის უტყუარი სარკეა.

სამღვდელოების განმაქიქებელი ხალხური ზეპირსიტყვიერების არა ერთი ნიმუში შეიქმნა 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ოკუპაციის შემდეგ, რადგან ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკური პარტია ათეისტურ, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას ემყარებოდა. ათეისტები თვლიდნენ,

რომ ღმერთი არ არსებობდა, რომ ის ადამიანმა გამოიგონა და ცდილობდნენ ამაში საზოგადოების დარწმუნებას.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მიზანი ძველი, ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებისაგან განთავისუფლებული სრულიად ახალი ტიპის – საბჭოთა ადამიანის ფორმირება იყო. ღმერთის რწმენა პარტიისადმი რწმენას უნდა ჩაენაცვლებინა. რადგან აღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალებას ეკლესიისა და სამღვდელოების განადგურება წარმოადგენდა, ათეისტური იდეოლოგიის მქონე ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა წამოიწყო. ის ბრძოლის ყველა ხერხს იყენებდა, მათ შორის, იდეოლოგიურსაც. ხელისუფლებას ესმოდა, რომ ეკლესიისა და სამღვდელოების ფიზიკური განადგურებითაც კი ხალხის ცნობიერებაში დამკვიდრებულ რწმენას ვერ აღმოფხვრიდა, ამიტომ მას იერიში უნდა მიეტანა თავად ღმერთზე, წმინდანებზე, საეკლესიო დღესასწაულებზე, რის წინააღმდეგ გალაშქრების ყველაზე ეფექტურ საშუალებას იდეოლოგიური ბრძოლა წარმოადგენდა.

სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფო მასზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და კონკრეტულ პირებს, მათ შორის, კულტურის მოღვაწეებს – მწერლებს, პოეტებს, მომღერლებს, დრამატურგებს, მხატვრებს და სხვ., ეკლესიის შესახებ სატირულიუმორისტული ამბების, მოთხრობების, ლექსებისა და პიესების შეთხზვასა და კარიკატურების შექმნას ავალებდა.

ათეისტები ხალხში არსებულ წარმართულ წეს-ჩვეულებებს ქრისტიანული წეს-ჩვეულებებად წარმოაჩენდნენ და ამით ცდილობდნენ, ქრისტიანობა პრიმიტიულ რელიგიად წარმოეჩინათ. მაგალითად, გურიაში ასეთი ჩვეულება ყოფილა: „როდესაც დაეღევა (ანუ გაელვდება (ა.ს.) და მეხი გავარდება, მხრებზე გადიფურთხებენ და იტყვიან: „ დიდ არს, ღმერთო, შენი სახელი!“ (ლომთათიძე, 1928, გვ. 8). ქრისტიანი მსგავს ქმედებას არასდროს ჩაიდენს და სხვებსაც მოუწოდებს, რომ თავი შეიკავონ მსგავსი ნაბიჯისგან. მხრებზე გადაფურთხება სავარაუდოდ ეშმაკის მხრებიდან გამევეებასა და ღვთის შეწვევის მოხმობას გულისხმობს. მსგავსი რიტუალი სავალდებულოა ადამიანისთვის ნათლობის დროს, როდესაც მოსანათლად გამზადებულს მოუწოდებს მღვდელი: შებერე და შენერწყვე მას. მოსანათლი ამ დროს სამგზის იმეორებს: „ფუი ეშმაკს“. ეშმაკისთვის ამაზე უფრო დიდი შეურაცხყოფა არ არსებობს, მას ვაქცევთ ზურგს და შევუდგებით ქრისტეს. შესაძლოა, მსგავსი ქმედების იმიტაციას ჰქონდა ადგილი ცრუ მორწმუნეების მხრიდან. საბჭოთა იდეოლოგიებმა და მისმა მომხრეებმა კი ეს ქრისტიანობის დასაცინად გამოიყენეს.

სამყაროს შექმნას ბოლშევიკები შემთხვევითობას მიაწერდნენ, ადამიანებს კი აიძულებდნენ ერწმუნათ მაიმუნისგან კაცობრიობის წარმოშობა და დარვინის ევოლუციის თეორია მთავარ სახელმძღვანელოდ ექციათ. ქრისტიანმა სად უნდა მოიძიოს ზუსტი პასუხი სამყაროს შექმნის შესახებ? ღმერთის შემოქმედებით მხარეზე საუკეთესოდ მსჯელობს წმინდა ბასილი დიდი, საიდანაც მკითხველს მარტივად შეუძლია დასკვნები გამოიტანოს, თუ რას ეფუძნება სამყაროს შექმნა და რატომ თვლის მორწმუნე, რომ ქვეყნიერება ღვთის მიერ არის შექმნილი. წმინდა ბასილი დიდის ნაშრომი – „ჰომილიები ექვსი დღისათვის“ სარწმუნოებაში იჭვნეულ კითხვებს აქარვებს სამყაროს შექმნასთან დაკავშირებით (ბასილი დიდი, 2002). უფალმა უდიდესი სიყვარულის გამო ინება ადამიანის შექმნა და მის ნებას შესაბამისად წინ ვერავინ დაუდგებოდა. ადამიანი ღვთის სიყვარულის ნაყოფია. ჩვენ ყოველდღიურად ვმადლობთ უფალს ამ უდიდესი ნდობისათვის, რის გამოც ყოველ დილა-საღამოს სამადლობელ ლოცვას აღვაველნთ მისდამი. ვისთვისაც ლოცვის განცდა უცხოა, მას შეუძლებელია ჰქონდეს უფალთან ერთობის შინაგანი ჰარმონია. ნებისმიერი აზრის განსხვავებულად ინტერპრეტირებაა შესაძლებელი, რისი მცდელობაც ლოცვასთან დაკავშირებით ჰქონდათ უღმერთო კომუნისტებს.

XX ს-ის 20-იან წლებში შექმნილი ანტიქრისტიანული ორგანიზაცია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ (მუკი) ლოცვითი სიტყვების შექმნას შიშს მიაწერს: „ბუნების ძლიერების წინაშე ქედი მოიხარა, შეშინდა და, ვინაიდგან ასეთ შემთხვევაში „შიში შეიქმს სიყვარულსა“, კიდევაც გააღმერთა ისინი და სიმძაფრის დროს გულმხურვალედ ევედრებოდა: „ნუ დამლუპავო“. ამ ვედრებას შეჰკაზმავდა ლამაზი სიტყვებით, რათა ადვილი მისაღები ყოფილიყო“ (ლომთათიძე, 1928, გვ 8). თუმცა, ცნობილია, რომ ლოცვა სახარებისეული სწავლებიდან მოდის და მის დაწესებას არანაირი კავშირი არა აქვს შიშთან. პირიქით, ის სამადლობელი სიყვარულისათვის იქმნება. როდესაც მოწაფეებმა ჰკითხეს იესო ქრისტეს, თუ როგორ ელოცათ, მან უთხრა ყოველდღიურად საკითხავი ყველაზე პატარა და მარტივი ლოცვა: „მამაო ჩვენო“. მორწმუნეებს ლოცვის ტექსტი რომ დავიწყებოდათ, კომუნისტებს ტაძრებიდან გამოჰქონდათ ლოცვანები, საღვთისმსახურო წიგნები და წვავდნენ, სანაცვლოდ კი ქმნიდნენ ეშმაკისეულ ლოცვებს, მსგავსად ამისა:

„ ხატო, შემიწყალე, შორიელი ვარო!

— რაითა შეგიწყალო, ცარიელი ხარო!”

(ლომთათიძე, 1928, გვ. 9).

კომუნისტური ხელისუფლება სიწმინდეების დაცინვას მსგავსი თხრობით ცდილობდა. მორწმუნე მრევლს მოუწოდებდა, რომ ხატის ნდობა არ ჰქონოდათ. ზოგადად, ცნობილია, რომ მორწმუნე ადამიანი, როდესაც თხოვნით მიდის უფალთან, რაიმე სახის ძღვენს მიაერთმევს, ესეც მისი კეთილი ნების გამო ხდება და არა ვალდებულებისა თუ აუცილებლობის. საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ შეატრიალა ყოველივე ეს და თავის „ელექტორატს“ პირდაპირ მოუწოდა: შეხედეთ, ხატი დახმარებას ითხოვს და თუ რაიმე სახის „ქრთამს“ არ მიუტანთ, შეწევნის იმედიც ნუ გექნებათო. მორწმუნეს ხშირად სმენია, რომ „ხატს აუცილებლად უნდა შესწირო რამე“. სინამდვილეში საეკლესიო მოძღვრება ამას არ ასწავლის და არც მცნებად უწესებს ქრისტიანს, რაიმე ძღვენი მიაერთვას ხატს. ხატის დაცინვით ხელისუფლება მღვდელს დასცინოდა. მთავარია, ხალხის გონებაში დაეთესათ ეჭვი, რომ მათ მიერ შეწირული თანხა მღვდლის საკეთილდღეოდ გროვდებოდა და არა ეკლესიის გასამშვენებლად და გაჭირვებული ხალხის დასახმარებლად. თითქოს მღვდელს სჭირდებოდა თავისი ოჯახის პირად სარგებლობად ექცია შემოწირული ოქროულობა ან რაიმე სახის ნივთი.

უწესო სასულიერო პირების კრიტიკას თვით საეკლესიო კრებაც არ ერიდება, მაგრამ ათეისტურმა რეჟიმმა ქაოტური და უღმერთო კამპანია დაიწყო. მისთვის ყველა სასულიერო პირი მიუღებელი იყო, თუ სამღვდელო სამოსი ეცვა, ის უკვე დევნის ობიექტი და ქილიკის საგანი ხდებოდა.

კომუნისტები სვამდნენ კითხვას, თუ ვინ იყო სამღვდელოება და რა ფუნქცია ჰქონდა მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაზედაც პასუხი თავადვე წინასწარ ჰქონდათ მომზადებული: „როცა ძველად ხალხმა ღმერთები გაიჩინა და რელიგიური კულტი შექმნა, საჭიროდ დაინახეს ღმერთების სამსახური... ერთი სიტყვით შექმნეს ცალკე ჯგუფი, ამ ჯგუფს სახელად უწოდეს... სამღვდელოება. სამღვდელოებამ თავიდანვე ისე მოაწყო საქმე, რომ საზოგადოების სასარგებლოდ თვითონ არაფერს ჰქმნიდა. საზოგადოებისგან კი თხოულობდა თავისი ოჯახის უზრუნველყოფას. კიდევაც აკმაყოფილებდნენ: ხალხი მას უზიდავდა თავისი ოფლით მონაგარ სასმელ-საჭმელს, ტანსაცმელსა და ფულს. სხვა რაღა იყო საჭირო? საჭირო იყო მხოლოდ ერთი რამ და ეს ერთი რამ იყო მადა, ჭამის მადა. ეს კი არ აკლდა სამღვდელოებას. ამიტომ იყო, რომ მათი მუცელი „ხუთი“ მშრომელის მუცელზე უფროსი იყო... მშრომელთა ჯიბიდან გაღებული გადასახადით აცხოვრებდნენ სამღვდელოებას, ხალხის ნაოფლარით სამღვდელოება უზრუნველად და არხეინად სცხოვრობდა. ამიტომაც იყო, რომ ყველა ზარმაცი და გაიმვერა, ყველა, ვინც შრომას, ოფლის ღვრას ემალებოდა, სცდილობდა მღვდლათ შესულიყო“ (ლომთათიძე, 1928, გვ. 9).

ქრისტიანობა რეალურად არ იცნობს ჭეშმარიტი მღვდლის მსგავს სახეს, რადგან ეკლესია ცდომილებას მკაცრად არეგულირებს საეკლესიო კანონიკით. როდესაც მღვდელი ეკლესიის საიდუმლოების შესაფერისად არ იქცევა, სინოდის მიერ ხდება მისი სამუდამოდ განკვეთა. ეკლესია მუდამ ჩაგრული, მონანული ადამიანის გვერდით დგას, ის მუდმივად მოუწოდებს სიკეთისა და სიწმინდისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებამ კი სამღვდელოება წარმოაჩინა, როგორც მშრომელი ხალხის ხარჯზე მცხოვრები ზარმაცი, გაიძვერა, , საზოგადოების უსაქმური ნაწილი.

სამღვდელოებას აბრალებდნენ, რომ ის მუდამ ხალხის მტრის – ბურჟუაზიის მხარეს იდგა, ბურჟუაზიის სასარგებლოდ ხალხს „აბრმავებდა და ტვინს უყინავდა“, მათ მორჩილებაში ამყოფებდა, სწორედ ამით უძებნიდა ახსნას, თუ რატომ ინახავდა გაბატონებული საზოგადოება სამღვდელოებას დიდი პატივით. სინამდვილეში ეკლესია და სამღვდელოება დაჩაგრული, დაწუნებული, შეცდომილი, მაგრამ მონანული ადამიანების გვერდით იდგა მუდამ. მას არასდროს შეუწყვეტია თავისი სულიერი მისია, არცერთი დევნისა და შევიწროვების ჟამს. (თვით ჯალალ ედ დინ მანგუბერდმა ვერ მოსპო ჭეშმარიტების ხსენება მორწმუნის ბაგიდან.) მღვდელი მრევლს ვერ მოატყუებს, რადგან ნებისმიერი ადამიანის სიყალბე მალევე გამოჩნდება, როგორც ქართულ ანდაზაშია ნათქვამი, „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“. კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა ხალხზე ზეგავლენა მოეხდინა და ჩაენერგა მათთვის, რომ მღვდლები, თითქოს მუშათა კეთილდღეობის მტრები იყვნენ და ამიტომაც წერდნენ: „არსად სამღვდელოებას ხალხის მხარე არ დაუჭერია. ისინი მუდამ მშრომელთა მტრების მხარეს იყვნენ. ამავე დროს გაბატონებული კლასები სამღვდელოებას დიდი პატივით ინახავდნენ, როგორც რელიგიის წარმომადგენლებს. ხოლო რელიგია თავისი ჯვრებითა და ხატებით ბურჟუაზიას სჭიროდა ხალხის დასაბრმავებლად და ტვინის გასაყინად... აი, ამ კლასიურ ნიადაგზე გაჩნდა ხალხში სიძულვილი სამღვდელოების მიმართ“ (ლომთათიძე, 1928:., გვ. 15). ლოცვა, მარხვა, აღსარების მიღება, წირვა, ჯვრისწერა, წესის აგება, პანაშვიდი უსასყიდლოა ყველასთვის — სასულიერო პირი იქ უნდა იყოს, სადაც ადამიანს ამ საიდუმლოებების საჭიროებაა: „უსასყიდლოდ მიგიღებთ და უსასყიდლოთ გასცემდით“, – ქრისტემ ამ სიტყვებით დამოდგრა მოციქულები. მღვდლის მიერ მრევლისაგან თანხის მოთხოვნა, დაუშვებელია.

სამღვდელოებას დასცინოდნენ, რომ მას არ უყვარს მუშაობა და „ოფლით ჭამა“, მაგრამ ძალიან უყვარს სხვისი ნაოფლარი. უფალმა ადამს უთხრა: ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა. მუშაკი მაშინ არის სასყიდლის ღირსი, როდესაც შრომობს. ყველას თავისი ჯვარი

აქვს სატვირთი, ზოგს კალმით, ზოგსაც თოხით. ყველანი ერთად კი ვქმნით ერთ დიდ ოჯახს. მღვდლის ფსიქოლოგია არ უნდა იყოს სიმდიდრის „მსახურება“ და მისგან ფულის მიღება. არსებობდნენ ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც მდიდარსა და ღარიბს ერთნაირი პატივით ეპყრობოდნენ. თუმცა კომუნისტები არ განასხვავებდნენ სამღვდელოებას, მათ რეპუტაციას ლახავდნენ პიროვნული ღირსებების გაუთვალისწინებლად და ყველას ერთთავად მექრთამეებად წარმოაჩენდნენ: „აი, რა უყვარდა სამღვდელოებას!... „ბებია, ბინძურ თვალებში იმიტომ გკოცნი, — ცოტა კვერი მიწყვიტო“. თითქოს ამიტომ „ჰკოცნიდა“ ხალხს სამღვდელოება. იგი ხალხს უქადაგებდა: „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო“. თვითონ მას კი უოფლოდ ეძლეოდა ყველაფერი, უშრომელად ნთქავდა მშრომელთა ნაოფლარს, ამიტომ გამოუთქვამს ხალხს:

„დიაკვანსა და ხუცესსო
გველი ჩაუძვრეს მუცელსო!“.

ასეთი შინაარსის ლექსები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. სამღვდელოების წინააღმდეგ საშინელი პროპაგანდა საქართველოს ყველა კუთხეში მიმდინარეობდა, სამღვდელოებას აბრალებდნენ, რომ ისინი ქალებს „ელაქუცებოდნენ“ და ტაძრები საარშიყო ადგილად ჰქონდათ გადაქცეული, რასაც ადასტურებს შემდეგი ლექსი:

„ლევანიშვილი ხუცესი
მე როდი მეხუცებაო, —
საყდარში აღარავინ დადის:
„ქალებს ელაქუცებაო“.

გურული ქალის სახელით დაწერეს ასეთი ლექსი:

„გურიანთელი ქალი ვარ,
სახელად მქვია მარინე.
ხუცესმა მითხრა „გაკოცებ,“ —
ვარი ვუთხარი, ვარი მე“

ცოდნა იმისა, რომ თვით უფალსაც კი განიკითხავდნენ, ხუროს ძედ იხსენიებდნენ და უფრო შორსაც მიდიოდნენ ცილისწამებაში, სასულიერო პირებს სიმშვიდის მაგალითს უნდა გვაძლევდეს. ბოროტი განზრახვა, შური იყო მთავარი მაპროვოცირებელი,

რისთვისაც სამღვდელოებას სდევნიდნენ. კაცობრიობის ისტორიის სათავეებიდან მოყოლებული, შური პირველსაწყისი თესლია ადამიანის წინააღმდეგ მიმართული.

ათეისტური ხელისუფლების პროპაგანდისტებმა სამღვდელოებას შეურაცხყოფა, ცილისწამება არ აკმარეს და მის პირად ცხოვრებაში – ოჯახურ სივრცეშიც შეიჭრნენ, მისი ოჯახის წევრების დაცინვა და შეურაცხყოფა, მათთვის უზნეობის დაბრალება დაიწყეს:

„ზოგს მღვდლის ცოლი უყვარს,
ზოგს მღვდლის ასულიო“. (ლომთათიძე, 1928, გვ. 18).

მღვდლის ღირსებისა და ავტორიტეტის შემლახავი და დამამცირებელია სწორედ ამ მიზნით შეთხზული ფოფოდისა და კუროს ამბავიც...მღვდელი ფოფოდისთან კუროს შემოესწრო. კურ(ო) გაიქცა. მღვდელი კეტით დაედევნა. საცაა დაეწევა. კურო ბოსტანში ჩახტა. მღვდელიც შიგ ჩავარდა. ჰხედავს კურო - ვერსად წაუვა და მოჰკლავს მტერი. მორთო ყვირილი: „მიშველეთო!“. მოცვივდნენ მეზობლები. კურომ სწრაფად მოგლიჯა ერთი მუჭა ცერცვი და ხალხს უჩვენა: „ მე უბედური გავბრყვიდი, — ეს მოვიპარე და ამის გულისათვის მკლავდა ხუცესიო?“ ხალხმა მღვდელი შეარცხვინა: „ ერთი მუჭა ცერცვისათვის ჰკლავდი კაცსაო?“ მღვდელმა ნამვდილი მიზეზი ვერ გაამჟღავნა და სთქვა:

„ვისთვის ცერცვია
ვისთვის ცეცხლიაო!“ (ლომთათიძე, 1928, გვ. 18).

სამღვდელოების ვითომ უზნეობაში ხალხის დასარწმუნებლად მამხილებელი სიუჟეტების მრავალფეროვნება ესაჭიროებოდათ. მსგავსი შინაარსის ნიმუშები საზოგადოების ყველა ფენისთვის მისაღები და დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო.

კომუნისტურმა პარტიამ სიწმინდედ და ღმერთად საკუთარი თავი მოიაზრა, ის მიიჩნევდა, რომ უზენაეს ძალასა და ერთადერთ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა, რის გამოც ხალხს მხოლოდ მისი უნდა ერწმუნა, სხვა არავის მიმართ რწმენა არ უნდა ჰქონოდა, მსგავსად მთავარანგელოზის სურვილისა: „შენ სთქუ გულსა შინა შენსა; ზეცად მიმართ აღვიდე; აღვიდე... და ვიყო მსგავს მაღლისა“ (ეს. 14, 13-14).

ეკლესიის მიმართ არაკეთილგანწყობა და სიძულვილის გრძნობა ხელისუფლებას სამღვდელოებაზე იერიშის მიტანისკენ უბიძგებდა. მათი დაცინვა და ცილის წამება ცხოვრების წესად იქცა. ვერცხლისმოყვარეობის გარდა, სამღვდელოებას მექალთანეობაშიც ადანაშაულებდნენ:.

„წადი იმ ხუცესს უთხარი:

ჩემსას ნუ დაიარება!
არ მინდა იმისი ლოცვა,
არცა მისი ზიარება:
ჩვენ რომ საყდარში გვგონია, —
ქალებში დაიარება!”(ლომთათიძე, 1928, გვ. 19).

ხელისუფლება მექალთანეობაში თეთრი სამღვდელოების გარდა ბერ-მონაზვნებზეც
დებდა ბრალს:

„ — ბერო, სული გირჩევნია,
თუ ლამაზი ქალებიო?
— საიქიოს სული მინდა,

აქ ლამაზი ქალებიო.” (ლომთათიძე, 1928, გვ. 19).

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ღვთისგან ბოძებული ბუნებრივი ლტოლვა არ
ჰქონდეს- მამაკაცს ქალისა და ქალს მამაკაცისადმი, თქვა უფალმა ადამისა და ევას გაჩენის
შემდეგ. ბუნებრიობის დარღვევა კანონიერი ცოლ-ქმრობის ანუ უფლისმიერი მცნების
დარღვევა: „არა იმრუმო“. უფლის ათი მცნებიდან სწორედ ესაა ერთ-ერთი და მისი
დამრღვევი ღვთის წინაშე უდიდესი უკრძალველობით სცოდავს, მიუხედავად იმისა,
სამღვდელო პირი იქნება ის თუ მორწმუნე ერისკაცი. გრძნობებზე თამაში იცოდნენ
პროპაგანდისტებმა, ისიც უწყოდნენ, რომ ყოველ ადამიანში დევს ცდუნების მექანიზმი,
რომელსაც მორწმუნე საკუთარ თავში მუდმივად უნდა ებრძოდეს. იმ ეპოქაში, როდესაც
ანტირელიგიური შინაარსის პასკვილები იქმნებოდა, ეჭვის თვალთ უყურებდნენ იმ
მღვდელს, ვისაც დიდხანს გაუგრძელდებოდა საუბარი საწინააღმდეგო სქესის სულიერ
შვილთან. ასეთებს „არშიყობას“ აბრალებდნენ, განიკითხავდნენ და საზოგადოებაში მათ
მიმართ უნდობლობას თესდნენ. ერთი იმერული ლექსი გვაუწყებს:

„გადირინენ ეს ხუცები:
ქალებს არ ზოგვენ სხვისასა.
არშიყობას დაიწყებენ
იმ თავის მოწაფისასა.
მოწაფეებს არ ზოგავენ,
ჩვენ რას ვიწამებთ მისასა!..
ტაბლებით დასუქებულან,

სათბილოს სჭამენ ცხვრისასა.” (ლომთათიძე, 1928, გვ. 20).

ამ ლექსს იქვე მიამატეს პასკვილი : „მღვდელს ჰკითხეს: „ქალი გირჩევნია, ქათამი, ღვინო, თუ ხაჭაპური?“ მღვდელმა უპასუხა: „ ქალი ქათმითა და ხაჭაპურით მარანში დამხვდესო” (ლომთათიძე 1928: 20).

„მამაო ჩვენო,
რა მოგაჩვენო:
ქათამი ჭრელი,
ნისკარტი გრძელი,
გამოხტა მგელი,
შესჭამა მღვდელი“.

გემოთმოყვარეობის აქტუალობა, გამამდარი, ჩამრგვალებული მღვდლის სახე და გვერდით ქალის კარიკატურა დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის პრესისთვის. არადა, ათეისტური მმართველობის დამყარებამდე ბევრი წარჩინებული ოჯახის შვილები განათლებას იღებდა სასულიერო აკადემიასა თუ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რადგან იმ დროისათვის საქართველოში ის იყო ერთადერთი სასწავლებელი. ეგზარქოსობის პერიოდში ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ იყვნენ სტუდენტები. მთავარი იყო ქართველობა და ეროვნულობა დაევიწყებინათ, ყველა სხვა გზა კი ხსნილი იყო მათთვის. ურწმუნოების, ზიზღის, შურისა და გარყვნილების ბუდე იყო სემინარია. ამის საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. გაიხსენოს ადამიანმა, თუნდაც ის, რომ იოსებ ლალიაშვილმა სემინარიის რექტორი დეკანოზი პავლე ჩუდცვი დანით მოკლა. გახმაურებული ამბები საზოგადოების ნაწილს აიძულებდა, ლექსებით „შეემკოთ“ სასულიერო პირები.

საბჭოთა ეპოქაში საქართველოს ყველა კუთხე განიცდიდა რელიგიური თვალსაზრისით უდიდეს ზეწოლასა და რეპრესიას, ამ მხრივ არც ფშავი ყოფილა გამონაკლისი, სადაც უამრავი ღირსეული სასულიერო პირი მოღვაწეობდა მსგავსად დეკანოზ პავლე რაზიკაშვილისა, თუმცა იყვნენ უღირსებიც. რის გამოც ფშაველი მგოსანი ლექსებით „ამკობდა“ უღირს სასულიერო პირებს. სინდისიერ ადამიანებში გაღიზიანებას იწვევდა უწესო ქცევები, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ლექსი მართებულად შეიქმნა. ენამოსწრებული ფშაველები ამბობდნენ:

„დამეხსენ, მამაო ღვდელი,
სულ სად გემთხვიო ხელზედა!..
ერთხელაც მათენებიე
ბუსნის ჭალაის ველზედა...“

თუ მოგიბრუნდი, — შაგბერტყე...

ღვდელი მკიდავის ფეხზედა!...” (ლომთათიძე, 1928, გვ. 22).

სოლომონ ყუბანეიშვილის ცნობით, არსებობდა 162 ხელნაწერი, სადაც მსგავსი შინაარსის ლექსები იყო განთავსებული. მორწმუნე ადამიანისთვის ამ ხელნაწერების წაკითხვა მეტად მტკივნეულია. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში რწმენის, ქვეყნისა და ერთსულოვნების შენარჩუნებისთვის. მათი ნაწილი დედა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ცნობილია რომ, ადამიანის სულის მოსახსენიებლად, პანაშვიდი ტარდება. შესაწირ წანდილს თუ კორკოტს კი მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვს – როგორც ხორბალია სიცოცხლისა და ახალი ნაყოფის სიმბოლო, ასევე მიცვალებულიც განახლებული სახით ქრისტეს პურად უნდა გარდაიქმნას. კომუნისტები ამ საკითხს სამღვდელოების გასასარყებლად და მათთვის სიხარბის დასაბრალებლად იყენებდნენ:

„ჩვენი მღვდელი სულის მტერი,
სუსუნაკი, ტაბლის მტერი,
სანამ კორკოტს აკურთხებდა,
ცხრაჯერ მიატანა ხელი”.

ამ ლექსების შემომკრები და გამომცემელი სოლომონ ყუბანეიშვილი თავადაც ნეგატიურად არის განწყობილი სამღვდელოების მიმართ, რაც ნათლად ჩანს მისი კომენტარებიდან: „და, ამ ჩადებულ ქადებს შემდეგ იყოფდა მღვდელი და დიაკონი, რომელთა შორისაც გაყოფის დროს, ხშირად საქმე ჩხუბით დამთავრებულა“ (ყუბანეიშვილი, 1932, გვ. 7). არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი რამ სადმე ხდებოდა, მაგრამ აშკარაა, რომ ანტიქრისტიანული პროპაგანდა მთელი სამღვდელო დასის წინააღმდეგ იყო დაგეგმილი. ლექსებში აშკარად ჩანს მათ მიმართ ზიზღი:

„მღვდელი იმას არ დაეძებს
რაც რომ ქალადში სწერია,
თვალი უფრო იქითკენ აქვს,
რომელ პურში ყველია”.

ამგვარი ათეისტური პროპაგანდის ზეგავლენით გაბრაზებულ გლეხობას კითხვა გაუჩნდა: „ხუცესო, რათ ხარ უწესო?“ (ყუბანეიშვილი, 1932, გვ. 9) და მღვდლის მიმართ არაკეთილგანწყობა შემდეგნაირად გამოხატა: „დიაკვანსა და ხუცესსაო, გველი ჩაუძვრეს მუცელსაო”.. (ყუბანეიშვილი, 1932, გვ. 9)

საბჭოთა პერიოდში ეკლესიის მიმართ საზოგადოების უარყოფითი განწყობის დამკვიდრებას მყარი საფუძველი შეუქმნა ქართველებზე ძალად თავსმოხვეულმა ეგზარქოსობის პერიოდმა. ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსი ეგზარქოსების უღირსი ქმედებების შედეგად ეკლესიისა და მღვდლების ავტორიტეტი საქართველოში თანდათანობით შეილახა, კეთილადდათესილი და შესაბამისად, კეთილადმოგებული სარწმუნოება დაიკარგა, ქრისტეს სწავლება განიდევნა.

კათოლიკოს-პატრიარქებმა კირიონ II-მ (1917-1918), ამბროსიმ (1921-1927) და მათმა თანამებრძოლმა ქართველმა სამღვდლოებამ დიდი ძალისხმევის ფასად მოახერხეს ავტოკეფალიის აღდგენა, სიცოცხლე საქართველოს გამთლიანებასა და სარწმუნოების ერთგულებას შესწირეს, რასაც ხელისუფლება ყველაზე მეტად ვერ ეგუებოდა. ორი განსხვავებული ზედწერილის ამოკითხვა შეიძლება მათ ცხოვრებაში, რადგან დაგვანახეს როგორია განცხადებული ღმერთის თაყვანისცემა და უხილავი უფლის ერთგულება. ღმერთის თაყვანისცემა იმდენად გვწყვეტს ამ სოფელს, საერთოდ არ არის აუცილებელი ზეცას შეხედო, სულით ადამიანი ისედაც მოგზაურობს ლოცვისას. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ამის მოპარვა განიზრახა მეცნიერებისა და სიყალბის სახელით. წყვილია და ღამის სიბნელის მატარებელია საბჭოთა პერიოდი. ამ თითიდან გამოწოვილი ლექსებისა და ფრაზების ავტორთაგან არც ერთს ჰქონია სარწმუნოება. თითქოს საბჭოთა პერიოდი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ სასულიერო პირების ქილიკი და ლანძღვა დღემდე შემორჩა. დაცინვა ბუნებრივ მდგომარეობად იქცა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არა იმ დოზითა და მასშტაბებით, როგორც ეს კომუნისტური რეჟიმის დროს იყო. თანამედროვე ეპოქაშიც ხალხურ ლექსებსა თუ სიმღერებში ნათლად ჩანს საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულება სასულიერო პირების მიმართ. მაგალითად, „ჯიპიან-ლიპიანი მამაო“. დაცინვა, ცინიზმი ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებაა. დღესაც გაისმის იმდროინდელი ლექსი:

„ა ხუცესო ფაცა, ფაცა...“

სული მხდება, მაცა, მაცა!...“.

XX ს-ის 20-იან წლებში შექმნილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან მღვდელი ყველაზე მეტად გაკრიტიკებულია ზღაპარში: „მზეთუნახავი ქალი და მისი ძიძა“, სადაც მღვდელი კაცის მკვლელობის დაფარვისთვის ოქროს იღებს და ქალს დანებების ულტიმატუმსაც უყენებს. სოლომონ ყუბანეიშვილი დასკვნის სახით წერს: „ასეთი სწორი გამათრახება ჰპოვა სამღვდლოებამ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, რომლის მთქმელად

გამოყვანილია მასა, რომელიც გულწრფელად და დაურიდებლად ამბობს მას, რასაც გრძნობს, გონება რეალობას კარნახობს, რომელმაც არ იცის ამ მხრივ მორიდება და სხვისი ზეგავლენით კარნახი“ (ყუბანიშვილი, 1932, გვ. 14).

მსგავსი შინაარსის თხრობა მრავლად გვხვდება. ნაკვესებში უფრო მკაცრად დასცინიან მღვდელს: „წირვაზე მღვდელი სახარებას კითხულობდა, უცბათ ვეღარ ამოიკითხა და სთქვა: რა ჯანდაბა ემართება ამ სახარებასო“ .

2. ბერს მონაზონთან დაწოლა უნდოდა, მაგრამ თვითონ შესვლას ვერ ბედავდა. უთხრა სხვებს —ხალიჩაზე დამაწვინეთ, თქვენ ამიღეთ და იქ ისე შემიყვანეთო, რომ მომიკითხავენ, იმ სოფელს (ე.ი. საიქიოს) ვეტყვი — მე არ შევსულვარ, იმათ შემიყვანეს-თქო“ (ყუბანიშვილი, 1932, გვ. 39). მსგავსი შინაარსის ატარებს მოთხრობები: „მღვდელი და მაცხოვარი“, „მეც მამლარი ვარ ჩემი სტუმარიც“, „წრუმში ქნა და ხრუპი აღარ იყო“, „დათვის გაჩენა“, „გაფუფქვილი მღვდელი“, „ვაჭრის ქალი“, „ასის მკვლეელი“, „მღვდელი და პელო“, „მღვდლისა და იმის ქალის ზღაპარი“ და სხვ.

ანტირელიგიური იდეოლოგიით იწერებოდა საბავშვო ზღაპრებიც: „იყო და არა იყო რა. მშრომელ ხალხზე უძლიერესი რა იქნებოდა? იყვნენ ოდესღაც უვიცი ადამიანების მიერ შექმნილი ღმერთები, რელიგია და სამღვდელოება. დიდხანს, ძალიან დიდხანს იარსებეს მათ ამ ქვეყანაზე და მეოცე საუკუნეში მხოლოდ პროლეტარიატის რკინის ხელმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მათ“ (ლომთათიძე, 1933, გვ. 31).

სოციალიზმის აპოლოგეტებმა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გაავსეს სამღვდელოების საწინააღმდეგო ტექსტებით, მათ წინააღმდეგ ხისტი, უგემოვნო, უცოდინარი და არაკვალიფიციური აგიტატორები გამოჰყავდათ.

მღვდლის ლანძღვა-გინება და მისი უარყოფით კონტექსტში მოხსენიება თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, რათა მშრომელი ხალხი მუდმივი პროპაგანდისტული ზეწოლის ქვეშ ჰყოლოდათ .

შეთხზეს ლექსებზე ბევრად უფრო მწვავე შინაარსის ლოზუნგები: „ძირს სარწმუნოება — სიბნელე“, „ზეცის სამოთხე მდიდრებს, მიწიერი პროლეტარებს!“, „ძირს სარწმუნოების მატყუარობა, წინ — მეცნიერებისაკენ!“.

ანტირელიგიური შინაარსით გამოირჩეოდა 1921-1927 წლებში შექმნილი კარიკატურები, რომელიც მრავლად არის შემორჩენილი პრესის ფურცლებზე. ერთ-ერთზე გამოსახეს ახალგაზრდა საბჭოთა აქტივისტები წარწერით „ღმერთს ვაფეთქებთ“ (სპარტაკი, 1923, გვ. 1). (იხ. დანართი № 9).

პარტიული ინტერესის გამო, მშობლების დამცირებასა და დაცინვასაც არ ერიდებოდნენ, ყველაზე წმინდას შეგნებულად ლანძღავდნენ. მაცხოვრის შობის შესახებ საეკლესიო გადმოცემის ჭეშმარიტებას ეჭვქვეშ აყენებდნენ და ერის ცნობიერებაში ამ ამბის შესახებ ჯერ კიდევ შემორჩენილ რწმენას თავიანთი მშობლების ჩამორჩენილობით ხსნიდნენ: „კარგად გვეცოდინება ყველას, ეს ძველი სკოლის თუ ჩვენს ჩამორჩენილ დედ-მამის გადმოცემაა, რომ ვითომდა ერთ ებრაელ ქალწულს, სახელად მარიამს, რომელიც ცხოვრობდა ებრაელთა ქვეყანაში, 25 დეკემბერს დაებადა იესო ქრისტე“ (სპარტაკი, 1923, გვ. 2).

ანტირელიგიური ლექსების გავრცელება ზეპირი სახით ხდებოდა, შემდგომში კი იბეჭდებოდა. ლექსების უმრავლესობა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის გავლენითაც იქმნებოდა. ერთ-ერთი ლექსი ბოკაჩოს „დეკამერონის“ მიბაძვით არის შექმნილი და რეალობასთან არაფერი აკავშირებს. მოქმედება ვითარდება მონასტერში (იხ. დანართი № 8).

ასეთ ლექსებს, ძირითადად, გლეხებში ავრცელებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სულიერ გასაჭირში მყოფი უბრალო გლეხი შემწეობისათვის პირველ რიგი უფალს მიმართავდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდებოდნენ ათეისტები და არწმუნებდნენ მას ღვთის არარსებობაში. საბჭოთა ხელისუფლება დიდად იღვწოდა ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირებისთვის. მათ, ფაქტობრივად,

მორწმუნე ადამიანის ცნობიერება და ცხოვრების წესი იძულებით შეცვალეს, ზეწოლა მოახდინეს და მათში ღმერთისადმი რწმენა კომუნისტური პარტიისადმი რწმენით შეცვალეს. დღემდე ამოუცნობია, რატომ ატარებდა საბჭოთა სახელმწიფო ტირანიის პოლიტიკას, როდესაც ჰუმანური მიდგომით უფრო უკეთესი შედეგის მიღება შეეძლო.

ადამიანში ღმერთისადმი რწმენის ჩაკვლის პროცესს უშედეგოდ არ ჩაუვლია. თავიდან საზოგადოება მუდმივად გამოხატავდა პროტესტს, თუმცა იგივე საზოგადოება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხელისუფლების ძალისხმევითა და იძულებით აწარმოებდა დაუნდობელ ბრძოლას ღვთისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლებას სურდა ახალი რელიგიის დაფუძნება ღმერთის გარეშე. ეს იყო უდიდესი შეცდომა.

მღვდელმსახურების დაცინვა კონკრეტულად სასულიერო პირების აუტანლობით არ იყო გამოწვეული, მათ ამ ნაბიჯით ღმერთზე მიიტანეს იერიში და დაუფარავად გააჟღერეს კიდევ: „ღმერთს ვაფეთქებთ“.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ რელიგიური დღესასწაულების მოსპობა ვერ შეძლო, მორწმუნე ერის სრული გაათეისტება ძალიან გაძნელდა, რადგან ხალხში შობისადმი მოწიწება, უფლისადმი სიყვარული დიდი იყო. სწორედ ამაზე მიიტანეს იერიში ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რაც კარგად არის ასახული ლექსში „საშობაო საყვირი“ (სპარტაკი, 1924, გვ. 2).

სიახლის შემოტანა და თავისი აზროვნების შესაბამისი ქმედებების დამკვიდრება ყველას სურს. ცხადია, ღმერთია ადამიანის შემოქმედი, მაგრამ ზოგიერთ ადამიანს სურს, რომ მაიმუნი იყოს მისი წინაპარი. არჩევანში არავინ იზღუდება, რაც სურს, ის იფიქროს და აკეთოს, თუმცა სწორედ ის ქმედება იქნება მისი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი. რა დოზით სძულდათ ღმერთი, რომ მისი სახელი ასე აღიზიანებდათ. თუ არ არსებობს ღმერთი, მაშინ რისთვის ებრძოდნენ უფალს? რატომ აღიზიანებდათ იგი საბჭოთა იდეოლოგებს? აშკარაა, რომ შობის აუგად მოხსენიება მღვდლის გაქილიკებას არ უდრის! მღვდლების წამებითა და ლანძვით სურდათ რელიგიური დღესასწაულების მოსპობა, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. ადამიანებს სწამდათ უფლის. დედა შვილს ჩუქნის სიცოცხლეს, მაგრამ ის ვერ შეძლებს აჩუქოს მარადიულობა. ვინც ცდილობდა უფლის ტახტის მითვისებას, ყველა დამარცხდა: ანგელოზი ეშმაკად იქცა, ადამი სამოთხიდან გამოაძევეს, კაენი ძმის მკვლელობის გამო წარწყმდა, საბჭოთა კავშირი კი ღმერთისა და უდანაშაულო ადამიანების დევნის გამო განადგურდა! კომუნისტურმა პარტიამ უდანაშაულოთა სისხლი დაღვარა და უამრავი ადამიანიც ჩაითრია საკუთარი უღმერთო ჩანაფიქრის განსახორციელებაში. მღვდლებს აშიშვლებდნენ, ბოძზე აკრავდნენ და დასცინოდნენ, ქმნიდნენ მათ კარიკატურებს და სახალხოდ გამოჰქონდათ. ხშირად ჩნდებოდა გაზეთებში მდიდარი მრევლისაგან შემოწირულობის მომლოდინე მოქეიფე მღვდლის კარიკატურა. კომუნისტების ხედვით, სიმდიდრის მოხვეჭა იყო სასულიერო პირის მთავარი საზრუნავი (მუშა, 1923, გვ. 1).

მხოლოდ სამღვდელოების კარიკატურებს არ ჯერებოდნენ, გამოსახეს ღმერთი, ქრისტიანი მღვდელი და სხვა რელიგიური აღმსარებლობის სასულიერო პირები, მათ ქვემოთ კი მუშა, რომელიც უროთი სრესს თითოეულ მათგანს და ლექსით აგვირგვინებს:

„თქვენს მოციქულებს — მღვდლებსა და ბერებს

მოქონდათ ქვეყნად ჩაგვრა, მონობა.

ჩვენ დავამსხრიეთ თქვენი დიდება

და გავამეფეთ თანასწორობა,

ხალხის სამოთხედ მიწა იქნება

თქვენ კი — აწი აღარ გვჭირია

თქვენ აღარ ხართ და თქვენთან ერთად

მოისპო ხალხის გასაჭირია“ (მუშა, 1924, გვ. 1).

ათეიზმს აქვს ორი სახე. ერთი, როდესაც ადამიანი ამბობს, რომ ის ვერ ხედავს ღმერთს და, შესაბამისად, არ სწამს მისი. ეს უფრო მატერიალიზმს ჰგავს. მეორე, როდესაც უარყოფ ღმერთს, უარყოფ მას, ვისაც გააზრებულად ცნობ მსგავსად ნათლის ანგელოზისა. ეს უკანასკნელი უფრო მეტ თანაგრძნობას იწვევს, როგორც ჰქონდათ კამიუს, სარტრს. ათეიზმი, როგორც გამოცდილება, დიდი ხნის განმავლობაში ნაფიქრის გარეთ გამოტანა და საჯაროდ აღიარებაა, რომ შეგნებულად არ სწამთ ღმერთი. ისინი მძაფრად გრძნობდნენ და აღიქვავდნენ საკუთარ გულს უღმერთოდ. ასეთი სახის ათეისტები საკუთარ თავს თვითონ გლოვობდნენ და მორწმუნეების შურდათ, მაგრამ საბჭოთა კავშირმა ამ ორიდან არცერთი არ აირჩია, პირდაპირ მიადგა რწმენას და დაუწყო ნგრევა.

რელიგიას მისი მეცნიერულად შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის , ოპონირების გზით კი არ დაუწყეს განადგურება, არამედ მისი მიმდევარი ადამიანების საქმის გამოუძიებლად, მკაცრი განაჩენის გამოტანისა და დახვრეტის გზით. ხელისუფლების ასეთ პოლიტიკას დაუპირისპირდა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. ამიტომაც დასჭირდათ მისი, როგორც პოლიტიკური ოპონენტის, გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი საოკუპაციო რეჟიმის მამხილებელი მემორანდუმის ავტორის გაქილიკება, გაშარჟება და მის შესახებაც ცილისმწამებლური ლექსის შექმნა.

„მემორანდუმის“ ავტორი,
იჯდა ამბროსი სვიანი,
გვერდს უმშვენებდნენ ნაზარი
და პავლე შავ-წვერიანი.

—
სამსჯავროს წინა ბრძანდება
კათალიკოსის ამალა,
ყველანი „გმირთა-გმირები“,
ვინც ერის განძი დამალა.

—
თურმე ყველაფრის დამალვა
საიდუმლოთა ხდებოდა,
სულის-მამების პირისგან

არსად არ გამჟღავნდებოდა.
ბრწყინვალე „წმინდა-მამებსა“
ბნელეთის მოციქულებსა,
ედავებიან მშრომელნი
განძეულს დამალულებსა.

—
„წმინდა მამებსა“ იცავენ
ვექილნი, გაწაფულები,
„ნათესავთ“ „ნათესავთათვის“
ძალიან სტკივათ გულები.

—
მაგრამ მშრომელთა სამსჯავრო
ღირსეულს დასდებს მათ მსჯავრსა,
ენა მოქნილი მელები

ვერ აგვიხვევენ ჩვენ თვალსა“ (კომუნისტი 1924: 4)

წმინდა ამბროსისთან ერთად აქ მოხსენიებული ნაზარი ყველასთვის ცნობილი ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარია (ლეჟავა), რომელსაც დააბრალეს ნოე ჟორდანიას მთავრობასთან საიდუმლო გარიგება და მორწმუნე მრევლის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებისკენ მოწოდება. ამავე ლექსის „პავლე შავ-წვერიანი“ კი არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე, შემდგომში ეპისკოპოსი), რომელსაც სასამართლომ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის წაყენებული ბრალი ვერ დაუმტკიცა და სხვა ბრალდება წაუყენა – სიონისა და მცხეთის განძეულობის გატაცება. სინამდვილეში ხმას ავრცელებდნენ, რომ განძეულობა უცხოეთში არის გატანილი (პატრიარქმა ლეონიდემ უწყოდა საბჭოთა ხელისუფლების ბნელი განზრახვები და გაავრცელებინა ხმა, თითქოს ნოე ჟორდანიამ წაიღო თან ოქროულობა გემით), ამას იმდროინდელი გაზ. „კომუნისტიც“ აქვეყნებდა. პატრიარქ ლეონიდესა და ნოე ჟორდანიას ბრალად ედებოდათ ქვეყნიდან ოქროულობის გატანა. თავის დროზე ამ უწყინარმა „ტყუილმა“ შეასრულა თავისი მისია, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიაკვლიეს ოქროულობას. არ აპატიეს და გაასამართლეს კიდევ სასულიერო პირები, ზოგი კი დახვრიტეს. სასულიერო პირებს უჭირდათ ხელისუფლებასთან დიალოგი და მათ წინაშე მუდმივად თავის მართლება უწევდათ, იცოდნენ რა, რომ სიმართლის თქმა ქვეყნის ღალატისა და საეკლესიო, ეროვნული საგანძურის განიავების ფასად დაუჯდებოდათ. ათეისტებს ღმერთზე საუბარი არ

შეეძლოთ, მაგრამ ღმერთის განადგურებას ცდილობდნენ. ვინ იყო ღმერთი არ უწყობდნენ, მაგრამ მათთვის არარსებულისადმი ზიზღს თესდნენ.

1921-1927 წლებში შექმნილი ათეისტური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ტიპოლოგიური და შინაარსობრივი მრავალფეროვნება ნათლად ცხადყოფს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიასა და სამღვდელოებას ცივილიზებული საზოგადოებისათვის ყოვლად მიუღებელი, ბინძური, უმკაცრესი მეთოდებით ებრძოდა, რაც ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს – ეკლესიისა და სამღვდელოების განადგურებას მათგან სამწყსოს ჩამოშორების გზით და სულიერებისაგან დაცლილი, ხელისუფლებისაგან მართული, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით გამსჭვალული, საბჭოთა ათეისტური საზოგადოების შექმნას.

3. 3. 1921-1927 წლებში გამოცემული ანტირელიგიური ლიტერატურა

საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგია ყველაზე აგრესიული ფორმით წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელოებში. საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ ხდებოდა როგორც ზეპირი (ლექციის ფორმით) და ასევე წერილობით (ბეჭდური სიტყვით). ანტირელიგიური პროპაგანდა მხოლოდ თეორიულ ხასიათს არ ატარებდა, რადგან საბჭოთა ხელისუფლება ფიზიკურადაც ანადგურებდა სასულიერო პირებს. როდესაც რეპრესიები შეწყდა, მაშინ გააქტიურდა ბეჭდვითი პროპაგანდა. განსაკუთრებით გამოიყენეს ყველაზე გავრცელებული ხერხები საზოგადოების გონების დასაპყრობად. იბეჭდებოდა მცირე ზომის ანტირელიგიური ბროშურები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ყველა ასაკზე იყო გათვლილი.

1922 წელს დაიბეჭდა ი. სტეპანოვის სახელმძღვანელო „ნარკვევი რელიგიურ რწმენათა განვითარებიდან“. ავტორი ხელისუფლების დავალებით, ან შესაძლოა, საკუთარი ინიციატივით, წერდა, რომ რელიგია გამოიგონეს მღვდელმსახურებმა. იგი დიდ ყურადღებას უთმობს რელიგიურ რწმენათა და ჩვეულების წარმოშობის მიზეზების გარკვევას. წიგნი დაწერილია როგორც სახელმწიფო პროპაგანდისტებისა და ლექტორებისათვის, ასევე მოსწავლე - ახალგაზრდობისთვის. ლიტერატურის კრიტიკულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ავტორი ერთმანეთში ურევს რელიგიის არსა და პიროვნების რწმენას, ბოლო გვერდზე დაბეჭდილია ლიტერატურა თემების მიხედვით. აშკარაა, რომ ეს წიგნი განსაზღვრულია იმ კატეგორიისთვის, ვინც უპირობოდ მიიღებს ნებისმიერ თემას, „თუ კომუნიზმი უბრძანებს ამას“.

საბჭოთა ხელისუფლება ქართულ ენაზე სხვადასხვა სახის ლიტერატურას გამოსცემდა, მაგრამ მათგან ყველაზე გამორჩეული იყო ანტირელიგიური წიგნები. კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ მღვდლები და ბერები ატყუებდნენ და ჩაგრავდნენ გლეხებს. იმის ნაცვლად რომ სოციალ-დემოკრატებს ეწარმოებინათ სასტიკი ბრძოლა, ისინი რელიგიას აცხადებდნენ კერძო, სინდისის საქმედ. ეკლესიას კორტნიდნენ სოციალ-დემოკრატებიც (მენშევიკები) და ბოლშევიკებიც. პარტიის ყველა წევრი ვალდებული გახადეს ეწარმოებინათ ანტირელიგიური პროპაგანდა. ისინი არა მარტო მღვდლების მტრები, არამედ ზოგადად, ეკლესიური მოძღვრების მტრები იყვნენ. კომუნისტები ხშირად იმოწმებდნენ მარქსსა და ენგელსს. რელიგიის საწინააღმდეგოდ, მათ ნაშრომებში შხამის ოკეანეა ჩაღვრილი და სწორედ მისი თავმოყრა მოახერხა კომუნისტურმა ხელისუფლებამ. ფ. ენგელსი თავის „ანტიდიურინგში“ წერს: „ეხლა ყოველი რელიგია არის ადამიანთა თავებში ფანტასტიური ასახება იმ გარეშე ძალების, რომლებიც ბატონობს მათზე ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასახება, რომელშიც მიწიური ძალები ღებულობენ ზებუნებრივ ძალების ფორმას. ისტორიის დასაწყისში ასეთ ასახებას განიცდიან, უმთავრესად, ბუნების ძალები... მაგრამ მალე ბუნების ძალების გვერდით გამოდიან აგრეთვე საზოგადოებრივი ძალები, — ძალები, რომლებიც გაბატონებული არიან ადამიანებზე და რჩებიან მათთვის ისეთივე უცხო და გარეგნულათ ისევე აუცილებელათ, როგორც ბუნების ძალები“. მარქსის აზრით, „რელიგია, — ეს თვითშეგნებაა იმ ადამიანისა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ უპოვია თავისი თავი, ან ხელახლა დაუკარგავს ის“ (ორაგველიძე, 1924, გვ. 14-15).

როგორც ცნობილია, 1923 წელს უღმერთოთა კავშირმა ღია ომი გამოუცხადა რელიგიას: „არ შეიძლება მოვსპოთ რელიგია ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში. ის უნდა ვსპოთ ათეულ წლების განმავლობაში მით უმეტეს, რომ ის უფრო გაუგებარი რამეა, ვინემ ბურჟუაზიული ეკონომიკა, რომლის გაგება იმდენ სიძნელეს არ წარმოადგენს“ (ორაგველიძე, 1924, გვ. 22). როცა მიდგომები უძველდებოდათ, ახალს იგონებდნენ და პროპაგანდისტებს მოძღვრავდნენ: „არ შეიძლება ძალით ავკრძალოთ „შახსეი ვახსეი“, არ შეიძლება ძალით გავრეკოთ ქუჩაში გამოსული სპარსელი მორწმუნენი“ (ორაგველიძე, 1924, გვ. 22). საბჭოთა საქართველოს კომპარტიის ცეკა თავის ცირკულარში წინადადებას იძლეოდა, რომ ანტირელიგიური მიდგომები დაეხვეწათ: „...ჩვენ უნდა ვიცოდეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჩვენი მუშაობა ამ დარგში არის მუშაობა ხანგრძლივი, მოლეკულარული. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ერთი ანტირელიგიური კამპანიით, ზერელე აგიტაციით, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. ჩვენ გვინდა ღრმა მუშაობა, ჩვენ გვინდა არა

ანტირელიგიური კამპანია, არამედ ანტირელიგიური პროპაგანდა. ეს კი ერთი და იგივე არ არის“ (ორაგველიძე, 1924, გვ. 23). პარტიამ ანტირელიგიური წრეები შექმნა სხვადასხვა სახელწოდებით და დააკომპლექტა აგრესიული გლეხებით, მაგრამ ლამაზად გაჟღერებული მოწოდებით: „მიეცით მორწმუნე მუშებს და გლეხებს ცოდნა და გაგება ყოველივე იმის, რაც მის გარშემო არის, და მაშინ ისინი იტყვიან: ჩვენ არ გვწამს არც ღმერთი და არც ეშმაკიო! მიცემა ამ ცოდნისა მორწმუნისადმი არის საუკეთესო და უახლოესი გზა რელიგიის მოსპობისაკენ, რაც შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს“ (ორაგველიძე, 1924, გვ. 24).

1923 წელს დაიბეჭდა გ. კუნოვის ნაშრომი „რელიგიისა და ღვთისადმი რწმენის წარმოშობა“, რომელის გამოცემაც სახელმწიფომ დააფინანსა. რელიგიათმცოდნეები მასში ადვილად შეამჩნევენ მთელი რიგ შეცდომებს. ეს წიგნი ითვლებოდა გლეხებისათვის ადვილად აღსაქმელ ლიტერატურად, რომელსაც აუცილებლად უნდა გასცნობოდა პარტიული დავალებით, ყველასთვის სავალდებულო იყო მისი ცოდნა. ქობ-სამკითხველოებში ამ წიგნის საჯარო განხილვა ხდებოდა.

1923 წელს გამოიცა იულ ლიპერტის ანტირელიგიური შინაარსის ნაშრომი „კულტურის ისტორია“, მასში რელიგიის კრიტიკას დაახლოებით 100 გვერდი ეთმობა. ამკარაა, რომ ავტორი თეოლოგიურ საკითხებში ვერ ერკვევა, სუსტია მისი მსჯელობა ღმერთზე, სამებაზე. რელიგიური რწმენის მიზეზად იგი შიშს ასახელებს. ქართულ ენაზე ეს წიგნი პირველად 1895 წელს გამოიცა.

1923 წლისათვის ანტირელიგიურ წიგნებს შეემატა კ. კაუცკის „ქრისტიანობის წარმოშობა, ანტიური ქვეყანა“ – განახლებული გამოცემა. საბჭოთა ხელისუფლების აზრით, ეს იყო ფუნდამენტური ნაშრომი, რომლითაც რელიგიის მხილება იყო შესაძლებელი. ანტისარწმუნოებრივ ლიტერატურას შეემატა ამავე ავტორის „ეთიკა და მატერიალური შეხედულება ისტორიაზე“, ვ. ნევსკის „ქრისტიანობა და მუშურ-გლეხური დღესასწაულები“ (ცეკას გამოცემა), ვ. იაროსლავსკის „როგორ იბადებიან ღმერთები“ (ცეკას გამოცემა), ა. ლოგინოვის „მეცნიერება და ბიბლია“ (ცეკას გამოცემა), ა. ბებელის „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ (ცეკას გამოცემა), ნ. ბუხარინის „ეკლესია და შკოლა საბჭოთა რესპუბლიკაში“ (ცეკას გამოცემა), ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“ (სახელმწიფო გამომცემლობა), რუმიანცევის „ქრისტეს შობა“ (ცეკას გამოცემა), ი. სტეპანოვის „ფიქრები რელიგიაზე“ (ცეკას გამოცემა), ნ. ბუხარინისა და პრეობრაჟენსკის „კომუნისმის ანზანი“ (გამოიცა ქუთაისში ხელისუფლების დაკვეთით), ნ. ბუხარინის „პროგრამა კომუნისტებისა“ (დაიბეჭდა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ), ნ. ბუხარინის „თეორია

ისტორიული მატერიალიზმისა“ (სახელმწიფო გამომცემლობა). ჩამოთვლილი წიგნები გათვალისწინებული იყო ხელისუფლების მიერ სახელმძღვანელოდ საგანგებოდ ლექტორებისათვის. ლექტორებს უნდა ემტკიცებინათ, რომ ღმერთი არ არსებობს, ღმერთი ადამიანის შთაგონების წყაროა, რომელიც დროთა განმავლობაში რელიგიის წარმომადგენლებმა დოგმატურ სწავლებად აქციეს.

1924 წელს დაიბეჭდა გ. პლექხანოვის სახელმძღვანელო წიგნი „სარწმუნოების შესახებ“, სადაც შევიდა სამი წერილი რელიგიის წინააღმდეგ. რუსულად ეს წერილი დაიბეჭდა 1909 წელს. ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით წერილები ითარგმნა და დაიბეჭდა ქართულ ენაზეც. გ. პლექხანოვი რელიგიას ადარებს მითოლოგიას და მიიჩნევს, რომ ეკლესიამ მითოლოგიის რეალიზება მოახერხა ქვეყნად. პირველ წერილში იგი აკრიტიკებს ბოგდანოვის თეორიას ღმერთის არსებობის შესახებ და მოჰყავს სხვა არადამაჯერებელი ფაქტები და საბუთები, რომელიც ემყარება ტეილორისა და პირველყოფილი კულტურის შემსწავლელი ისტორიკოსების დასკვნებს, რითაც ცდილობს დაამტკიცოს ანიმისტურ შეხედულებათა არსებობა ყველა ისტორიულ რელიგიაში. ბუნებრივია, რომ ეს ნაშრომი მარქსისტულ იდეოლოგიით არის დაწერილი.

1924 წელს შეეცადნენ მეცნიერების სახელით დაემტკიცებინათ რელიგიის აბსურდულობა და ამ მიზნით გამოიცა ფრ. ენგელსის „მაიმუნიდან ადამიანამდე“ (ცეკას გამოცემა), ნ.ადაროვის „ქრისტიანობის წარმოშობა“ (კომკავშირის ცეკას გამოცემა).

ხელისუფლებამ ათეისტური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად შექმნა „მუშათა კლუბი“, რომლის მიზანი იყო რწმენის განადგურება. შეიქმნა კედლის გაზეთები, როგორც ადგილობრივი ორგანო, რომელიც მუდამ ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების აქტივობას, თვითმოქმედებას და ინიციატივას უნდა დაყრდნობოდა. იგი მასობრივი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად ითვლებოდა.

კედლის გაზეთის მეშვეობით შეკრიბეს კლუბის აქტივი: „მუშა-წერილები, მუშკორები, წრეების ხელმძღვანელები და წევრები, კლუბის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელები და მომუშავეები, კლუბის ცალკე წევრები და სხვა“ (ჭელიძე, 1926, გვ. 41).

ლიტერატურის გამოცემის შემდგომ აუცილებელი გახდა ანტირელიგიური წრის დაფუძნება, რომელსაც ევალეობადა დაბეჭდილი ლიტერატურის გავრცელება. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც აკონტროლებდა და ხელმძღვანელობდა ანტირელიგიურ საბჭოს, საბჭო კი საპროპაგანდო ტრენინგებს ატარებდა, რითაც ანტირელიგიურად განწყობილი პიროვნებების ათეისტური აღზრდა ხდებოდა.

IV თავი

1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) მიერ გაგზავნილი მემორანდუმის ისტორიიდან

2018 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია გაზეთ „კომუნისტში“ 1922 წლის 4 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულმა ტექსტმა „საქართველოს „პატრიარქების“ „მუშაობა“ (გვ. 2). გაზეთის რედაქცია იქვე განმარტავს: „ჩვენ ვაქვეყნებთ შეუმოკლებლად „სულიერი მწყემსის და საქართველოს პატრიარქის, მონის ღვთისა“ ამბროსის და მეორე მენშევიკური „პატრიარქის“, ბ-ნ ჟორდანიას მოწოდებებს, რომლებითაც მათ მიმართეს გენუაში შეკრებილ იმპერიალისტებს“. ეს ტექსტი პატრიარქ ამბროსის დაპატიმრების მიზეზად იქცა. იქვე აღნიშნულია, რომ: „ამ „დოკუმენტის“ ნამდვილი დედანი აკ. ჩხენკელმა, რომელიც თავის თავს საქართველოს ელჩს უწოდებს, გადასცა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს“ (კომუნისტი, 1922, 4 ივნისი, გვ. 3). გამომძიებელი, საქმის გარემოების შეფასებისას, იგივეს ამბობს: „დედანი ამ მოწოდებისა გადაეცა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს“ (გამახარია, 2012, გვ. 401).

1922 წლის გენუის კონფერენციისადმი პატრიარქ ამბროსის მიმართვის ტექსტთან დაკავშირებით დასადგენია რამდენიმე საკითხი, კერძოდ: 1) დედანის და მისი თარგმანები; 2) შემდგენელის ვინაობა; 3) კონფერენციაზე მისი წამლების ვინაობა. ამ საკითხების დიდმა მნიშვნელობამ და დადგენის სირთულემ, თანაც ისევე როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში მის შესახებ არსებულმა განსაკუთრებულმა მოსაზრებებმა, არსებული მასალების კრიტიკული განხილვა აუცილებელი გახდა.

გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი ტექსტის ხელნაწერი არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ არის აღმოჩენილი). არსებობს მხოლოდ ტექსტის რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული ბეჭდური ვერსია, რომელიც დაცულია . საპატრიარქოს არქივში, უშიშროების არქივსა და საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდში. ამიტომ დღემდე ვერ მოხერხდა დადგენა, წარმოადგენს თუ არა რომელიმე მათგანი დედანს ან, ხელნაწერის სახით მისი არსებობის შემთხვევაში, მის ზუსტ ასლს. და თუ ასეთი არსებობს ჩვენს ხელთ არსებულ ვერსიებს შორის, რომელი მათგანი წარმოადგენს პირვანდელი ტექსტის ზუსტ ასლს ან სულაც პირვანდელ ტექსტს. .

პატრიარქი ამბროსი თვითონ წერს, რომ მიმართვის ტექსტი დაწერა ქართულად: „მოწოდება ჩემს მიერ დაწერილი იყო ქართულ ენაზე“ (გამახარია, 2012, გვ. 419). პატრიარქი დაკითხვისას რამდენჯერმე აკეთებს ხაზგასმას, როდესაც ეკითხებიან რა ენაზე დაიწერა, ყოველთვის პასუხობს: „ქართულ ენაზე“ (გამახარია, 2012, გვ. 441).

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ტექსტი სტრუქტურითაც და შინაარსითაც თვალსაჩინოდ განსხვავდება დანარჩენებისგან. როდესაც, ტექსტის დედნის საკითხზე იმართება მსჯელობა, სხვადასხვა ენაზე თარგმნილ ტექსტებს გულისხმობენ.

დღემდე დაუზუსტებელია 2 საკითხი: 1) საქართველოში ითარგმნა დედანი რამდენიმე ენაზე, თუ 2) ქართულ ტექსტის გაგზავნის შემდეგ მოხდა სხვადასხვა ენაზე თარგმანის შესრულება.

ფილიპე მახარაძე სტატიაში - „პატრიარქ ამბროსის მღვდელმთავრული ჭორიკანობა“, შეცდომით უწოდებს დედანს მემორანდუმის ტექსტის იმ თარგმანს, რომელიც გაიგზავნა გენუაში (კომუნისტი, 1922, 7 ივნისი, გვ. 1). ჩვენი აზრით, დედანი არის ის ხელნაწერი, რომელიც პატრიარქ ამბროსის ხელით დაიწერა. ვინაიდან, ასეთი ხელნაწერი ტექსტი ვერ იძებნება, ვფიქრობთ, რომ ის დაკარგულია, სავარაუდოდ, ჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა საპატრიარქო რეზიდენციიდან. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ როდესაც საბჭოთა ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა პატრიარქ ამბროსის მიერ გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნის შესახებ, მაშინათვე დაიწყო ამ საქმეში ექვმიტანილი სასულიერო და საერო პირების დაპატიმრება. ყველა პირი იქნა დაკითხული, მათ სახლებში კი ჩხრეკა აწარმოეს რამდენიმე დღის განმავლობაში. ამოიღეს საეჭვო ნივთები და, სავარაუდოდ, გენუის კონფერენციისადმი მიმართვის ტექსტის დედანიც.

გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი ტექსტი 1922 წლის 7 თებერვლით არის დათარიღებული, თუმცა აშკარაა, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. კათოლიკოს-პატრიარქი სანდო პირებთან გამართავდა ხანგრძლივ შეხვედრებს, ვინაიდან ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ თავისუფლებას მოწყურებული ქართველები მუდამ იყვნენ გამოსავლის ძიებაში. ამ მხრივ, ხელჩასაჭიდია თავად პატრიარქის დაკითხვის ოქმიც, სადაც იგი ბრძანებს: „წერილი დაწერილია ახალი ხელისუფლების არსებობის წლისთავზე...“ (ხელაია, 1988, # 10). ახალ ხელისუფლებაში, იგულისხმება ბოლშევიკური მთავრობა, რომელმაც 1921 წლის 25 თებერვალს ოფიციალურად დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. პატრიარქი დამხობილ მთავრობასთან ერთად აშკარად გეგმავდა ოფიციალურ მიმართვას, მაგრამ ეს ყველაფერი ხდებოდა

კონფიდენციალურად, რადგან არსებობდა ობიექტური შიში ინფორმაციის გამჟღავნებისა. საბჭოთა ხელისუფლებას ეკლესიის შიგნითაც ჰყავდა ინფორმატორები. ამდენად, გასაგებია წერილის გასაიდუმლოებულ ვითარებაში შექმნის მიზეზი. მათ წინ დაბრკოლებები არ უნდა შეხვედროდათ, რადგან ერთადერთი, რეალური პროტესტის გამოხატვის გზა იყო ევროპა, კერძოდ კი, გენუის კონფერენცია. ევროპული სახელმწიფოები მათთვის სრულ მხარდაჭერას თუ ვერ მოახერხებდნენ, ნაწილობრივ მაინც გამოხატავდნენ ნეგატიურ პოზიციას საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოში წარმოებული პოლიტიკის მიმართ. ღიად, კონფერენციაზე რუსეთის აგრესიაში დადანაშაულება, მისთვის დიდი დარტყმა იქნებოდა. მართალია, მემორანდუმი შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო გენუის კონფერენციაზე არ განუხილავთ, მაგრამ მან თავის მიზანს გარკვეულწილად მაინც მიაღწია (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 40). ეს ჩანს თუნდაც იმ ფაქტით, რომ საბჭოთა რუსეთმა მოუწოდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, სასჯელის უმაღლესი ზომა არ შეეფარდებინა პატრიარქ ამბროსისთვის, „უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით“ (ნათმეღაძე & დაუშვილი, 2008, გვ. 131).

მართლაც, საბჭოთა ხელისუფლებამ თავი შეიკავა მკაცრი სადამსჯელო ზომებისგან, რადგან საერთაშორისო საზოგადოება მისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. მას არ სურდა გენუის კონფერენციის მონაწილე ევროპის ქვეყნების წარმომადგენელი მინისტრების წინაშე სახელის გაფუჭება. ის სამართლიანი და მშვიდობისმოყვარე ქვეყნის იმიჯის შექმნას ცდილობდა.

კონფერენციის შესახებ ინფორმაცია პატრიარქს, სავარაუდოდ, მიაწოდა მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას დავალებით, რადგან წერილის ადრესატამდე მისვლის პროცესში სწორედ მათი აქტიურობა ჩანს ყველაზე მეტად. პატრიარქის მკაფიო პოზიციის შესახებ ცნობილი იყო მენშევიკური მთავრობისთვის. მათ, ჰქონდათ იმედი, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გაგზავნილი წერილი მნიშვნელოვანი გზავნილი იქნებოდა საერთაშორისო დონეზე, რათა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებს პატარა საქართველოსთვის მხარი დაეჭირათ და ოკუპირებულ სახელმწიფოდ ეცნოთ.

როდესაც პატრიარქმა მიმართვა დაწერა, მას შემდეგ სავარაუდოდ დადგებოდა საკითხი თუ რამდენ ენაზე ნათარგმნი ტექსტი უნდა გაგზავნილიყო კონფერენციაზე. თარგმანი რამდენიმე ენაზე უნდა შესრულებულიყო. ჩვენ არც ის ვიცით ზუსტად, რომელ ქვეყანაში

იქნა პირველად ჩატანილი მიმართვა და ვის მიერ. სავარაუდოდ, სხვადასხვა პირები ჩაიტანდნენ სხვადასხვა ენაზე თარგმნილ ტექსტებს იმის გათვალისწინებით, თუ რომელ ქვეყანაში მიდიოდა ესა თუ ის პიროვნება. შესაძლოა, გაუგებარი იყოს, რა მიზნით უნდა გაეტანათ სხვადასხვა ქვეყნებში. პასუხი ერთმნიშვნელოვანია - კონსპირაციისა და უსაფრთხოების მიზნით.

ჩვენს წინაშე დასმული საკითხების გარკვევას გვიმარტივებს ის ფაქტიც, რომ 1922 წლის 10 მარტს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე აღნიშნული მემორანდუმი ქართული ემიგრანტული მთავრობის მიერ ბეჭდური სახით იქნა გამოცემული (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 42). საქართველოს ემიგრანტი მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ამჟამად ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება (ჰარვარდის კოლეჯია ფონდი 1831, საქმე № 712) თავმოყრილია გენუის კონფერენციაზე წარსადგენი მასალები. ამ მასალებს შორის არის პატრიარქ ამბროსი ხელაიას ფრანგულ ენაზე თარგმნილი მემორანდუმი. აღნიშნული დოკუმენტები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ გენუის კონფერენციაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმი უნდა წაეღო ქართული ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელს. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ არც ერთი მკვლევარი არ აზუსტებს თუ რა ენაზე დაწერილი ტექსტი წაიღეს საქართველოდან.

ს. ვარდოსანიძე (2001) დაკითხვის ოქმში მოცემული ჩვენების საფუძველზე ასკვნის, რომ ტექსტი საქართველოდან წაიღო იასონ კაპანაძემ, თუმცა არ აკონკრეტებს რა ენაზე დაწერილი ტექსტი გაიტანა ქვეყნიდან (გვ.68).

ცალსახაა, რომ რუსულ ენაზე მიმართვის ტექსტს გასაგზავნად არავინ დაწერდა, ვინაიდან ის არ იყო გათვალისწინებული რუსული მხარისთვის. რუსები იძულებული იქნებოდნენ (და ასეც მოხდა), თვითონ ეთარგმნათ ეს ტექსტი და ჟურნალ-გაზეთებში გამოექვეყნებინათ პატრიარქ ამბროსის დამამცირებელი, არაკორექტული კომენტარებით. მართლაც, ტექსტის შინაარსი დამახინჯებულად გადაიციმოდა იმდროინდელი საინფორმაციო საშუალებებით. რადიოთი და რუსული ჟურნალ-გაზეთების საშუალებით. თუმცა, ეს ხდებოდა 1923 წლიდან, პატრიარქ ამბროსის დაპატიმრების შემდეგ.

1923 წლის 23 დეკემბერს პატრიარქის მიერ მიცემული ჩვენება მოწმობს, რომ მოწოდების ტექსტი პატრიარქის მიერ დაწერილა რუსულ ენაზეც, თუმცა სხვა აუცილებლობიდან გამომდინარე და ეს აუცილებლობა გამოწვეული ყოფილა გამოძიების ინტერესებით. პატრიარქი თავად აღნიშნავს: „, საგანგებო კომისიის თხოვნით მე დავწერე რუსულად, რომელიც საქმეშია ჩართული" (გამახარია, 2012, 419), რუსულად ეს ხელნაწერი არ არის

შემონახული, ყოველი შემთხვევისთვის, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. თუმცა პატრიარქმა, რომ დაწერა მისი ჩვენებიდანაც ირკვევა. რუსული ენა საქართველოში ლამის სახელმწიფო ენის დონეზე იყო აყვანილი, ამიტომაც თხოვეს დაეწერა მოწოდება რუსულადაც. შესაძლოა, აქ იგულისხმებოდეს ტექსტის არა სრული, არამედ მისი მოკლე შინაარსის შემცველი თარგმანი.

ვფიქრობთ, გენუის კონფერენციაზე, ტექსტი გაგზავნილი იყო სამ ენაზე: იტალიურად, გერმანულად და ფრანგულად. ამ აზრს უფრო მეტად გვიმყარებს ბუდუ მდივნის (საქართველოს სსრ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე) ნაძალადევის თეატრში 22 ივნისს, ხუთშაბათს მიტინგზე წარმოთქმული სიტყვა. როდესაც მას ჰკითხეს: „... რა ილაპარაკე, რა სთქვი, ეს მაინც მოგვახსენე“-ო, მან მიუგო: „ მე რა უნდა მეთქვა, ან რა უნდა მელაპარაკნა: „ფრანგული ლაპარაკი არ ვიცი და გერმანულ-იტალიურიო“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 288). ცნობილია ისიც, რომ მოგვიანებით ინგლისურ ენაზეც გამოქვეყნდა გენუის კონფერენციისადმი მიმართვის ტექსტი, რადგან პატრიარქ ამბროსის მიმართვამ მსოფლიო მაშტაბის რეზონანსი მოიპოვა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ეს ოთხი ენა იყო კონფერენციის სამუშაო ენა და შესაბამისად, იქ დამსწრე პირებისთვის გაგზავნილი იქნებოდა ამ ოთხ ენაზე, ან ადგილზე შესრულდებოდა თარგმანი მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ არსებობდა მემორანდუმის ტექსტის გერმანული, ფრანგული, ინგლისური, იტალიური და რუსული თარგმანები.

ვინაიდან გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის რამდენიმე ტექსტი არსებობს მისი დედნის საკითხის დასადგენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული დოკუმენტის განხილვა, რაც ზუსტად იმ დროს არის გამოქვეყნებული, როდესაც მიმდინარეობდა პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოსოს საბჭოს წევრების დაკითხვები. და კონფერენციაზე, ახალი გაგზავნილი იყო მემორანდუმის ტექსტი. უშიშროების არქივში დაცულ მემორანდუმის ტექსტს მინაწერი აქვს, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ ეს ტექსტი გაზეთ „კაფარაში“(სწორი ფორმაა „კაფარო“) იქნა გამოქვეყნებული. სავარაუდოდ, სწორედ აქედან არის თარგმნილი დღემდე გავრცელებული მიმართვის ტექსტები. გენუის გაზეთ „კაფაროს“ (გაზეთი ჩრდილოეთ იტალიის ქ. გენუაში გამოიცემოდა) ეს ტექსტი 1922 წლის 5 მაისის ნომერში გამოუქვეყნებია. ტექსტების თარგმანის ხარისხისა და შინაარსის შესახებ ვერ შევაჩერებთ ყურადღებას, ეს მომავალი კვლევის საკითხია. მაგრამ, ერთი რამ ცხადია, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მემორანდუმის ტექსტი ყურადღების მიღმა დარჩა

დღემდე ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს და აქამდე სამეცნიერო მიმოქცევაში იყო მხოლოდ საპატრიარქოს არქივში, უშიშროების არქივსა და საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდში დაცული გენუის მემორანდუმის ტექსტები, რომლებიც ერთმანეთისგან ფაქტობრივად არ განსხვავდებიან. თითქმის ყველა მეცნიერი, ზემოაღნიშნულ არქივებში დაცული მიმართვის ტექსტით ხელმძღვანელობდა.

დაკვირვებული მკითხველი, რომელიც იცნობს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ გენუის კონფერენციაზე 1922 წელს გაგზავნილი მემორანდუმის ტექსტს, ადვილად შენიშნავს მსგავსებას ამ უკანასკნელსა და უახლესი ისტორიის არქივში დაცულ ტექსტს შორის, თუმცა ასევე შენიშნავს განსხვავებას მათ შორის ენობრივი თვალსაზრისით. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგინთ ორივე ტექსტს:

„კულტუროსან კაცობრიობას, რომელიც წარმოდგენილია გენუის კონფერენციაზე, ამბროსი, მონა მღვთისა, სულიერი მწყემსი და საქართველოს პატრიარქი, ღვთის სახელით, უგზავნის თავის სალამს.

ჯერ კიდევ ისტორიის წინა ხანებში, კავკასიის მთების კალთებზე, შავსა და კასპიის ზღვებს შორის, ქართლოსიანთა შთამომავლობის ზოგიერთმა ტომებმა, დააარსეს სახელმწიფო, პატარა თავისი სივრცით, მაგრამ ძლიერ შედუღებული ნებისყოფითა და ზეგარდმოცხებული თავისი ნიჭიერებით, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელწოდებით და რომელიც რამოდენიმე საუკუნეთა განმავლობაში წინა აზიაში იყო ერთადერთი პიონერი ქრისტიანული ცივილიზაციისა და ევროპის ჰუმანური პრინციპებისა. მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველოს ერი, დასუსტებული გარეშე მტრებთან ბრძოლაში, თავისი ნებით შევიდა ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ იმ იმედით, რომ ეს მფარველობა დაეხმარებოდა მას თავისი ნაციონალური და პოლიტიკური არსებობის შენარჩუნებაში. ეს მოტივები აშკარად გამოსჭვივის იმ ხელშეკრულების ტექსტიდან, რომელიც 1783 წელს დაიდო საქართველოს მეფე ერეკლესა და რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს შორის.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სამშობლოს გაუცრუვდა თავისი იმედები და იგი 177 წლის განმავლობაში წარმოადგენდა მსხვერპლს აღვირ ახსნილი დესპოტიზმისას და აუტანელი ჩაგვრისას რუსეთის ბიუროკრატის მხრივ.

აი, რატომ გამოაცხადა ქართველმა ხალხმა თავისი დამოუკიდებლობა 1917 წელში, როდესაც დაირღვა ხელოვნურათ შეკოწიწებული რუსეთის იმპერია; იგი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი პოლიტიკური, ნაციონალური და სულიერი არსებობის აღორძინებას.

თუმცა ამ მუშაობას დიდი დაბრკოლებანი ელოებოდნენ გარეშე და შინაგან მტრების მხრივ, საქართველოს ხალხმა მაინც დაამტკიცა თავისი მაღალ-ნიჭიერება, რაც გამოიხატა იმაში, რომ სამი წლის შემდეგ კულტუროსანმა ევროპამ იცნო მისი დამოუკიდებლობა და ჩარიცხა იგი თავისი(უ)ფალ და სუვერენულ სახელმწიფოთა შემადგენლობაში.

ცხადია, რომ ამის მოთმენა არ შეეძლო რუსეთს, რომელიც წინათ საქართველოს ბრძანებულ და პატარა ერების მჩაგვრელი იყო. მან გამოგზავნა საქართველოს საზღვრებისაკენ თავისი ჯარები, რომელიც შემოიჭრა მის საზღვრებში საოკუპაციო მიზნებით და 1921 წლის 25 თებერვალს კვლავ დაადო სისხლით დაცლილ პატარა საქართველოს მონობის უღელი, რომლის მზგავსიც მას არ განეცადა თავის მრავალ საუკუნოებიან ისტორიის განმავლობაში.

მართალია, ეს მოძალადენი სცდილობენ დაუმტკიცონ ყველას, როგორც თვით თავისიანებს შიგნით, ისე გარეშე მყოფთაც, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველი ერი. მაგრამ, ჩვენ, სულიერი მამა და ერთად-ერთი ჭეშმარიტი მწყემსმთავარი, რომლის ხელშიდაც თავს იყრის ყველაზე უფრო ნაზი და მტკივნეული ძაფები ამ ხალხის ნაციონალური მისწრაფებისა და რომლისადმიც უშუალოდ აღწევს ყველა მისი ცრემლები და საჩივრები, - ჩვენ ვიცით როგორი ბედნიერია იგი.

ჩვენ, ყოველგვარ გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ის ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში განიცდის ქართველი ერი, აუცილებლათ იწვევენ მის ფიზიკურსა და მორალურ გადაშენებას. ხალხს ართმევენ ქონებას, რომელიც მორწყულია მისი წინაპრების სისხლითა და ნაკურთხი მათივე ძვლებით და მას ანაწილებენ უცხოელ მოძალადეთა შორის. ესევე მოძალადენი ართმევენ ხალხს არსებობის საღსარს, რომელიც მისი სისხლითაა შეძენილი და შემდეგ აგზავნიან საზღვარ გარეთ. პროფანაციათ ხდება ხალხის სამშობლო, ამახინჯებენ მის ნაციონალურ კულტურას, რომელნიც შექმნილია მის წინაპართაგან. შეურაცხყოფას აყენებენ იმასაც კი, რაც არის ყველაზე უფრო ძვირფასი ხალხისათვის, მის სარწმუნოებას და სინდისის თავისუფლების ყალბი ნიღბის ქვეშ, მცხოვრებლებს უკრძალავენ თავისი რელიგიური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მის სამღვდელოებას დაუნიდობლად დევნიან, მისი ეკლესია, რომელიც, როგორც წარსულში რამოდენიმე საუკუნეთა განმავლობაში, კვლავინდებურად წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორს საქართველოს სახელმწიფოს სიდიადისას და სიძლიერესას, მოკლებულია დღეს ყოველ თავის უფლებას იმდენათ, რომ, მიუხედავად თავისი ამოდენა

ღვაწლისა, მოკლებულია საშუალებას თვითვე გამონახოს არსებობის აუცილებელი საღსარი.

ერთი სიტყვით, ერი გმინავს, ერი სჩივის. მას არა აქვს შეძლება სათანადოთ აღამაღლოს თავისი ხმა.

საქმის ამგვარი მდგომარეობის პირობებში, ჩვენ, ჩვენ მღვდელმთავრულ მოვალეობად მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი მთელი კულტუროსანი კაცობრიობის წინაშე.

ჩვენ, როგორც ღვთის ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივართ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის განხილვასა და შედარებითი შეფასებაში, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიღვწოდეთ ჩვენი ქვეყნისათვის ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელიც შედარებით უკეთესად ხელს შეუწყობდა მის მატერიალურ აღორძინებასა და სულიერ განვითარებას და ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ:

1) რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარები დაუყოვნებლივ იქნეს გაძევებულნი საქართველოს ტერიტორიიდან და რომ საქართველოს ქონება უზრუნველყოფილ იქნეს ყოველგვარ ძალადობისაგან, ძალმომრეობით შეფასებებისაგან და უცხოელთა გაფლანგვისაგან.

2) რომ საქართველოს ხალხს მიეცეს საშუალება თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ამას იგი თვითონვე დაინახავს საჭიროდ, განამტკიცოს ის ფორმები თავისი პოლიტიკური და სოციალისტური (ალბათ, გაზეთში ბოლშევიკებმა შეგნებულად შეიტანეს სოციალისტური ნაცვლად სოციალისტური -ა.ს.) არსებობისა, რომელნიც უფრო შეეფერებიან მის სულსა და მისწრაფებას, მის ზნე-ჩვეულებასა და ნაციონალურ კულტურას.

ჩვენ მტკიცე იმედი გვაქვს იმისა, რომ დიდად პატივსაცემი კონფერენცია, რომელმაც თავის მიზნათ დაისახა კაცობრიობის უდიდესი პრობლემების მოწესრიგება და აღდგენა ამ ქვეყნად სამართლიანობისა და თავისუფლებისა, არ უარყოფს პატარა საქართველოს საარსებო მოთხოვნილებებს, რომელნიც ჩვენ მიერ აქ არიან მოხსენებულნი და გაანთავისუფლებს მას იმ სამარცხვინო მონობიდან და ძალადობის ბატონობისაგან, რომლის მსხვერპლიც იგი დღეს არის.

დაე ღვთის ლოცვა კურთხევა სუფევდეს თქვენზე და თქვენს სულგრძელ განზრახვებსა და შრომაზე.

მორჩილი ამბროსი, სრულიად საქართველოს პატრიარქი" (კომუნისტი, 1922, 4 ივნისი, გვ.2).

აქვე მოვიყვანოთ საისტორიო არქივში დაცული მიმართის ტექსტს:

„ კულტურულ კაცობრიობას, გენას კონფერენციაზე

წარმოდგენილს

მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და

პატრიარქი სრულიად საქართველოსა,

ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ პარაქრისტიანულ ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპის ზღვებს შორის, ქართულ მოდგმის ტომებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მდიდარი აქტუალური ნიჭით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინააზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალა მიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველ ჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატორიკა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში; მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროვებას. ამიტომ 1917 წელს დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკურისა და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერჯია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, პატარა უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერადა ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყვი მე. მისმა

სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გავლეურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ: მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მორეწილ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან, ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, მას უბღალავენ წმინდათა-წმინდას, - სარწმუნოებრივ გრძნობას, და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია, იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოდებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემს-მთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვა და სხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან; 2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიხიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ-კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უუდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს

ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.

მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოსა“ (ფ. 516, 1923 წ. # 664, გვ. 121).

თვალშისაცემია ის განსხვავება, რომელიც ტექსტის დასაწყისშივე ფიქსირდება. კერძოდ, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ გენუის კონფერენციისადმი მიმართვაში ვკითხულობთ: „კულტუროსან კაცობრიობას, რომელიც წარმოდგენილია გენუის კონფერენციაზე“. საქართველოს საისტორიო არქივში დაცული ტექსტი კი შემდეგნაირად იწყება: „კულტურულ კაცობრიობას, გენას კონფერენციაზე წარმოდგენილს“. აშკარაა, რომ ტექსტი შინაარსობრივად განსხვავებულია, რაც იმას მოწმობს, რომ ერთი დედანია, მეორე კი ასლი, რომელიც წარმოადგენს შსს არქივში დაცული მიმართვის რუსულენოვანი ტექსტის ქართულ თარგმანს.. როგორც ჩანს, თარგმანი ან უზუსტობით არის შესრულებული, ან ჩასწორებების შედეგად მიიღო ასეთი სახე. არ არის გამორიცხული ის ფაქტორიც, რომ ტექსტმა, გაგზავნის შემდეგ განიცადა ცვლილება ევროპაში ემიგრირებული მთავრობის მხრიდან. ჩვენს მიერ ორიგინალად მიჩნეულ ანუ გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ტექსტში წერია: „ამბროსი მონა ღვთისა, სულიერი მწყემსი და საქართველოს პატრიარქი, ღვთის სახელით, უგზავნის თავის სალამს“... არქივში დაცულ ტექსტში კი ვკითხულობთ: „...მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოსა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს...“ მთლიანი ტექსტის შედარებისას ვრწმუნდებით, რომ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ტექსტი უბრალო თხრობითა და მძაფრი შინაარსით გამოირჩევა. მასში ნათქვამია:

1) რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარები დაუყონებლივ იქნეს გაძევებულნი საქართველოს ტერიტორიიდან და რომ საქართველოს ქონება უზრუნველყოფილ იქნეს ყოველგვარ ძალადობისაგან, ძალმომრეობით შეფასებებისაგან და უცხოელთა გაფლანგვისაგან.

2) რომ საქართველოს ხალხს მიეცეს საშუალება თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ამას იგი თვითონვე დაინახავს საჭიროდ, განამტკიცოს ის ფორმები თავისი პოლიტიკური და სოციალური არსებობისა, რომელნიც უფრო შეეფერებიან მის სულსა და მისწრაფებას, მის ზნე-ჩვეულებასა და ნაციონალურ კულტურას.

არქივში დაცული ტექსტი შემდეგნაირი წყობით არის მოცემული:

1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან;

2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიხიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ-კულტურას შეესაბამება” (კომუნისტი, 1922, 4 ივნისი, გვ.2).

ვეჭვობთ, ეს ვერსია სიმართლეს შეეფერებოდეს. ჯერ ერთი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ტექსტი ძალიან ჰგავს პატრიარქ ამბროსის ენას, რომელიც უბრალო და სადაა, სათქმელი კი ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემული. ის სხვა ტექსტებიდან სწორედ ამ უბრალოებით გამოირჩევა. სხვა ტექსტებთან მისმა შედარებამ ცხადყო, რომ პატრიარქი მსგავს ტერმინებს არ იყენებდა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პატრიარქის ქადაგებები ზუსტად ისეთივე სადაა, როგორც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მემორანდუმის ტექსტი. ჩვენი აზრით, სწორედ ამ ტექსტიდან არის შესრულებული ასლები ანუ რედაქტირებული ქართული ტექსტები და მისი უცხოენოვანი თარგმანები.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პატრიარქ ამბროსის თავის მიმართვაში ვერ ექნებოდა იმპერატიული ტონი კონფერენციაში მონაწილე მინისტრების მიმართ. აშკარაა, რომ მას სურდა გაესაჯაროებინა უშუალოდ რუსეთის სიველურე და ითხოვდა, რომ „რუსეთის საოკუპაციო ჯარები დაუყოვნებლივ იქნეს გაძევებულნი საქართველოს ტერიტორიიდან და რომ საქართველოს ქონება უზრუნველყოფილ იქნეს ყოველგვარი ძალადობისაგან“.... (კომუნისტი, 1922, 4 ივნისი, გვ.2).

საბჭოთა ხელისუფლება პრესის საშუალებით ცდილობდა, გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი ტექსტის შინაარსი უაზროდ და სიყალბედ წარმოეჩინა. თავიდან სურდათ კონფერენციაზე პატრიარქის მიერ მიმართვის გაგზავნის ფაქტი მიეჩქმალათ, მაგრამ გენუის კონფერენციიდან ჩამოსული ბუდუ მდივანი კატეგორიულად მოითხოვდა პატრიარქის დაპატიმრებას. საბჭოთა რუსეთი ძალიან გაღიზიანდა, ვინაიდან მათ საშუალება არ მიეცათ დაპყრობილი და გასაბჭოებული საქართველოს სახელით ესაუბრათ კონფერენციაზე.

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ტექსტს, ისევე როგორც დღემდე მოღწეულ მემორანდუმის სხვა ტექსტებს, არ ახლავს სასულიერო პირთა ხელმოწერა, მაგრამ თუ სანდოდ მივიჩნევთ ს. სახაროვის ინფორმაციას, მას პატრიარქის გარდა, სხვა სამღვდელთა

პირებიც აწერდნენ ხელს. მისი ცნობით, „ქართული ეკლესიის წარმომადგენლებმა 1922 წ. გენუის კონფერენციას მემორანდუმით მიმართეს, სადაც ისინი დასავლეთის (ამ მემორანდუმს ხელს აწერდნენ კათალიკოსი ამბროსი, მიტროპოლიტი ლაზარე (მიტროპოლიტი ნაზარიში (ლეჟავა) ეშლება ა.ს.), არქიმანდრიტი ჯაფარიძე; მღვდლები: ტყემალაძე, მირიანაშვილი, ცინცაძე, თოთიბაძე და სხვ.) იმპერიალისტებისგან, საქართველოში ჯარების შემოყვანას და აქ ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმის აღდგენას მოითხოვდნენ" (სახაროვი, 1956, გვ. 206-207). ს.სახაროვის გარდა, მსგავს ინფორმაციას გვაწვდის ნ. ტაბიძე, რომლის ცნობითაც მემორანდუმის ტექსტს სხვებთან ერთად, ხელს აწერს დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (ტაბიძე, 2008, გვ. 58). თუმცა ის არ უთითებს პირველწყაროს.

ზემოთმოყვანილ ინფორმაციას თუ სანდოდ მივიჩნევთ, გამოდის, რომ ტექსტს ეკლესიისა და ქვეყნის მოყვარული ყველა პატრიოტი სასულიერო პირი აწერდა ხელს, მიუხედავად იმ გარდაუვალი დიდი საფრთხისა, რაც შეექმნებოდათ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან.

თუმცა ს. სახაროვისა და ნ. ტაბიძის ეს ცნობები საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან დღემდე შემონახული მემორანდუმის არც ერთ ტექსტს ხელმოწერები არ ახლავს და, სავარაუდოდ, არც ექნებოდა. ამის საფუძველს გვაძლევს თვითონ მიმართვის ტექსტი, რომელიც უშუალოდ პატრიარქის მიერ პირველ პირში არის დაწერილი, ბოლოში კი აღნიშნულია: „მორჩილი ამბროსი, სრულიად საქართველოს პატრიარქი" (კომუნისტი, 1922, 4 ივნისი, გვ.2).

ასე რომ, პატრიარქ ამბროსის მიმართვის დასაწყისშივე ჩანს, რომ ტექსტი მხოლოდ მისი სახელით დაიწერა „... საქართველოს პატრიარქი, ღვთის სახელით, უგზავნის თავის სალამს"(კომუნისტი, 1922, 4 ივნისი, გვ.2). თუ რაზე დაყრდნობით წერს ს.სახაროვი ხელმოწერის შესახებ, ჩვენთვის უცნობია.

მკვლევარები ამ საკითხს გვერდს უვლიან და საერთოდ არ განიხილავენ, ხოლო რაც შეეხება პატრიარქის ავტორობას გენუის ტექსტისა ს. ვარდოსანიძე, გ. საითიძე, ჯ. გამახარია, ე. ბუბულაშვილი და სხვ., ვინც ამ საკითხს მეტნაკლებად ეხება, მათთვის უდავოა, რომ მიმართვის ტექსტის ავტორი პატრიარქი ამბროსი იყო. ჯ. გამახარია სხვებისგან განსხვავებით არ თვლის მნიშვნელოვნად დადგინდეს, თუ ვინ იყო ტექსტის თანაავტორი (თუ დაეუშვებთ მსგავს ვერსიას).

საგამომიებო საქმიანობა იმის გასარკვევად, თუ ვინ იყო მიმართვის შექმნის ინიციატორი და ავტორი, პატრიარქ ამბროსის დაპატიმრების შემდეგ დაიწყო

პატრიარქ ამბროსის დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, რომ თვითონ არის რეალური ტექსტის ავტორი, მას არ დასჭირდებოდა სხვების დახმარება ამ საკითხში, რადგანაც თავადაც მრავალი სტატიისა და წიგნის ავტორი გახლდათ. გამოძიებამაც დაადასტურა, რომ მემორანდუმის ავტორი თავად ამბროსია, ის ტექსტი, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ქართული ვერსიისა და სხვა ენიდან არ ყოფილა თარგმანი შესრულებული. საქართველოს არქივში დაცული ტექსტი, რომელსაც ერთვის ამბროსის ხელმოწერა, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი იმ ტექსტთაგანია, რომელიც გადაწერილ-ინტერპრეტირებულია. უშიშროების არქივში დაცული ტექსტიც თარგმანია სავარაუდოდ ქართული ენიდან და არ არის გამორიცხული პატრიარქის დავალებით რომელიმე სასულიერო პირმა შეასრულა, თუნდაც უადრესად განათლებულმა, დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1932-1952 წწ.).

ხელისუფლება ეჭვქვეშ არ აყენებდა, რომ ეს მიმართვა დაწერა პატრიარქმა. საკათალიკოსო საბჭოს წევრებს გამომძიებელი ერთი და იგივე კითხვას უსვამდა: ვინ დაწერა მემორანდუმი? რაში გამოიხატება თქვენი დამოკიდებულება მემორანდუმისადმი? და სერიოზულია თუ არა პატრიარქ ამბროსის მიერ გადადგმული ნაბიჯი? ერთხმად აღიარებდნენ საკათალიკოსო საბჭოს წევრები, რომ მემორანდუმის ავტორი იყო პატრიარქი ამბროსი. დეკანოზ მარკოზ ტყემალაძის პასუხი მკაფიოდ ადასტურებს, რომ მიმართვის ტექსტის ავტორი პატრიარქი ამბროსია: „მის შედგენა ეკუთვნის ავტორს (გულისხმობს პატრიარქს, რადგან მის შესახებ დაუსვებს კითხვა), და საკუთვრივ პასუხიც მას მოეთხოვება“ და ასევე „გიპასუხებთ თვით დამწერი“ (გამახარია, 2012, გვ. 447).

მაგრამ, არსებობს პატრიარქ ამბროსის მემორანდუმის ტექსტის ავტორობის დამადასტურებელი არა ერთი საბუთი.

პატრიარქი ამბროსი თავად ამბობს, რომ ის არის ინიციატორიცა და ავტორიც, როდესაც მას ეკითხება გამომძიებელი, თუ ვინ დაწერა მიმართვა გენუის კონფერენციისადმი, პატრიარქი პასუხობს: „ თებერვლის თვეში 1922 წ. პირადად ჩემს მიერ ყოველივე შემწეობის აღმოუჩენელად ვისიმე მხრიდან, ინიციატივა იყო პირადად ჩემი“ (საქ. უახლესი ისტ. ცენტ. არქივი, ფ. 516, აღწ. 2, ს. 1, ფ. 354). შესაბამისად, შეუძლებლად მიგვაჩნია ალტერნატიული აზრი ტექსტის სხვისი ავტორობისა და შედგენის ინიციატორობის დაშვების სასარგებლოდ.

ხელისუფლებას სურდა და აწყობდა მენშევიკური მთავრობის წევრებისთვის დაებრალებინა მიმართვის შექმნა, რადგან ამ გზით ის შეძლებდა უცხოელი

პარტნიორების დარწმუნებას მემორანდუმის შინაარსის სიყალბესა და მენშევიკური მთავრობის მიერ მშვიდობიან საბჭოთა სახელმწიფოში არეულობის შემოტანის მცდელობაში. ხელისუფლებას სურდა, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს მენშევიკებმა აიძულეს პატრიარქი ამბროსი ძალით დაეწერა მემორანდუმი. გამორიცხული არ არის არც ის ვერსია, რომ მენშევიკური მთავრობის დატყვევებული წევრები დააშინეს და აიძულეს, ცრუ, მაგრამ ხელისუფლებისთვის სასურველი ინფორმაცია გაეცვრცელებინათ, რადგან შემდგომში არა ერთმა დაიბრალა მიმართვის ტექსტის ავტორობა (საითიძე, 2012, გვ. 34). თუმცა, შესაძლოა დავუშვათ მეორე ვერსიაც, რომ პატრიარქ ამბროსის სიცოცხლის გადასარჩენად, ქვეყნის ღირსეულ წარმომადგენლებს თავად დაებრალებინათ მიმართვის ავტორობა, მაგრამ ამ ფაქტის დამადასტურებელი საისტორიო წყაროები არ არსებობს. ასე რომ, არ ვიცით გაბედა თუ არა მსგავსი რამ ვინმემ და თუ გაბედა, ვინ იყო ეს პიროვნება.

ვითარება შეიცვალა პატრიარქ ამბროსის გარდაცვალების შემდეგ. კ. კეკელიძე თავის ნათესავს საკუთარ ავტორობაზე მხოლოდ მას შემდეგ უყვება, რაც პატრიარქი ამბროსი გარდაცვლილია და არც საშიშროება არსებობდა მისი დაპატიმრების. ხელისუფლება ცდილობდა ავტორის დადგენას იმ პერიოდში, როდესაც დაკითხვის პროცესი მიმდინარეობდა და საქმე ძიებაში იყო, მაგრამ აქტუალობა მემორანდუმის საკითხმა დაკარგა პატრიარქ ამბროსის გარდაცვალებისთანავე.

ვფიქრობთ, რომ ეს ტექსტი ხელისუფლებამ ზეწოლის შედეგად ამოიღო საპატრიარქოს წარმომადგენლებისგან. მათ ძალიან ახლო კომუნიკაცია ჰქონდათ მენშევიკურ მთავრობასთან, რაც დასტურდება წერილობითი წყაროებიდან. ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა ძიებას გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მასალების მოსაპოვებლად, პატრიარქ ამბროსის საბოლოო სიტყვა სასამართლო პროცესზე პირდაპირ მიანიშნებს, რომ წერილის გამო ყავდათ დატყვევებული: „ ჩემი კონტრევოლუციონერობა გამოიხატა გენუის კონფერენციაზე ჩემ მიერ წერილის გაგზავნაში, მაგრამ არ მესმის რა იყო კონტრევოლუციონერული ჩემს წერილში. ნუთუ ის ერთადერთი ძირითადი დებულება, რომ თითოეულმა ერმა თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც ეს მას უნდა, მაგრამ ეს ჩემი მოგონილი ხომ არ არის? უკანასკნელმა საერთაშორისო ომმა ბევრი უბედურება მოუტანა კაცობრიობას, მაგრამ მანვე ამართა დროშა, რომელზედაც მსხვილის ასოებით წააწერა: “მცირე ერების თვითგამორკვევის უფლება (ხელაია, 1988, # 10).”

პატრიარქი ყველა ხელისუფლებასთან (მენშევიკური, ბოლშევიკური) მართავდა დიალოგს, რაც ქვეყნის ინტერესების დაცვით იყო მოტივირებული, არ ერიდებოდა დიპლომატიას, თუკი ის დადებით შედეგს გამოიღებდა: „ მიუხედავად ზემონათქვამისა,

მე მეუბნებიან, რომ ჩემი გამოსვლით ვითომ ვულაღატე ჩვენს მთავრობას, სახელი გაავუტეხე მას, გავაბიაბრუე, არ უნდა მიმემართა გენუის კონფერენციისათვის, რომ ჩემის მიმართვით მე მინდოდა გამომეწვია ინტერვენცია, ევროპის შეიარაღებული ჯარებით ჩარევა საქართველოს საქმეებში, თითქოს ამით მე ხელი შევეშალე ჩვენს იქ წარმომადგენელს მის საქართველოს საკეთილდღეოდ ზრუნვაში. ამნაირი ბრალდება მე მიმაჩნია გაუგებრობის ნაყოფად და ამის გამო უსამართლობად. მე ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგო არა მითქვამს რა"...(ხელაია, 1988, # 10). გენუის კონფერენციის შესახებ მსჯელობა, სწორედ პირველწყაროდან არის მნიშვნელოვანი, წერილის მთავარი შემოქმედი და გამგზავნიც არის თვითონ პატრიარქი ამბროსი: „ ჩემი წერილი მიმართული იყო დიდმპყრობელობის წინააღმდეგ და ეს ცხადად არის მასში გამოთქმული. ერთი სიტყვითაც არ დამიგმია ახალი ხელისუფლება საქართველოში, პირიქით, იქ გამოთქმულია, რომ მე არ შევდივარ იმის განხილვაში, როგორი უნდა იყოს მართვა-გამგეობა, რადგან ეს ჩემი საქმე არ იყო. წერილი დაწერილია ახალი ხელისუფლების არსებობის წლისთავზე, ხოლო ჩვენი ქრისტიანული მოძღვრებით ყოველი დამკვიდრებული მთავრობა განუკითხავად უნდა ვიცნათ და ვემორჩილოთ ყოველი სამოქალაქო ხასიათის საქმეებში. ამის გამო, ცხადია, მე მინდოდა დამოუკიდებლობა უკვე დამყარებული მთავრობისათვის. გენუის კონფერენცია მე წარმოდგენილი მქონდა, როგორც სახელმწიფოების წარმომადგენლების კრება, მოწვეული მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის -კრება, რომელსაც საგნად ჰქონდა მცირე ერების პრეტენზიების განხილვა და ამისთვის ვფიქრობდი, რომ ყველას ჰქონდა უფლება მიემართა მისთვის თავისი აზრის გამოთქმით. მე ვიცი, რომ იქ იყო ჩვენი წარმომადგენელიც, რომელიც, დარწმუნებული ვიყავი, დაიცავდა ჩვენი ქვეყნის სუვერენობა-თავისუფლებას და რომელსაც ამაში ეჭირვებოდა დახმარება. ამ შემთხვევაში კი ჩემს წერილს შეეძლო რამდენადმე მაინც გაეადვილებია ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. თუ ის იყო საქართველოს წარმომადგენელი მხოლოდ სიტყვით, საქმით კი გამოდიოდა დამატებათ რუსეთის წარმომადგენლისა და დამცველად დიდმპყრობელობისა, მაშინ, რასაკვირველია, წერილი მას სამსახურს ვერ გაუწევდა, მაგრამ ეს უკანასკნელი არც იყო მიზანი წერილისა და, მაშასადამე ამაში არ შემიძლია ვიყო პასუხისმგებელი. ყველა ამის შემდეგ მე კიდევაც მიკვირს, რისთვის მასამართლებს საქართველოს უზენაესი სასამართლო და არა რუსეთისა, მაგრამ ვინც უნდა გამასამართლოს – საქართველო ამისათვის, რომ მე ვიცავ ეროვნული ეკლესიის და ერის თავისუფლებას, თუ რუსეთმა იმისათვის, რომ ხმა ამოვიღე დიდმპყრობელობის

წინააღმდეგ, სულ ერთია, ორივე შემთხვევაში ცხადად მტკიცდება, რომ საქართველო არ არის თავისუფალი რესპუბლიკა და მოქმედებს გარეშე დირექტივებით..." (ხელია, 1988, # 10).

პატრიარქმა ამბროსიმ კარგად იცოდა, რის გამო დააპატიმრეს და მოუწყვეს „სამინელი სამსჯავრო“, მაგრამ ბოლომდე არ დაუკარგავს კონტროლი საკუთარ თავზე და გულწრფელად გამოუცხადა ხელისუფლებას, რომ ტყუილად ეძებენ სხვა პიროვნებას, ვინაიდან თვითონ არის იმ წერილის ავტორი, რომელიც გენუაში გაიგზავნა. ამით პატრიარქმა სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, არანაირი გარანტია არ ჰქონდა მას საიმისოდ, რომ არ დახვრეტდნენ, პირიქით, როგორც ჩანს, მზად იყო წინასწარ ყველა სახის განაჩენისთვის. ხელისუფლება პატრიარქისგან ითხოვდა თანაავტორების დასახელებას, მაგრამ ის უმტკიცებდა რომ მის გარდა სხვა პიროვნება არ მონაწილეობდა ტექსტის შედგენაში.

თანაავტორი რომც ყოლოდა, პატრიარქი მაინც არ დასახელებდა, რადგან სხვა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩააგდებდა, მით უფრო რომ, მისივე ინფორმაციით, თავად იყო ავტორი გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი ტექსტისა. სახარებისეული სწავლებაც სწორედ ამგვარია: „უფროსი ამისსა სიყვარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დადვას მეგობართა თვისათათვის" (იოანეს 15. 13). პატრიარქი ამბროსი არ დაუშვებდა, რომ სიმართლის გვირგვინი თავიდან აერიდებინა. თითოეული, ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მოწამეობა გარანტირებულად სასუფევლისკენ შემავალი გზაა, უფლისგან გვირგვინის მიღების საშუალება, რაც გულისხმობს დაჩქარებულ შეხვედრას უმოკლესი გზით.

პატრიარქმა ამბროსიმ დაკითხვისას განაცხადა, რომ არანაირი ოფიციალური ან არაოფიციალური მოწოდება არ მიუღია არც ერისაგან და არც საეკლესიო ყრილობისგან მემორანდუმის შექმნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება მას ერთპიროვნულად მიუღია ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რასაც ადასტურებს მისივე განცხადება: „... ეს მიმართვა გამოწვეული იყო ჩემის პირადი დაკვირვებით და სინდისის მიხედვით" - ო (გამახარია, 2012, გვ. 362).

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიაზე ზეწოლის შენელების შემდეგ, გენუის კონფერენციისადმი მიმართვის ტექსტის სავარაუდო ავტორთა სია გაიზარდა, რაც შეიძლება რამდენიმე მიზეზით აიხსნას. 1. ხელისუფლების ზეწოლით, მენშევიკური მთავრობის ზოგიერთი წევრი და მათი მხარდამჭერები იძულებული იყვნენ ავტორობა დაებრალეხინათ, რათა ხალხის ფართო მასები და საერთაშორისო საზოგადოება ამ

მიმართვის შინაარსის სიყალბეში დარწმუნებულიყო. 2. საზღვარგარეთ უსაფრთხოდ მყოფი პირები კათოლიკოსისთვის მძიმე სასჯელის თავიდან არიდებას ცდილობდნენ. 3. მემორანდუმის ტექსტის ავტორმა საზოგადოებაში უდიდესი პატივი დაიმსახურა, რის გამოც ბევრს გაუჩნდა ავტორობის ამბიციაც.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, ტექსტის თვითმარქვია ავტორთა სია შემდეგნაირად გამოიყურება - კორნელი კეკელიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე და შალვა მაღლაკელიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, რაფიელ ინგილო (ივანიცკი) და საკათალიკოსო საბჭოს სხვა წევრები.

ერთადერთი, იმ პერიოდიდან შემოგვრჩა დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის ვერსია მემორანდუმის სავარაუდო ავტორის შესახებ, რომელიც დაუზუსტებელი ან არარსებული ინფორმაციის საფუძველზე ავტორად ყოფილ დეკანოზს კ. კეკელიძეს ასახელებს: „ ეკლესიურ სფეროში არავინ ვიცოდით ეს განზრახვა, გარდა იმ დაახლოებულ კამარალიისა; დაუწერეს კათალიკოსს „მოწოდება“ (ავტორი ყოფილი დეკ. კ. კეკელიძეაო - ამბობენ!)“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 268). რის საფუძველზე იხსენიებს კ. კეკელიძეს დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე ტექსტის ავტორად, როგორც ჩანს, თავად მისთვისაც ბუნდოვანია და საზოგადოებაში გაუგებარი გზით გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა. აღსანიშნავია, რომ ამ ვერსიას შემდგომში კ. კეკელიძის ძმიშვილიც ავრცელებს, თითქოს ბიძამისისგან ჰქონდა პირადად მოსმენილი, რომ თავად მან დაწერა გენუის კონფერენციისადმი მიმართვა (კეკელიძე, 1993, გვ. 35).

მეორე, ნიკიტა თალაქვაძის ცნობა დაუზუსტებელი და ბუნდოვანია. მესამე, კ. კეკელიძეს ეკლესიასთან კავშირი აღარ ჰქონია 1921 წლის შემდეგ... მით უფრო, რომ კ. კეკელიძეს ეკლესიასთან კავშირი აღარ ჰქონია 1921 წლის შემდეგ, ვერ გაბედავდა ის, დაეწერა მემორანდუმის ტექსტი, იმდენად დიდი ზეწოლის ქვეშ იყო საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. თანაც, სავარაუდოდ ან დიდი ალბათობით, პატრიარქი ბოლომდე ვერც ენდობოდა მას, რადგან კ. კეკელიძემ ზურგი აქცია სასულიერო მოღვაწეობას და არ იმსახურებდა პატრიარქ ამბროსის სიმპატიებს, თუმცა არც კონფლიქტი ჰქონიათ ერთმანეთში. კ. კეკელიძე დაკითხვისას პატრიარქს აფასებს როგორც დადებით პიროვნებასა და მეცნიერს. ჩვენი აზრით, სიტყვა „მეცნიერს“ ის არ გამოიყენებდა პატრიარქის მიმართ, თავის დაწერილი რომ ყოფილიყო ტექსტი. ტექსტის ავტორი საჭიროდ არ ჩათვლიდა პატრიარქზე ასეთი მაღალი ეპითეტი გამოყენებინა. კ. კეკელიძემ დაკითხვისას განაცხადა: „ მემორანდუმის შინაარსს ვიცნობ. (ეს ამტკიცებს, რომ მისი დაწერილი არ არის, ტექსტს „ვიცნობო“, ავტორი არ დაწერდა ასე) ჩემის

შეხედულებით საეკლესიო კანონების მიხედვით კათალიკოს ამბროსის ჰქონდა მისი გაგზავნის უფლება... კათალიკოს ამბროსის ვიცნობ, როგორც ჩინებულ პუბლიცისტს... აგრეთვე სხვა მეცნიერული ნაშრომებით. კიდევ ამას დავუმატებ, რომ ის გულახდილი და პატიოსანი კაცია" (გიორგაძე, 1994, გვ. 44). კ. კეკელიძეს სავარაუდო ავტორად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, „ამბობდნენ“ სასულიერო პირები, რომელბიც ჩახედულნი არ იყვნენ ამ საკითხში. დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე წერს ამ ჭორზე: „ეკლესიურ სფეროში არავინ ვიცოდით ეს განზრახვა, გარდა იმ დაახლოებულ კამარალიისა; დაუწერეს კათალიკოსს „მოწოდება“ (ავტორი ყოფილი დეკ. კ. კეკელიძეაო - ამბობენ!) ხელი მოაწერიეს ვლასი მგელაძეს და იოსებ იმედაშვილს ჩაუდეს ჯიბეში, ჩასვეს ქობულეთის ნაპირზე ერთ ნავში, ნავით შესცურეს ზღვაში, იქ მათ გემი ელოდათ სტამბულიდან და ასეთი ვაი-ვაგლახით, გაიგზავნა „მემორანდუმი“ გენუაში!" (თალაქვაძე, 2013, გვ. 268).

დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის ვერსიით, ტექსტის თაოსანია მენშევიკური მთავრობის წევრი სილიბისტრო ჯიბლაძე: „ეხლა უკვე ყველამ ვიცით და, რასაკვირველია, ეს მით უფრო იციან, ვისაც ეხება ეს გარემოება, რომ გენუის „კონფერენციისადმი მოწოდების“ თაოსანი არის აწ განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძე; ამის თაოსნობით დააწერინეს კათალიკოსს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დაუწერეს ეს დოკუმენტი“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 267).

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, თვითონ არ არის გარკვეული ს. ჯიბლაძემ დაწერა ეს ტექსტი თუ კ. კეკელიძემ, შურისა და დაპირისპირების გამო გაყალბებულ ისტორიას გვთავაზობს, რაც არ ეკადრება ნამდვილი ამბის აღმწერს. თვითონ დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძეც შემდგომში გახდება ყოფილი დეკანოზი, რადგან მანაც სასულიერო წოდებაზე უარი განაცხადა და საერო ცხოვრებას შეუდგა.

სხვა ვერსიით, გენუის კონფერენციის ტექსტის დაწერის ინიციატორად და ავტორად დასახელებულია გრიგოლ (გრიშა) ლორთქიფანიძე, თანამონაწილედ კი - გენერალი შალვა მაღლაკელიძე. პატრიარქ ამბროსი ხელაიას (მისი ცნობით) მხოლოდ ხელი მოუწერია ტექსტისათვის. ამის შესახებ წერს თავად შალვა მაღლაკელიძე თავის „მოგონებებში“ : მემორანდუმის დაწერის „იდეა ეკუთვნოდა გრიშა ლორთქიფანიძეს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი)"... (მაღლაკელიძე, 1991, გვ. 84), ამავე „მოგონებებიდან“ ირკვევა, რომ მემორანდუმის ტექსტი მეტეხის ციხიდან გადაუგზავნიათ სიონში. იქიდან კი ვინმე იტალიელ კაპიტანს, რომელსაც ქართველი ცოლი ყავდა, ჩაუტანია დანიშნულების ადგილამდე. გ. საითიძეს ეს ფაქტი

მოყავს, მაგრამ არ განიხილავს რამდენად სანდოა. ვერსიის დონეზე ამის დაშვებაც შესაძლებელია, მაგრამ ამის დამადასტურებელი არც დოკუმენტაცია და არც არგუმენტაცია არ არსებობს.

1924 წელს, პატრიარქისთვის მიმღე სასჯელის თავიდან არიდების მიზნით, რაფიელ ივანიცკიმ (ინგილო) მოინდომა მემორანდუმის ავტორობა საკუთარ თავზე აეღო, მაგრამ მას შეუთვალეს, რომ მსგავსი განცხადება არ გამოექვეყნებინა (ჭუმბურიძე, 2015, გვ. 401).

რაც შეეხება გრიგოლ ლორთქიფანიძისა და მისი მეგობრის, შალვა მაღლაკელიძის ავტორობას, არადამაჯერებლად გამოიყურება და კრიტიკას ვერ უძლებს. თეორიულად შესაძლებელია დავუშვათ, რომ სხვა რომელიმე ტექსტის შედგენაში მიიღეს მათ მონაწილეობა და უბრალოდ აერიათ რომელ მიმართვაზე იყო საუბარი (თუმცა ესეც არადამაჯერებელი არგუმენტია). რადგან, გარდა პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიმართვისა გენუის კონფერენციისადმი, ასევე, მანამდე გაგზავნილ იქნა სხვა ტექსტი, გასაბჭოებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1921 წლის 10 დეკემბერს. შეიქმნა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მამხილებელი ტექსტი, რომელიც მიმართული იყო „განათლებული კაცობრიობის მიმართ“ (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 39). აღნიშნულ ტექსტს ე. ბუბულაშვილის ცნობით, ხელს აწერდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერის, სარწმუნოებისა და სოციალური ფენის წარმომადგენლები: „მიმართვას თან ერთვის დაახლოებით 25 ათასი ხელმოწერა“ (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 39). ყველაზე სარწმუნოდ ის ვერსია მიგვაჩნია, რომ შ. მაღლაკელიძეს, შესაძლოა, აერია ერთმანეთში პატრიარქის მიმართვის ტექსტი ქართველი პატრიოტების მიერ შექმნილ და გაგზავნილ ტექსტში. ჩვენ ხომ ზუსტად არ ვიცით, რომელ ტექსტზე საუბრობს შ. მაღლაკელიძე? ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე მიმართვა გაიგზავნა გენუის კონფერენციისადმი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მასწავლებლების მხრიდან: „ამბროსი ხელაიას მემორანდუმის შემდეგ, 1922 წლის მარტში, „განათლებული კაცობრიობის“ მიმართ ცალ-ცალკე მიმართვის ტექსტები შეუდგენიათ მასწავლებლებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს“ (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 39). მასწავლებლების მიმართვა ევროპის განათლებული ერებისადმი იყო, ხოლო ქართველ სტუდენტთა ადრესატი ყოფილა ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდობა. 4500 სტუდენტის სახელით მიმართვას ხელს აწერს რამდენიმე პიროვნება (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 39). წმინდა ამბროსის მიერ გაგზავნილი მემორანდუმი, როგორც ჩანს, ერთ-ერთია იმ მიმართვათაგან, რაც გაგზავნილა მსოფლიო თანამეგობრობისადმი. გზავნილი აშკარად მეტ ეფექტს მოახდენდა კონფერენციის მონაწილეებზე. ცალკეული პირები, რომ

მიმართავდნენ დამოუკიდებლად ეს აშკარაა და ნათელი, რადგან გვაქვს ასევე ნოე ჟორდანიას წერილი, რომლითაც მან მიმართა გენუის კონფერენციას. შესაბამისად, ტექსტის სხვა ვერსიების არსებობასაც არ გამოვრიცხავთ, შესაძლოა პატრიარქთან გაგზავნეს, მაგრამ მას არ მოუწერია ხელი. იმ პერიოდში გენუისადმი გაგზავნილი მიმართვის ტექსტების ნაწილი გამოქვეყნებულია და ერთი მიზანი ამოდრავებდათ ავტორებს: „... ყველა ამ მიმართვებს, მათ შორის, წმ. ამბროსი ხელაიას მემორანდუმს აერთიანებს ქართველი ხალხის უკმაყოფილება საოკუპაციო რეჟიმის მიმართ და მისგან თავის დაღწევა“ (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 39). შესაძლოა, გაუთვალისწინებელ ხარვეზთან ჰქონდეს საქმე „მოგონების“ ავტორს, სხვაგვარად პატრიარქ ამბროსის გამორიცხვა ავტორობიდან გაუგებარია. თუმცა, მიმართვის არც ერთ ტექსტზე არც პატრიარქ ამბროსი (გარდა იმ მიმართვისა, რაც 1922 წელს თავად პატრიარქმა გააგზავნა საკუთარი სახელით) და არც აღნიშულ „ავტორებს“ ხელი არა აქვთ მოწერილი, შესაბამისად როდის ან რაზე მოაწერეს ხელი გაურკვეველია და შესაბამისად დაუჯერებელიც! მეორე ვერსიას თუ დავუშვებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სურვილი გენუის კონფერენციისადმი მიმართვის ტექსტის ავტორობისა ძალიან ბევრს გაუჩნდა, მისი რეზონანსულობიდან გამომდინარე. ეს განპირობებული იყო კონკრეტული პირების მიერ ხელისუფლების დაკვეთით მიღებული დავალებით. საკუთარ თავს რომ მიაწერდნენ ავტორობას ასეთი პიროვნებები მრავლად გამოჩნდნენ დროთა განმავლობაში, რაც უფრო მეტად გვარწმუნებს, რომ ისინი არ იყვნენ ავტორები. დიდ უნდობლობას იწვევს საერთოდ მსგავსი მიდგომა, მით უფრო როდესაც პატრიარქი საკუთარ პიროვნებას ასახელებს ტექსტის ავტორად. დაკითხვაზე მან ჩეკას თანამშრომელს მკაფიო პასუხი გასცა, იმის შესახებ, რომ მიმართვის ავტორი, რედაქტორი და ხელისმომწერიც თავად იყო (ნადირაძე, 2000, გვ. 192).

დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის ვერსიით, ტექსტის თაოსანია მენშევიკური მთავრობის წევრი სილიბისტრო ჯიბლაძე: „ეხლა უკვე ყველამ ვიცით და, რასაკვირველია, ეს მით უფრო იციან, ვისაც ეხება ეს გარემოება, რომ გენუის „კონფერენციისადმი მოწოდების“ თაოსანი არის აწ განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძე; ამის თაოსნობით დააწერინეს კათოლიკოსს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დაუწერეს ეს დოკუმენტი“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 267).

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე გამორიცხავს პატრიარქის ავტორობას, ის უშუალოდ შეხვედრია უწმინდეს ამბროსის და ამ საუბრის შედეგად წერს: „გამოვკითხე საქმის ვითარება და გამოირკვა შემდეგი: ამ ორიოდე თვის წინეთ, ვიღაცეების შეგონებით,

კათალიკოზის სახელით შედგენილა „მემორანდუმი“ - ანუ მოხსენება გენუის კონფერენციისადმი; ამ მოხსენებაში ირკვევა საქართველოს მდგომარეობა... შეუქმნიათ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ ვითარებას, რასაც აქედან ევროპაში ლტოლვილი მენშევიკური მთავრობა ამტკიცებს“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 236). დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე არ აკონკრეტებს პიროვნებებს, როდესაც საუბრობს „შეუქმნიათ“, თუმცა სავარაუდებელია, რომ საკათალიკოსო საბჭოს წევრები და მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები ყავს მხედველობაში, რადგან ჩანაწერებში სწორედ მათ მოიხსენებს პატრიარქ ამბროსისთან დაახლოებულ პირებად. იქვე იგი წერს: „გენუის კონფერენციაზე კათოლიკოსის მიერ გაგზავნილმა „მოწოდებამ“, როგორც ვიცით, დიდი აურ-ზაური გამოიწვია „კომუნისტურ პრესაში“ - „Правда Грузии“ და „კომუნისტში“! ეს ორი გაზეთიდა გამოდის საქართველოში. ... ეს „მოწოდება“ არ იყო კათალიკოზის საკუთარი ნების და მოქალაქეობრივი შეგნების ნაყოფი, არამედ გამოწვეული იყო მენშევიკების თაოსნობით და ზედ-გავლენით. ეხლა უკვე ყველამ ვიცით და, რასაკვირველია, ეს მით უფრო იციან, ვისაც ეხება ეს გარემოება, რომ გენუის „კონფერენციისადმი მოწოდების“ თაოსანი არის აწ განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძე; ამის თაოსნობით დააწერინეს კათალიკოზს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დაუწერეს ეს დოკუმენტი“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 267). პატრიარქთან ურთიერთობის გამძაფრებამ დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე აიძულა, მსგავსი ბრალდებები შეეთხზა მის წინააღმდეგ. მანამდე თუ იწონებდა ტექსტის შინაარსს და პატრიარქისაგან მოისმინა ინფორმაცია მის ავტორობის შესახებ, რეპრესიის პერიოდში მას შეეცვალა შეხედულება პირადი ანტაგონიზმის გამო და ბოლშევიკების ცილისწამება გაიზიარა. ბოლშევიკურ ხელისუფლებას აწყობდა მენშევიკების დადანაშაულება კათალიკოსთან ერთად, მაგრამ ეს რომ არ გამოუვიდათ და ვერაფრით დაამტკიცეს, შემდეგ მხოლოდ პატრიარქი ამბროსი დააპატიმრეს და უმძიმეს პირობებში ამყოფეს. ნ. თალაქვაძის მიკერძოებულობა კიდევ იმ გარემოებიდან იკვეთება, რომ პატრიარქ ამბროსისთან დაახლოებულ ყველა საერო და სასულიერო პირს არაკორექტულად იხსენიებს. თავის უკმაყოფილებას არც მალავს: „...აი, ასეთი ნაცნობ-ნათლიმამობით ეწყობა ჩვენში ყველაფერი! ამიტომაც იყო, რომ მე გამაცურეს ყინულზე“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 268).

დეკანოზ ნიკიტას პატრიარქი არ ენდობოდა და შესაბამისად, მემორანდუმის დაწერიდან ორი თვის განმავლობაში არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა და უმაღავდა დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძე, ხოლო შეხვედრისას ზედაპირულად მოახსენა ის, რომ შესაძლო საშიშროება ელოდა თავად პატრიარქს ამ მიმართვის გამო. ზუსტი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე ვარაუდებით არ იმსჯელებდა. თავადაც

აღნიშნავს, რომ პატრიარქთან დაახლოებული პირი არ იყო: „ეს ამბავი ალბად იცოდნენ მასთან ძლიერ დაახლოებულმა პირებმა, ჩვენ - სხვა სამღვდელოებამ, არა ვიცოდით რა ამ თაობაზე. როგორი აზრისაც უნდა ვიყვეთ კათოლიკოზის „მემორანდუმის“ შესახებ, ეხლა გვიანდაა მისი დაწუნება და საყვედურები, ფაქტი უკვე არსებობს...მე კი ეს „მემორანდუმი“ მომწონს“ (თალაქვაძე, 2013, გვ. 237).

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციები ხელისუფლების მიმართ მისი დამოკიდებულების მიხედვით იცვლებოდა. მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ იგი არა მყარი პოზიციის მქონე პიროვნება იყო, რის გამოც ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციებს ავრცელებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მან უარი თქვა სასულიერო წოდებაზე და ბუღალტერი გახდა.

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე განაწყენებული ადამიანის პოზიციიდან საუბრობს და მისი დასკვნები გულისწყრომის ნაყოფია. მისივე სიტყვების ურთიერთმედარებამ ცხადყო, რომ თავის თავს ეწინააღმდეგება, შესაბამისად ეს ვერსიაც მიუღებელია.

ტექსტის ავტორის ვინაობაზე სხვადასხვა ვერსია იმიტომაც არსებობდა, რომ რეალური ამბავი ძალიან ცოტამ იცოდა. მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საკათალიკოზო საბჭოს წევრის, ნიკოლოზ თავდგირიძის ჩვენება. დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ: „მემორანდუმის შესახებ თურმე მასაც მხოლოდ გაზეთ „კუმუნისტიდან“ გაუგია. მის შედგენაში, მისი აზრით, ალბათ საკათალიკოსო საბჭოს ყოფილ მდივანს რაფიელ ინგილოს (ივანიცკი) მიუღია მონაწილეობა... და დეკანოზ კაპანაძეს, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება“ (საპატრიარქოს უწყებანი, 2015 წ, # 27, გვ. 19).

ნიკოლოზ თავდგირიძემ იცოდა, რომ დეკანოზი იასონ კაპანაძე და რაფიელ ინგილო (ივანიცკი) საზღვარგარეთ იყვნენ წასული, ამიტომ ღიად ასახელებს მათ მემორანდუმის თანაავტორებად, თუმცა ხელმეორე დაკითხვისას ჩვენებას ცვლის და ამბობს, რომ არაფერი იცოდა. შესაძლოა, შეეშინდა, დასახელებული პირების საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები არ დაზარალებულიყვნენ.

არსებობს სხვა ვერსიაც ტექსტის ავტორთა ვინაობის შესახებ. ეს არის უზენაესი სასამართლოს განაჩენი, რომელიც ავტორებად საკათალიკოსო საბჭოს წევრებს ასახელებს. უზენაესმა სასამართლომ განაჩენი 19 მარტს, საღამოს 8 საათზე, 25 საათიანი თათბირის შემდეგ გამოიტანა საკათალიკოსოს საბჭოს წევრთა წინააღმდეგ. დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლში ვკითხულობთ: „საკათალიკოსოს საბჭოს წევრთა - იასონ კაპანაძეს, კალ. ცინცაძეს, ნიკ. თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილსა და მარკოზ ტყემალაძეს მისთვის, რომ მისჯილ ხელაიასთან წინასწარ შეთანხმებით და ერთად შეადგინეს და გაუგზავნეს გენუის

კონფერენციას მოწოდება...რაც გათვალისწინებული ს.ს. კოდ. 10, 60 და 73 მუხლებში - თავისუფლების აღკვეთა პირველს დეკანოზ კაპანაძეს (დაუსწრებლად) – 9 წლით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით..." (საპატრიარქოს უწყებანი, 2015 წ, # 27, გვ. 19)

ავტორთა კოლექტივის შესაძლო თანაავტორების არსებობის შესახებ საუბრობს ჯემალ გამახარია, თუმცა პრინციპულ საკითხად არ მიიჩნევს ტექსტის თანაავტორობის კვლევის საკითხის (გამახარია, 2012, გვ. 149).

საკათალიკოსო საბჭოს რამოდენიმე წევრს ჰქონდა ცნობა მიმართვის ტექსტის შესახებ, მაგრამ ჩვენებებიდან ირკვევა, რომ პატრიარქმა პირველი აღიარებითი ჩვენება უარყო, სადაც იგი ამბობდა, რომ საკათალიკოსო საბჭოს წევრებს გენუის კონფერენციაზე მიმართვის შესახებ მოახსენა აღდგომამდე. თუმცა, როგორც თავად პატრიარქი ამბობს საგამოძიებო ჩვენებაში, მას შეეშალა და მსგავსი კრება საერთოდ არ ჩატრებულა, არც იმ კრების ოქმი არსებობდა, რასაც ადასტურებენ საკათალიკოსო საბჭოს სხვა წევრების ჩვენებებიც, გარდა დეკანოზ მარკოზ ტყემალაძისა. მან გამოძიებას განუცხადა, რომ მოწოდების შესახებ კათალიკოზმა გააკეთა მოხსენება საკათალიკოზო საბჭოში, რომელსაც დაესწრო არა ნაკლებ სამი წევრისა, მათ შორის თვითონაც. შეხვედრა ყოფილა არაოფიციალური, რის გამოც ეს შეხვედრა არ იყო სხდომის ოქმში შეტანილი (გამახარია, 2012, გვ. 423). პატრიარქი პირველი ჩვენების შემდეგ დაფიქრდა, რომ მისი განცხადება საკათალიკოსო საბჭოს წევრებისთვის სახიფათო იქნებოდა, ამიტომაც შეცვალა ჩვენება შემდეგი დაკითხვისას. პატრიარქი შემდეგი დაკითხვებისას იმეორებდა, რომ ნერვიულობისა და ფსიქოლოგიური სტრესის გამო, ფაქტები აერია. დამშვიდებულ მდგომარეობაში მან სხვა ჩვენება მისცა და განაცხადა: „ საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე არ მომიხსენებია, მხოლოდ ამის შესახებ უთხარი კერძო საუბარში ქვორუმის მოლოდინში ერთ საკათალიკოსო საბჭოს წევრს..." (გამახარია, 2012, გვ. 395).

რაფიელ ინგილო (ივანიცკი) საკათალიკოსო საბჭოს წევრად არჩეულ იქნა 1921 წელს, იმ საეკლესიო კრებაზე, რომელზეც ამბროსი ხელაია მწყემსმთავრად აირჩიეს. თუმცა მალევე, 1922 წლის თებერვალის დასაწყისში იგი დაუპატიმრებიათ. ჩეკას ციხეში 13-თვიანი პატიმრობის შემდეგ, გავრცელებული ინფორმაციით, 1923 წლის მარტში გაუთავისუფლებიათ, მაგრამ როგორც ის აკაკი ჩხენკელისადმი მიწერილ წერილში წერდა ... ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად „ეტაპით“ გაუგზავნიათ ლატვიის საზღვრამდე (ჭუმბურიძე, 2015, გვ. 395).

მკვლევართა ნაწილი, მემუარულ ლიტერატურაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ თითქოს გენუის კონფერენციაზე გასაგზავნი წერილის შედგენაში პატრიარქს ეხმარებოდა რაფიელ ინგილო (ივანიცკი), როგორც ე. ბუბულაშვილი აღნიშნავს, უახლესი ისტორიის არქივში მოპოვებული ახალი მასალებით ამის დაზუსტება შესაძლებელი ხდება (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 42). წმიდა ამბროსი ხელაიას საქმის გამომძიების დროს, როგორც დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, აღნიშნული საკითხით გამომძიებლებიც დაინტერესებულან. კათოლიკოს-პატრიარქი დაკითხვის დროს გადაჭრით აღნიშნავდა, რომ მემორანდუმის ტექსტი თავად შეადგინა. დაკითხულთაგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ნიკოლოზ თავდგირიძე აღნიშნავდა, რომ მემორანდუმის ტექსტის შედგენაში პატრიარქთან ერთად მონაწილეობდა რაფიელ ივანიცკი და დეკანოზი იასონ კაპანაძე: „ მემორანდუმის შესახებ თურმე მასაც მხოლოდ გაზეთ „კომუნისტიდან“ გაუგია. მის შედგენაში, მისი აზრით, ალბათ საკათალიკოსო საბჭოს ყოფილ მდივანს რაფიელ ინგილოს (ივანიცკი) მიუღია მონაწილეობა... და დეკანოზ კაპანაძეს, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება" (საპატრიარქოს უწყებანი, 2015 წ, # 27, გვ. 19). როგორც ჩანს, დაბეჯითებით არც თავდგირიძე ასახელებდა ტექსტის თანაავტორების ვინაობას, რაც დასტურდება მისი სიტყვიდან „ალბათ“. დანამდვილებით რომ სცოდნოდა მას, დაბეჯითებით აღნიშნავდა ამის შესახებ, რაც მომავალში მის მიერ ჩვენების შეცვლამაც დაამოწმა, სადაც იგი აღნიშნულ ფაქტს უარყოფს. სასამართლო პროცესზე ნიკოლოზ თავდგირიძემ გამორიცხა მის მიერ პირველი ჩვენებისას დასახელებული პირების როლი მემორანდუმის შედგენაში: „ სასამართლომ მისი ეს უკანასკნელი ჩვენება მიიჩნია რეალურ სინამდვილედ"(ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 42). ე. ბუბულაშვილი ეყრდნობა რა უახლეს ისტორიის არქივში დაცულ ემიგრანტულ მასალებს, მიიჩნევს რომ არ არის გამოსარიცხი რაფიელ ივანიცკის მონაწილეობა მემორანდუმის შედგენაში: „წმიდა ამბროსი ხელაიას სხვებიც ეხმარებოდნენ, რაფიელის მონაწილეობაც გამორიცხული არ არის"(ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 42). აღნიშნულის შესახებ, ე. ბუბულაშვილს მოჰყავს 1927 წლის დასაწყისში გერმანიიდან რაფიელ ივანიცკის მიერ აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილი წერილი პარიზში, რომელიც გარდაცვლილი პატრიარქ ამბროსის ნეკროლოგის გამოქვეყნებას ეხება. როგორც ჩანს, იგი მემორანდუმთან დაკავშირებით აკაკი ჩხენკელს აცნობებს, რომ : „...არ ასახელებს იმ პიროვნებებს, რომლებმაც მემორანდუმის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს, რადგან მათი დიდი ნაწილი საქართველოში იმყოფებოდა და მათ სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა" (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 42). რაფიელ ივანიცკის ეს განცხადება პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ

არადამაჯერებლად ჟღერს, თუ ის იყო ავტორი, შეეძლო დროულად გამოექვეყნებინა მიმართვა (თუნდაც პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაცვის მიზნით), რომ თავად იგია ავტორი. მაგრამ, მეორე ვერსია უფრო მართებულად მიგვაჩნია, სადაც ის ტექსტის გადამწერად ჩანს და არა ავტორად: „მინდა გაზეთებში გამოვაქვეყნო განცხადება, რომ საკათალიკოსო საბჭოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მემორანდუმის შედგენაში და ტექსტის დამუშავება კათალიკოსის ბრძანებით მე მივიღე. ველი თქვენს პასუხს ამ საგანზე" (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 42). ამკარაა, რომ პატრიარქის გარდაცვალებამდე სწორი მიდგომა ჰქონდა, როდესაც წერს, რომ არცერთს არ მიუღია ტექსტის შედგენაში მონაწილეობა, უბრალოდ პატრიარქისგან დაევალა „დამუშავება“, სხვაგვარად „რედაქტირება“, რაც, ამ შემთხვევაში გულისხმობს ტექსტის გამართვას. ნებისმიერ შემთხვევაში ამ სიტყვებიდან ირკვევა, რომ პატრიარქი ამბროსია ტექსტის ერთპიროვნული ავტორი. როგორც, ე. ბუბულაშვილი წერს, მისთვის უცნობია რა პასუხი გასცა აკაკი ჩხენკელმა რაფიელ ივანიცკის. მაგრამ, დ. ჭუმბურიძემ ამ მხრივ უფრო ნათელი სურათი შეგვიქმნა და ჩვენი დაკვირვების სისწორეში უფრო მეტად დაგვარწმუნა. იგი მსჯელობს რა რაფიელ ინგილოს (ივანიცკი) წერილზე, მოჰყავს საინტერესო ცნობა: „... მანვე აკაკი ჩხენკელისადმი მიწერილ წერილში გამოთქვა სურვილი, რომ მემორანდუმის შედგენა თავის თავზე აეღო. თუ ნებას მომცემთ, პრესაში განვაცხადებ, რომ „საკათალიკოსო საბჭოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მემორანდუმის შედგენაში და ტექსტის დამუშავება კათალიკოსის ბრძანებითვე მივიღეო“, - წერდა ინგილო. ამით, ემიგრანტული მთავრობის მხარდაჭერით, ის ცდილობდა საქართველოში მიმდინარე რეპრესიები აერიდებინა საეკლესიო პირებისათვის" (ჭუმბურიძე, 2015, გვ. 401).

რაფიელ ინგილომ (ივანიცკი) აკაკი ჩხენკელთან 1924 წლის 22 აპრილს გააგზავნა აღნიშნული წერილი. ეს ის დრო იყო როდესაც უმკაცრესი რეპრესიები ხორციელდებოდა სასულიერო პირების მიმართ. რაფიელ ინგილოს (ივანიცკი) კეთილი მცდელობა მათთვის აერიდებინა რეპრესიები მხოლოდ სურვილად დარჩა.

აღსანიშნავია, რომ რაფიელ ინგილოს (ივანიცკი) ამ თხოვნაზე უარი მიუღია შემდეგი მიზეზის გამო: „...რადგან ეს გაართულებდა ისედაც ძნელ პირობებში საერთაშორისო ასპარეზზე მებრძოლ საქართველოს დევნილი ხელისუფლების მდგომარეობას { სცსსა, ფ. 1831, აღ.2, ს. 304, ფ. 14}" (ჭუმბურიძე, 2015, გვ. 401).

ვიზიარებთ, ამ მოსაზრებას, რადგან მიმართვის შინაარსი ცხადყოფდა, რომ საქართველოში რეპრესიები გარდაუვალი იყო ამის გამო. პატრიარქ ამბროსის სრული

მზაობა ჰქონდა და ეს ჩანს მისი დამოკიდებულებიდან დაკითხვის პერიოდში, როდესაც ღიად და თამამად პასუხობს მწვავე კითხვებს.

პატრიარქი გამორიცხავს რაფიელ ინგილოს (ივანიცკის) რაიმე ფორმით მონაწილეობას მიმართვის ტექსტის დამუშავებაში. მან გამოძიებას უთხრა რაფიელ ინგილოზე (ივანიცკი): „სრულიად არავითარ მონაწილეობას არ იღებდა და მე მისთვის არ მითქვამს, რომ ჩემს მიერ დაწერილია და გაგზავნილი მემორანდუმი გენუის კონფერენციაზე" (გამახარია, 2012, გვ. 397). ასე რომ, პატრიარქი დეკანოზ იასონ კაპანაძეს თუ ტექსტის გამგზავნად მოიხსენიებს, რაფიელ ინგილოს (ივანიცკი) მონაწილეობას საერთოდ გამორიცხავს ამ საქმეში და ამბობს, რომ მისთვის არც ის უთქვამს, რომ ტექსტი თავად დაწერა და გააგზავნა.

პატრიარქ ამბროსის მიმართვა ძალადობის წინააღმდეგ, ახალმა რეჟიმმა კარგად გამოიყენა ეკლესიაზე მორიგი შეტევისათვის. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები მემორანდუმის დაწერისა და გაგზავნის მოტივით 1923 წლის იანვარში დააპატიმრეს, რადგან მათი მხრიდან ეს ნაბიჯი დაუმორჩილებლობად და ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ჩაითვალა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას აწყობდა გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი ტექსტის ავტორობა საკათალიკოსო საბჭოს წევრებისთვის დაებრალეზინა (მანამდე მცდელობა იყო მენშევიკური ხელისუფლებისთვის დაებრალეზინათ), რითაც ეკლესიას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა. მართლაც, უამრავი ეკლესია დაიხურა და ხელისუფლებისგან მართულ პირებს დარჩათ საპატრონოდ საპატრიარქო ქონება და ტაძრების უმრავლესობა. დაიწყო სამღვდელოების არნახული დევნა-შევიწროვება, ეკლესია- მონასტრების დახურვა და დანგრევა: „გამლიერდა ანტირელიგიური პროზაგანდა" (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 40). ფაქტობრივად, მემორანდუმის გაგზავნა გახდა ახალი ანტირელიგიური პროპაგანდის დაწყების საბაზი, რასაც ადასტურებს უშუალოდ ეკლესია-მონასტრების გალავნებში მოწყობილი მიტინგები (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 40). შევიწროვებულ ეკლესიას უგონებდნენ ახალ-ახალ ჭორებს, თუმცა პატრიარქის ურყევმა პოზიციამ ყველას დაუმტკიცა, რომ სარწმუნოებრივი სიმტკიცე მისთვის ყველაფერზე აღმატებულია და ვერ შეაშინებდა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან დაგებული მახე.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ პატრიარქი დაკითხვის ოქმებში დაბეჯითებით აღნიშნავს; რომ ის ერთპიროვნული ავტორია გენუის კონფერენციის მიმართვის. ზემოთ მოტანილი ვერსიები სხვა პიროვნების ავტორობის შესახებ იმდენად გავს ერთმანეთს, ცალსახად გვარწმუნებს, რომ ვერცერთი კრიტიკას ვერ უძლებს.

მემორანდუმის ტექსტის ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია მისი კონფერენციაზე წამლები პირის ვინაობის დადგენა.

ს. ვარდოსანიძის მიერ საქართველოდან ტექსტის წამლებად მიჩნეულია დეკანოზი იასონ კაპანაძე: „ 1922 წლის აპრილში იტალიის ქალაქ გენუაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს სახელით სპეციალური წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (მემორანდუმის გენუაში წაღება დაეკისრა საკათალიკოსო საბჭოს მდივანს, დეკანოზ იასონ კაპანაძეს, რომელსაც დაუსწრებლად სიკვდილი მიესაჯა და იგი აღარ დაბრუნებულა საქართველოში)“ (ვარდოსანიძე, 2003, გვ. 473).). სხვა მონაცემებით, მას მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია და სასტიკი იზოლაცია(საპატრიარქოს უწყებანი, 2015 წ, # 27, გვ. 19). ს. ვარდოსანიძის ცნობა დეკანოზ იასონ კაპანაძის დახვრეტასთან დაკავშირებით არასწორ ფაქტებს ეფუძნება, რადგან 1924 წლის მარტში, როდესაც თბილისში მიმდინარეობდა პატრიარქის შეურაცხყოფელი უკანონო სასამართლო პროცესი, რკპ (ბ) პოლიტიბიურომ განიხილა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ლომინაძის 13 მარტის დეპეშა. შესაძლოა დაიკარგა, რადგან საქართველოში ვერ მივაკვლიეთ დეპეშას, როგორც ჩანს მხოლოდ დედანი არსებობდა, რომელიც რუსეთში იქნა გაგზავნილი. რაც შეეხება რუსეთში დაცულ საარქივო მასალებს მეცნიერთა გარკვეულმა ჯგუფმა იქაც ვერ მოიპოვა: „... ამ დეპეშას ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიერთ ვერც თბილისში და ვერც მოსკოვის არქივსაცავებში“ (ნათმელაძე & დაუშვილი, 2008, გვ. 131). ჩვენთვის, ყველზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ რკპ (ბ) ცკ პოლიტიბიურომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი ვერდიქტი: „პატრიარქ ამბროსის და საქართველოს სხვა სასულიერო წევრების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის (უნდა ვივარაუდოთ, რომ ბ. ლომინაძის დეპეშა სწორედ ამაზე თანხმობას ელოდებოდა - კ.წ.), უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. გათავაზობთ: 1. სასჯელის გამოტანისას შემოიფარგლეთ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით; 2. ყველა არსებული მასალა ეგზარხოს ამბროსის და სხვა სასულიერო პირების კონტრევოლუციური საქმიანობის შესახებ გამოიყენეთ სპეციალურად ორგანიზებული კამპანიის დროს პრესაში, რადიოში, განსაკუთრებით სოფლად და ა.შ.“ (ნათმელაძე & დაუშვილი, 2008, გვ. 131).

საბჭოთა რუსეთის მხრიდან გამოგზავნილი წერილი კატეგორიულად უკრძალავს ქართულ მხარეს უმაღლესი სასჯელის სახით დახვრეტა გამოიტანოს, თუმცა ქართული

მხარე შესაძლოა დაპატიმრებული პირების შესაშინებლად ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას დახვრეტასთან დაკავშირებით. ს. ვარდოსანიძეს დაუზუსტებელი ინფორმაცია წესით არ უნდა გამოექვეყნებინა. (თუმცა, გაურკვეველია, რაზე დაყრდნობით წერს ს. ვარდოსანიძე იასონ კაპანაძისთვის გამოტანილი განაჩენის - სასჯელის უმაღლესი ზომით დახვრეტის შესახებ).

მკვლევარ გ. გელაშვილის მიერ მოპოვებული დოკუმენტი, რომელიც მან ქ. ლონდონში, ბრიტანეთის ნაციონალურ არქივში მოიპოვა, გვაუწყებს იმის შესახებ, რომ დეკანოზ იასონ კაპანაძეს მიესაჯა 9 წლით პატიმრობა: „ ... ამბროსისა და კაპანაძეს მიესაჯათ 9 წლით პატიმრობა მკაცრი იზოლაციით" (გელაშვილი, 2015, გვ. 69).

ასე რომ, საარქივო დოკუმენტებისა და სხვა საისტორიო წყაროების , ასევე, სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ სასამართლოს მიერ შეფარდებული განაჩენის ზუსტი დადგენა.

ნებისმიერ შემთხვევაში დეკანოზ იასონ კაპანაძე, საკათალიკო საბჭოს კანცელარიის გამგე, შესაძლოა ჩაითვალოს ერთ-ერთ იმ პიროვნებად რომელმაც გაიტანა საქართველოდან გენუის ტექსტის მიმართვა. ის საქართველოდან წავიდა, რადგან ამერიკიდან ძალიან მარტივი იქნებოდა ტექსტის ჩატანა იტალიაში. გონივრულ ეჭვს იწვევს ის ფაქტიც, რომ მან 1922 წლის თებერვალში კვლავ ამერიკაში გამგზავრების სურვილი გამოთქვა და ამის შესახებ თხოვნით მიმართა საკათალიკოსო საბჭოს, რაზეც თანხმობა მიიღო (თალაქვაძე, 2013, გვ. 161) ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსის, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის, უნეტარეს თეოდოსის სიტყვაში დეკანოზი იასონი მოხსენიებულია, როგორც პროტოპრესვიტერი: „... ბევრი ქართველია შეერთებულ შტატებში, რომლებიც ჩამოვიდნენ ოდესღაც და დასახლდნენ იქ. ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება, რომელიც ცხოვრობდა შეერთებულ შტატებში, იყო პროტოპრესვიტერი იასონ კაპანაძე" (ჯვარი ვაზისა, 1886, № 2, გვ. 8). ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ დეკანოზი იასონ კაპანაძე იყო, ბლალოჩინ მიხეილ მჭედლიძის დისშვილი, სიმონ მჭედლიძის მამიდაშვილი.

მემორანდუმის კონფერენციაზე წამლები პირის საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა ვერსიებიც. დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის ცნობით : „ ...ეს დოკუმენტი წადებული უნდა ჰქონდეს ევროპაში დამფუძნებელი კრების წევრს (ს.დ) ვლასა მგელაძეს (გურულია) და „თეატრ და ცხოვრების“ რედაქტორს იოსებ იმედაშვილს (ხაშმელია - გარე - კახელი), რომელთაც მოახერხეს და გაიპარნენ ევროპაში შავი ზღვის პირით, ჯერ ნავით შეცურდნენ ზღვაში, ხოლო იქ გემი დახვდათ და წავიდნენ... კათალიკოზის ხელ-მოწერილი

„მემორანდუმი“ მიართვეს საფრანგეთის დელეგაციის წევრს ბარტუს და სთხოვეს, რაითა მას ეს „მემორანდუმი“ წარედგინა კონფერენციისათვის; ამასაც წარუდგენია ” (თალაქვაძე, 2013, გვ. 236).

ჯემალ გამახარია, სარწმუნო ვერსიად მიიჩნევს სოხუმის მკვიდრის ვახტანგ ჯორჯიკის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას: „... გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის ჩატანა კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ თურმე ვახტანგის ბაბუას, სოხუმელ ექიმს, ცნობილ მეცნიერს, აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, კათოლიკოს-პატრიარქის დიდი ხნის ახლო მეგობარს და მეზობელს (სოხუმში ორივე დღევანდელი ფ. ენგელსის ქუჩაზე ცხოვრობდა) ალექსანდრე გრიგოლიას (1873-1975) მიანდო. ბატონმა ვახტანგმა გაგვიზიარა სრულიად საიდუმლო ინფორმაცია ამ ფაქტთან დაკავშირებით. მემორანდუმი ალექსანდრე გრიგოლიას იტალიაში წაუღია თავის ძმასთან რაჟდენტთან და, აგრეთვე, სოხუმელ პოლონელთან ალექსანდრე მალახოვსკისთან (ამ უკანასკნელს მაღალ თანამდებობაზე მყოფი ახლო ნათესავი ჰყოლია ვატიკანში) ერთად. მათი მგზავრობის დაფინანსებაში დიდი წვლილი შეუტანია აფხაზეთში ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, იურისტს, 1919-1921 წლებში სახალხო საბჭოს წევრს გ. ზუხბაიას. ალ. გრიგოლია და მისი თანხმლები პირები აჭარაში თურქეთ- საქართველოს საზღვრებამდე სოხუმელ გერმანელს ჯაკობო ვან ზიდლერს გაუცილებია, საზღვრის გადალახვაში კი აფხაზური წარმოშობის თურქეთის მოქალაქე კურთხელ ოლლი კუჩბას გაუწევია დახმარება და მასვე იტალიაში გაუცილებია. იქ კი ალ. გრიგოლიას ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე ბაგრატიონი (ამჟამად იტალიაში მცხოვრები ქეთევან ბაგრატიონის ბაბუა) დახვედრია ” (გამახარია, 2012, გვ. 151-152). თავის მისიის შესრულებაში ალ. გრიგოლიას დახმარებია გრაფი ჯან გალეაცო ჩიანო (შემდეგში მუსოლინის სიძე და მის მთავრობაში ჯერ პრესისა და პროპაგანდის, 1936-1943 წლებში, კი საგარეო საქმეთა მინისტრი). იტალიაში ყოფნისას, ალექსანდრე ჯორჯიკია შეხვედრია იტალიის მეფესაც. ვახტანგ ჯორჯიკია დღემდე ინახავს ბაბუის რელიკვიას - იტალიის მეფის მიერ ბაბუისთვის ნაჩუქარ სათუთუნეს, რომელსაც ორივე მხრიდან წარწერებია აქვს, ერთ მხარეს იტალიურ ენაზე წერია: „მისი უდიდებულესობის ვიქტორ ემანუილ III საჩუქარი. 15-V-1922, ხოლო მეორე მხარეს „ა.გრიგოლია” (გამახარია, 2012, გვ. 151). იქვე ჯ. გამახარიას სათუთუნეს ფოტო აქვს გამოქვეყნებული, რაც ამ ვერსიას უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს.

ვფიქრობთ, ყველა ეს ვერსია უფრო მეტად ამყარებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გენუის კონფერენციისადმი მიმართვა, არა კონკრეტულად ერთმა, არამედ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად რამდენიმე სხვადასხვა პირმა გაიტანა

საქართველოდან. როგორც დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, თავად პატრიარქმა მღვდელ იასონ კაპანაძის შუამავლობით გაატანა მისთვის უცნობ პირს: „ კითხვა: ვის გაატანეთ მოწოდება უცხოეთში, გენუის კონფერენციაზე? პასუხი: მოწოდება ვის გავატანე არ ვიცი, ვიცოდი, რომ საზღვარგარეთიდან იყო ჩამოსული და მას გავატანე. კითხვა: ვისაც თქვენ გაატანეთ მოწოდება, ის სპეციალურად მოწოდებისთვის იყო ჩამოსული თუ არა, რა დავალება ჰქონდა იმ პირებისგან, რომლებიც საქართველოდან კომუნისტების განდევნას ფიქრობენ? პასუხი: დეკანოზი კაპანაძის საშუალებით გადავეცი მოწოდება უცნობს, რომელიც კაპანაძემ დამიხასიათა საიმედო პიროვნებათ, პირადად მე არ მინახავს. ეს უცნობი წამლები მოწოდებისა ვინ იყო ან რა მოხელე, არ ვიცი, მხოლოდ მე ვენდობოდი კაპანაძეს” (გამახარია, 2012, გვ. 366). აშკარაა, რომ პატრიარქი ხელს აფარებს ყველა იმ პირს, ვინც საქართველოდან გაიტანა „მიმართვა“. დეკანოზ იასონ კაპანაძეს პატრიარქი ასახელებს შეგნებულად, იმ მიზეზით, რომ ის საზღვარგარეთ იმყოფებოდა და უკან დაბრუნებას აღარ აპირებდა. სხვა პირების დასახელებას კი პატრიარქი ერიდება, მათი და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების მოტივით.

1922 წლის 7 თებერვალს დაწერილი მემორანდუმი, ფარულად იქნა გატანილი საქართველოდან საზღვარგარეთ, სავარაუდოდ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა პიროვნების მიერ და შესაბამისად, იარსებებდა მისი რამდენიმე ცალი.

მენშევიკური მთავრობაც იმდენად იყო ამ საკითხით დაინტერესებული, არც ის არის გამორიცხული რომელიმე მათ წარმომადგენელსაც წაეღო მიმართვა. ტექსტის ბარტუსთვის გადაცემის ვერსიას თუ ვირწმუნებთ, ის ფრანგულ ენაზე იქნებოდა დაწერილი. ამ ცნობას, როგორც აღვნიშნეთ, დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძე გვაწვდის. რამდენად სანდოა მისი ეს ცნობა ძნელი სათქმელია, ვინაიდან მის ჩანაწერებში არა ერთ უზუსტობას აქვს ადგილი, თუნდაც იმას, რომ თითქოს ნოე ჟორდანიას და მენშევიკური მთავრობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ გენუის კონფერენციას. ეს არასწორია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობის წარმომადგენლებს არ მიეცათ საშუალება კონფერენციას დასწრებოდნენ (კანდელაკი, 1953, გვ. 236), რაც შეეხება „მემორანდუმის“ ტექსტს, როგორც აღვნიშნეთ, მისი არა ერთი ეგზემპლიარის გატანა საზღვარგარეთ სხვადასხვა პირების მიერ უფრო მეტად უზრუნველყოფდა ტექსტის დანიშნულების ადგილას ჩატანას.

ერთ-ერთი ვერსიით, ევგენი გეგეჭკორმა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გენუის საერთაშორისო კონფერენციას გადასცა ტექსტი (2 აპრილი 1922 წ.) ქართული ეკლესიის წინამძღვრის, კათალიკოს-პატრიარქის, ამბროსის

(ხელაიას) მიმართვა, რომლითაც ის მიმართავდა ცივილიზებულ კაცობრიობას. საქართველოში ოპოზიციურად განწყობილი ყველა პოლიტიკური პარტიისა და თავისთავად ეკლესიის სახელით. მისმა პროტესტმა, გაბედულობამ, ეროვნული ღირსებების პატივისცემამ ერთსულოვანი გახადა ქვეყნის ძალები ოკუპაციის წინააღმდეგ.

სხვა ვერსიით, 1922 წლის 7 თებერვლით დათარიღებული მემორანდუმი გაეგზავნათ პარიზში ემიგრანტულ მთავრობას, კერძოდ აკაკი ჩხენკელსა და ნოე ჟორდანიას. აღნიშნული ვერსიის ავტორია საკათალიკოსო საბჭოს წევრი ნიკოლოზ თავდგირიძე (ბუბულაშვილი, 2015, # 2, გვ. 42). თუმცა, დაკითხვისას მან უარყო ეს ფაქტი. ნ. თავდგირიძეს მიერ მისი უარყოფა კი საქართველოში მცხოვრები მენშევიკების უსაფრთხოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმი კონფერენციაზე არ განუხილავთ. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მოხდა ტექსტის განხილვა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, თითქოს რუსეთმა შეუშალა ხელი. საკითხის გარკვევისთვის მნიშვნელოვანია გენუის კონფერენციის ოქმები და დოკუმენტები, რომელიც შეკრიბა და გამოსცა კონსტანტინე კანდელაკმა პარიზში, 1953 წელს. მასზე დაყრდნობით ძალიან ბევრ აქამდე უცნობ და ბუნდოვან საკითხს ეფინება ნათელი; კერძოდ, იმას თუ რატომ არ იქნა საქართველოს წარმომადგენლობა დაშვებული გენუის კონფერენციაზე და რა როლი ენიჭებოდა პატრიარქის წერილს კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლებისთვის.

დავიწყოთ პირველი საკითხის განხილვით. გენუის კონფერენციის მასალების მიხედვით, საქართველოს ინტერვენციის საკითხის შესახებ: „ პირველ ნოტიო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოითხოვა, რომ როცა მოხდება შემოწმება ქვეყნების მინდობილობის წერილებისა, კონფერენციის მონაწილეებმა არ დაუშვან, რომ რუსეთის დელეგაციამ საქართველო წარმოაჩინოს. 19 თებერვლის მემორანდუმში მანვე მოითხოვა კონფერენციის მონაწილეებს მოეთხოვათ საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანა, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებული ჰქონდა მთელ რიგ ქვეყნებს, არ განეხილათ საქართველო, როგორც რუსეთის შემადგენელი ნაწილი. 2 აპრილს კი ნოტიო კონფერენციის მონაწილეებს გადაეგზავნათ კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მიმართვა ცივილიზებულ კაცობრიობისა და საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიისადმი წერილი, იგი გამოხატავდა ქართველი ერის მისწრაფებასა და

სულისკვეთებას. “(გენუის კონფერენცია, დოკუმენტები, შესავალი ამედეო ჯანინისა, რომი 1922).

თუ რატომ არ დაუშვეს კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლები, ამის შესახებ წერს კონსტანტინე კანდელაკი: „1922 წლის 1 აპრილს, საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, პრემიერ მინისტრმა (ბ-ნმა რაიმონ პუანკარემ, Raymond Poincare), იმის ახსნის დროს, თუ რატომ არ იქნა თურქეთი მოწვეული გენუის კონფერენციაზე, შემდეგი განცხადება გააკეთა: „თურქეთი ზოგიერთ ჩვენი მოკავშირის თხოვნით, არ იქნა დაშვებული ამ შეხვედრაზე. ისინი მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ევროპული სახელმწიფოები უნდა ყოფილიყვნენ მოწვეულნი... თურქეთზე საუბრისას მე იმ შეკითხვებზეც ვფიქრობდი, რომლებსაც ცოტა ხანში დაგვისვამენ. მე ვიცნობ ამ პრობლემას. საქმე არა მხოლოდ თურქეთს, არამედ კავკასიის სახელმწიფოებსაც ეხება. ამასთან დაკავშირებით მე უკვე დამისვეს შეკითხვა გუშინდელ სესიაზე. ზოგიერთი ჩვენი მოკავშირე კავკასიის სახელმწიფოების თაობაზე იმავეს ფიქრობენ, რასაც თურქეთზე. მათ თქვეს: ჩვენ ვერასდროს დავამთავრებთ, თუ ევროპას გავცდებით და მთელ მსოფლიოს მოვიწვევთ. ამგვარად, კანში გადაწყდა, რომ არც თურქეთი და არც კავკასიის სახელმწიფო არ უნდა იყვნენ მოწვეულები (ბ-ნი ერიოტი (Herriot): - კავკასიის შემთხვევაში, ეს, ფაქტიურად, შეცდომაა, რადგან ის ევროპის ნაწილია)... ეს სერიოზული საკითხია, სახელმწიფოები, რომლებიც კავკასიის სამხრეთში მდებარეობენ, ევროპას უნდა მივაკუთვნოთ თუ აზიას. მე არ ვაპირებ ამ საკითხზე მსჯელობას. უბრალოდ, ვცდილობ ავხსნა, რა ითქვა. მინდა დავამატო, რომ საფრანგეთის მთავრობის პოზიცია ასეთია... - მე მგონი, არ ვცდები ამ საკითხთან დაკავშირებით - ჩვენ დე იურე ვცნობთ საქართველოს სახელმწიფოს, ამიტომაც მოვითხოვეთ, რომ გენუაში ის ყოფილიყო წარმოდგენილი. (ბ-ნი არისტიდ ბრიანი (Aristide Briand): ეს სწორია!) თუმცა, საქართველომ, კავკასიის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, უარყოფითი პასუხი მიიღო... ამის მერე საბჭოთა ხელისუფლებამ მოისურვა, დელეგატების მათ სიას დამატებოდა რამდენიმე დელეგატი კავკასიის სახელმწიფოებიდან იმ მიზნით, რომ ეს სახელმწიფოები მათ დღემდე ოკუპირებული აქვთ.

რა თქმა უნდა, თუკი საქართველოს დე იურე მთავრობას ეთქვა უარი გენუის კონფერენციაში მონაწილეობაზე, მით უმეტეს მიუღებელია, რომ რუსეთმა წარმომადგინოს ის ქვეყნები, რომლებიც დაიპყრო და ძალით ახდენს მათ ოკუპირებას (აპლოდისმენტები ცენტრიდან, მარჯვენა ფრთიდან და ზოგიერთი მარცხენა სკამიდან)" (კანდელაკი, 1953, გვ. 69-70).

ეს იყო, მთავარი მიზეზი, რის გამოც გენუის კონფერენციაზე პატრიარქ ამბროსის ტექსტი არ განიხილეს. უცხოური სამთავრობო წრეები, პარლამენტის წევრები და დიპლომატები, რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ, ერთი მხრივ, თავისუფალი პრესის, მეორე მხრივ კი - პირდაპირ საქართველოს წარმომადგენელთა მხრიდან, ხელიდან არ უშვებდნენ საქართველოს შესახებ პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობას. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა: „ კანში საქართველომ ვერ მიიღო გენუის კონფერენციაზე დასასწრები მანდატი. ამიტომ ქართული მთავრობა საქართველოს საკითხის საფრანგეთის პარლამენტის წინაშე განხილვას დასჯერდა" (კანდელაკი, 1953, 69).

გენუის კონფერენციის მომდევნო სხდომებზე ისევ აქტუალური იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გაგზავნილი წერილი. კონფერენციის მონაწილეები მოუწოდებდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებას ყოფილიყო ღმობიერი: „ 1922 წლის 18 ივლისს ქართული საკითხის ბრიტანეთის თემთა პალატის (House of Commons) წინაშე წარადგინეს: „ბ-ნ სნოუდენი (Snowden) შეეკითხა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, იცოდა თუ არა მან ქართველი ხალხის წამებისა და შევიწროების შესახებ ბოლშევიკური მთავრობის მხრიდან, რომელმაც დაიპყრო საქართველო და დაამხო ქვეყნის დემოკრატიული მთავრობა; იცოდა თუ არა იმის შესახებ, რომ ბოლშევიკებმა საქართველოს-პატრიარქი, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, სარდაფში ჩაკეტეს, რადგან მათ უარი თქვეს, ხელი მოეწერათ „ჩეკას" მიერ შეთითხნილ დეკლარაციაზე, თითქოს გენუაში გაგზავნილი მიმართვა სიმართლეს არ შეესაბამებოდა და საქართველოში არავინ ზღუდავდა რელიგიის თავისუფლებას... იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე ცნო ბრიტანეთის, ასევე სხვა მოკავშირე ქვეყნების მთავრობამ, შეუძლია თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტროს, განახორციელოს დიპლომატიური ზეწოლა მოსკოვზე და დაარწმუნოს ბოლშევიკები, შეწყვიტოს ძალადობა საქართველოზე" (კანდელაკი, 1953, გვ. 72) საქართველოს თემა აქტუალობას შემდეგ სესიებზეც არ კარგავდა და უნდა ითქვას, რომ უმთავრესი წვლილი ამაში კათოლიკოს-პატრიარქის შეუპოვარმა ბრძოლამ და ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ გენუაში გაგზავნილმა წერილმა შეიტანა. ბუდუ მდივანის ჩამოსვლა და პატრიარქის დაპატიმრების მოთხოვნაც სწორედ ამით იყო გამოწვეული. მართლაც, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის დაპატიმრება არ დააყოვნეს. 1923 წლის იანვარში, სწორედ გენუის კონფერენციის შემდეგ დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. თუმცა განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ნ. ყიფშიძე (2012): „...გენუის კონფერენციის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, ამბროსი ხელაიასთან ერთად კონტრრევოლუციური ბრალდებით ოცდასამი ქართველი მამულიშვილი

დააპატიმრეს... " (გვ. 91), მაგრამ ეს ინფორმაცია სანდო არ გახლავთ, ვინაიდან კათოლიკოს-პატრიარქის დაპატიმრება სწორედ გენუის კონფერენციაზე მიმართვამ განაპირობა. 1924 წლის მარტში, პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების სასამართლო პროცესი თბილისის ნამალადევის მუშათა თეატრში გაიმართა.

კათოლიკოს-პატრიარქის ინტერესებს იცავდა ცნობილი იურისტი კირილე ნინიძე, რომელიც პროფესიონალიზმით, სათანადო დოკუმენტებითა და პროცესზე მაღალავტორიტეტული ინტელიგენციის მიწვევით ცდილობდა დაესაბუთებინა პატრიარქის უდანაშაულობა და მისი განუზომელი სიყვარული ღვთისა და ერისადმი. პატრიარქის ინტერესებს ასევე იცავდა იოსებ(ოსიკო ა.ს) ბარათაშვილი (გამახარია, 2011, გვ. 27), ხოლო საკათალიკოსო საბჭოს წევრების დამცველთა სახელების დადგენა შესაძლებელი გახდა უზენაესი სასამართლოს საჯარო სხდომის ოქმიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მათ ინტერესებს იცავდნენ: ა. გუნცაძე (დამცველი მიტროპოლიტ ნაზარისა (ლეჟავა)), დ. დადიანი (დამცველი დეკანოზ მარკოზ ტყემალაძისა და დიაკონი დიმიტრი ლაზარიშვილისა), ვ. ყანჩელი (დამცველი დეკანოზ კალისტრატე ცინცაძისა) და ქ. ქავთარაძე (დამცველი არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძისა), მღვდლიშვილი (დამცველი დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის) და გელაზარაშვილი (დამცველი ნიკოლოზ თავდგირიძისა და ნიკოლოზ არჯევანიძისა).

რაღა თქმა უნდა, ადვოკატებმა ვერ შეძლეს პატრიარქის პატიმრობიდან დახსნა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებას წინასწარ დაგეგმილი ჰქონდა, როგორ და რამდენი ხნით უნდა ჰყოლოდა ის ტყვეობაში, თუმცა ადვოკატების მიერ წარმოთქმული სიტყვა ნიმუშია ეროვნული ცნობიერებისა და სამშობლოსადმი თავდადებისა. ამას სხვა ვერ შეძლებდა, გარდა სიმართლისათვის თავდადებული ადამიანისა. ადვოკატმა კირილე ნინიძემ სასამართლოში ისტორიული სიტყვა წარმოთქვა: „მეტად მძიმე და რთულია დამცველის მოვალეობა პოლიტიკურ პროცესში, ვინაიდან მას ევალება დაცვა სასამართლოს პრესტიჟის და კანონიერების და იმავე დროს დაცვა ბრალდებულისა ისე, რომ მას არც ფიზიკური ვნება მიადგეს და რაც მთავარია, მისი პიროვნება არ იქნეს დამცირებული. ამით უფრო მძიმე და რთულია ჩემი მოვალეობა ამ საქმეში, ვინაიდან მე დაკისრებული მაქვს, ჩემი სინდისის და პროფესიის მიხედვით დაცვა იმ ადამიანისა, რომელიც წარმოადგენს ერის, ან თუ გნებავთ მისი მორწმუნე ნაწილის სინდისს და მოგეხსენებათ, რომ რწმენა ადამიანისა - ეს არის უფაქიზესი და ყველაზე უფრო სათუთი გრძნობა. აი ამიტომ მე საჭიროდ ვთვლი ჩამოვაშურო ამ საქმეს ყველა ის ელემენტი, რომელიც გამომდინარეობს, არა იმ საბრალდებო მასალიდან, რომელიც თქვენს წინაშეა

წარმოდგენილი, არამედ შემოტანილია გარედან და მე მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ბრალდების მხარე ემყარება არა იმ მასალას, არამედ სულ სხვა მოსაზრებებს... (არქივი, ფ. № 1864, ს. 802, ფ. 6)” (სარალიძე, 2015, გვ. 273). კ. ნინიძის დასკვნითი სიტყვაც ანალოგიური პათოსით არის აღსავსე, მას მიაჩნია, რომ: „ გავა დრო, წყობილება წყობილებას შეცვლის, პარტიული მიუკარებლობა და გაუტანლობა გაქრება, ხოლო პოლიტიკური სინდისი და პიროვნება დარჩება და პასუხიც მას მოეთხოვება...” (სარალიძე, 2015, გვ. 274).

კ. ნინიძეს მხრიდან პატრიარქის ადვოკატობა არ იყო იოლი საქმე, რადგან მუდმივ ზეწოლას განიცდიდა ხელისუფლების მხრიდან წაქეზებული და პროცესზე შემოგზავნილი მუშებისგან. ეს ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გარეთაც გავიდა: „ სასამართლოს პროცესის სხდომები ყოველ დღე წყდებოდა მუშათა დემონსტრაციების გამო, რომლებიც გარს ერტყმოდნენ თეატრის შენობას და იჭრებოდნენ შიგნით ყვირილით - „ძირს ამბროსი. ძირს მღვდლები!” ბრბოს დელეგაციას უშვებდნენ შენობაში და სხდომები წყდებოდა, რადგან ნება ეძლეოდათ სასამართლოს ლანძღვისა. ისინი მოითხოვდნენ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას, ხოლო ადვოკატის დაკავებას და კლიენტებთან ერთად გასამართლებას...” (გელაშვილი, 2015, გვ. 70).

პატრიარქი შეურაცხყოფას მშიდად და უდრტვინველად იტანდა. მას შიდა მტრების გარდა, საგარეო მტერიც გამოუჩნდა გერმანიის ელჩის ჰესეს სახით.

კათოლიკოს-პატრიარქის დაკნინებას არა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ, არამედ მისი მოკავშირეებიც. მათ შორის, ერთ-ერთი იყო ჰესე, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიდა და რაც ჩვენთვის საყურადღებოა, მან გააგზავნა მემორანდუმის ტექსტი, რაც ჩვენი აზრით, სწორედ იმ ტექსტიდან არის გერმანულად თარგმნილი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში“ და რაც ჩვენს მიერ დედნად არის მიჩნეული. ელჩის მიერ გაგზავნილი წერილის ტექსტი 2016 წელს აღმოაჩინა მაია დამენიამ. ვხელმძღვანელობთ სწორედ მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტით: „პატივი მაქვს დანართის სახით გამოგიგზავნოთ აქაური მიტროპოლიტის - ამბროსის გენუის კონფერენციისადმი მიმართული სათხოვარის თარგმანი" (დამენია, 2017, გვ. 152-153). აშკარაა, რომ ელჩი განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების ზეგავლენას. ის მიკერძოებულია და პატრიარქის შესახებ ობიექტურ ინფორმაციას არ აწვდის. ის უფრო მეტად მხარეს წარმოადგენს, ვიდრე დამკვირვებელსა და მართალი სიტყვის გამგზავნის საკუთარ ქვეყანაში. ელჩი აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მითითებებს

ზედმიწევნით ითვალისწინებდა. ეს კარგად ჩანს, მის მიერ გერმანიაში გაგზავნილი ბარათის შინაარსიდან, სადაც იგი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის იხსენიებს, როგორც „მიტროპოლიტს“ (დამენია, 2017, გვ. 152). კათოლიკოს-პატრიარქის სტატუსის დაკნინების მცდელობას ადგილი ჰქონდა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდანაც, რომელიც საქართველოში გამოგზავნილ წერილში მას კნინობითი წოდებით „ეგზარქოსად“ მოიხსენიებს (ნათმეღაძე & დაუშვილი, 2008, გვ. 131),

ცხადია, კათოლიკოს-პატრიარქის ღიად დაცინვას ხელისუფლების მოწოდების გარეშე ვერ გაბედავდნენ. გარდა კნინობითი სტატუსით მოხსენიებისა, პრესაში გაჩნდა მისი პიროვნების დამამცირებელი სტატიები შემდეგი სათაურით: „პატრიარქ ამბროსის მღვდელმთავრული ჭორიკნობა“ (კომუნისტი, 1922, # 126, გვ. 3), „უწმინდესი კონტრევიოლუციონერი“ და ა.შ. ცხადია რომ საბჭოთა საქართველოს კომუნისტი ხელმძღვანელები რუსეთთან შეთანხმების გარეშე არაფერს წყვეტდნენ. არა თუ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები, თვით გერმანიის ელჩიც კი მათთან შეთანხმებით მოქმედებდა, რაც კარგად ჩანს გერმანიაში გაგზავნილი ბარათის სულისკვეთებაში. ჰესეს საბჭოთა საქართველოს მთავრობის არ ეშინოდა, საბჭოთა საქართველო არ იყო ისეთი მასშტაბური „მოთამაშე“ მსოფლიო პოლიტიკაში საკუთარი ბარათები მათთვის შეეთანხმებინა. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რატომ უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს ელჩის გერმანიაში გაგზავნილი ბარათის შინაარსი მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავნილი ბარათის შინაარსს. საბჭოთა რუსეთის მიერ გამოგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „... ყველა არსებული მასალა ეგზარქოს ამბროსის და სხვა სასულიერო პირების კონტრევიოლუციური საქმიანობის შესახებ გამოიყენეთ სპეციალურად ორგანიზებული კამპანიის დროს პრესაში, რადიოში, განსაკუთრებით სოფლად და ა.შ.“ (ნათმეღაძე & დაუშვილი, 2008, გვ. 131)

რუსეთს საერთაშორისო მასშტაბით სახელის გაფუჭება რომ არ სურდა, ცხადი ხდება რაფიელ ინგილოს (ივანიცკი) წერილიდანაც, რომლითაც მან მიმართა კენტერბერის მთავარეპისკოპოსს: „... საქართველოს ოკუპანტები ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, რათა მართალი ამბავი მოქმედებისა უკიდურესად შეწუხებულ ქვეყანაში არ მოეფინოს კულტურულ სახელმწიფოებს... უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების ცდა იქით არის მიმართული, რომ სინამდვილე საქართველოში შექმნილი ვითარებისა არ შეიტყონ ინგლისში, რადგანაც მათ უწყიან, რომ დიდი ბრიტანეთი საქართველოს და მისი ეკლესიის შევიწროვებას არ მისცემს თავის სანქციას, ხოლო ამავე გარემოებას ამ ჟამად

მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებული ევროპის ყველა სახელმწიფოების მიერ საბჭოთა რუსეთის მოსალოდნელი ცნობისა გამო... " (ჭუმბურიძე, 2015, გვ. 400).

ფილიპე მახარაძე ისე გააღიზიანა კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვამ გენუის კონფერენციისადმი, რომ იგი მის შესახებ წერდა: „დეე, საქართველოს მუშებმა და გლეხებმა სათანადო პასუხი გასცენ ამ აღმაშფოთებელ და საზიზღარ გამოსვლას საქართველოს ეკლესიის ამ ცრუ პატრიარქისას, საქართველოს მუშურ გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულს, და სასირცხვილო სახელი მიაკრან შუბლზე ყველა ამ პროვოკატორებსა და ცილისმწამებლებს“ (კომუნისტი, 1922, 4 ივნისი, გვ. 3).

საბჭოთა ხელისუფლებამ, საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა ის, რაც სურდა, ვინაიდან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პრინციპული და სწორი პოზიცია დღემდე აქტუალობას არ კარგავს.

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, გაზ „კომუნისტის“ 1922 წლის 4 ივლისის ნომერში განთავსებული მემორანდუმის ტექსტი წარმოადგენს პატრიარქ ამბროსის მიერ დაწერილი ტექსტის დედანს, რომელიც მან შეადგინა დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით. ტექსტი მოგვიანებით ითარგმნა უცხო ენებზე, უსაფრთხოების მიზნით, გატანილ იქნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სხვადასხვა პიროვნების მიერ.

თავი V

5.1 საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1921-1927 წლებში დევნილი და დახვრეტილი მამები (საარქივო მასალების მიხედვით)

1921-1927 წლებში ხელისუფლების მიერ ყველაზე მიუღებელ და საშიშ ადამიანებად სასულიერო პირები აღიქმებოდნენ, განსაკუთრებით კი, პრინციპების ერთგული და მოვალეობის წმინდად შემსრულებელნი. ამიტომ, 1924 წლის 1 სექტემბერს საქართველოს საგანგებო კომისიის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო დადგენილება სამეულის მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე (ქუთაისის პოლიტბიურო) სიკვდილით დაესაჯათ ეკლესიის ღვთისმსახურნი- ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, დეკანოზი იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე (გურული, 2009, გვ. 3).

საბჭოთა ხელისუფლებას არ ჰქონდა დახვრეტისთვის საკმარისი მტკიცებულებები, მაგრამ სამეულმა მარტივად გადაჭრა ეს საკითხი, რაც შემდეგი სახით იქნა ფორმულირებული: „...преступления выразившийся в контр-революционной цели нелегального собрания и сопротивления местной власти“ (გურული, 2009, გვ. 3).

ადგილობრივ ხელისუფლებას ეკლესიის საწინააღმდეგო პროპაგანდაში ანგარიშს რომ არ გაუწევდნენ, ეს ფაქტია. ხელისუფლებამაც იცოდა სამღვდელოების მყარი პოზიციის შესახებ ანტირელიგიურ პროპაგანდასთან დაკავშირებით. მიტროპოლიტი ნაზარი აქციებში არასდროს ღებულობდა მონაწილეობას, მით უფრო, ანტიკომუნისტურ მოწოდებებშიც არავის შეუნიშნავს. მღვდელმთავარი თანმხლებ სასულიერო პირებთან ერთად სოფელ როდინაულში არსებული ეკლესიის საკურთხევლად გაემგზავრა სიმონეთიდან და სხვა შეხვედრებისთვის დრო ვერც ექნებოდა. მთავრობამ სათავისოდ გამოიყენა ეს შემთხვევა და 1924 წლის 2 აგვისტოს, სადამოს ლოცვის შემდეგ, გვიან ღამით დააპატიმრა სასულიერო პირები ერთ-ერთი მორწმუნის ოჯახში. საგამოძიებო ჯგუფი 17 დღის განმავლობაში იკვლევდა „კონსპირაციული“ შეხვედრის დეტალებს.

ხელისუფლებას არსებული კანონმდებლობით ეკრძალებოდა არა თუ სიკვდილით დასჯა, არამედ ხანგრძლივი ვადით პატიმრობაში დატოვებაც. სამწუხაროდ, მათ მიუსაჯეს უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა.

ქრისტიანებისთვის ეს, ერთი მხრივ, სამწუხარო ფაქტია, მაგრამ, მეორე მხრივ, სასიხარულოა, რადგან ეკლესიას შეემატა წმინდანთა მხედრობა. ყველამ იცოდა, რომ ის ბრალდებები, რაც ხელისუფლებამ წაუყენა, გამოგონილი და ცრუ იყო. ერთ-ერთი

ბრალდება „აგვისტოს ავანტიურაში“ მონაწილეობის მიღება იყო (მელიქიშვილი, 1995, გვ. 5).

ციხეები ყოველ წელს ივსებოდა სასულიერო პირებითა და ინტელიგენციის წარმომადგენლებით: „1922 წლის 17 ნოემბერს საქართველოში შემოჭრილმა ბოლშევიკებმა და მათ მიერ ძალადობრივი გზით მოსულმა მთავრობამ აავსო საქართველოს ციხეები ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით“ (გვინეტაძე, 2015, გვ. 116).

საქართველოს ეკლესიის ისტორიამ ქრისტიანული რჯულისათვის წამებულთა არაერთი სახელი შემოგვინახა. უფლის დაშვებით, სწორედ ისეთ დროს მოვევლინებოდა მამამთავარი, წინასწარმეტყველი, მოციქული ან მოწამე, როდესაც მორწმუნე ერს განსამტკიცებლად სჭირდებოდა, როდესაც სულიერ შეჭირვებას განიცდიდა და დაცემის გზაზე იდგა, როდესაც ამა თუ იმ დროის საჭეთმპყრობელნი ცდუნებაში აგდებდნენ საზოგადოების უდიდეს ნაწილს, ჭეშმარიტებას ავიწყებდნენ, ქრისტეს სახარებას უბილწავდნენ, ბავშვებს ტკბილი ენით აცდუნებდნენ, ხანდაზმულებს ქრთამით ან იძულებით. გავიხსენოთ, ჩვენს მეფეებს დამპყრობლები რას სთავაზობდნენ: შეიცვალე სარწმუნოება და დარჩი შენი ქვეყნის მმართველად... მაგრამ ისინი თავს სწირავდნენ სარწმუნოებისათვის, იცოდნენ, რომ არა თუ ქვეყნის მმართველად, ჩვეულებრივ ვასალად აქცევდა ნებისმიერი შაჰი ქართველ მეფეს: „ ჩვენ ვიცით მათი სახელები, არაბთა, მონღოლთა, სპარსთა და თურქთა ბატონობის ხანაში წამებულთა... მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცით ჩვენი საუკუნის, ჩვენი დროის ახალმოწამეთა სახელები, რომელთა მოწამეობის აღსასრულს სულ 70 წელი თუ გვაშორებს. ამ ღირსი მამების ღვაწლის, ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე მოხდელი ვალის მოხსენება კი გვმართებს არა იმდენად მათთვის სათანადო პატივის მისაგებად (რასაც მათი ქრისტიანული თავმდაბლობა სრულიად გამორიცხავდა), არამედ უფრო ჩვენი რწმენადაკარგული და ცოდვებით დამძიმებული საზოგადოების, ჩვენი მშფოთვარე, გზააზნეული ახალგაზრდობის სულის გასაცოცხლებლად და აღსაზრდელად“ (მელიქიშვილი, 1995, გვ. 3). მოწამებრივი ღვაწლის გაანალიზება არც ისე იოლია, ადამიანს ისიც კი უჭირს გაიგოს, რატომ მიდიან მონასტერში და რა არის იქ ისეთი განსაკუთრებული, რისი მიღწევაც საერო სოფელში შეუძლებელია. წმ. გრიგოლ ხანძთელი მონაზვნების შესახებ ამბობს, რომ ათასგზის ეწამებიან, ხოლო ქრისტესთვის მოწამე ერთხელო. მოწამეებმა არამარტო სიცოცხლე გასწირეს, არამედ ის შესაძლებლობა დიდი საქმეების კეთებისა, რაც სიცოცხლის შემთხვევაში მიეცემოდათ მხოლოდ. იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მოძღვრება არჩიეს

წუთისოფლის საქმიანობას. საზოგადოების დეგრადირება გამოიწვია ათეიზმის ეპოქამ, კომუნისტებმა ზნეობრივად გაქურდეს ქვეყანა, მაგრამ ეს ზნეობრივი დაღმასვლა საუკუნის წინ არ დაწყებულა, უფრო შორს რომ არ წავიდეთ, სანამ გასაბჭოება მოხდებოდა, ერი უკვე დაავადებული იყო ეგზარქოსების მმართველობით. იმდროინდელი სულიერი მდგომარეობის წარმოსადგენად 1907 წელს ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობის ფაქტიც კმარა. ახალმა თაობამ ომი გამოუცხადა ყველაფერს, რასაც კი სარწმუნოების ბეჭედი ედო. კომუნისტი არ ფარავდა თავის ზიზღს ტაძრებისა და სამღვდელოებისადმი. მან უარყო ნათესაობა (გენეტიკა) და საქვეყნოდ აღიარა, რომ ადამიანი იგივე ცხოველია, რომ მისი ცხოვრება აქ, ამქვეყნად იწყება და აქვე მთავრდება, რომ მისი დანიშნულება კუჭის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა, არ არის არავითარი მარადიული ცხოვრება და ან რა საჭიროა, რომ იყოს. ადამიანი ბოროტებას უფრო მარტივად ითვისებს, ვიდრე სიკეთეს. სიკეთე ძნელი მოსაპოვებელია, მას სჭირდება ნებაზე ძალდატანება, გაუმჯობესება და მოყვასის კეთილდღეობაზე ზრუნვა. არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ პიონერებმა ასე მარტივად მიიღეს ღვთის საგმობი საქმიანობა. იმ პერიოდში სამღვდელოებამ ვერ შექმნა ღირებული საღვთისმეტყველო წიგნები. სამწუხაროდ, უნდა ითქვას რომ ძველთაგანვე არსებული ნაშრომებიც ვერ გამოიყენეს. სამღვდელოება ცოცხალ მაგალითს აღარ წარმოადგენდა მრევლისთვის და რა გასაკვირია, რომ ხალხმა ზურგი აქცია ტაძრებს?! პარტია თავის გეგმებსა და შთაბეჭდილებებს უზიარებდა მუშებს, ნებისმიერი ფენის წარმომადგენელს და ერთობლივად სახავდნენ მომავალის სამოქმედო გეგმებსაც. ეკლესიას აეკრძალა, საკუთარი გაზეთი ან ჟურნალი ჰქონოდა მრევლისთვის აზრის მისაწოდებლად. პარტიულმა ფანატიზმმა შთანთქა ქრისტიანული ჭეშმარიტების გაგება. ადამიანში შინაგანად არის ჩადებული კეთილის ქმნის სურვილი.

ქართველი ხალხი ათეისტურ რეჟიმს ვერ შეუირიგდა. საქართველოში დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. აჯანყება დაიწყო 28 აგვისტოს დილის 4 საათზე, ჭიათურაში. შეიარაღებულთა ერთმა ჯგუფმა ქალაქი აიღო, ხოლო ჭიათურის დროებითმა მთავრობამ, რომელმაც სულ 22 საათი იარსება, მრავალი ადამიანის დაპატიმრება მოასწრო. მან ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიც დაგმობილი იყო საბჭოთა წყობილება და რომელიც აცხადებდა, რომ ახლადშექმნილი მთავრობა არავის დაუთმობდა მოპოვებულ თავისუფლებას.

აჯანყება მიმდინარეობდა დამოუკიდებელი საქართველოს დროშით, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და საქართველოს რუსეთისგან გათავისუფლების

ლოზუნგით. მას მხარს უჭერდა ინტელიგენციის, თავად-აზნაურობისა და საერთოდ, მოსახლეობის დიდი ნაწილი.

1924 წლის აგვისტოს ცხრა სასულიერო პირი და ორი მორწმუნე დააპატიმრეს. სასულიერო პირებს ხელ-ფეხი შეუკრეს (იგულისხმება მიტროპოლიტი ნაზარი და მისი თანმხლებნი პირები), კონდახით იმდენი სცემეს, რომ თავი დაუზიანეს და ბოლოს ურიკაზე დააბეს. მეორე დღეს პატიმრები ქუთაისის შინსახკომში გადაიყვანეს და სხვა პატიმრებთან ერთად ბნელ საკანში დაამწყვდიეს. დატყვევებულებს სასტიკად ეპყრობოდნენ, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. შემდეგ კი „განსაკუთრებულმა სამეულმა“ საფიჩხიას ტყეში დახვრიტა ისინი (საითიძე, 1995, გვ. 21-23).

იმის მტკიცებას ვერ დავიწყებთ, რომ ეკლესია აჯანყებაში მონაწილეობას არ იღებდა, რადგან ყოფილი სასულიერო პირები სენაკის მაზრიდან აკაკი და შალვა კალანდარიშვილები სათავეში ედგნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებულ აჯანყებას და მოუწოდებდნენ ძველ თანამსახურებს ერთობლივი პროტესტისკენ. მათი აქტიურობა ჩანს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული წერილებიდან: საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა სამეგრელოში აჯანყებისთვის პრაქტიკული მუშაობა 1924 წლის ზაფხულიდან დაიწყო. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი რეგიონალური (სამეგრელოს) სამხედრო შტაბის შექმნა იყო. სამხედრო შტაბში დამკომმა შეიყვანა: „გენერალი თოფურია - მთავარ ხელმძღვანელად, პოლკოვნიკი კოდუა, შტაბის უფროსად“. სამხედრო შტაბს სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში და ქალაქ ფოთში (ფოთი არცერთ მაზრას არ მიეკუთვნებოდა, ის ცალკე ქალაქს წარმოადგენდა) სამაზრო შტაბების ფორმირება უნდა მოეხდინა. „სამაზრო შტაბების შექმნა უნდა მომხდარიყო ყველა ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების თანხმობითა და მონაწილეობით“ (ჯიქია, 2017, გვ. 12). პრაქტიკულად რეგიონალური სამხედრო შტაბი და, შესაბამისად, სამაზრო შტაბები არ ფუნქციონირებდნენ. ამიტომ, დამკომმა სამხედრო შტაბის უკეთ ორგანიზებისა და რეგიონალური დამკომის შესაქმნელად სამეგრელოში ეროვნულ-დემოკრატი აკაკი მათეს ძე კალანდარიშვილი მიაგვლინა. აკაკი კალანდარიშვილმა თავის უფროს ძმასთან შალვასთან ერთად (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებული სამეგრელოში), მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარესთან ვანო ესვანჯიასთან დაკავშირება (ჯიქია, 2017, გვ. 12). ისინი შემდგომში დაუკავშირდნენ ეკლესიის მსახურებსა და მრევლს, რადგან ორივე ძმა

ყოფილი სასულიერო პირი იყო. მენშევიკები ავრცელდებოდნენ ანტისაჭოთა პროკლამაციებს არა მხოლოდ თავიანთი პარტიის წევრებისათვის, არამედ მორწმუნე საზოგადოებისთვის. აღნიშნულ პროკლამაციაში ხელისუფლების ანტირელიგიური საქმიანობის შესახებ ნათქვამი იყო: „...მან დახურა და გაძარცვა საქართველოში ათას ოთხასი ეკლესია; ზოგი მათგანი სრულად დაანგრია, ზოგიც სათეატრო სახლად და კლუბად გადააკეთა, ზოგიც სხვა რამედ, რითაც დასჭირდებოდა მან სამასხაროთ და ქუჩის ბიჭების დასაცინად გახადა სარწმუნოება. ეკლესიის მსახურნი, ვინც კი გაბედა სარწმუნოების გამოქომაგება, გაკრიჭა, ციხეში ჩაყარა კათალიკოსიანათ, ციხის გარეთ დარჩენილი მღვდლები აიძულეს მღვდელ-მოქმედებაზედ ხელი აეღოთ და ძალად გაკრიჭეს. ამავე დროს ყველა ეს სისამაგლე დააბრალეს ხალხს, განაცხადეს რა თავიანთ ყრილობაზე — ეკლესიები ხალხმა დახურაო, თარეში განაგრძეს სწავლა განათლების საქმეშიც და ეს დარგი სრულიად გაათახსირეს...” (ლომინაძე, 1991, გვ. 63-65). სასულიერო პირებს ჰქონდათ გარკვეული შეხება აჯანყებულებთან, მაგრამ მხოლოდ მომრიგებლური. მათ არ სურდათ, უღვთო ხელისუფლების მიერ ახალგაზრდობა დახოცილიყო. მამა პანტელეიმონ გედევანიშვილი თხოვნით მიმართავდა ქვათახევის მონასტრის მიდამოებში თავმეფარებულ აჯანყების მესვეურთ და ევედრებოდა: „ტყვილად ნუ დააღვრევენებთ ქრისტიანების სისხლს ადამიანობადაკარგულ უღვთო სატანის ნაშიერთ, რომელთაც არ იციან, რა არის შებრალება” (მაჩურიშვილი \$ ტოგონიძე, 2012, გვ. 242).

უღმერთოთა კავშირმა იცოდა ამის შესახებ და პრევენციულ კამპანიასაც აწყობდა მიზნის მისაღწევად, აქტივისტებს კი აფრთხილებდა მკაცრი ზომების მისაღებად, რადგან მათ წინააღმდეგ: „... კამპანიაში გაერთიანდა ყველა რეაქციონური ძალა, დაწყებული ნავთის მეფეებით, ბანკირებით, რუს თვითგვარდიელებით, ყველა რელიგიის ხუცესებით, ფაშისტებით და გათავებული სოც. -დემოკრატებით” (ციხელაშვილი, 1930, გვ. 3). მონასტრებიდან გაძევებულმა ბერებმა ტყეს შეაფარეს თავი, რეპრესიის შიშმა განდევნილებად აქცია ისინი. ილუმენი სტეფანე (გიგოლაშვილი) თხოვნით მიმართავდა ილუმენ ეფრემს (სიდამონიძე): „გთხოვთ, მიმილოთ და ჩამწეროთ ძმათა შორის. ტაძრის დაკეტვა და წირვა-ლოცვის უქონლობა მაიძულებს, დავანებო თავი ჩემს მონასტერს, ქვათახევს. საბუთები არაფერი მაქვს, რადგან მონასტრის დაკეტვის და ქონების ჩამორთმევის დროს წაღებულ იქნა ყველაფერი” (მაჩურიშვილი \$ ტოგონიძე, 2012, გვ. 261).

მონასტრებში არაფერს არ ტოვებდნენ, იმდენად მდაბიონი იყვნენ, სახლებში მიჰქონდათ საეკლესიო ჭურჭელი, მათი ყოველდღიურ სახმარ ნივთად გამოყენების მიზნით. კომუნისტები ყველა ტაძრიდან აძევებდნენ სასულიერო პირებს. ასევე

მოიმოქმედეს ალავერდში, სადაც მსახურობდა მღვდელმონაზონი ზენონი (სუმბაძე). იგი 1925 წელს გამოაგდეს ეკლესიიდან და ტაძარი დახურეს. თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლები უფრო იოლად ეგუებოდნენ ღვთისმსახურების მიტოვებას, რადგან ოჯახის სიყვარული უმსუბუქებდა მათ ღვთისმსახურებისაგან იძულებით ჩამოშორებას. დეკანოზი იაკინთე გორგაძე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ბორჯომში, მაგრამ 1922-1923 წლებში დახურეს ტაძარი და ღვთისმსახურება აუკრძალეს. მამა იაკინთე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც, მაგრამ რადგან სასულიერო პირი იყო, კატეგორიულად აუკრძალეს ბავშვებთან ურთიერთობა. იგი იძულებული გახდა, ანაფორა გაეხადა და ერში ეძებნა სამსახური ლუკმა-პურის მოსაპოვებლად. 1925 წლის 12 მაისს მღვდელყოფილმა დაწერა წერილი, სადაც იუწყება, რომ თავისი ნებით დატოვა სასულიერო წოდება. მღვდლისგან მსგავსი კომპრომისი მიუღებელია. ეკლესიის მიტოვება სიკვდილის ტოლფასია ქრისტიანისთვის, რადგან ამით ის ჭეშმარიტებას აქცევს ზურგს. იაკინთე შემდეგში კომუნისტური პარტიის მითითებებს აღასრულებდა, 1924 წლის 15 დეკემბრიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლაში.

1924 წელი სამღვდელოებისთვის ერთ-ერთი მძიმე წელი იყო. 11 ივლისს საჩხერეში განცხადება დააწერინეს სასულიერო პირებს, რომ ანაფორას გაიხდიდნენ. ინფრომაცია ისე გავრცელდა, თითქოს მათ თავად გაუჩნდათ ეს სურვილი: „—11 ივლისს საჩხერის რაიონის მღვდლებმა დაადგინეს მოიხადონ ანაფორები და ხელი მიყონ ჩვეულებრივ შრომას. ადგილობრივი გლეხკომი მათ დაპირდათ ნისიათ უბრალო ტანისამოსის მიცემას“ (წითელი არმიელი, 1924, № 544, გვ. 4).

არჩევანის გაკეთება იოლი არ არის, მაგრამ როდესაც ამ გზას ადგები, უნდა აცნობიერებდე, რომ მსხვერპლად სწირავ საკუთარ თავს უფლის სამსახურისთვის. სასულიერო პირებს უდიდესი ტანჯვის გადატანა უწევდათ, მათ თვალწინ უხვრეტდნენ შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებს. მაგალითად, 1921 წელს კომუნისტებმა დეკანოზ ვასილ დადიანიძის შვილი ასე გამოასალმეს სიცოცხლეს.

დეკანოზ გიორგი დედაბრიშვილს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობა დააბრალეს, რისთვისაც დააპატიმრეს, სასტიკად სცემეს და ბოლოს დახვრიტეს. მამა გიორგი, როგორც მისი შვილი იხსენებს, დააპატიმრეს სამეულის - ფისტიძის, ზუმბულიძისა და შახნაზაროვის ბრძანებით. იგი ავადმყოფის საზიარებლად ყოფილა კომუნისტ სარდიონ ბუჯიაშვილის სახლში, რომელმაც სთხოვა, მომაკვდავი დედა ეზიარებინა და არავისთან გაემხილა, რომ მისივე თხოვნით აღასრულა ეს საეკლესიო

საიდუმლო. იქიდან ღამე შინისკენ მომავალი მღვდელს ცილი დასწამეს, თითქოს ის საიდუმლო შეკრებაზე იმყოფებოდა და სცემეს. როგორ აღიარებდა დეკანოზი იმას, რაც არ ჩაუდენია, ამიტომაც დახვრიტეს.

სასულიერო პირთა ნაწილი, საყოველთაო შიშისა და ტერორის გამო, თავად ამბობდა მღვდელმსახურებაზე უარს. მღვდელმა მიხეილ ელიზბარშვილმა 1924 წელს თავისი ნებით გაიხადა კაზა. დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე, რომელიც გამორჩეული სასულიერო პირი იყო თავისი განათლებით, იძულებული გახდა, 1924 წელს განემოსა სამღვდლო შესამოსელი და კულტურის სამინისტროში დაეწყო მუშაობა. იგი მკაცრად განაქიქებდა დეკანოზყოფილ აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს და ამბობდა, რომ მან უღირსი საქციელი ჩაიდინა ცოლის მოყვანით, ვინაიდან სასულიერო პირს არ შეშვენოდა მსგავსი საქციელი, თუმცა თვითონაც არანაკლები ცოდვა ჩაიდინა ღმერთზე უარის თქმით.

იყო უფრო უცნაური შემთხვევაც. 1921 წელს დეკანოზმა დავით იაშვილმა დატოვა ეკლესია, რადგან ვერ გაუძლო რეპრესიას და წერილობით აცნობა საკათალიკოსო საბჭოს: „1921 წლიდან მე ვმსახურობ ქალთა პირველ საავადმყოფოში საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე. აქამდე მითმენდნენ ანაფორით სამსახურში სიარულს, მაგრამ ამ მოკლე ხანში, როგორც საავადმყოფოს მთავრობამ, ნამეტნავად კი აღმასკომმა, წინადადება მომცა კატეგორიულად: ან ანაფორა გაიხადე, ან დატოვე აქაურობაო. ამავე დროს, კახეთში, სადაც მამულები მაქვს და რომლისგანაც უმეტესად ვსაზრდოობდი, მიწკომმა ჩამომართვა ყველა მამულ-დედული, როგორც მღვდელს და დიდი ცდილობის შემდეგ დამთანხმდა ზოგიერთი მამულების უკანვე დაბრუნებას, თუ ანაფორას გავიხდიდი და თავს დავანებებდი მღვდლობას. ასე რომ, ყოველმხრიდან წრეს შემოვევლე და ორში ერთი უნდა ამერჩია. ამა წლის 19 აპრილს იძულებული გავხდი გამეხადა ანაფორა, რაც ვაცნობე სასულიერო უწყებას, მაგრამ გავიხადე თუ არა ანაფორა, მომთხოვეს მასთან ერთად მიმეტოვებინა ეკლესიაში და მრევლში სამსახური, რაზედაც დავემორჩილე, რადგან სხვა გამოსავალი არ მქონდა. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მე მღვდლობიდან სამუდამოდ ხელს არ ვიღებ და თუ რაიმე შეღავათი მომეცა ცხოვრებაში, მაგალითად: ერთ-ერთი შვილის სამსახურში ჩაყენება, მე ისევ დავუბრუნდები ჩემს ნაამაგდარ ეკლესიას, რომლის გამოც ამდენი დავიდარაბა და უსიამოვნება გადამიტანია“ (მაჩურიშვილი \$ ტოგონიძე, 2012, გვ. 488-89). მამა დავითმა მართლაც, შეასრულა თავისი სიტყვა, დაუბრუნდა ეკლესიას, აღიკვეცა ბერად და 1952 წლის 14 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) ნინოწმინდელ ეპისკოპოსად დაასხა ხელი და ქორეპისკოპოსად დაადგინა. წესით, სინანულის შემდეგ,

საკმარისი იქნებოდა მონასტერში ბერად ყოფილიყო, რადგან ეპისკოპოსობის პატივი ბიოგრაფიიდან გამომდინარე არ ეკუთვნოდა. 1958 წლიდან მეუფე დიმიტრი გახდა მიტროპოლიტი ბოდბისა და ალავერდისა. მიტროპოლიტი დიმიტრი იყო საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის კარგი მცოდნე, თვითონაც წერდა ისტორიული ჟანრის მოთხრობებს, ნოველებს, რომელთა უმრავლესობა დაცულია იოსებ გრიშაშვილის არქივსა და გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში : „მიტროპოლიტი დიმიტრი გარდაიცვალა 1961 წლის 22 ივლისს 89 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისის პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში“ (ვარდოსანიძე, 2013, გვ. 205-208). კომუნისტები ანაფორის გახდას აიძულებდნენ ადამიანებს, მაგრამ ვისთანაც იძულება არ ჭრიდა, სასტიკად დასცინოდნენ და მოსახლეობასაც უკრძალავდნენ მასთან მისვლას.

ხონში ივანე მაჭარაძემ მონათლა შვილი. ამის გამო ის გაზეთმა „მუშამ“ გააკრიტიკა: „ჩვენ დროში უცნაურობა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. მართლაც არიან ისეთი უცნაურნი, რომელთაც ყველაფერი თქმული ყირამალა ესმით“ (ახალგაზრდა კომუნისტი, 1926, № 124, გვ. 3). ამ ამბის დასამძიმებლად მკითხველისთვის ლექსიც შეთხზეს სახელწოდებით: „გენაცვალე ქრისტეს ჯვარში“ (ახალგაზრდა კომუნისტი, 1926, № 124, გვ. 3).

ანტირელიგიურ პროპაგანდას პიონერთა შორის, ზუსტად ისეთი სახე ჰქონდა, როგორც ზრდასრული ადამიანების შემთხვევაში. ანტირელიგიური პროპაგანდა გამოიხატებოდა მღვდლებისა და ეკლესიის წინააღმდეგ დემონსტრაციებსა და ინსცენირებებში, რომელიც თავისი აგრესიული ფორმით გამოირჩეოდა. ანტირელიგიური ხასიათის პიესები, ღმერთის უზნეოდ და უკმეხად მოხსენიება, ანგელოზების დაცინვა და სხვა. მსგავსი ქმედება თვით პიონერებსა და ოქტომბრელებსაც ამძიმებდათ. ხშირად იწერებოდა მეთოდის დახვეწაზე, სურვილზე, უკეთესად წარმართულიყო ანტირელიგიური პროპაგანდა. 1926 წელს კომუნისტური პარტიისთვის სასიხარულო ცნობა გავრცელდა: „...ეს ხაზი კარგა ხანია უარყოფილ იქნა როგორც მოზრდილთა შორის, ისე პიონერებში, მაგრამ ზოგან ეს უარყოფა გაიგეს ისე, რომ სრულიად აიღეს ხელი ანტი-რელიგიურ პროპაგანდაზე“ (ახალგაზრდა კომუნისტი, 1926, № 126, გვ. 5). მოსწონდათ მეთოდის დახვეწა, მაგრამ არ ესიამოვნათ ადამიანთა შემწყნარებლური განწყობა. ისინი ხომ ბუნებით ქრისტიანები იყვნენ, არ სურდათ ღმერთის ქილიკი, პირიქით, ფარულად ყველას სურდა ეკლესიაში ლოცვა, მღვდლის სახლში მიყვანა და ოჯახის წევრთა დალოცვა.

ნორჩი პიონერები დაჰყავდათ მუზეუმებში, „მეცნიერულად“ უხსნიდნენ ღმერთის არარსებულ როლს საზოგადოებაში, კონფერენციებზე იგმობოდა წმინდა წერილი.

სახელმწიფოს მიერ გამოცემული ბრძანებით: „კედლის გაზეთმა ფრთხილი ანტი-რელიგიური პროპაგანდა უნდა აწარმოვოს და მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას“ (ახალგაზრდა კომუნისტი, 1926, № 126, გვ. 5).

ლოცვაზე საუბარიც ზედმეტია, ადამიანს ეკრძალებოდა ჯვრის ტარება. ქარელში მოხდა უცნაური ამბავი, დეკანოზი გაბრიელ სეფისკვერამე (გიგო სეფისკვერამე) იძულებული გახდა განმოსილს ევლო, მაგრამ საიდუმლოდ ატარებდა ჯვარს, სამღვდლო წესებს აღასრულებდა და, ამავე დროს, სკოლაში ასწავლიდა. რატომღაც გამოეპარა საბჭოთა ხელისუფლებას მისი წარსული ცხოვრების ამბავი. მასზე აგდებით და დამცინავად იუწყება გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“: „ცემა გმართებს აღმზრდელისა, როს ყმა ნახო ცუდად ზრდილი!“. გიგო სეფისკვერამისათვის ცემა არავის უკადრებია, მაგრამ როდესაც იგი რაღაც საქმის გამო ქარელის მილიციაში მიიყვანეს, მან ღრიალი მორთო:

„დამიჭირეთ მე, სახალხო მასწავლებელი? სიცოცხლე არ მინდა, მომკალით! როგორ მკადრეთ, როგორ შეურაცხმყვეთ! — და ნიშად „უაღრესი“ გამწარებისა ჩვენმა სახალხო „მასწავლებელმა“ გულზე მაგრად დაირტყა ხელი და, ჰოი, საკვირველებავ!

გულიდან ჯაჭვით ჩამოკიდებული ვეებერთელა ჯვარი გადმოვარდა! ეს ამბავი ისე მოხდა, რომ აქ სამილიციო „სასწაულს“ ადგილი არ ჰქონია:

გულზე დაკრულმა საკუთარმა მარჯვენამ გასცა ქრისტეს ჯვარი!

ინგლისელი არქეოლოგები ფარაონ ტუტანხამონის სარკოფაგის აღმოჩენას არ დაუინტერესებია ისე, როგორც საქარელი კომკავშირელი „სახალხო მასწავლებლის“ საქრისტიანო ჯვარმა დააინტერესა. გაჩხრიკეს ჩვენი სეფისკვერამე, და სეფისკვერიან გვართან ერთად აღმოაჩნდა შემდეგი „ძვირფასი განძეულობაც“:

გულზე დაკიდული ოლარი, მირონი პატარა შუშით და ორი „წმინდა“ სანთელი!

მართალია, ეს უკანასკნელი, ე.ი წმინდა სანთელი ნამეტან უწმინდურ ადგილას იყო მიჩქმალული, მაგრამ ფაქტი, მაინც ფაქტია:

სახალხო მასწავლებლის ნაცვლად, ხელში შერჩათ „სამოციქულო, წმინდა ეკლესია“!

ალბათ მიხვდებით, თუ ვინ „ინათლებოდა“ ამ მირონით გაბოს მოძრავ ეკლესიაში და ... საბჭოთა სახალხო სასწავლებელშიც:

საბჭოთა მომავალი მოქალაქე, სოციალიზმის მომავალი მშენებელი, არსებული საზოგადოების კულტურა და ცივილიზაცია!

— ბავშვებო, რამდენი პურით გააძლო ქრისტემ ხუთი ათასი კაცი?

— ხუთი პურით, ბატონო!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქრისტე წმინდანი იყო ბატონო! ასეთი და ამის მსგავსი იყო, ალბათ გაბო
სეფისკვერადის გაკვეთილები საბჭოთა წითელ სკოლაში!

მაგრამ, მამაო გაბრიელ, ჩვენს გაკვეთილსაც მოუსმინეთ:

— ბავშვებო, რამდენი კაცი ძლება საბჭოთა პურით?

— ბევრი, ძალიან ბევრი, მასწავლებლო!

— მათში, სეზისკვერამეც ურევია, არა?

— კი!

მერე, ღირსია, ის რომ საბჭოთა პურით ძლებოდეს?

— არა, მასწავლებლო!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ნამეტანი უწმინდური ორფეხია მღვდელ-მასწავლებელი სეფისკვერამე!

გესმის მამაო გაბრიელ, ასე ლაპარაკობენ შენი მოწაფეები და აწი იმასაც დაუგდე ყური, თუ როგორ დაილაპარაკებს გორის მაზრის განყოფილება“ (ახალგაზრდა კომუნისტი, 1927, № 130, გვ. 1).

გაბო სეფისკვერამე სკოლიდან გააგდეს, მოსწავლეები აიძულეს ელანძლათ ყოფილი მასწავლებელი, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ საყვედური არ აკმარა მას და გაპარსეს.

1924 წლის აჯანყება, ერთი მხრივ, სამღვდელოების გარკვეული ნაწილისთვის „შვებას“ წარმოადგენდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ შესაძლებლობა გაჩნდა თავი დაეღწიათ უღმერთობისგან. მათ კომუნისტების წინააღმდეგ ასეთი ლოზუნგიც კი წამოაყენეს: „ძირს უღმერთო ებრაელები (ე.ი. კომუნისტები), გაუმარჯოს ქრისტიანულ რწმენას!“.

ამ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მარტვილის რაიონის ათმა სასულიერო პირმა, ასევე ნოქალაქევის უბანში — 4-მა, სალხინოს უბანში — 2-მა, ძველი სენაკის უბანში — 4-მა, ახალი სენაკის უბანში — 3-მა, ახალი აბაშის რაიონში — 16-მა, ბანძის უბანში — 3-მა, ე.ი მარტო სენაკის მაზრაში ამ აჯანყებაში მონაწილეობდა სულ ცოტა 60-მდე მღვდელი. სენაკის მაზრა გამონაკლისი სრულებითაც არ ყოფილა. მათ სასტიკად გაუსწორდნენ. მარტო გორის მაზრაში ბოლშევიკებმა დახვრიტეს 26 მღვდელი (როგავა, 1996, გვ. 255).

1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა, როგორც თავად კომუნისტურმა პარტიამ აღიარა, შეცდომა იყო. ამ სასტიკი პოლიტიკის შემდეგ იძულებული გახდნენ, 1217 დახურული ეკლესიიდან 1007-მდე გაეხსნათ.

1924 წელს დააპატიმრეს ვასილი ივანეს ძე კოზმავა, წარმოშობით ქართველი, პატარძელიდან, 58 წლის. მენშევიკური მთავრობის მოსვლისთანავე მან დატოვა სასულიერო ხარისხი, თუმცა აქტიურად ეწეოდა ქრისტიანობის პროპაგანდას, რის გამოც დადანაშაულებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ კონტრევოლუციურ საქმიანობაში და დახვრიტეს (შ.ს.ს. არქივი, 2425, 1924, ფურც. 4, ფონდი 6).

1924 წელს დააპატიმრეს დიდი ლილოს ეკლესიაში წინამძღვრად დადგენილი მღვდელი კახაბერი, 61 წლის, წარმოშობით გლეხის ოჯახიდან. იგი ანტისაბჭოთა პროპაგანდაში დაადანაშაულეს, გაასამართლეს და უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა მიუსადაგეს (შ.ს.ს არქივი, 2425, 1924, ფურც. 5, ფ. 6)

1924 წელს დახვრიტეს 63 წლის მღვდელი ივანე მიხეილის ძე თუმანიშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა ანტისაბჭოური პროპაგანდა ქრისტიანულ წრეში, რის გამოც განაჩინეს უმაღლესი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელი — დახვრეტა. (შ.ს.ს. #2424, ფურც. 6. ფ. 6)

1924 წელს დახვრიტეს მღვდელი, ბლალოჩინი, დეკანოზი დიმიტრი ალექსის ძე უსიტაშვილი, 58 წლის. აქტში წერია, რომ კომისიამ (ამხ. ბაუმფელდმა და ამხ. მასლენიკოვმა) სისრულეში მოიყვანა სამეულის გადაწყვეტილება. ისინი წინ აღუდგნენ ბანდიტიზმს გარე კახეთში, პროტოკოლის თანხმობით, 3 სექტემბერს, № 3 დადგენილებით გადაეცა უმაღლეს სასჯელს, ანუ განეჩინა დახვრეტა (შ.ს.ს. # 2423). ოქმში ვკითხულობთ, რომ მას ბრალად ედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდა და ქრისტიანების შეიარაღებისკენ მოწოდება, რისთვისაც მოითხოვეს, მისთვის შეეფარდებინათ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა. ეს იყო ცილისწამება. საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა 1924 წლის აჯანყება, უდანაშაულო მართლმადიდებელი მღვდლების დასაშინებლად და დასასჯელად. ყველა ოქმში ხაზგასმულია „Крестьянин“. მათ აღიზიანებდათ მორწმუნე საზოგადოებისგან სამართლიანი კრიტიკა, რის გამოც უდანაშაულო მორწმუნეებს ხვრეტდნენ. ზემოდასახელებული მამა დიმიტრი სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა. დაკითხვის ოქმში საინტერესო ჩანაწერია:

„კითხვა: რისთვის დაგაპატიმრათ ჩკ-მ ?

პასუხი: იმისათვის, რომ ჩვენ მოკლული მიცვალებულის სულის საოხად ვგალობდით“.

დეკანოზი უსიტაშვილი მენშევიკების ბანაკში იყო გადასული. იგი დეტალურად ხსნის, რის გამო გაიხადა ანაფორა. ვისაც იცნობდა მენშევიკების ბანაკიდან, სთხოვდა, რომ შეეწყვიტათ მასზე ზეწოლის განხორციელება და სიცრუის სიმართლედ აღიარების

იძულება . ჩვენამ მიზანს ვერ მიაღწია, ამიტომაც საბოლოოდ დეკანოზი დიმიტრი დახვრიტეს.

1924 წელს დახვრეტილი სასულიერო პირების სია ძალიან დიდია. საბჭოთა კავშირი მათ ძალადობასა და ანტისახელისუფლებო ქმედებაში ადანაშაულებდა. ხელისუფლება თავის უკანონო საქციელს იმით ამართლებდა , რომ პარტიული ინტერესებით მოქმედებდა.

1924 წლის 31 ოქტომბერს ახალ სენაკში დააპატიმრეს სასულიერო პირები (ზოგიერთი ყოფილი), რაჟდენ ეგნატეს ძე ბუსკაძე, პეტრე ბესარიონის ძე ელიავა, ალექსანდრე მათეს ძე კალანდარიშვილი, ანტონ მარკოზის ძე პარკაია და ლეონიდე გერასიმეს ძე ხოშტარია. საქმე განიხილებოდა 43 -ე ნომრით.

რაჟდენი ეგნატეს ძე ბუსკაძე დაკითხა გ. ჭანტურიამ 1924 წლის 14 სექტემბერს. იგი ამ დროს 52 წლის იყო. საგულისხმოა, რომ მასაც და ანტონ პარკაიასაც ეროვნების აღმნიშვნელ გრაფაში უწერიათ: ქართველი - მეგრელი (შ.ს.ს. № 2466). ასეთი იყო რუსული პოლიტიკა, ადამიანებისთვის წვეთ-წვეთად შეეპარებინათ, რომ ისინი სხვა ერს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრობენ საქართველოში. ანტონი 53 წლის იყო, როდესაც დახვრიტეს. ამტკიცებდა, რომ ის არ იყო მენშევიკი და არც არასდროს მიუღია მონაწილეობა აჯანყებაში, თუმცა კომუნისტური პარტია არ იჯერებდა მის „ზღაპრებს“. (შ.ს.ს. № 2466)

1924 წლის 2 სექტემბერს სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს შიომღვიმის მონასტრის ბერი ივანე გრიგოლის ძე სუხაშვილი, 50 წლის, დაბადებული 1874 წლის 10 თებერვალს. განათლება სახლში ჰქონდა მიღებული. ის დახასიათებულია, როგორც ღარიბი და უქონელი, მონასტრის შემოწირულობით მცხოვრები. ბერი ივანე დახვრიტეს 1924 წელს (შ.ს.ს. № 2458).

1924 წელს დააპატიმრეს ეფრემ შიოს ძე სიდამონიძე. მის პირად საქმეში წერია: „Никого не имеет Монах“; განათლება - საშუალო (შ.ს.ს. 2458). ის არასდროს ყოფილა პარტიული. 1919 წელს სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1919 წლის ბოლოს მსახურობდა არმიაში. 1922 წელს წავიდა მონასტერში და აღიკვეცა (შ.ს.ს. № 2458).

1924 წელს საგანგებოდ დააპატიმრეს ყოფილი სასულიერო პირი დეკანოზი ვასილ სპირიდონის ძე მახალდიანი. მისი მეუღლე არწმუნებდა ჩეკისტებს ქმრის უდანაშაულობაში და სთხოვდა, რომ არ დაეხვრიტათ. მისი მიმართვის შინაარსი ასეთია: „ჩემი ქმარი ვასილ სპირიდონის ძე მახალდიანი არის დატუსაღებული საგანგებო კომისიის განკარგულებით 5 მარტისგან 1924 წ. აი უკვე მესამე თვე გადის მას შემდეგ და ჯერ არაფერი გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ. მე კი ორი პატარა ბავშვით ვიმყოფები

უკიდურეს მდგომარეობაში, სრულებით არ მაქს სახსარი ვარჩინო ეს პატარა ბავშვები და ან თვითონ ტუსადი, რადგანაც მისი დატუსადების ერთი თვის შემდეგ ჩემი ქმარი გამორიცხეს სამსახურიდან და მე მომისპეს მისი ჯამაგირი. თვით ვასილ მახალდიანი გარწმუნებთ შეიქმნა მსხვერპლი პირადი ინტერესებისა. იგი არის ერთგული და ენერგიული მუშა და პოლიტიკურათ სრულიად საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისთვის, რაშიდაც საგანგებო კომისია მე ვფიქრობ ღრმად დარწმუნდება მისი საქმის გადასინჯვისას.

უმორჩილესად გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს გაჭირვებულს მდგომარეობაში და გასცეთ განკარგულება, რომ იქნეს დაჩქარებული ჩემი ქმრის საქმის გამოძიება და დაბოლოვება. იმედი მაქს არ დამტოვებთ უყურადღებოთ და ჩემს თხოვნას მიიღებთ მხედველობაში.

მთხ. ნინო მახალდიანისა

19 მაისი 1924 წ.

ქ. თბილისი "(შ.ს.ს. № 24201).

ნინო მახალდიანი წერს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს აშხ. კვანტალიანს და აუწყებს, რომ მისი ქმარი ფარულად საბჭოთა კავშირის განმტკიცებასა და გაძლიერებაში იღებდა მონაწილეობას. დუშეთში მათ სახლში მიმდინარეობდა ფარული შეხვედრები ბოლშევიკებსა და ვასო მახალდიანს შორის. ამავე დროს, უწარმოებია ნალჩიკიდან ბოლშევიკების ფარული გადმოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან იქ დენიკინის კლანჭები ახრჩობდა ბოლშევიკებს. ვერც ერთმა გარიგებამ ვერ უშველა ვასო მახალდიანს და იგი დახვრიტეს.

1924 წელს დახვრიტეს მღვდელი კლიმენტი ნიკოლოზის ძე სასანია, იმის გამო, რომ ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდა (შ.ს.ს. № 24332).

1924 წელს დააპატიმრეს დეკანოზი სოლომონ მიხეილის ძე გეთია, წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჯვარიდან (ზუგდიდის მაზრა). მას სასულიერო სასწავლებლის ორი კლასი ჰქონდა დამთავრებული. ირიცხებოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, რის გამოც საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეჭვმიტანილად იქნა მიჩნეული. როგორც თვითონ წერს ოქმში, 1923 წელს ის „დავერბოვკდა” ხელისუფლების მიერ (შ.ს.ს. № 24354).

1924 წელს დააპატიმრეს ყოფილი თუ მოქმედი მღვდლები: რაჟდენ ივანეს ძე სანებლიძე, ისიდორე რომანის ძე ნაცვლიშვილი (დახვრიტეს), გიორგი იაკობის ძე კუჭუხიძე (შ.ს.ს. № 24351, 24334), სპირიდონ პეტრეს ძე კეთილაძე (ბერი), დიმიტრი საბას ძე პეტრიაშვილი (შ.ს.ს. № 24436), ქუთაისის საკათედრო ტაძრის მცველი — დეკანოზი პლატონ ლავრენტის ძე ცქიტიშვილი (შ.ს.ს. № 22162), ს. ცხუნკურის ტაძრის მღვდელი იოსებ იაკობის ძე

შვანგირაძე (შ.ს.ს. № 22162). თბილისის მამადავითის ეკლესიის მღვდელი, 65 წლის ნესტორ სიმონის ძე მაჭარაშვილი და ასევე, სოფ. ალის მღვდელი გიორგი პავლეს ძე გელაშვილი (შ.ს.ს. № 24214). 1926 წელს დააპატიმრეს მღვდელმონაზონი ფილიმონ პახომის ძე ქარდავა, დაბადებული 1892 წელს და სამი წლით გადაასახლეს „სოლოვკებში“, შემდეგ 1929 წლის 19 ივლისიდან через „ПП ОГПУ“ გადაასახლეს 3 წლით „ჩრდილოეთის მხარეში“ (по северному краю) (შ.ს.ს. № 26347). 1923 წელს მძიმე ვითარებაში მოხდა „ნავთლუღის“ წმ. ბარბარეს ტაძრის მღვდელმსახურ მღვდელ გიორგი ქაიხოსროს ძე კალანდარიშვილის დაპატიმრება (შ.ს.ს. № 2361).

1923 წელს დააპატიმრეს მღვდლები ირაკლი ანტონის ძე ცინცაძე, დაბ. 1875 წელს, სიღნაღიდან (შ.ს.ს. № 23122) და გიორგი გრიგოლის ძე ნათენაძე (ანკეტის ფოტოც შემონახულია) (შ.ს.ს. № 23459).

ამრიგად, მღვდლების დევნის, დახვრეტისა და შვეიწროვების ფაქტები გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ეკლესიას.

მოქალაქეობრივი უფლებაც წაართვა სამღვდლო პირებს და მათი ცხოვრების წესი აკრძალა. რელიგია ჩაითვალა კრიმინალად, რის გამოც ადამიანებს ასამართლებდნენ, აციმბირებდნენ ან ოჯახთან ერთად ხვრეტდნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეკლესიამ მიუხედავად რეპრესიისა, სარწმუნოების გადარჩენა მაინც მოახერხა.

მიუხედავად უმკაცრესი რეპრესიებისა, სამღვდლოების პრინციპული პოზიცია გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია --- ეკლესიისა და სარწმუნოების ერთგული სამღვდლოება სრულად ვერ გაანადგურა და მათ უარი ვერ ათქმევინა თავიანთ წოდებაზე.

5.2. ქართული ეკლესიის ბრძოლა გადარჩენისათვის

სასულიერო პირები ძალიან ფრთხილად ეკიდებოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ მოწოდებების გაჟღერებას, მაგრამ ქვეყნისა და ეკლესიის სიყვარული მათ აიძულებდა, ერთსულოვანნი ყოფილიყვნენ და ემხილებინათ ოკუპანტების ვერაგი პოლიტიკა.

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი, ძმები კარბელაშვილები და სხვანი ღიად ქადაგებდნენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და მრევლს მოუწოდებდნენ, უფლისთვის ეთხოვათ ქვეყნის გადარჩენა და გადარჩენის საკითხში თავადაც შეეტანათ მოქალაქეობრივი წვლილი.

დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი ძალიან წუხდა ქვეყანაში ანაქრიის გამეფების გამო. მან იცოდა, რომ რუსეთი აფხაზეთში ცდილობდა დესტაბილიზაციის შექმნასა და ქართველების წინააღმდეგ აფხაზების ამხედრებას. ამ ამოცანის განსახორციელებლად მოსკოვს სურდა სარწმუნოება განედევნა მოსახლეობიდან და საწადელი შედეგისთვის მიეღწია. თუ ხალხს რწმენა ექნებოდა მღვდელმთავრისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებისადმი, მაშინ ძალიან გაუძნელდებოდათ დასახული მიზნის განხორციელება. თუმცა, როგორც დეკანოზ ვასილ კარბელაშვილის წერილიდან ირკვევა: „მე, ბოლოს და ბოლოს, დავდექ ამ აზრზე, რომ უნდა გადმოვიდე სოხუმს და გვერდში ამოვიდგეთ, ვინაიდან სარწმუნოების სიომ მანდიდგან უნდა დაჰბეროს საქართველოს და აფხაზ-სამეგრელოს ერმა უნდა წარმოშვან კვლავ თავგანწირულნი მუშაკ-მოდვაწენი საქართველოს ეკლესიისათვის და მის გარეშე მონასტრებ-კელიებისათვის“ (კარბელაშვილი, 1921, საქმე 678). იგი თავგანწირვის აუცილებლობაზე მიუთითებს, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა. იგი საბჭოთა ხელისუფლებასთან ომს ადარებს კრწანისისა და მარაბდის ველზე გამართულ ბრძოლებს: „გამეორდა კრწანისისა და მარაბდის ომის დღე. ჩუენთან არს ღმერთი, ილოცეთ, მეუფეო, ღმერთი მოგვცემს გამარჯვებასა“ (კარბელაშვილი, 1921, საქმე 678). საკუთარი 18 წლის ვაჟი დეკანოზმა ვასილმა ომში გაგზავნა, ამიტაც ჩანს მისი დამოკიდებულება და სიყვარული ქვეყნისადმი.

ეკლესიას ორ ფრონტზე უწევდა ბრძოლა — ერთი მხრივ, ტერიტორიული მთლიანობისათვის, მეორე მხრივ კი, სულიერების გადასარჩენად.

ეკლესიას სურვილი ჰქონდა, განთავისუფლებულიყო სასულიერო დასის იმ წარმომადგენლებისაგან, რომელთაც დათმეს ქრისტიანული ვალდებულებები, მცნებები და ცნობიერად შეუერთდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ხელისუფლებას აწყობდა მათ მიერ მართული სამღვდელოება, რადგან მათი მეშვეობით უფრო დიდ ზიანს მიაყენებდა ეკლესიას. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის არ ეშინოდა ხელისუფლების. ეს ჩანს დაკითხვის ოქმიდან, სადაც იგი ღიად საუბრობს ოკუპაციაზე: „დამოუკიდებლობა საქართველოს წაართვა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ“ (გამახარია, 2012, გვ. 362). ეკლესიის დევნამ გამოაშკარავა საბჭოთა ხელისუფლების ტირანული სულისკვეთება. ის დევნიდა იმ ეკლესიას, რომელმაც მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში თავშესაფარი მისცა დევნილ, ჩაგრულ და გალანძულ ადამიანებს. რელიგიის სულიერი მშენებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული კომუნიზმის ზნეობრივი ნორმები, ხოლო თვით კომუნიზმის მორალი უაღრესად წინააღმდეგობრივია. ამის დასტურია მათ მიერ

გამოცემული დეკრეტები „სინდისის თავისუფლებისა“, „რელიგიის თავისუფლებისა“, მაშინ როდესაც ისინი ეკლესიას ანგრევდნენ ან აუქმებდნენ, სამღვდლოებას კი ხვრეტდნენ.

ძალიან ცოტანი, მაგრამ იყვნენ ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც თავიანთ განცხადებებში აკრიტიკებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. 1922 წლის 30 ივლისს, სიონის ტაძარში, ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ წირვის შემდეგ ქადაგებით მიმართა მრევლს: „ქართველები უნდა შემჭიდროვდნენ ერთმანეთთან, დაიცვან თავისი ერი...“ (გამახარია, 2012, 370). გასაგებია, რომ დაცვაში გულისხმობდა ოკუპანტებისგან ქართული მიწა-წყლის, ეკლესიისა და აწიოკებული, დაქსაქსული მოსახლეობის დაცვას. როგორც ჩანს, პატრიარქ ამბროსისა და სხვა სამღვდლო პირებს, ერთმანეთთან შეთანხმებით, გადაწყვეტილი ჰქონდათ მსგავსი ტექსტებით მიემართათ, რადგან ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს პატრიარქ ამბროსისა და ეპისკოპოს ქრისტეფორეს ქადაგებები. პატრიარქის მოწოდება აუცილებლად იმოქმედებდა მორწმუნე ერზე, რადგან მან ემოციით მიმართა: „არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენთან ინახება ძველი ისტორიული წიგნები, რომლებშიც წერია, რომ ქართველმა ხალხმა დაიცვა თავისი ერი და რელიგია“ (გამახარია, 2012, გვ. 370).

რელიგია მუდამ მხარს უჭერდა და ესწრაფვოდა ერში კეთილდღეობისა და ერთობის დამკვიდრებას. ქართველი ხალხისა და მორწმუნე ადამიანების ერთგულება სამშობლოსადმი, ერთურთისადმი უპირველეს მოვალეობად უნდა ქცეულიყო, რისთვისაც სასულიერო პირები საჯაროდ ქადაგებდნენ და საზოგადოებას მოუწოდებდნენ, ეფხიზლათ. თითქმის ყოველი ქადაგება და მიმართვა ერის სულიერი გამოფხიზლებისა და ეროვნული ღირსების დაცვისაკენ იყო ორიენტირებული. 1922 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ წარმოთქმული სიტყვა კიდევ ერთი დასტურია ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად. ის დამსწრე საზოგადოებას მიმართავს, რომ „მთაწმინდა“ მხოლოდ იმიტომ კი არ არის წმინდა, რომ იქ მოღვაწეობდა დავით გარეჯელი, არამედ იმიტაც, რომ აქ განისვენებენ ერის სულიერი შვილები, თავდადებული გმირები, ქართველთათვის დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეები: ილია, აკაკი, დიმიტრი ყიფიანი და „ისინი ამ სიმალიდან ახლაც მოგვიწოდებენ, ვიყოთ სამშობლოს ერთგულნი შვილნი, ვბამოთ მათ მამულისათვის თავდადებაში...“ (გამახარია, 2012, გვ. 272). პატრიარქმა ამბროსიმ დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე, რომელიც აღასრულა 1922 წლის 12 ნოემბერს, იმავე შინაარსის სულისკვეთებით შეაგონა ერს, რომ ღირსეული ქართველი

ერი მუდამ ერთად აღუდგებოდა წინ საერო თუ სასულიერო პირთა ურჯულ ქცევას. პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა დიმიტრი ყიფიანის წერილზე ეგზარქოს პავლე ლებედევს წინააღმდეგ, რომლითაც ამხილა ეგზარქოსი ქართველი ერის სიძულვილსა და დაწყევლაში. პატრიარქი ამბროსი ამ დროს ჩვეული მოხერხებულობით ისევ მოუწოდებს ერს გამოფხიზლებისკენ: „ამ არაჩვეულებრივმა მოვლენამ აღაშფოთა მორწმუნე ქართველობა და მან, ამ კოლექტიურმა აღშფოთებამ, ნახა თავისი გამოსავალი განსვენებულ დიმიტრის პიროვნებაში“ (გამახარია, 2012, გვ. 374). ქადაგების დიდი ნაწილი ეძღვნება ერის გამოსაფხიზლებელ სიტყვებს.

საბჭოთა ხელისუფლება პატრიარქ ამბროსის და მასთან დაახლოებულ სასულიერო პირებს — მღვდელ მარკოზ ტყემალაძეს, მღვდელ გიორგი ხუციევს, მღვდელ ნიკოლოზ კერესელიძეს, მღვდელ პეტრე ივანიცკის და სხვ., ანტისაბჭოურ ელემენტებად მიიჩნევდა (გამახარია, 2012, 370).

ეკლესიური ცხოვრება მოითხოვდა, სასულიერო პირებსა და მრევლს დაეცვათ ქცევის გარკვეული ნორმები და წესები. ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებს ადამიანთა შორის ურთიერთობის წესებისა და ნორმების გარეშე. ქრისტიანული ზნეობის ნორმები ქმნის იმ ელემენტარულ საფუძველს, რომელთა დაცვის გარეშე საერთოდ შეუძლებელი იქნება საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალური და სულიერი ფუნქციონირება.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ყველაფრის წართმევა და განადგურება დაუპირა ეკლესიას, რის შესახებაც პატრიარქმა ამბროსიმ განაცხადა: „ხალხს ართმევენ ქონებას... და მას ანაწილებენ უცხოელ მოძალადეთა შორის. ესევე მოძალადენი ართმევენ ხალხს არსებობის საღსარს... შეურაცხყოფას აყენებენ იმასაც კი, რაც არის ყველაზე უფრო ძვირფასი ხალხისათვის, მის სარწმუნოებას... მის სამღვდელოებას დაუნდობლად დევნიან“ (კომუნისტი, 1922, № 125, 4 ივნისი, გვ. 2).

სხვისი ქონების, შრომის მითვისება, ექსპლუატაცია, მაქსიმალური მოგების მიღება, სამართლიან მოვლენას წარმოადგენს ბურჟუაზიული ზნეობის მიხედვით, სოციალისტური ზნეობის თვალსაზრისით კი ეს დაკანონებული ქურდობა და ძარცვაა. მუშათა კლასისთვის რევოლუციური ბრძოლა ზნეობრივადაც გამართლებულია. კაპიტალისტები კი რევოლუციურ მოძრაობას უწოდებენ უწესრიგობასა და ბუნტს. ეკლესიას საბჭოთა ხელისუფლება მუდამ ბუნტში ადანაშაულებდა, სწორედ ამიტომ პატრიარქ ამბროსის გენუის კონფერენციისადმი მოწოდება მათთვის სახელმწიფო დონის ღალატად და დანაშაულად შეფასდა, რის გამოც დააპატიმრეს. პატრიარქი მზად იყო ყველაფრისთვის, ეს იქნებოდა გადასახლება, დატუსაღება თუ ფიზიკური განადგურება.

ამიტომ იგი ყველა მღვდელმთავარსა თუ სასულიერო იერარქს სთხოვდა, ყოფილიყო პრინციპული და თავდადებული. პატრიარქმა ამბროსიმ ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს იოანეს 1922 წელს გაუგზავნა მკაცრი და საყვედურებით აღსავსე წერილი, სადაც მოსთხოვა, არ მოეხსენიებინა ლოცვებში რუსეთის პატრიარქი ტიხონი. საპასუხო წერილში ეპისკოპოსი იოანე აღნიშნავდა: „... შობა-ნათლისღების დღეს მლოცველთა სამ მეოთხედს რუსობა წარმოადგენდა. აი, სწორედ ამ ორ დღეს დიდ გამოსვლაზე აუარებელ რუსობის თვალთა წინაშე ერთგვარ ტაქტიკურ მოსაზრებით (შერიგება-შეერთების მიზანი) მოვიხსენიე, სხვათა შორის, რუსეთის პატრიარქი, რასაკვირველია მე-6 ადგილას... ამგვარ ტაქტიკას ჩემგან მოითხოვს სოხუმში არა თუ მარტო დღევანდელი პოლიტიკური მომენტი, არამედ თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტეც, რომელიც ოდესმე, ჯვარსა ზედა მიმსჭვალული, ლოცავდა მტანჯველთა თვისთა: „მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმან“ (საითიძე, 2012, გვ. 121-122). პატრიარქის გულისწყრომა მართებული იყო. არანაირ დიპლომატიურ და სიყვარულით ნასაზრდოებ სიტყვებს არ ჰგავდა ეპისკოპოსის პასუხი, ვინაიდან თუ მოხსენიება სურდა, კვეთაშიც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან პირადად არჩია უფრო კომფორტული გარემოს შექმნა-კომპრომისის გზით. თუნდაც ეს ტაქტიკური სვლა ყოფილიყო, მას ევალებოდა პატრიარქთან და სინოდთან შეთანხმების შედეგად გადაედგა ეს ნაბიჯი. როგორც ჩანს, პატრიარქის კრიტიკამ შედეგი გამოიღო, რადგან ეპისკოპოსმა იოანემ დასასრულს ასეთ შინაარსის წერილი მისწერა მას: „რაკი მე, დამასმენლის წყალობით, თქვენი რისხვა დავიმსახურე ამ „დიდი შეცოდებით“ და თქვენი შეკითხვით მე მომაცენეთ ერთგვარი უნდობლობის ჩრდილი, ამიტომ დღეიდან აღარ გავბედავ ჩვენი ეკლესიის თავისუფლების მტერის — კირ-ტიხონის მოხსენიებას მე-6 ადგილზე“ (საითიძე, 2012, გვ. 122).

მსგავსი ქმედება აღარ განმეორებულა ეპისკოპოსის მხრიდან. რაც შეეხება „ტაქტსა“ და დიპლომატიას, როდესაც საჭირო იყო პატრიარქი ამბროსი მიმართავდა ხოლმე მსგავს ქმედებას. როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ძალით მოინდომა მისი საპატრიარქო რეზიდენციიდან გამოსახლება, მთავრობის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა: „...კათოლიკოს-პატრიარქის გაძევება, ეკლესიის მოშლა და კანცელარიის გატანა გამოიწვევს საქართველოს ერში უკმაყოფილებას, რასაც უნდა ვერიდოთ მეც, როგორც ქართველი ერის მამამთავარი და უმაღლესი მოძღვარი, და თქვენც, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ერი დიდია ჩემზეც და თქვენზეც და, ამის გამო, თქვენც და მეც უნდა ხელს ვუწყობდეთ მის

ბედნიერებას, კეთილდღეობას და მყუდროებას“ (საითიძე, 2012, გვ. 126). პატრიარქ ამბროსის სურდა ხალხი ბედნიერი ყოფილიყო, ვინაიდან ბედნიერება მხოლოდ მოვალეობის აღსრულებაშია. საბჭოთა რეჟიმი საქართველოსთვის უმძიმესი იყო, რადგან არაბუნებრივი იყო ქართული ტანისთვის რუსული თავი.

ყველა სასულიერო პირი ერთნაირად ნეგატიურად არ უყურებდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეკლესიის დევნის საკითხს. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ეგზარქოსობის პერიოდიდან გამოყოფილი „მორჩილების“ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი წუხდა ასეთების უპრინციპობის გამო და წერდა: „სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ადგილებზე, ეპარქიებში საეკლესიო ცხოვრება მოდუნებულია... დღევანდელ ეკლესიებში ვერ წარხოცეს ბეჭედი საქართველოს ეკლესიის მონობისა — რუსული ოდიკო დამოუკიდებლობის ემბლემით — ქართული ოდიკით“ (საითიძე, 2012, გვ. 128).

ამ ფაქტის ნათელი მაგალითია 1926 წლის 26-27 დეკემბერს ბოლშევიკური ხელისუფლების ინიციატივით მისი მხარდამჭერი სამღვდელოების მიერ ქუთაისში ჩატარებული ე.წ საეკლესიო ყრილობა, რომლის მიზანი იყო კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის უფლებების შეზღუდვა და საეკლესიო მმართველობის ერთპიროვნულად განკარგვა, რაც გარკვეულწილად წარმატებით დასრულდა. ყრილობაზე ხელისუფლების დავალებით მოქმედ ოპოზიციურ სამღვდელოებას ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე ხელმძღვანელობდა. მან, პატრიარქ ამბროსის გვერდის ავლით, 28 დეკემბერს რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა. მასვე ამ კრებამ უკანონოდ უბოძა მიტროპოლიტის წოდება. „რეფორმატორებმა“ პატრიარქი ამბროსიც მიიწვიეს ყრილობაზე, თუმცა დასწრების შემთხვევაში მას არანაირი უფლებები არ ექნებოდა. ყრილობამ დაადგინა, რომ 1. საკათალიკოსო საბჭოს წევრები ვადაგასულები არიან და გადაყენებულად ცხადდებოდნენ; 2. საქართველოს საკათალიკოსოს ნაცვლად არსდებოდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს თავმჯდომარეობით; 3. თუ ფინანსები, კანცელარიის საბუთები და ყველაფერი სხვა დროებითი მმართველების ხელში უნდა გადასულიყო; 4. ვინც ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმებოდა, განკვეთილი იქნებოდა სამღვდელო წოდებიდან (ვარდოსანიძე, 2004, გვ. 33-34). 25 დეკემბერს პატრიარქმა ამბროსიმ საკათალიკოსო-საბჭოს წევრები შეკრიბა და ეს ფაქტი დაგმო. პატრიარქის ამ ქმედებას მხარი დაუჭირეს მიტროპოლიტმა კალისტრატემ, ეპისკოპოსებმა - პავლემ, მელქისედეკმა, ვარლამმა, დეკ. მ.ტყემალაძემ, გ.გამრეკელმა, ი.

მირიანაშვილმა, გ.იმნაიშვილმა. „რეფორმატორ-ოპოზიციონერები“ შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ საკათალიკო საბჭოს კანცელარია, მაგრამ დამოუკიდებლად ვერ მოახერხეს, ამ საქმეში „რეფორმატორებს“ შინაგან საქმეთა კომისარიატი დაეხმარა და სახალხო კომისარიატის ბრძანებით უწმინდეს ამბროსის ჩამოართვეს საკათალიკო და საეპარქიო კანცელარია, რომელიც გადაეცა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას. ეპისკოპოსი დავითი და მისი თანამოაზრეები მოითხოვდნენ საკათალიკოსოს საბჭოს წევრებისგან, რომ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმი „შეცდომად“ შეეფასებინათ. უფრო ადრე, 1925 წელს ეპისკოპოსი ქრისტეფორე ციციშვილის სურვილი იყო პატრიარქ ამბროსის გადაყენება, როდესაც იგი საპრობილეში ყავდათ. ეს ჟინი მათ ვერ დაიკმაყოფილეს (ვარდოსანიძე, 2001, გვ. 44-53).

მაგრამ, ეკლესიას ჰყავდა ღირსეული სასულიერო პირებიც, რომელთა არსებობა საფრთხეს უქმნიდა და ხელს უშლიდა საბჭოთა ხელისუფლებას, თავისუფლად გაეტარებინა ათეისტური პოლიტიკა.

პატრიარქ ამბროსის მსგავსად, ეკლესიის ინტერესებს იცავდნენ ღირსეული სასულიერო პირები და არ ურიგდებოდნენ ანტირელიგიურ პოლიტიკას. ისინი იცავდნენ აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციებს. ეს ფაქტი კარგად გამოჩნდა, როდესაც პატრიარქთან ერთად, განძის მითვისების ბრალდებით, დააპატიმრეს ნაწილი ამ ღირსეული სასულიერო პირებისა. ეკლესიის მწყემსმთავრისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების სასამართლო ერთდროულად მიმდინარეობდა.

1924 წელს უზენაეს სასამართლოს გამომძიებელ ვ. გომართელს პატრიარქ ამბროსის საქმეზე დასკვნით სიტყვაში მოჰყავს ეპისკოპოს დავითის, მიტროპოლიტ ნაზარის, დეკანოზ მარკოზის და სხვა სასულიერო პირების განცხადება, რომლებიც იზიარებდნენ მემორანდუმის სულისკვეთებას და სრულად უჭერდნენ მხარს პატრიარქის მიმართვას. მათ განუცხადებიათ: „ეს მემორანდუმი ჩაითვლება პოლიტიკურ ნაბიჯად, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და რითაც დარღვეულია ძირითადი პრინციპები ეკლესიის სახელმწიფოსგან ჩამოშორებისა“ (გამახარია, 2012, გვ. 423).

დასახელებული სასულიერო პირები ხელისუფლებას ამხელდნენ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ღიად იცავდნენ თავის რელიგიურ უფლებებს და აცხადებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიის განადგურება უსაფუძვლოდ მოინდომა, მას ცილისწამებების გარდა არაფერი ჰქონდა ხელჩასაჭიდი, მის წინააღმდეგ ომი ეწარმოებინა. პირიქით, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას გაუჭირდა მოშიშმული

ადამიანების გამოკვება, პატრიარქმა ამბროსიმ, საქართველოში ჩამოვარდნილი შიმშილობის გამო, თავისი პირადი ინიციატივით, შეიტანა საკათალიკოზო საბჭოში წინადადება, რომ ეკლესიებს თავის მხრივ აღმოეჩინათ დახმარება დამშეულთათვის. პატრიარქის ამ წინადადებას საბჭომ მხარი დაუჭირა და ცირკულარულად დაგზავნა მიმართვა ეპარქიებში, რომლის ძალითაც მათ დაევალოთ, გაჭირვებული ადამიანებისთვის შეეკრიბათ სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, საკვები, ფული, რისი საშუალებაც კი იქნებოდა ეკლესია-მონასტრებში (გამახარია, 2012, გვ. 424)

პატრიარქ ამბროსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 1927 წელს პარიზში რაფიელ ივანიცკიმ (ინგილო) დაწერა წერილი, სადაც იგი წერს საბჭოთა ხელისუფლების მიერ პატრიარქისთვის დაგებული ეკლიანი გზის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველომ დაკარგა ბრწყინვალე მღვდელმთავარი, უდიდესი პატრიოტი, ხალხის ნამდვილი მამა და მესაიდუმლე. საბჭოთა ხელისუფლების განწყობას ამ ფაქტის მიმართ კი ამგვარად გამოხატავს: „მტერი ხარობს, რადგან მან მოიშორა მოწინააღმდეგე, რომლისაც მას ყველაზე მეტად ეშინოდა“ (გამახარია, 2012, გვ. 519).

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკისა, ნებისმიერი გზით გაენადგურებინა სამღვდელოება, მისმა ნაწილმა მაინც შეძლო პრინციპული პოზიციის შენარჩუნება და რწმენაშერყეულ სამღვდელოების ნაწილსა და მრევლს მორალური სიმტკიცისა და ქრისტიანული პრინციპების დაცვისა და ერთგულების შესანიშნავი მაგალითი მისცა.

დასკვნა

მეფის რუსეთის პოლიტიკა საქართველოს ეკლესიის მიმართ აგრესიულობით გამოირჩეოდა, რისი დასტურიც არის მის მიერ საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის უკანონო გაუქმება, რუსეთის სინოდისადმი დაქვემდებარება და მისი სრული რუსიფიკაცია. რუსეთის აღნიშნული პოლიტიკა კი სრულიად აქარწყლებს მითს ერთმორწმუნეობის შესახებ.

1918-1921 წლებში მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება უკვე ავტოკეფალია აღდგენილი ქართული ეკლესიის მიმართ იყო ნეგატიური, რაც გამოიხატა ეკლესიისათვის ქონების ჩამორთმევითა და სკოლებში „საღვთო რჯულის“ აკრძალვით. ამკარაა, რომ მენშევიკურმა ხელისუფლებამ უღმერთობისა და დესტრუქციის გზა აირჩია.

საბჭოთა ხელისუფლების სარწმუნოებრივი პოლიტიკა მანამდე არნახული სიმკაცრით გამოირჩეოდა, რაც მიზნად ისახავდა სარწმუნოებისა და ეკლესიის სრულ განადგურებას - ღმერთისადმი და წმინდანებისადმი რწმენის კომუნისტური პარტიისა და მისი ლიდერებისადმი რწმენით ჩანაცვლებას, სასულიერო პირების ფიზიკურ და მორალურ განადგურებას, ეკლესიების, როგორც არქიტექტურული ნაგებობების დანგრევას ან მათთვის ფუნქციის შეცვლას, საბოლოო ჯამში კი მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე აღზრდილი, სულიერებისგან დაცლილი და ხელისუფლებისგან მართული ახალი საბჭოთა ათეისტური საზოგადოების შექმნას.

ათეისტურად მოაზროვნე საზოგადოების ფორმირებისთვის სახელმწიფომ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ბერკეტი გამოიყენა - იდეოლოგიური, რეპრესიული, ეკონომიკური.

1921-1927 წლების საბჭოური პერიოდული გამოცემები, ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ცხადყოფს, თუ როგორ იბრძოდა ხელისუფლება ეკლესიების დასახურად, სამღვდელთა დასის ავტორიტეტის შესალახად, ღმერთისა და წმინდანებისადმი რწმენის გასაქარწყლებლად. ამასთან, პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, ამ ბრძოლის წარმატებული შედეგების შესახებ, ხელისუფლების საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენდა.

1921-1927 წლებში შექმნილი კარიკატურები და ათეისტური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ტიპოლოგიური და შინაარსობრივი მრავალფეროვნება ნათლად ცხადყოფს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიასა და სამღვდელოებას ცივილიზებული საზოგადოებისათვის ყოვლად მიუღებელი, ბინძური, ცილისმწამებლური მეთოდებით

ებრძოდა, რაც ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა – ეკლესიისა და სამღვდელოების განადგურებას მის მიმართ რწმენადაკარგული სამწყსოს ჩამოშორების გზით.

სახელმწიფოს მცდელობა ეკლესია გაენადგურებინა და საზოგადოების ცნობიერება ათეისტურად შეეცვალა, გარკვეულწილად წარმატებით დასრულდა. ეკლესია დასუსტდა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაკარგა. მოსახლეობა მოტყუვდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ კეთილდღეობის იმედი გაუჩინა ეკლესიის განადგურების ხარჯზე, მაგრამ სანაცვლოდ მიიღეს დიქტატურა და მონობა.

ეკლესიამ 1921-1927 წლებში სახელმწიფოს მხრივ მის წინააღმდეგ განხორციელებული უდიდესი ტერორის მიუხედავად, შეძლო არსებობის შენარჩუნება, თუმცა უდიდესი მსხვერპლის ფასად – დახვრეტილ იქნა არა ერთი სასულიერო პირი, განადგურდა საეკლესიო ქონება, დაინგრა ტაძრები, დაიხურა სასულიერო სასწავლებლები, შეირყა რწმენა. მიუხედავად უმკაცრესი რეპრესიებისა, სამღვდელოების პრინციპული პოზიცია გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებამ თავის მიზანს სრულად ვერ მიაღწია და სასულიერო პირების ნაწილს უარი ვერ ათქმევინა თავიანთ წოდებაზე, საზოგადოების ნაწილს კი – სარწმუნოებაზე.

1921-1927 წლებში ხელისუფლების უკომპროისო ბრძოლამ ეკლესიის წინააღმდეგ ცხადყო, რომ მომდევნო წლებში ეკლესიის არჩევანი – სახელმწიფოს მიმართ კომფრომტაცია კომპრომისით შეეცვალა, თვითგადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბრამიშვილი, ვ. (2004). საქართველოს ეკლესიის მამული. გორი .
- ადაროვი, ნ. (1923). ქრისტიანობის წარმოშობა ნაწილი I და II. თბილისი: ცეკას გამომცემლობა.
- ალექსიშვილი, მ. (1957). ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის. თბილისი: სახელგამი.
- ამყოლაძე, თ. (2008). ზღვარი, ესეები, ერთტომეული. ქუთაისი: მოწამეთა.
- ანბანი. (1925). ტფილისი: წერკუმსი.
- ანტირელიგიური წრეების სახელმძღვანელო. (1928). ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი და საბავშვო მოძრაობა (1924). ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ბასილი დიდი, (2002). თბილისი: საპატრიარქოს გამომცემლობა.
- ბებელი, ა. (1906). ქრისტიანობა და სოციალიზმი ტფილისი: შრომა.
- ბედიამიშვილი, თ. (2002). საგარეჯოს რაიონში მოღვაწე სასულიერო პირები XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი. თბილისი.
- ბენდელიანი, მ. (2002). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში. თბილისი.
- ბენდელიანი, ნ. (1993). ისტორიოგრაფია საქართველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე. ქუთაისი: სარანგი.
- ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი ალ. (2008). რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბილისი: უნივერსალი
- ბრაუნ, ვ. (1923). კომუნიზმი და ქრისტიანობა. ტფილისი: საქ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალ. კომიტეტი.
- ბუაჩიძე, კ. (1924). საუბარი წითელ არმიელთან. ტფილისი: სტამბა სამხედრო კომისარიატისა.
- ბუბულაშვილი, ე. (2002). ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი და საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი. თბილისი: ინტელექტი.
- ბუბულაშვილი, ე. (2004). სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები". თბილისი.
- ბუბულაშვილი, ე. (2017). საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. წიგნი 1. თბილისი.
- ბუხარინი, ნ. (1920). კომუნიზმის ანბანი. ტფილისი: წითელი ვარსკვლავი.

ბუხარინი, ნ. (1924). პროგრამა კომუნისტებისა. თბილისი: ცეკა.

გამახარია, ჯ & ბერაძე, თ და სხვ. (2007). აფხაზეთი (ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან) თბილისი: ინტელექტი.

გამახარია, ჯ. (2012). წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), თბილისი.

გამახარია, ჯ. (2011). წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). თბილისი.

თანამგზავრი პოლიტგანათლების მუშაკისა. (1924). წიგნი № 1. ტფილისი: მნათობი.

თანამგზავრი პოლიტგანათლების მუშაკისა. (1924). წიგნი # 2. ტფილისი: მნათობი .

საქართველოს კონსტიტუცია. (1921). თბილისი.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი. (1921). ტფილისი.

გეგეშიძე, დ. (1986). საქართველოს რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფალსიფიკაციის კრიტიკა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გეგეშიძე, დ. (1976). ქართული მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა. თბილისი.

გეგეშიძე, დ. (1976). მართლმადიდებლობის იდეოლოგიის კრიტიკა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გვენეტაძე, ე. (2015). დიდი ჯიხაიშის ეკლესიების ისტორიიდან. თბილისი: ივერიელთა ეკლესიის მატთანე.

გიორგაძე, გ. (1921). საქართველო, ანტანტა და რუსეთი'. თბილისი.

გიორგაძე, ე. (1994). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია (სილუეტი). თბილისი: კარდუ.

გირინისი, ს. (1924). ლენინი და პროფესიონალური მოძრაობა. თბილისი: პოლიგრაფიული განყოფილების მე-3 სტამბა.

გოგუაძე, ვ. (1992). დაბრუნება. ტომი 3. თბილისი: მეცნიერება.

გრიგოლოვა, რ. (2012). მოწამე მთავარბუცესი, დეკანოზი მამა არისტარქო (კალანდარიშვილი). თბილისი: ვეფხისტყაოსანი.

გულაშვილი, კ. (1924). საპროპაგანდო, სააგიტაციო, ისტორიულ რევოლუციური პიესა. თბილისი.

გურული, ვ. (2009) მიტროპოლიტი ნაზარის საქმე. თბილისი: უნივერსალი.

გურული, ვ. (2010). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. თბილისი: უნივერსალი.

- გურული, ვ. (2010) საეკლესიო საკუთრების უფლების ხელყოფა. თბილისი: საარქივო მოამბე.
- გურული, ვ. (2010). საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სავტოკეფალიის გაუქმება (1811-1814). თბილისი: უნივერსალი
- დადგენილებანი. (1925) ტფილისი: ს.კ.პ.ც. კომიტეტის გამოცემა.
- დაუშვილი & ნათმელაძე. (2008). საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში. თბილისი: უნივერსალი.
- დევდარიანი, ს. (1927). ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ტფილისი: შრომა.
- დევდარიანია, ა. (1920). სოციალისტური აზროვნება და კოოპერაცია დასავლეთ ევროპაში. ტფილისი: შრომა.
- დურნოვო, ნ. (1997). ბედი ქართული ეკლესიისა. თბილის.
- ერქომაიშვილი, ა. (1921). სურსათის გადასახადი საქართველოში. თბილისი: ცენტრალური კომიტეტის სტამბა.
- ვარაზაშვილი, ა. (2000). ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XXს. დასაწყისში, 1917 წლამდე). თბილისი : ინტელექტი.
- ვარდოსანიძე, ს. (2000). სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ლეონიდე 1918-21. თბილისი: ნათლისმცემელი.
- ვარდოსანიძე, ს: (2014). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921). თბილისი: უნივერსალი.
- ვარდოსანიძე, ს: (2004). ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემებ. თბილისი: ქრონოგრაფი.
- ვარდოსანიძე, ს: (2003). ნათელი ქრისტესი საქართველო, წ. 1, თბილისი: სეზანი.
- ვარდოსანიძე, ს. (2001). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917- 1952 წლებში. თბილისი: მეცნიერება.
- ვარდოსანიძე, ს. (2011). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1861-1927). თბილისი: უნივერსალი.
- ვართაგავა, ი. (1956). მოგონებები, ნაწილი პირველი. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
- საკავშირო კომუნისტური პარტიის(ბოლშევიკების) პროგრამა. (1926). ტფილისი: ზარია ვოსტოკა.
- თავისუფლების მსხვერპლი. (1921). ტფილისი: სახალხო საქმე.
- თალაქვაძე, ნ. (2013). მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი: საარი.

თამარაშვილი, მ. (1995). ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბილისი: კანდელი.
თორაძე, ვ. (2006). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია. თბილისი:
ელფი.

იაროსლავსკი, ე. (1923). როგორ იზადებიან ღმერთები. ტფილისი :ს.ს.მ.უ.ს. პოლიგ.
განყოფილება.

კაკაბაძე, ვ. (1921). შინამრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში. ტფილისი:
სსმუს პოლიგრაფტრესტი.

კაკაბაძე, ს. (1920). საქართველოს მოკლე ისტორია. ტფილისი: სამხედრო
სამინისტრო.

კანდელაკი, კ. (2012). ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე, აქტი,
დოკუმენტები, მტკიცებულებები. თბილისი: სიესტა.

კანდიდოვო, ბ. (1930). ეკლესია და ოქტომბრის რევოლუცია. ტფილისი:
სახელგამი.

კარბელაშვილი, პ. (1900). იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და
მღვდელ-მთავარნი.ტფილისი: გუტენბერგი.

კარპინსკი, ვ. (1924). გლეხობის პროლეტარული ბელადი. ტფილისი: ს.ს.ს.რ.
პოლიგრაფი.

კაუცკი, კ. (1920). სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში.
ტფილისი: მუშათა პარტია.

კაჭახიძე, დ. (2011). რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. თბილისი: ინოვაცია.

კეზევაძე, მ. (2005). ეგზარქოსების დროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები.
ქუთაისი: ხომლი ენ.

კვესელავა, ვ. (1990). XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის
ფურცლები. თბილისი: მეცნიერება.

კიკვიძე, ა. (1954). საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი: თსუ.

კიკნაძე, ვ (2003) ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა,
თბილისი, უნივერსალი.

კიკნაძე, ვ (2009). ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX ს.

ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში, თბილისი: უნივერსალი.

კიკნაძე, მ. (1907). საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ეკლესიის აკლება.
თბილისი: იდეალი.

კირიონი, ეპისკოპოსი. (2009). ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში. თბილისი: პრინტ-ქსპრესი.

კიუსტინი, მ. (1990). ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი. თბილისი: განათლება.

კოლონტაი, ა. (1921). ოჯახი და კომუნისტური სახელმწიფო. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

კოლოცოვი, მ. (1924). ადამიანი მომავლიდან. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

კომკავშირი (1924). თბილისი: ცეკას გამომცემლობა.

კრებული. (1926). ტფილისი: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

კრილენკო, ნ. (1924). სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ.

ტფილისი: ცენტრალური კომიტეტი.

კუნოვი, ჰ. (1923). წარმოშობა რელიგიის და ღვთისადმი რწმენისა. ტფილისი: ცეკა.

ლამბერტი, ა. (1927). სამეგრელოს აღწერა. თბილისი: სახელმწიფო.

.აფარგი, პ. (1923). კაპიტალის სარწმუნოება. ტფილისი: ცენტრალური კომიტეტი.

ლენინი, ი. (1910). თხზულებანი. ტ. XVII. ტფილისი: საქპოლიგრაფი.

ლენინი, ნ. (1920). ეკონომიკა და პოლიტიკა. ქუთაისი: წითელი ვარსკვლავი.

ლენინი: ვ. (1928). თხზულებანი, ტ. VI. ტფილისი: სახელგამი.

ლენინიზმი ლოზუნგებში. (1924). თბილისი: მნათობი.

ლენინიზმი და კულტურული მუშაობა სოფლად. (1924). ტფილისი: პოლიტგანათლების მთავარმართებლობა.

ლეონიდე, პატრიარქი. (2005). წერილი ეკლესიისგან სახელმწიფოს გამოყოფის შესახებ. თბილისი.

ლეონიდე, პატრიარქი. (1915). სიტყვა წმ. თამარ მეფის დღეს 1 მაისს. თბილისი: სიონის ღვთისმშობლის ძმობა.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება და საქ. ურწმუნოთა საზოგადოება. (1930). ტფილისი.

ლომთათიძე, გ. (1928). სამღვდელოება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ტფილისი: საქ. უღმერთოთა კავშირი.

ლომთათიძე, გ. (1928). სამღვდელოება ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში. ტფილისი: საქ. უღმერთოთა კავშირი.

ლორთქიფანიძე, გ. (1995). ფიქრები საქართველოზე, თბილისი: თსუ.

მაგალითებრივი კითხვარი. (1924). თბილისი: კომუნისტი.

- მაზნიაშვილი, გ. (1990). მოგონებანი 1917-1925 წ. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
- კ. მარქსი & ფ. ენგელსი. (1923). კომუნისტური მანიფესტი. თბილისი: კომუნისტი.
- უავტორო.(1925). მასალები საქ. კომ. პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა მე-IV ყრილობისათვის. ტფილისი: ს.კ.პ.ც. კ-ის .
- მალაკელიძე, შ: (1991) მოგონებები. თბილისი: პეგასი.
- მაჩურიშვილი \$ ტოგონიძე (2012). XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი: პირველად იყო სიტყვა.
- მახარაძე, ფ. (1921). საქართველოს საბჭოთა მთავრობის კანონები მიწის შესახებ. ტფილისი: რევკომის სტამბა.
- მახარაძე, ფ. (1924). თხზულებათა კრებული ტომი IV, ნაციონალური საკითხი. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- მაჰმადიანი ქართველები. (1920). ტფილისი: საპროპაგანდო კომისიის გამოცემა.
- მელიქიშვილი, დ. (1995) ახალმოწამენი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე. თბილისი: გულანი.
- მეტრეველი \$ ჩიქობავა. (1924). შრომის ქვეყანა. ტფილისი: პოლიტგანათლების მთავარმართველობის გამოცემა.
- მინინი, ს. (1920). რელიგია და კომუნიზმი. ქუთაისი: წითელი ვარსკვლავი.
- მჭედელიძე & კეზევაძე. (2008). ქუთაის-გაენათის ეპარქია. ქუთაისი: ხომლი ენ.
- ნადირაძე, ქ. (2000). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები. თბილისი: ნეკერი.
- ნათმელაძე & დაუშვილი. (2008). საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში. თბილისი: უნივერსალი.
- ნევსკი, ვ. (1922). დღესასწაულები ქრისტიანული და მუშურ-გლეხური. - ტფილისი : საქ. აგიტ. პროპ. განყ. გამოცემა.
- ნორჩი პიონერები. (1925) სოც.აღზრდის მთავარმართ. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ორაგველიძე, კ. (1924) რელიგია და მასთან ბრძოლა. თბილისი: ს.კ.პ ცენტრ.კომ. გამომცემლობა.
- ორჯონიკიძე, ს. (1924) მენშევიკების ავანტიურა საქართველოში. ტფილისი: კანტორის გამოცემა.
- პავლიაშვილი, ქ. (2000). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-21 წლებში, თბილისი: ქრონოგრაფი.

პავლიაშვილი, ქ. (2008). საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945). თბილისი: თბილისი.

პავლიაშვილი, ქ. (2000) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. თბილისი: გიორგი აფრიდონიძე.

პაპუაშვილი, ნ. (2005). ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში. თბილისი.

პაპუაშვილი, ნ. (1996). საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის. თბილისი. პარტიის ახალი ამოცანები. (1924). თბილისი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქები 1917-27 წწ.ში წერილები. (2010). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პიონერი სოფლად. (1925). ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

პირველი და მეორე საფეხური პარტსკოლების პროგრამები. (1925). ტფილისი: გამოცემა 1 და მე-2 ქართ. მსრ. დივიზ. პოლიტგანყოფილებისა.

პლექანოვი, გ. (1924). სარწმუნოების შესახებ. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. პოლიტცოდნის მოკლევადიანი სკოლები”. (1924). ტფილისი: ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

ქორდანია, ნ. (1990). ჩემი წარსულიდან. თბილისი: სარანგი.

ქორდანია, ნ. (1924). საბჭოთა წყობილება. პარიზი

ქორდანია, ნ. (1920). თხზულებათა კრებული ტომი I. პარიზი.

ქორდანია, ნ. (1956). რჩეული ნაწერები ემიგრაციაში. პარიზი: გამომცემელი ვალიკო ჩუბინიძე.

ქორდანია, ნ. (1989). წიგნი ოჯახის საკითხავი. თბილისი: მერანი.

ქორდანია, ნ. (1925). რა მოხდა. პარიზი.

რეზოლუციები. (1924) საქართვე. კომუნისტური პარტიის (ბ) მესამე ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებები, ტფილისი საქართვე. კომპარტიის (ბოლშ.) ცენტრ. კომიტეტის გამოცემა.

როგავა, გ. (1994). როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). თბილისი: თსუ.

როგავა, გ. (1997). ქრისტიანული რელიგია საქართველოში. თბილისი: სამშობლო.

როგორ უნდა მოეწყოს საშეფო საზოგადოება. (1925). ტფილისი: ვანო ბოლქვაძის სახელობის პოლიგრაფსკოლის სტამბა.

როსტომაშვილი, ნ. (2009). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე). თბილისი: თაგალი.

რუმინაძე, ნ. (1923). ქრისტეს შობა. შედარებითი მითოლოგიის ნარკვევი. ტფილისი: ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

ს.ს.რ. მსჯავრდებულთა ცნობარი. (1925). ტფილისი: იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა.

საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები). (2013). თბილისი.

საითიძე, გ. (1995). ახალმოწამენი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი: პირველი სტამბა.

საითიძე, გ. (2012). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (ხელაია), ეპისტოლური მემკვიდრეობა. თბილისი: ფავორიტი პრინტი.

სანიშუშო პოლიტიკითხვარი. (1924). ტფილისი.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება და საქ. ურწმუნოთა საზოგადოება, რელიგია და ქალთა სწორუფლებიანობა. (1928). ტფილისი.

პარტიის ახალი ამოცანები, წერილების და მასალების კრებული. (1923). ტფილისი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეოთხე ყრილობა, ბიულეტენი #1. (1925). ტფილისი

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი 1917 წ. 12/25 მარტი. (2005). თბილისი .

სახაროვი, ს. (1950). მარქსიზმ-ლენინიზმი ქრისტიანობის წარმოშობისა და მისი კლასობრივი ბუნების შესახებ. თბილისი.

სახაროვი, ს. (1956). ქრისტიანული რელიგიის შესახებ. . თბილისი: სახელგამი.

სახოკია, თ. (1984). ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სკოლის გარეშე საგანათლებო მუშაობს სოფლად. (1921). თბილისი: სახელმწიფო გამომცემა.

სტალინი, ი. (1945) თხზ., ტ. 11. თბილისი: სახელგამი.

სტეპანოვი, ი. (1922). ნარკვევი რელიგიურ რწმენათა განვითარებიდან. ტფილისი.

სტეპანოვი, ი: ი. სტეპანოვი, „ფიქრები რელიგიის შესახებ“, ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, ტფილისი 1923 წ. გვ. 1 (საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

სტრუმინსკი, ვ. (1924). შრომის სკოლის განათლების მუშაკის სამაგიდო წიგნი. ტბილისი: ს.მ.უ.ს. პოლიგ. განყ. მე-3 სტამბა.

სტუჩკა, პ. (1924). საბჭოთა კონსტიტუცია კითხვა-პასუხი. ტბილისი: ცეკა.

ტაბიძე, ნ. (2008). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. თბილისი,

ტაბიძე, შ. (1926). „ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა. ტბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ტერინი, მ. (1924). კულტურა და მუშათა კლასი. ტბილისი: საქ. კომ. პარტ. ცენტრ. კომიტეტი.

ტყეშელაშვილი, ლ. (2014). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთაისი.

ტყეშელაშვილი, ლ (2005). საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი. დოსითეოსი და ეფთვიძე.1820 წ. თბილისი . „თბილისი“

ფანჯიკიძე, თ. (2003). რელიგიური პროცესები XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე. თბილისი : ლეგა.

ქართული სამართლის ძეგლები (1965). ტომი II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ - თბილისი: მეცნიერება

ქრესტომათია პოლიტიკურ ხელმძღვანელთათვის. (1926). ტფილისი: სახელმწიფო სამხედრო გამომცემლობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეოთხე ყრილობა, ბიულეტენი № 1. (1925). ტფილისი .

საქარ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მე-6 ყრილობა. (1924). ტფილისი: ს.ა.კ.კ ცეკას გამოცემა № 21.

ყუბანიშვილი, ს. (1932). სამღვდლოება ხალხურ სიტყვიერებაში. ტფილისი.: სახელმწიფო გამომცემლობა .

შენგელია, რ. (1965). ქრისტიანული რელიგიის გადმონაშთების ანტიმეცნიერული და რეაქციული ხასიათი. თბილისი: მეცნიერება.

შიოლაშვილი, ნ. (2012). პოეტური სულის მეცნიერება. თბილისი.

შიფრესი, ა. (1926). პოლიტიკური მუშაობა ტერიტორიულ ნაწილებში. . ტფილისი: ქართული სამხედრო სკოლა.

ცინცაძე, კ. (2001). ჩემი მოგონებებიდან. თბილისი: ციციანათელა.

- ციხელაშვილი, დ. (1930). მოხსენება საქ. მუკის ცენტ. საბ. მე-2 პლენუმზე გაკეთებული. ტფილისი: საქ. მუკის ცენტ. საბჭო.
- წესდება და პროგრამა. (1924). ტფილისი: ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.
- წესდება, წერა-კითხვის უცოდინრობასთან მებრძოლ საზოგადოებისა. (1924). ტფილისი: მნათობი.
- წულუკიძე, ა. (1921). ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან. თბილისი.
- ჭელიძე, ი. (1926). მუშათა კლუბი. ტფილისი: შრომა.
- ხაჭაპურიძე, გ. (1921). პოლიტიკური განათლების მუშაობა. თფილისი: გამომცემა სახალხო კომისარიატის პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობისა.
- გიორგაძე, ე. (1994). ამბროსი ხელაია (სილუეტი). თბილისი.
- ხუციშვილი, მ. (1987). საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში. თბილისი: მეცნიერება.
- ხუციშვილი, მ. (1972). საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში. თბილისი: მეცნიერება.
- ხუციშვილი, მ. (1972). საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში. თბილისი: მეცნიერება.
- ხუციშვილი, მ. (1978). 1921-1925 წლებში საქართველოში ჩატარებული ათეისტური მუშაობის თავისებურებანი. თბილისი: მეცნიერება.
- ჯულაშვილი, ი. (1921). კომუნიზმის მორიგი კითხვები საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- Акты, собранные Кавказской Археогграфической Комиссией (АКАК) , Т. 1-12 Тифлис : тип. Гл. упр. Наместника Кавк., 1866-1904.
- Браил, В. (1896). О положении Грузинской православной церкви в царской России. СПб.
- Кирион II. (1901). (Католикос-Патриарх, 1855-1918, Садзаглишвили Гиორგი Иеронимович), „Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие“. Тифлис : тип. К.П. Козловскаго.
- Покровский, Н. (1905). Краткий очерк церковно-исторической жизни православной Грузии со времени появления в ней христианства и до наших дней, Тб.
- Некресский А. (1795). Поучение простому народу, сказанное митрополитом Некресским Амвросием, по поводу бедствий, постигших Кахетию, при нападении на Грузию Ага-Магомед-хана.
- Марр, Н. (1944). История Грузии. СПб

გაზეთები:

ახალგაზრდა კომუნისტი 1926 წ. № 124(143); 127(146); 130(149); 133(152);

ივერია: 1901, № 255.

კომუნისტი: 1921: № 1; 2; 6; 12-13; 20; 40; 41; 45; 52; 104; 111; 115; 182; 237; 247;

1923: № 104; 172; 1924: # 18; 1925: № 15; 47; 89; 180; 266;

მუშა: 1923: № 41; 50; 66; 77; 114; 117; 284, 941; 1132; 1138; 1166; 1170; 1378; 1483; 1759;

საქართველო: 1918 წ. № 92;

საქართველოს რესპუბლიკა: 1921 წ. № 36.

სპარტაკი: 1923 წ. № 1, 23, 40, 41; 46, 50, 51; 53; 54; 57; 64; 123;

1924 წ. № 53; 57; 64; 68; 69; 80; 82; 84; 85; 91; 92; 93; 97; 120; 123;

წითელი არმიელი: 1924 წ. № 544; 563.

ჟურნალები:

ბუბულაშვილი, ე: რაფიელ ი ვანიცკი, ინგილო- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებათა დამცველი (ემიგრანტული მასალების მიხედვით, XX ს-ის 20-იანი წლები). „რელიგია“, 2015, № 2

ვარდოსანიძე, ს: საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XIX-XX საუკუნეებში, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2010 წელი, თბილისი.

თევდორაძე, გ: რელიგიური მდგომარეობა მე-20 საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში

ისტორიის ფურცელი: პროტოპრესვიტერი იასონ კაპანაძე, საპატრიარქოს უწყებანი, 2015 წ, № 27

კვესელავა, ვ: ანტირელიგიური ღონისძიებანი საქართველოში 1921-1925 წლებში / ი.

კვესელავა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 1979, N1, გვ.73-84

ლენინი, ი: რელიგიის შესახებ”, ჟურნალი, „მარქსიზმის დროშის ქვეშ“, № 3, 1922 წ.

ლომინაძე, რ: რევაზ ლომინაძე. 1924 წლის აჯანყების დოკუმენტი. — ჟურნალი „პოლიტიკა“, 1991, № 8, გვ. 63-65.

მადლი, 1995, 30 სექტემბერი.

მალაკელიძე, შ. , მოგონებანი, ჟურ. „განთიადი“, ქუთაისი., № 5, 1991 წელი.

მწყემსი, 1890, გვ. 1.

ნოვაცია : პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. ქუთაისი, 2009. 1512-3715 N4, გვ.230-234
ტყეშელაშვილი, ლ: ლევან ტყეშელაშვილი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და
მისი მნიშვნელობა. - ჟურნალი „მწვანეყვავილა“, 2017 წ. № 2.

ფურცელაძე, დ: ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990, № 2, გვ. 58.

ქრისტიანული დემოკრატია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო ჟურნალი,
ივნისი 1999 წ. გვ. 18.

ხელაია, ა: ამბროსი ხელაია, „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“, მნათობი: ჟურ.
მნათობი, 1988, № 10

შაკიაშვილი, თ: თამარ შაკიაშვილი, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები,
თბილისი, 2005 წელი.

ხელაია, ლ: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია და გენუის
საერთაშორისო კონფერენცია, ნოვაცია : პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.
ქუთაისი, 2009. 1512-3715 N4

ჭუმბურიძე, დ. (2015). საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის - რაფიელ
ივანიცკი-ინგილოს მოღვაწეობა ევროპაში 1923-1924 წლებში, ჩვენი სულიერების
ბალავარი, 2015 წ.

საარქივო მასალა:

№ 17, 20, 22; 34,. გორის არქივი, 1923 წელი, ფონდი № 3;

ვასილ კარბელაშვილის პირადი არქივი, საქმე № 678;

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 796, ანაწ. 442, საქმე 1441,
1883, ფურც 70.

ფ. 796, ანაწ. 442, საქმე 469, ფურც 2, 1872.; ფონდი № 1459, საქმე № 41, ფ. 1-3; ფ. 516; ფ.
796, ანაწ. 198, საქმე 329, 1914, ფურც. 1.; ფ. 1459, ანაწ 1, საქ. 14, ფურც. 2.; ფ. 516, გვ. 83. იხ.
იქვე 92-ე გვერდი.; ფ.1459, ანაწ 1, საქ. 20. ფურც. 3.; ფ. 1459 № 1 საქმე 41.

ქუთაისის საისტორიო არქივი (ქ.ს.ა. ფ. № 296; საქმე № 179).

შ.ს.ს. (საქართველოს სახელმწიფოს უშიშროების არქივი) № 2361; 2423; 24289; 24354;
22162; 23122; 23459; 24201; 24214; 2424, ფურც. 6. ფ. 6; № 2429, 24490; 24332; #24351, 24334;
24436; 2458; 2466; 26347; 2425, 1924, ფურც. 4, ფონდი 6; ფონდი № 6, საარქივო № 2464,
ტომი 2, ყუთი № 10. 1924 წ. ფ. 4

დანართები

დანართი № 1

რელიგიური საზოგადოებები

დადგენილება № 124

ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ რათა მტკიცედ განხორციელებულ იქნეს ძირითადი კანონის სახელმწიფოსგან ეკლესიის ჩამოშორების შესახებ (1921 წ. აპრილის 15 და 21 #-ის დეკრეტი), რომლითაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია სარწმუნოებისა და რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულება, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ყველა მოქმედი დადგენილება, ინსტრუქცია და ადმინისტრატიული განკარგულება, რაც შეეხება რელიგიურ საზოგადოებათა და ზღუდავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულებას.

2. შემოდებულ იქნეს ქვემოაღნიშნული წესი იმ ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა ხელში სარგებლობისათვის გადაცემისა, რომელთა გადაცემის შესახებ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმება ჯერ არ მომხდარა, ესევე წესი შემოდებულ იქნეს აგრეთვე წინადასახურულ ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და გადაცემისათვის, ხოლო იგი არ გავრცელდება იმ სამხედრო ტაძრებზე, რაც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაეცა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. იანვრის 8 თარიღით და 68 ნომრით გამოცემული დადგენილების ძალით: ა) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა შუქდიანთ მიიღონ სარგებლობისათვის თავისი სარწმუნოების ტაძრები და სამლოცველო სახლები, აგრეთვე ღვთისმსახურებისა და რელიგიური წესებისათვის მიკუთვნებული ქონება, რისთვისაც უნდა დაარსონ რელიგიური საზოგადოება, რომლის დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შვიდზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ბ) რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი ტაძრებს, სამლოცველო სახლებს და ქონებას მიიღებენ სარგებლობისათვის ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტისგან ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ და უვადოდ, თანახმად საქართველოს

სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. აპრილის 15 თარიღით და 21 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე-15 მუხლისა.

გ) ხელშეკრულების დადებისას, რელიგიურ საზოგადოებას რეგისტრაცია უნდა ექნეს სათანადო მაზრისა ან ქალაქის აღმასრულებელ კუ(ო)მიტეტში.

3. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უარი ხელშეკრულების დადებაზე ან რელიგიურ საზოგადოების რეგისტრაციაზე შეიძება განსაჩივრებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ერთი თვის ვადაზე იმ დღიდან, როდესაც ჩაბარებულ იქნება წერილობითი დასაბუთებული დადგენილება უარის შესახებ.

4. ამა დადგენილების გამოცემამდე დაარსებული და რეგისტრაციაქმნილი რელიგიური საზოგადოება განაგრძობს თავის არსებობას ახალი რეგისტრაციის მოუხდენლად. დადგენილება ესე გავრცელდება ამ საზოგადოებაზეც.

5. რელიგიური საზოგადოება შეიძლება დახურულ იქნეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების საწინააღმდეგო მეთოდებით იმოქმედებს.

6. დაწესებულება და თანამდებობის პირი, რომელიც ამა თუ იმ სახით წინააღმდეგობას გაუწევს ეკლესიისა და სამლოცველო სახლის გახსნას და სხვ., ან დევნას აღძრავს იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ეკლესიის გახსნას ითხოვს, აგრეთვე ღვთისმსახურს კულტის შესრულებისათვის დევნას დაუწყებს, პასუხს აგებს როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის.

7. მეთვალყურეობა ამა დადგენიების მტკიცედ აღსრულებისათვის დაეკისრებათ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და მათვე დაევალებათ ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცენ სათანადო ინსტრუქციები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღიარებული კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თორდია.

1924 წ. ნოემბრის 24.

ტფილისი - სასახლე.

„მოამბე“, 1924, №11 (ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს

პერიოდული ორგანო)

ინსტრუქცია

იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ნოემბრის 21 თარიღით და 124 #-თ გამოცემული დადგენილების — ეკლესიების გახსნის და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ — აღსრულებისთვის.

1. შემოდებულ იქნეს ქვემო-აღნიშნული წესი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთათვის, როგორც იმ ეკლესიების გადაცემისათვის, რომელნიც წინად დახურული იქნენ ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების განკარგულებით. ისე იმ ეკლესიების გადასაცემად, რომელთა მორწმუნეთათვის გადაცემის შესახებ შეთანხმება ჯერ არ მომხდარა. (გარდა იმ სამხედრო ტაძრებისა, რაც სახალხო კომისარიატის საბჭოს 1923 წ. იანვრის 8 თარიღის და 68 #-ის დადგენილებით გადაეცათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს).

2. უკეთუ მოქალაქენი, რიცხვით არა ნაკლებ 7 კაცისა, მოისურვებენ რელიგიური საზოგადოების შედგენას და ეკლესიის ან სამლოცველოს სახლის და მღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთების უსასყიდლო სარგებლობისათვის მიღებას, იმათ საამისო განცხადება უნდა შეიტანონ ადგილობრივ მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

3. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) რელიგიურ საზოგადოების დამფუძნებელთა (უკეთუ საზოგადოება ჯერ შედგენილი არ არის) ან წარმომადგენელთა სახელი, მამის სახელი და გვარი, ბ) რელიგიური საზოგადოების სახელწოდება, გ) დამფუძნებელთა ან წარმომადგენელთა საცხოვრებელი ადგილი და დ) სახელწოდება ეკლესიისა (სამლოცველო სახლისა), რომლის მღვთისმსახურებისათვის მიღება სურთ მათ.

4. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი ქონებას და მის აღწერილობას გადასცემს იმ მოქალაქეთ, რომელთაც განაცხადეს სურვილი ამ ქონების სარგებლობისათვის მიღებისა, ხოლო აღწერილობის მეორე ცალს მიმღებთა ხელმოწერით დაიტოვებს თავისათვის.

5. წინა მუხლში ნახსენებ ეკლესიისა და ქონების მისაღებად საზოგადოების დამფუძნებელნი ან განმკარგულებელი ორგანო დასდებენ ხელშეკრულებას სათანადო მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან.

შენიშვნა: სანიმუშო ხელშეკრულება ამასთანავე დართულია.

6. ხელშეკრულების დადების შემდეგ რელიგიური საზოგადოება წინასწარ გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში ადგილობრივ მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში, რის შემდეგაც მას შეუძლიან დაიწყოს მოქმედება.

7. უკეთუ ეკლესია და ქონება დამფუძნებელმა მიიღეს, ისინი რელიგიურ საზოგადოების შედგენის შემდეგ ეკლესიას (სამლოცველო სახლს) და ქონებას გადასცემენ რელიგიური საზოგადოების განმკარგულებელ ორგანოს და ქონების გადაცემის აქტს, აგრეთვე ცნობას რელიგიური საზოგადოების განმკარგულებელი ორგანოს შემადგენლობის შესახებ, სადაც აღნიშნულ იქნეს განმკარგულებელი ორგანოს თვითოეული წევრის სახელი. მამის სახელი და გვარი, წარუდგენენ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს.

8. ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება, საკულტო შენობის და ქონების უფასო სარგებლობის შესახებ, რელიგიური საზოგადოებების წარმომადგენელნი (განმკარგულებელი ორგანო) პასუხს აგებენ, თუ მინდობილი სახალხო ქონება უკლებლად და წესიერად არ იქნება შენახული, აგრეთვე თუ ტაძარში წესიერება დარღვეული იქნება.

9. ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტის უარი ხელშეკრულების დადებაზე და რელიგიურ საზოგადოების რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტში ერთი თვის ვადაზე იმ დღიდან, როდესაც ჩაბარებულ იქნება წერილობითი დასაბუთებული დადგენილება უარის შესახებ.

10. თავის საზოგადო კრებების დადგენილებათა აღსრულებისათვის, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის, რელიგიური საზოგადოება თავის წრიდან აირჩევს წარმომადგენლებს (განმკარგულებელ ორგანოს), რომელნიც უძღვებიან მიმდინარე მუშაობას, იწვევენ საზოგადოების მიერ დანიშნულ ვადაზე საზოგადო კრებებს და სხვ.

11. რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის სარგებლობაში მყოფ სადგომში მორწმუნეთა კრება ხდება თავისუფლად და ისე, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში წინასწარი ნებართვა საჭირო არ არის, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხალხი მონაწილეობს ამ კრებაზე; ამ რიგადვე მოხდება კრება, მოწვეული იმ საკითხების გამო, რაც შეეხება ტაძრის დაცვა-შენახვას და საკულტო ქონების გამგებლობას.

12. ქადაგება შეიძლება თავისუფლად, იმ პირობით კი, რომ თავის შინაარსით ქადაგება იყოს მართოდენ რელიგიური და რელიგიურ დამრიგებელ ხასიათისა.

13. რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფების წევრებს შეუძლიანთ შეაგროვონ ნებაყოფლობითი შემოწირულებანი იმ ხარჯების დასაფარავად,

რაც დაკავშირებულია საკულტო ქონების სარგებლობასთან, ეკლესიის მსახურტა და მგალობელთა დაქირავებასთან და სხვ.

14. გაუქმებულ იქნეს ყველა წინადა გამოცემული ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის, აგრეთვე ეკლესიების და ღ

ვთისმსახურებისათვის მიკუთვნებული ქონების სარგებლობის წესის შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარი — ი. ვარძიელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი — შ. მათიკაშვილი.

1924 წ. დეკემბრის 2.

გამოქვეყნებულია ცაკის და სახ. კომ საბჭოს 1924 წლის „მოამბის“ 12 #-ში (კრებული, 1926, გვ. 56-63).

დანართი № 2

ანტირელიგიური წრის დებულება (1924 წ.)

ანტირელიგიური წრის შექმნის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ რელიგიური ორგანიზაციების მხრიდან. ეკლესიამ თავდადება და რწმენისადმი ერთგულება გამოავლინა, ამ წელს დახვრიტეს მიტროპოლიტი ნაზარი და არაერთი ღვთისმსახური, რამაც ნეგატიური ასახვა ჰპოვა საბჭოთა ხელისუფლებაზე, რადგან თვით პარტიის წევრებიც კი აკრიტიკებდნენ ამ საქმის დამკვეთებს. დებულების გაცნობისთანავე ხვდები, რომ ხანგრძლივი იქნებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ჭიდილი.

ანტირელიგიური წრის პროგრამა განსაკუთრებით რამდენიმე თემაზე მუშაობდა:

1) ანტირელიგიური განათლების შემოღება.

2) განათლების მიღების შემდეგ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა.

პროპაგანდისტებს უნდა სცოდნოდათ დებულებით: „

1. „ანტირელიგიური წრე შედის კომუნისტური განათლების საერთო სისტემაში და ისახავს სპეციალურ მიზნებს: შეისწავლოს ღრმად ყველა კითხვები, რომლებიც რელიგიას შეეხება და გააშუქოს ისინი მარქსისტული თვალსაზრისით“ (ორაველიძე, 1924, გვ. 34). რელიგიის საკითხების შესწავლა დამახინჯებით ხდებოდა, რადგან პროპაგანდისტული წიგნები მუდამ მიზნად ისახავდა ღმერთისა და ეკლესიის დაკნინებას, ამიტომ სიცრუესაც არ ერიდებოდნენ.

2. ანტირელიგიური წრეების პროგრამა დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა, მის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ყოფილმა სასულიერო პირებმა.
3. წრის წევრები, როგორც მეცადინეობის, ისე მისი დასრულების შემდეგ ვალდებული არიან აწარმოვონ ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ და აუხსნან მუშებს და გლეხებს მღვდელ-ბერების მატყუარობა.
4. წრე არსდება სამაზრო ან რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით იმ ამხანაგებისაგან, რომელთაც აქვთ მომზადება პოლიტიკური ცოდნის შკოლების პროგრამის ფარგლებში. წრის წევრების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 15 კაცს.
5. წრის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამხანაგების სურვილი და მათი შესაძლებლობა წრეში მუშაობისა, რომ არ მივიღოთ „მკვდარი სულები“, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად იქნებიან ჩაწერილი წრეში.
6. წრე იკრიბება კვირაში ერთხელ წინასწარ დანიშნულ დღეს და საათზე და მეცადინეობს სამი საათის განმავლობაში.
7. კურსის საერთო ხანგრძლივობა უდრის 9 კვირას, რაც შეადგენს სულ 27 საათს.
8. წრის ხელმძღვანელი ინიშნება სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მიერ. საჭიროა დანიშვნა ისეთი ხელმძღვანელის, რომელიც კარგად იცნობს რელიგიის საკითხს. როგორც წრის, ისე ხელმძღვანელის მუშაობა მიდის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.
9. კურსის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელი წერილობით ანგარიშს უდგენს პარტკომს თავისი მუშაობის, მეცადინეობის მეთოდების, წევრების და აგრეთვე წრის მუშაობის ნაკლის შესახებ.
10. წრის წევრისათვის სავალდებულოა ყველა მეცადინეობებზე დასწრება და თვითეული კრებისათვის სათანადო ლიტერატურის წაკითხვა-დამუშავება.
11. თუ წრის წევრს არ შეუძლია კრებაზე დასწრება ან ლიტერატურის წაკითხვა, მაშინ მან ამის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს წრის მდივანს საპატიო მიზეზების აღნიშვნით.
12. წრის კრებაზე წევრების დასწრების, ჩატარებულ მუშაობის აღწერისა და მიმდინარე საორგანიზაციო მუშაობისათვის წრე გამოყოფს თავის შემადგენლობიდან მდივანს და მის მოადგილეს.
13. წრე მეცადინეობს იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც გამომუშავებული, და მიღებულია პარტიული ორგანოების მიერ.

14. წრის და მისი თვითთული წევრის მიერ ჩატარებული მუშაობის გამოსარკვევად, კურსის გათავების შემდეგ პარტკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აწყობს წრეში საუბარს დანვლილ საკითხებზე, რომლითაც და აგრეთვე სათანადო მასალებით ის არკვევს მიღწეულ შედეგებს.

15. ამრიგად მიღებულ მასალებს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იყენებს იმისათვის, რომ წრეში მომუშავე ამხანაგებს შემდეგში მისცეს შესაფერი სამუშაო კომუნისტური განათლების დარგში და ყოველმხრივ ჩააბას ის აქტიურ პარტიულ მუშაობაში.

პროგრამა

(წინასწარი შენიშვნა)

პროგრამაში აღნიშნულია მხოლოდ ძირითადი თემები, რომლებზედაც უნდა შეჩერდეს ყველა ანტირელიგიური წრე. ამ თემების დეტალიზაცია ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან მომხსენებელმა თვით უნდა გამოიჩინოს თავისებური გაგება საკითხის, მისი ჯეროვანად დალაგების უნარი და სწორი მიდგომა. აქ უნდა იყოს სრული ინიციატივა. პროგრამაში აღნიშნულ საკითხებზე თითოეულ ამხანაგს ევალება მოხსენების დამზადება, რომელსაც ის აკეთებს წერილობით ან სიტყვიერათ (რიგის მიხედვით) წლის საერთო კრებას, რის შემდეგ იმართება კამათი. ლექციური მეთოდი დაძველებულად ითვლება, მას ანტირელიგიურ წრეებში უნდა ვერიდოთ. თუ უწინ ხელმძღვანელი წრეში მოდიოდა, ლექციას კითხულობდა და მიდიოდა, ეხლა მისი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ უხელმძღვანელოს თვით წრის წევრების მოხსენებების გაკეთების და მის გარშემო გამართულ კამათის დროს და მისცეს მას სწორი მიმართულება. თუ ასეთი მეთოდი არ იქნა, რომელიც აძლევს ამხანაგებს მაქსიმალურ ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობას, მისი წრე კარგავს თავის მნიშვნელობას და სიცოცხლეს.

ეკლესიის წინააღმდეგ იბეჭდებოდა ინსტრუქციები, მაგალითად „ინსტრუქცია ტფილისის მაზრის სკოლების ანტირელიგიური მუშაობის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 1927 წელს.

დანართი № 3

„საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს:

„ამ თვის 6-7 დანიშნული იყო „კომსომოლისტების შობა“. მორწმუნეთათვის ერთი უდიდესი დღესასწაულთაგანი სწორედ შობა ქრისტესი. სალოცავად მისულთ, სამწუხაროდ, მოუხდათ ბევრი რამ ისეთი მოვლენათა დანახვა, რაცა მეტად ამწარებდა მათ და სულის სიმშვიდეს უკარგავდა ყველას. ჩვენ არ შევეხებით იმას, რაც ხდებოდა თბილისის ქუჩებში, მაგრამ როდესაც უწლოვანი ბავშვებიც და ზოგიერთი სხვანიც ეჭრებიან ეკლესიის გალავნებში, ან, უმეტეს, თვით ეკლესიაში და იქ ახდენენ უწესობას, ამცირებენ მლოცველთ, შეურაცხყოფენ სიტყვით, აშინებენ იარაღით, ეს კი შეუწყნარებლად მიაჩნია ყოველ მორწმუნეს, რომელთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ურწმუნოთა. ასეთ მოვლენათ კი ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნულ დღეებში. მაგალითად, ზედ შობა დღეს ყოფილ სამხედრო ტაძარში წირვის დროს შემოდიოდნენ ვიღაც ახალგაზრდანი ქუდებით და პაპიროსებით ხელში. ირონიით ეხებოდნენ ხატებს, შიგ ეკლესიაში აბნევდნენ პროკლამაციებს, აქა-იქ აყუდებდნენ პლოკატებს სხვადასხვა წარწერებით, ეკლესიაშივე ტრიალებდნენ თოფიანი ყმაწვილები. ყველა ამან ისე ააშფოთა მლოცველები, რომ ზოგიერთს ისტერიკები მოუვიდათ და ზოგსაც გული წაუვიდათ. წირვის გამოსვლის შემდეგ თურმე ეკლესია დაკეტა წინამძღვარმა და გასაღები თან გაიყოლა, მაგრამ კარი ეკლესიისა ვიღაცამ მიბეჭდა და ალაყაფის კარებშიაც დაუყენებიათ თოფიანი დარაჯები, რომლებიც საშუალებას უსპობენ როგორც სამღვდელეობას, ისე მორწმუნეთა ეკლესიაში ლოცვისას. ამითაც არ იკმარეს, შობის მეორე დღეს ყმაწვილები ასულან ეკლესიის გუმბათზე და ზედ ჯვარზე ჩამოუცვამთ წითელი საფარებელი ალბათ ემბლემებით. ყოველი ეს მეტად აწუხებთ მორწმუნეთ, უნებლიეთ ერთი მეორეს შესჩიოდა და ბოლოს ჩვენ დაგვაავალეს ყოველივე მოგვეხსენებინა თქვენთის. ვასრულებთ ამ დავალებას და ჩვენი მხრივაც გთხოვთ უმორჩილესად მიიღოთ ზომები, რომ მრავალი მორწმუნეთა წყლული განკურნოთ თქვენი განკურნებით, რომ: 1) ეკლესიის კარებიდან ბეჭედი მოისპოს, 2) გუმბათიდან ჩამოღებულ იქნას მიფარებული მატერია და კვლავ ადგილი არ ჰქონდეს აღნიშნულ მოვლენათ შიგ ეკლესიაში და მის გალავანში, რომ ამით დაამშვიდოთ მორწმუნეთა აშფოთებული სინდისი, რასაც მოითხოვს დეკრეტი სინდისის თავისუფლების შესახებ” (უახლესი ისტ. არქივი, ფ. 516, გვ. 83). იმავე შინაარსის წერილია 89-ე გვერდზე, სადაც მორწმუნენი ითხოვენ, შეწყვიტონ მათი დარბევა და შევიწროვება (იხ. ქვემოთ, 89-ე გვერდზე).

დანართი № 4

„სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 142.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებულნი არიან.

მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია”.

(საქართველოს კონსტიტუცია, 1921, გვ 21).

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი 34-ე მუხლი. „ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არცერთ კულტს არ ეკუთვნოდეს. სარწმუნოებისა და რწმენის მომიჯნავეებით მოქალაქობრივი და პოლიტიკური მოვალეობის აღსრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული. სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მუხლი 35.

„ყველა მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად დააარსოს ყოველგვარი სარწმუნოებრივი კავშირი, თუ იმ კავშირის მიზანი და მოქმედება კანონით აკრძალული არ რის.

მუხლი 40.

გონებრივი, სასულიერო, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონების მიხედვით“ (კონსტიტუციის პროექტი, 1920, გვ. 4).

დანართი № 5

„კითხვა: რა ლოცვები იცი?

პასუხი: მე ვლოცულობ, მაგრამ არა სიტყვებით. შრომაა ჩემი ლოცვა, ვინაიდან მხოლოდ ისაა სასარგებლო, მხოლოდ ის არის მოგების წყარო. მხოლოდ შრომა ჰქმნის კაპიტალისთვის ზედმეტ ღირებულებას.

კითხვა: სად ლოცულობ შენ?

პასუხი: ყველგან, ზღვასა და ხმელეთზე, მიწის ქვეშ, ყანებში, მადარობებში, სახელოსნოებსა და მაღაზიებში, რათა ჩვენი ლოცვა მიიღოს და შეიწყნაროს უფალმა ჩვენმა. ჩვენ კაპიტალის ფერხთა წინაშე უნდა მივიტანოთ ჩვენი ნებისყოფა, თავისუფლება და კაცური კაცობა. ჩვენ ზარის ხმაზე უნდა შევიკრიბოთ, მანქანის ხმაურით გვიწვევენ, რათა როგორც ავტომატებმა დავიწყოთ ხელებითა და ფეხებით მუშაობა, ოფლში უნდა ვიწურებოდეთ და ვხვწვოდეთ, დავჭიმოთ ჩვენი კუნთები და უკანასკნელი ღდინი გავაცალოთ ჩვენს ძარღვებს. ჩვენ სულით მორჩილნი უნდა ვიყოთ, მოთმინებით უნდა ავიტანოთ ბრაზმორეული გინება ჩვენი ბატონებისა, ვინაიდან ისინი მუდამ მართალნი არიან, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ გვეჩვენება, თითქოს ისინი მტყუანნი იყონ. ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ბატონს, როდესაც ნამუშევარ ფულს გვიკლებს, სამუშაო დღეს ადიდება, ვინაიდან ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, სამართლიანია და ჩვენივე სიკეთე აქვს მიზნად. ჩვენ სიამაყით უნდა ვივსებოდეთ და გვიხაროდეს, როცა ბატონი და მისი მსახურნი ეარშიყებიან ჩვენს ცოლებსა და ქალიშვილებს, ვინაიდან კაპიტალისგან მათ მიცემული აქვთ უფლება როგორც დაქირავებულთა სიკვდილ-სიცოცხლისა, ისე მათი ქალების დაპატრონებაზე. ჩვენ გვირჩვენია ყოველგვარი ტანჯვა-წვალება ავიტანოთ, დაობებული პური ვსჭამოთ და წყალი გუბიდავ ვსვათ, ვიდრე თუნდ ერთი სასაყვედურო სიტყვა ვთქვათ, ნება მივსცეთ ჩვენს გულფიცხოვას, გავმართოთ ოდესმე გაფიცვა, მოვაწყოთ აჯანყება, ვინაიდან ჩვენი თავხედობის ასალაგმავად კაპიტალმა ჩვენი ბატონი შეაიარაღა ზარბაზნებითა და ხიმტებით, საპყრობილეებითა და კატორღით, გილიოტინითა და მრავალ სხვა საშინელებით“ (ლაფარგი, 1923, გვ. 17-18).

დანართი № 6

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ პეტერბურგში,
დაიწყევლოს სახელი შენი,
წარწყმდეს სუფევა შენი, და
ნუ იყოფინ ნება შენი, თვით ჯოჯობეთშიც.
მოგვეც ჩვენ პური, რომელსაც გვპარავ,
და გადაიხადენ ვალნი შენნი,
ვითარცა ჩვენ ვიხდით ვალთა ჩვენთა,
და ნუ შემიყვანებ ჩვენ საცდურსა,
არამედ მიხსენ ჩვენ პლევეს პოლიციისაგან,
და წარწყმიდე სახსენებელი მისი და
რამდენადაც უძლური ხარ და სულით გლახაკი,
უკუნისამდე მასთან ერთად წარწყმდი შენც, ამინ!“ (ფანჯიკიძე, 2003, გვ. 34).

დანართი № 7

„გაგიკვირდება ძველის მასწავლებლის მოგონება და ასეთი გრძელი წერილი, რომელმაც უნდა მოგაგონოს რაც იყო, ჩაგაფიქროს რაც არის და გააგთაღისწინებინოს, რაც იქნება! მოიგონე სულ ბოლოს რომ შეგხვდით, არცუნისეულ” ქარვასლის აივანში, სემინარიიდან რომ გახვედით და მგონი დავრწმუნდი, რომ მე მართალი ვიყავი და ვარ, ვგონებ რომ მომავალშიც. ეს გითხარ და გეტყვი: „ვაი იმ ხალხს, რომელიც ისტორიას ანგარიშს არ უწევს”, განათლებას და შეგნებას გაურბის და ქრისტეს მოძღვრებასაც ანგარიშს არ უწევს. ყველაზე უკეთესი გადატრიალება და ნაყოფიერი რევოლუცია მოხდა ინგლისში, 1850 წელს, ქრისტიანი სოციალისტების (5 და 15 კაცი) მეოხებით, იმიტომ, რომ რელიგიურ მოთხოვნებს ანგარიში გაუწიეს და იმით შეაჩერეს ნადირალების აღზევება. 1848 წელს კი, საფრანგეთმა თუ წააგო რევოლუცია იმიტომ, რომ სწორედ ეს ელემენტი აკლდა და ანგარიში არ გაუწია. ეს არის ჩემი ღრმა რწმენა დაფუძნებული ურყევ დასკვნაზე! ცხოვრებას სკოლა აქვს და იმასაც ანგარიშის გაწევა უნდა. ეხლა დავიწყოთ ჩვენს უბედურებაზე, რომ ჩინგიზ ხანის და ოსმალ-შაჰ ნადირების ბარბაროსობა სანატრელი გაუხადეს ქართველებს.

სამეგრელოში ზარის ხმა არ ისმის, დაჰკეტეს ეკლესიები, მღვდლებს ჰკრეჭენ, ხელფეხ შეკრულებს აპატიმრებენ. დასდევენ მღვდლებს დასაჭერად, ძალად იჭერენ, ვინც გაუსხლტათ იმათ დასდევენ დასაჭერად და ათასნაირი უსამართლობა, ჭორი ვრცელდება ხალხში. ნუთუ ამისთანა ამბები სასარგებლო და ხელსაყრელია თვით მთავრობისთვის?! სამთავისის X-XI ს. და სვეტიცხოვლის და სხვა დიდ ტაძრებს უპურებენ თეატრად გადაკეთებას, აღდგომა ღამეს ბევრგან ძალით დაუკეტეს და ლიტანია მოუსპეს. დიდ ძალმომრეობას ხმარობენ ეკლესიებზე, მღვდლებზე, ხალხის წინააღმდეგ, რაც ხალხში დიდ ჩუმ უკმაყოფილებას იწვევს და ხალხში ბოროტება ვრცელდება. ზოგიერთ ადგილებში მორწმუნე ერმა მიმართა იარაღს ასეთი ძალადობისთვის ეკლესიაზე და სამღვდელოებაზე, როგორც სოფელ მუხრანში და ბევრ სხვაგან.

რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, მესხეთში სომხობა-კათოლიკობაზედ გადადის ქართველობა და ქართველი ერთ იზრდება სომხობა. ბევრი რამ არის მოსაწერი, მაგრამ აღშფოთებული მდგომარეობა ნებას არ მამღევს, რომ დაწვრილებით მოვიწერო ყველაფერი, რითაც მეშინის შენი ყურადღება და ის დატვირთული აუვარებელი საქმეებით არ გადაგლალო.

სოსო! როგორი რმწნისაც გინდა იყო, მაინც ქართველი კაცი ხარ, საქართველოს მიწამ გამოგზარდა და სამშობლოსა და ერის სიყვარულს ვერა-რა დაშრეტს შენს გულში!

კიდევ გთხოვ, რომ ეკლესიებისა და სარწმუნოების დევნას თავი ანებონ და ღმობიერება გამოიჩინონ.

რას აძლევთ ერს, როდესაც უგინებთ სჯულს, სიწმინდეს, სიფაქიზეს და უსპობთ დიდებულ კულტურას, რითაც შეეძლო ქართველ ერს თავი მოეწონებინა კაცობრიობის წინაშე? ნუთუ მარტო მაგისტის იბრძვი, რომ სომხები, ურიები, ოსები და ვინ გინდა, არ წამოასვათ კისერზედ ქართელ ხალხს? საზღვრები დააჭრეს საქართველოს ყველა მხრიდან და აღარ იციან, როგორ შეავიწროვონ ხალხიც და ტერიტორიაც. იქნებ გწყინს, ჩემო სოსო? ნუ გეწყინება და მომიტევე, ბევრის მნახველს, მომთმენს და ცრემლის შემაშრობელს. იმედია, რომ ყურადღიღებ ყველა ამას და მოალბობ ჩემს გულს და კარგს რამეს სანუგეშოს მომწერ, რომ აღარ განმეორდება და ანუგეშებ შენს მოხუცებულ მასწავლებელს, რომელსაც ბევრად შესტკივა შენზედ გული. პასუხს ველი. 1923 წელი 2 მაისი, თბილისი“ (XX საუკუნის მოღვაწენი, 2005, გვ. 67-68).

დანართი № 8

„იყო ვინმე გლეხი —
გვარად მირზაული;
მუდამ ხუმარა, და
სახე მხიარული!
ერთხელ, გზად მონასტერს
ჩაუარა და რა,
მონაზვნები ნახა —
ცრემლი გადმოღვარა...
რთველი ჰქონდათ... და მან
თვისი თვალნი ლურჯა
მიაპყრა მათ, თხოვნით, —
თავი მოიმუნჯა!
მონაზვნებმა ურთიერთს
გადახედეს ვნებით...
იწყეს ზმორება და
ამოოხვრა შვებით!..
— დებო ვერსად გაგვთქვამს,
შეხედეთ, მუნჯია!”
ერთმა იმათგანმა
დანარჩენთ ურჩია!”
და, შეიპატიჟეს
ვენახში... — რა მოხდა?
ამას არავინ იტყვის... —
ბევრი „ოხვრა“ ამოხდა“!..
და იღუმენიამ
შეიტყო რა ყველა
აეთქვირა ღაწვნი —
ვნებით ჩაახველა...
სენაკში შეიხმო
„მუნჯი“ მირზაული,
რომელთა „თამაშით“

შეიჯერა გული...
დასუსტდა, რადგანაც
ერთ კვირამდე დარჩა;
მისცეს კარგი ჩოხა, —
შინისათვის ფარჩა!..
რაკი სუსტად ნახეს, —
უფროს ჰკითხეს, რომა:
— გაუშვათ თუ რა ვქნათ?
ველარ შესძლო „შრომა“.
— თუმცა მეძნელება...
გული კვლავ მიძგერდა...
გაუშვით, თუ სახე
გაუნაცრისფერდა!..
და ასეც მოიქცნენ...
მისცეს საჩუქარი;
და კმაყოფილებმა
უღეს ღობის კარი.
მათს ნალაპარაკევს
ყური მოჰკრა გლეხმა, —
გარედან გაისმა
მხიარული, მძლე ხმა:
— ფერი რომ მომივა,
ისევ მოვიდეო?
თქვენი ვნების ცხრომა
მე თავზე ვიდეო!..
— მუნჯი არ ყოფილა!!!
დაიყვირეს... მარა...
უკვე შორს მირბოდა
ის ჩვენი ხუმარა“ (სპარტაკი, 1923, გვ. 3).

დანართი № 9



(გაზ. „სპარტაკი“ 1923, 4 იანვარი, № 1)




(გაზ. „სპარტაკი“, 1924, 23 მარტი, № 80)



დემიან ბედნი „როგორ შევიდა მონაზონი სამოთხეში“, გადმოკეთებულია სილ.
თოდრიას მიერ, თბილისი 1924.



(გაზ. „მუშა“ 1923, 9 თებერვალი, № 66)



(გაზ. „მოჯამაგირის ხმა“ 1927, 18 დეკემბერი, № 5)

